

ՄԱՆԿԱԿԱՆ

ԼԵՆԻՆ

Լ

# სსსკ

949

# 4

აკრილი

1967

ლიტერატურულ-  
მხატვრული და  
საზოგადოებრივ-  
პოლიტიკური  
ჟურნალი

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა  
და საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანო

თბილისი





# ჩუქობერი-სკობრო ქოუბისენ ვკედხხ

## ძართული კომბური ლენინიანა

### დედისერთა ლენინთან


გარეთ ცივა... ქრის ქარი...  
 მთვარე ვაზშობს მუხებში.  
 დახშულია ჭიშკარი,  
 აძევს კლიტე უხეში.  
 დედაბერი მიმჯღარა  
 ბუხრის ახლო, კუთხეში,  
 თვალში ცრემლი დამშრალა...  
 მოხუცს ვინ სცეს ნუგეში?  
 ჩასთვლემს, ისევ იღვიძებს,  
 ღამეს თეთრად ათენებს.  
 გულისყური ერთზე აქვს,  
 მის გულს ერთი ამრთვლებს.  
 მუხლი მაინც უჭრიდეს,  
 ხალხს შესძრავდა ომით ის.  
 აღარ ძალუძს საბრალოს,  
 შავ ძაძებში დრო მიდის.  
 ლოდინი და იმედი,  
 ზვალაც ღამე ლოდინის!  
 მას ბურანში მოესმის:  
 — დედი, გახსენ ჭიშკარი!  
 „მე ვარ, ნუთუ არ გესმის?  
 გარეთ ცივა, ქრის ქარი!  
 შენი შვილი დაბრუნდა,  
 დედისერთა ვაჟიკა,  
 უვნებელი, მაგარი,  
 როგორც სალი კაჟი ქვა!  
 გახსენ კარი, დედა, უ!  
 შენს შვილს გარეთ რა უნდა?  
 ეს ხომ მე ვარ! არ გესმის?  
 შენი შვილი დაბრუნდა! —  
 დედა ენას ვერ აგებს,  
 სწრაფად დგება მძინარი;  
 სიხარულით ცაბცახებს:  
 — შვილო, დედა შინ არი! —

დედვით კარებს გააღებს,  
 იქ არვინ ჩანს მღიმიარ!  
 ცრემლით წყვილიან შესცქერის;  
 — ტკბილი იყო სიზმარი!

როს მოხუცი ბუხრის წინ  
 შვილს სიზმარში ხედავდა,  
 იმ დროს მისი ვაჟიკა  
 მტერს ბრძოლაში ჰკვეთავდა.

ის იბრძოდა, წითლებთან  
 წითელ დროშას იცავდა.  
 ჯარისკაცი რუსეთში  
 ლენინს გაჰყვა მტკიცედა!  
 პირველ რიგში დაეცა...  
 ტყვიამ აღარ იცადა!  
 მისი კენესა: „ოხ, დედა!“  
 ზარბაზანმა დაჰფარა;  
 თავი დასდო ხალხისთვის,  
 სისხლი ნორჩმა დაღვარა.  
 ნახა სამო საფლავი,  
 ვეღარ — დედის ჭაღარა!  
 და იმ დღიდან მოელის...  
 გარეთ ცივა, ქრის ქარი!  
 ზის და უცდის გულმკვდარი  
 დედისერთას მთის ქალი.  
 მუდამ ფხიზლობს, მზად არის,  
 შვილს გაუღოს ჭიშკარი!  
 თავზე დასთენებია,  
 ამოსულა ცისკარი.  
 აღარ ძალუძს საბრალოს,  
 შავ ძაძებში დრო მიდის.  
 „დედა მას ენაცვალოს“,  
 ზვალეც ღამე ლოდინის!

სანდრო შანშიაშვილი.



სიმონ ჩიქოვანი

## ორი ლექსი

პოეტის არქივიდან

• • •

თქვენთვის მიძღვნია მე ეს პუკარები,  
თუმცა გშორდებით და ვიკარგები,  
გაყურდა სულში სოფლის ზარები  
და დამიმსხვრია ქარმა ჩანებები.

ეგებ ვერ შევძლო აწ შინ ლაღადი,  
ფიქრიც მომიკვდეს, როგორც ცინდალი.  
ცეცხლი მომედოს თუ ტყის სახადი,  
ვერ მოგცეთ ფიქრი და საწინდარი.

მსურს მოვიგონო ერთი შემთხვევა,  
როცა დავკარგე ზომლის ბეჭედი.  
ახლა ვით ვაზი ღამე მეხვევა,  
სადაც დავკარგულ ბეჭედს ვეძებდი.

ვინ რომელს სჯიდა, სოფელს რომელი,  
ფიქრებს ვამყნიდი მთაწმინდის ნუშზე.  
ჩვენ ცეცხლი დაგვარჩა ჩაუქრობელი  
და რძე შეგვაშრა ვნებიან ტუჩზე.

ჩემს გულს სარქველი როგორ ახადეს,  
სატრფოს პერანგის შემრჩა ნახევი,  
ფიქრი წავართვი ქარში ქალაღდებს  
სიყრმის სიცოცხლით ნაკარნახევი.

ამ საუკუნის ყველა კუნჭულში  
ვძებნეთ უჩინრად სიყრმის განძები.  
მეც გავიარე ხიდი მზაკვრული,  
მივდივარ, მაგრამ მეც ვიქანებები.

საანგარიშოდ ვიცი არა ღირს  
 თუ რამდენია სულში ვარსკვლავი,  
 არ გადაეთელე ნაზი ბალახი  
 და საღ დავდივარ გაუბარსავი.

ნუთუ დავბერდი დიდი ხანია,  
 ეგებ სიცოცხლეს ვტოვებ ნახევარს,  
 თქვენი ხმა ჩემთვის იალქნებია,  
 არ მსურს იალქნის აღრე დახეგა.

### მირზა გელოვანი

ხმა მოგვაწვდინე ბრძოლის ველიდან,  
 ლექსი მიგქონდა საველე ჩანთით.  
 იქნებ დაეცი სადმე ბერლინთან  
 და მთის ჯიხვივით დაჭრილი სჩანდი.

გზას გადახედე ტანკით დაკეცილს,  
 თვალში ელავდა ხვამლის თავანი.  
 წახველ და დაგრა გულის ნამცეცი,  
 რადგან თან წაგყვა ლექსი მრავალი.

ეგებ ვეფარა რტოები მყიფე,  
 თავი მიდევი ნანგრევის ქვაზე.  
 ბინდში ელავდა ორბელის ციხე  
 და შორს წიფლნარი მუამის გზაზე.

გზის პირას წუთით წამოდექ თურმე,  
 სისხლმა შეღება ქართული წინდა.  
 როგორ გაგართობს მდინარე დუნე,  
 შენ ლაჯანურის ჩხრიალი გინდა.

სძლიე მთიელმა უთვალავ ორწოხს,  
 ჯაგს კაფავდი თუ დანალმულ ჭაობს.  
 შენი სტრიქონის ქუხილი მომწონს  
 და გზაზე გეძებ, უმცროსო ძმაო.

შენი ხმის კილო მთების წილია,  
 როგორ შეიძლებ დაბლობში გათბე.  
 შენ მშვიდობისთვის ცეცხლში გივლია  
 და აპრილის ღღეს სიცოცხლე დათმე.







მერცხლის მაგივრად გულში დაღონებუ-  
ლი მტრედი ჩაუსახლდა. ვარლამი იმ  
მტრედის ღელუნს უგდებდა ყურს და  
ამითლა კმაყოფილდებოდა. სამყაროს  
დიდი საიდუმლოს გასაღებს ვარლამი  
თავის გულში ეძებდა და, როგორც ყო-  
ველი პატიოსანი ლიტერატორი, მუდამ  
იმას ცდილობდა, მხოლოდ ის დაეწერა,  
რასაც ნამდვილად ფიქრობდა, რაც ნამ-  
დვილად სწამდა და აწუხებდა.

ყოველი ახალი ნაწარმოების მოთავე-  
ბის შემდეგ ვარლამს უკმარობის გრძნო-  
ბა იპყრობდა. ეს უკმარობა თუ საკუ-  
თარ შესაძლებლობებში დაეკვება იმის-  
თანა გულისგამაწვრილებელი რამ იყო,  
მთელი კვირაობით და ხანდახან უფრო  
ხანგრძლივადაც ძილი უტყდებოდა და  
ხასიათიც, რასაკვირველია, უფუჭდე-  
ბოდა.

ვარლამს ნატოსთვისაც კი არასოდეს  
გაუნდვია შემადრწუნებელი ეჭვისა და  
ღამეებას თეთრად გათენების ნამდვილი  
მიზეზი. ამოდენა გულახდილობა მის  
ძალ-ღონეს აღემატებოდა.

ნატო დაკვირვებული ქალი იყო. თუ  
ჭვეყნად ვისმე შეეძლო, სწორედ მას შე-  
ეძლო ეთქვა, ვარლამს საკუთარ თავზე  
უკეთ ვიცნობთ. მოყვარული ქალის  
უტყუარი ალღო შეიძლება კიდევაც  
ხდიდა ფარდას ვარლამის მწარე საი-  
დუმლოს, მაგრამ ამ გამგებ და უსაზღვ-  
როდ ერთგულ ადამიანს ერთხელაც არ  
უგრძნობინებია, თუ მართლა რაიმე  
იცოდა. ვარლამის თვალში ის გულუბრ-  
ველო, სულსწრაფი და ცოტათი თავ-  
ქარიანი ქალის როლს თამაშობდა. სი-  
ნამდვილეში ნატოს არც ცხოვრების გა-  
მოცდილება აკლდა, არც პატივმოყვა-  
რობა. ვარლამის შეურყეველ რწმენას  
საკუთარ ძალებსაღმძი, რაზედაც საზო-  
გადოებაში თვალსაჩინო ადგილი და ერ-  
თადერთი შვილის მომავალი იყო დამო-  
კიდებული. სასოებით უფროხილდე-  
ბოდა.

ვიდრე ახალი შეუღლებული გულნი-  
დელი სტუდენტები ჯერ კიდევ ხელმოკ-  
ლედ ცხოვრობდნენ, ნატო ორგანული  
ქიმიის პრაქტიკუმებს ატარებდა ინდუს-

ტრიულ ტექნიკუმში. ბუნებრივი ნიჭი-  
სა და მიხვედრილობის წყალობით ქმრის  
მუშაობას ალღო მალე აუღო და, თუმცა  
თავისი პროფესიით მწერლობისაგან ძა-  
ლიან შორს იდგა, ხანდახან, როცა პიე-  
სის სიუჟეტში გახლართულ ვარლამს  
ძალიან გაუჭირდებოდა, ნატო სასარ-  
გებლო წინადადებასაც კი წამოაყენებ-  
და ხოლმე.

მერე, როდესაც წელში გაიმართნენ და  
ვარლამის ორი პიესა სამ სახელმწიფო  
თეატრში ზედღზედ დაიდგა, ნატომ ტექ-  
ნიკუმს თავი დაანება და ოჯახს დაუტ-  
რიალდა. დათო პატარა ჰყავდა, ვარლა-  
მი კი დათოზე არანაკლებ სათუთი მო-  
საველი იყო.

ვარლამი ბევრს მუშაობდა, მუშაობდა  
დიდი გატაცებით. თანამოკალმეთ უკ-  
ვირდათ — როდის ასწრებს ამდენ რა-  
მესო. კიდევაც იყო გასაკვირი. ვარლა-  
მი არც ერთ საღამოს, არც ერთ საჭარო  
დისკუსიას, არც ერთ მეგობრულ თუ  
ვინმე სახელოვანი სტუმრის პატივსაცე-  
მად გაშლილ სუფრას აკლდებოდა.  
სუფრა მის ოჯახშიაც ხშირად გაშლილა  
ხოლმე. მაშ მუშაობას როდისღა ასწ-  
რებდა?

ეჭვის ჭია — ჭეშმარიტი ხელოვნება  
იყო ყველაფერი, რასაც აკეთებდა, თუ  
არა, ვარლამს მოგვიანებით გაუჩნდა,  
გაუჩნდა და სულეირი სიმშვიდეც ამან  
დაურღვია.

გონებით იცოდა, რომ ეს ცუდი ნი-  
შანი სულაც არ იყო. საკუთარი ნაშრომ-  
ნაღვაწით დაუკმაყოფილებლობა ყოვე-  
ლი დიდბუნებოვანი შემოქმედის უკუ-  
ნებელი სენია. ხელოსნებსა და უნიჭო-  
ებს მსგავსი განცდა არასოდეს ეუფლე-  
ბათ. პირიქით, ხბოს სიხარული შეიპყ-  
რობთ ხოლმე და კუბოს კარამღე ღიმი-  
ლით პირგაბადრული და დაიმედებულ  
მიდიან. მაგრამ ღმილს იქით რალაც  
სულ სხვა, გარეშე თვალისათვის შეუც-  
ნობელი რამ იმალება. ძლიერი ადამი-  
ანები, თუნდ ნიჭი კიდევაც აკლდეთ, სახ-  
ჩრობელის წინაშეც კი იღიმებიან, თუმ-  
ცა ეს სცენაზე ან ეკრანზე უფრო ზდე-  
ბა, ვიდრე ცხოვრებაში...



დედამიწის ზურგზე ჯერ ჰქუთამყოფელი კაცი არ დაბადებულა, ვინც თავის თავის ნამდვილი ფასი არ იცოდეს. შენ რატომ გაგიმყდვენებს? საქმეს რატომ გაგიადვილებს? სიტყვას რის გულისათვის ჩამოავდებს? ღიმილი და გარეგნული თვითკმაყოფილება საიმედო ნიღაბია ცხოვრების გასაადვილებლად და საზოგადოებისათვის თვალბზში ნაცრის შესაყრელად...

ვარლამის გულში ბალდამივით დაგუბებული უქმარობის გრძნობა სულ სხვა ჭურისა იყო. ის თავის თავში უნიჭობის დადასტურებას ეძებდა, მაგრამ, რასაკვირველია, არ უნდოდა ეპოვნა და ვერც პოულობდა.

„ექვი ძალის ნიშანია! — მალი-მალ იმეორებდა გულში, — მიღწეულისადმი ორჭოფული დამოკიდებულება უფრო უკეთესის გაკეთებისაქენ მიზიძგებს.“

მაგრამ სულის სიღრმეში ჩამძვრალი ეპვი, თუ ეპვის ეპვი, კიდევ მეტი გააფთრებით იგესლებოდა: ეგ მხოლოდ შენ ვინდა ავრე იყოსო, მაგის ფიქრი ყველა ხელმოცარულს შეუძლია, ხოლო მამლის ყვილი გარიყრაყს ვერ მოიყვანსო.

სხვა საქმიანობის ძიება უკვე ძალიან გვიანი იყო. ვინმე ღვთისნიერ ადამიანს აღრევე რომ ეთქვა... მაგრამ დაუჯერებდა? დახვეწილი გემოვნების მქონე ყოველი მკითხველისაგან ის თავისი ნიჭის გამართლებას ელოდა. თუ ეს ასე არ მოხდებოდა, მიუღდგომელი მსაჯული უმაღლე ჰქარგავდა ყოველგვარ მომხიბლველობას და ჩვეულებრივ ობივატელად გადაიქცეოდა, ვისი მოსაზრებაც პირად შთაბეჭდილებას ვერ გასცილებია და ამიტომ არავისათვის საგულისხმო არ არის.

ეს ამბავი ათასში ერთხელ თუ იჩენდა თავს. მწარე სიტყვის პირში გამჟღავნებას ყველა ერიდებოდა. ვინაა გიყი-გადარეული აუტიკვარი თავი აიტიკვოს. აგერ ბურთი და მოედანი! რაკი გამოსულხარ, უნდა ითამაშო კიდევ. აქ ყველას საკუთარი გასაჭირი ადგას. სხვის სათრევედ

არავის სცალია. შენს თავს შენვე უნდა მოუარო. ვერ მოუვლი და...

ორმოცი წლის მანძილზე ვარლამის პიესები რესპუბლიკის ყველა დიდმა თეატრმა დადგა. ამას ზედ უნდა დავუმატოთ სცენისმოყვარეთა დადგმებიც: პატარ-პატარა ქალაქების სახალხო თეატრებში. სამი პიესა რუსულად იყო თარგმნილი. სამივე უწინააღმდეგარა „ლიტერატურაში“ დაიბეჭდა. ამ სამიდან ერთი ხუთი სეზონის განმავლობაში იდგმებოდა ნოვოსიბირსკის დრამატიული თეატრის სცენაზე. პრესაც დიდი გულისხმიერებით გამოეხმაურა. ვაზეთ „ისკუსტროში“ სავანგებო წერილი გამოქვეყნდა, სადაც, სხვათაშორის, შექმნილი იყო „დადგმის ლიტერატურული საფუძველი“. წერილი რესპუბლიკურმა გაზეთებმა გადმოიბეჭდეს და ამ გზით მთელ საქართველოს მოედო. იგივე პიესა შემდეგ ტაშენტში დაიდგა. ვარლამი მიწვეული იყო და პრემიერას დაესწრო...

სპექტაკლის დასასრულს, მსახიობებმა, რომელთაც თეატრის დირექტორი, მთავარი რეჟისორი და ადმინისტრატორიც ეხმარებოდნენ, მვირფასი სტუმარი პროფექტორების უწყით განახიხებულ ავანსცენაზე გამოიყვანეს. ვარლამმა იცოდა, რომ ტაში, რითაც აჯილდოებდნენ, მარტო მას არ ეკუთვნოდა. უზბეკ მაყურებელს შემთხვევა მისცემოდა და ტაშს უკრავდა ქართველ მწერალს, ქართულ ლიტერატურას, შორეულ ზღაპრულ საქართველოს.

ორმოსავით ჩაღრმავებული ბნელი პარტერი ფეხზე იდგა. ვარლამს ცრემლები მოადგა. რა თავმდაბლობა და მოკრძალებაც არ უნდა გამოეჩინა, ტაშისა და ოვაციის უპირველესი მიზეზი მაინც თვითონ იყო. ახლა ის ერთი ანსახიერებდა მთელ საქართველოს. ნატო პირველ რიგში იჭდა, მეათე სკამზე, და სახეზე აღმურთოდებული სხვებთან ერთად ტაშს უკრავდა.

შინ მომავლებმა მთელი შვიდი საათი იფრინეს. ყარა-ყუმის უღბანოში საშინელი გრივალის მძვინვარებდა. სალონში პანიკა ატყდა. კიდევ კარგი, მფრინავებს



მგზავრებისაგან ყრუ კედელი ჰყოფდა, და, საბედნიეროდ, მათ არ შეეძლოთ დანახვა, რაც სალონში ხდებოდა. საკმარისი იყო, მფრინავებისათვის გრივალიდან მშვიდობით გამოსვლის რწმენას ეღალატა და რომელიმეს ხელი აჰკანკალებოდა, ყალყზე შემდგარ უკიდვანო უდაბნოში თვითმფრინავის ნამსხვრევ-საც ველარავინ მიაგნებდა.

ნატო და ვარლამი ხმაგაკმენდილი ისხდნენ, რბილ სავარძლებზე ტილოს ღვედებით დაკრული, და მხოლოდ დროდადრო თუ გააპარებდნენ ხოლმე თვალს ილუმინატორისაკენ, საიდანაც მტვრის უზარმაზარი ჰეიზერები და გრივალში თავბრუდახვეული დედამიწა მოჩანდა.

ნატოს ჯერ კიდევ ტაშკენტში ყოფნისას ჩავარდნოდა გულში იუბილის გამართვის აზრი. მზად იყო სამხადისის მთელი გაწამაწა დაუყოვნებლივ თავს ედო. ვარლამს სწორედ ხუთი თვის შემდეგ უსრულდებოდა ორმოცდაათი წელი. თადარიგის ვასაწვევი დრო საკმარისი ჰქონდათ. საფუძვლიანი მომზადება იყო საჭირო. ეს ხომ უბრალო კითხვანახილვა, მაყურებელთა კონფერენცია ან შეხვედრა არ იქნებოდა, რომლის მსგავსიც მრავალი გამართულა! კრიტიკოსები წერალებს დაწერდნენ. რესპუბლიკის თვითულ გაზეთსა და ჟურნალს, იუბილის დღემდე, როდესაც ვარლამს ყველა გაზეთის თითო შიგა გვერდი მიეძღვნებოდა, ორ-ორი, სამ-სამი მასალა მაინც უნდა მოეთავსებინა.

ვარლამი ჯერ გულგრილად შეხვდა ცოლის წამოწყებას, მერე თავდაც დაუჯდა ჭკუაში — ურიგო როდი იქნებო, მაგრამ გუნება სულ მალე შეეცვალა.

მშობლიურ ლიტერატურაში ჩახედულმა კაცმა კარგად იცოდა ისტორიის მაგალითები. იცოდა, მაგალითად, სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი დიდი ილია როგორ აღუდგა წინ თავისი საიუბილეო ზეიმის გამართვას. არც თხოვნამ გასჭრა, არც შეგონებამ. ჯერ რა გავაკეთო. ამაოდ მიუჯავნენ ყველაზე უფრო ანგარიშგასაწვევი და საპატიცემუ-

ლო კაცები, ამაოდ უმტკიცეს და უკი-ჩინეს. არა და არა!

მაგრამ, სამწუხაროდ, არც ნატოს წამოწყებას აკლდა გონიერული საფუძველი: ვითომ ვარლამი ვიზე ნაკლები იყო? განა მეოცე საუკუნის სამოციანი წლების საქართველოში ცოტა დაიარებოდა მწერალი თუ ხელოვნების სხვადასხვა დარგის მოღვაწე, რომელთა წინაშე ვარლამს აშკარა და უქოქმანო უპირატესობა ჰქონდა? იმ ათობით წვრილფეხა მწერალმა, მხატვარმა, მსახიობმა თუ კომპოზიტორმა უკვე აისრულა გულის წადილი: ეურნალ-გაზეთებსა და ერთ სათეატრო დარბაზს, თუ მეტს არა, თავისი გაჩენის დღე და საათი აზვიმუბინა...

ვის ვის და, ვარლამს სხვებზე უკეთ მოეხსენებოდა, თუ როგორ და რანაირად ეწყობოდა ეს ხან საღმრთო და ხანაც ნახევრადცარიელ დარბაზებში გამართული იუბილეები. იგი მწერალთა კავშირის პრეზიდენტის უცვლელი წევრი იყო და მთელი კომედია — იუბილის უაზრო წილადობილა — სწორედ მის თვალწინ გათამაშდებოდა ხოლმე.

იუბილის ქინთი შეპყრობილი კოლეგა გულში ღრმად ჩამარხული განზრახვის ასრულებას ყრუ ბუზღუნით იწყებდა. ჯერ ვიწრო წრეში გამოამჟღავნებდა უკმაყოფილებას — ეს ოხერი, რაც არ უნდა გააკეთო, არაფერს ფასი არა აქვსო. შემდეგ იმდენს ეცდებოდა, იმდაგვარად მოახერხებდა, არცთუ ისე ორაზროვან საყვედურებს ისეთ ადგილზე და გარემოებაში გამოთქვამდა, რომ, აღრე იქნებოდა თუ გვიან, უკმაყოფილო მოღვაწის ხმას თავის ხელმძღვანელთა ყურამდე მიეღწია. ასაკაც სხვათაშორის ახსენებდა. ასაკის ირგვლივ სიტყვის ჩამოსაგდებად ათასნაირი საბაზი მოიპოვებდა. პასუხად რომელიმე მიმხვედრი ან წინასწარ შეპირებული ამხანავი იტყოდა, რა კარგს ვიზამდით, ეს თარიღი ფართოდ, როგორც მავანისა და მავანის ლიტერატურულ დამსახურებას შეჰფერის, ისე აღგვენაშნაო...

ეს ვითომ სხვათაშორის. მაგრამ უკვე

ყველამ იცოდა, რომ იუბილის საქმე მთელი სერიოზულობით იჩარხებოდა და მიკიბულ-მოკიბული ლაპარაკი მხოლოდ გარეგნული ფორმა იყო წინასწარი თათბირისა. მთის ფერდობზე ერთხელ უკვე აგორებული თოვლის გუნდა თვალდათვალ იზრდებოდა, ძალას იკრებდა და თვალდამრთში საშინელი სისწრაფით მიექანებოდა...

მომავალი იუბილარის ახირებას ხელს ისიც უწყობდა, რომ ყოველი წლის ბოლოს, ნოემბერსა ან დეკემბერში, მწერალთა კავშირის ზემდგომი ინსტანციიდან პრეზიდიუმი იღებდა მწერლების სავარაუდო სიას, თუ საგაიხოდ ვისი იუბილე იყო მოსალოდნელი, ვინ აღწევდა საიუბილეო ასაკს... კადრების განყოფილების თანამშრომელი გოგონები გულდასმით ამოწმებდნენ თარიღებს და, თუმცა მომავალი იუბილარის გვარის დაწერისას ხანდახან ორთოგრაფიული ან სხვა სახის შეცდომები მოსდიოდათ, იქვე შეჭქონდათ იგი მსცოვან მაშვრალთა სიაში.

ვარლამს საღად მოაზროვნე კაცის სიბრალულით ებრალებოდა დაფნის გვირგვინისა და უკვდავების საცოდავი მაძიებლები. ისინი ამაოდ ლამობდნენ მარად უცხო და მიუკარებელი პოეზიის მოშინაურებას. რომელიმე მათგანს იშვიათად თუ ებადებოდა აზრი, რომ ხალხის თავსმოხვეულ ამ ფუჭ იუბილეს და იუბილარის ხმის ათრთოლებას ზეიმის ბოლო წუთებში მადლი სრულებით არა ჰქონდა. იგი ხვალვე მიავიწყდებოდა ყველას, როგორც გუშინდელი თოვლი. დარბაზის ტაში, მილოცვები, ხან ცალყუბა და ხანაც გულწრფელი, იოტისოდენა პატივსაც ვერ ჰმატებდა ეგრეთწოდებულ „სულიერ საზრდოს“, რის გუნდრუკის საკმევადაც ეს იუბილე იყო გამართული.

ვარლამი ცდილობდა გულში მაინც გაემართლებინა დაფნის გვირგვინის მაძიებელთა ლტოლვა უკვდავებისაკენ. ეს უკვე ზედმეტა კაცთმოყვარეობა და შემწყყნარებლობის გამოვლინება იყო. მაგრამ ყოველივე ზედმეტი, თვით კაცთ-

მოყვარეობა და შემწყყნარებლობაც კი, განსაზღვრული წრის მიღმა საწინააღმდეგო შინაარსს იძენს...

ვარლამი თავისი მისწრაფებისა და აზრთა ლოგიკური თანმიმდევრობის შეურიგებელ წინააღმდეგობას გრძობდა და, თავისდა გასაოცრად, უკვდავეების მაძიებელთა საქციელის გამართლებას მაინც ეძებდა. უკვდავების მაძიებლები, უპირველეს ყოვლისა, ადამიანები იყვნენ, ყველა სხვა ცოცხალი არსების მსგავსად მზისქვეშ ადგილს ეძებდნენ და რა ვუყოთ, თუ თავბრუდამხვევი შუქით განათებულ ავანსცენას ისე ეტანებოდნენ, როგორც ფუმფლა ლამპის შუქს...

ისინი უდიდეს ძალასა და ღონეს ახმარდნენ გულში ამოჭრილი მაცდური სურვილის აღსრულებას. ვარლამს პირდაპირ ანციფრებდა მაძიებლების ნებისყოფა და გამომგონებლობის უნარი. არაფრის წინაშე არ დრკებოდნენ, უკან არ იხევდნენ, არაფერს ერიდებოდნენ, არაფრისა რცხვენოდნენ...

საიუბილეო აღტკინება არყით დათრობას ჰკავდა. მთავრია, ვადაჰკრა პირველი სირჩა! ის უკვე მოითხოვს მეორეს, მეორეს უსათუოდ მესამეც მოჰყვება. მსმელს უკვე ებმის ენა. ქვეყანას სულ სხვანაირი ელფერი ედება მთვრალი კაცის თვალში. ქუჩები, სახლები, ადამიანები ჰკარგავენ თავიანთ ჩვეულებრივ სახეს, წონას და მოცულობას. მთვრალს ეჩვენება, რომ ხილული სამყარო უკვე განერთხო მის ფერხთა ქვეშ და ის ბარბაციით, მაგრამ მაინც თავდაჯერებულნი მიაბიჯებს აღტაცების შეძახილებით მოზანზარე ცისქვეშეთში...

ვარლამი ყოველთვის გაურბოდა თავის მოტყუებას და ამ მხრივ, შეიძლება ითქვას, გამონაკლისიც კი იყო ტოლამხანაგებში. ისევე, როგორც ოდესღაც ტაშვენტის დრამატული თეატრში ატხილ ტაშის გრიალს, ვარლამი ბეერ სხვა რამესაც თავშეკავებული ხვდებოდა და სალი განსჯის უნარს მაშინაც ინარჩუნებდა, როცა სხვები უკვე საბოლოოდ ჰკარგავდნენ წონასწორობას.



დღესასწაულების წინ ვარლამს ბევრი მოლოცვის წერილი და დეპეშა მოსდიოდა. სხვა მოლოცვებზე უფრო ნატოს რამდენიმე დიდი ვაზეთისა და ქურნალის მოლოცვა ახარებდა და, თუმცა წინასწარ იცოდა, შიგ რა ეწერა, მოუთმენლად გახსნიდა ხოლმე, წაიკითხავდა და მერე შტამპიან პაკეტთან ერთად არქივში ინახავდა. საყვედურიც რამდენჯერ უთქვამს ვარლამისათვის: უყურადღებო ხარო, ხომ შეიძლება ერთხელ შენც მიულოცო ან მაღლობა მიინც გაუგზავნო, რას იფიქრებენო.

აბა, ვის რა უნდა ეფიქრა! მოლოცვების გამოგზავნი რედაქციები და გამომცემლობები ვარლამს ყურმოკრულადაც კი არ იცნობდნენ. გამოხაკლისი იყო მხოლოდ ქურნალი „ტეატრი“, სადაც მისი სამი პიესა დაიბეჭდა. რედაქციის ახალ შემადგენლობას ეს ძველი ამბავიც დავიწყებული ექნებოდა. მამ რატომღა ჩასციებოდნენ?

ხელმძღვანელობის განკარგულების თანახმად, მოლოცვის ბარათებს კანცელარიის რომელიღაც ტექნიკური მუშაკი გზავნიდა. წინ, ალბათ, მწერალთა კავშირის უზარმაზარი სია ელო. საწყალს, ვინ იცის, გული უსივდებოდა ყოველი დღესასწაულის მოახლოებისას. პაკეტები, რომლებზედაც ბეჭდური ხელთ მისამართები უნდა დაეწერა, უთუოდ შინაც მიჰქონდა და მთელი ოჯახი თავაუღებელ მუშაობაში ათენებდა და აღამებდა. მილოცვები ხომ დროულად უნდა მისულიყო დანიშნულების ადგილზე...

ნატო კი გულუბრყვილო ბავშვივით თხოვდა ვარლამს, გინდა თუ არ გინდა, მაღლობა გაუგზავნეო...

ეგ კი არა, ვარლამმა ერთხელ ისიც კი განიხრაბა, რედაქციებისათვის მიეწერა, შეეწყვიტათ ადამიანის ღირსების დამამცირებელი მოლოცვების გზავნა. მერე, როცა დაუფიქრდა ამ ამბავს, შეშინდა: ვაითუ პროტესტი ყურად არავის ელო, იგი დაწუნებული კორესპონდენტების გროვაში დაკარგულიყო და მოლოცვის წერილები ისევ მოსვლიდა...

ნატოს ნადრევი და მოულოდნელი დაკარგვის შემდეგ ვარლამი პირველად გახდა იძულებული ფიქრის ბურუსიდან გამოსულიყო და ყოველდღიურ ცხოვრებაზე ეზრუნა. ყოველივე, რაც წინათ შეუძმნევლად მიედინებოდა და თითქოს თავისთავად ხდებოდა, მთლიანად ვარლამს დააწვა მხრებზე. ამ ტვირთის ასაწევად ვარლამი მომზადებული არ იყო. რაც მეტი დრო გადიოდა, მით უფრო და უფრო იგრძნობოდა ნატოს არყოფნა... უიმისობა ვარლამს სახლის გარეთაც ხელ-ფეხს უზბორკავდა. აღარ ჰყავდა თავგამოდებული დამცველი და გატაცებული თანამებრძოლი. აღარავინ ლაპარაკობდა ვარლამის მაგივრად იმას, რის თქმა და მტკიცება, სხვადასხვა მიზეზის გამო, ვარლამს პირადად არ შეეძლო, სათქმელი კი ამა თუ იმ ფორმით უსათუოდ უნდა თქმულიყო.

ვერც კი ვაიგო, საზოგადოებას როგორ შეუძმნევლად ჩამოშორდა. იცლო დარბაზობებმა და ტელეფონის ზარის წყრიალმა. ტელეფონი წინათ განუწყვეტილ რეკდა ხოლმე. ამიტომ ნატომ ორი გადასაყვანი აპარატი დაადგმევინა და მუშაობაში გართული ქმრის სიმშვიდეს ფრთხილად დარაჯობდა. ახლა ძალიან იშვიათად თუ დარეკავდა ვინმე. ვარლამი ყურმილს აიღებდა, წლების განმავლობაში გამომუშავებულ „ვისმენთ, ბატონოს“ ჩასძახებდა და გულავანკალებული და მადლიერი, ნეტავის ვაგახსენდიო, ვინმე ახალგაზრდა ქალის ან ვაჟის დამაქრულ ხმას გაიგონებდა:

— ბოდიში, დათოს სთხოვეთ...

ვარლამი მძიმედ დასდებდა ყურმილს და დათოს დასაძახებლად გაფრანტუნდებოდა ტალანში, მაგრამ ის უკვე ლაპარაკობდა პარალელური ტელეფონით. ვარლამი ისევ უბრუნდებოდა სამუშაო ოთახს, ყურმილს თავის ადგილს მოუნახავდა, რათა შემთხვევით ახალგაზრდების საიდუმლო საუბარი არ მოესმინა და კარგა ხანს გარინდებული იჯდა.

მისი ცხოვრება უკვე დამთავრებული იყო. ახლა უკვე სხვები ცხოვრობდნენ, ცხოვრობდნენ იმავე უდარდებლობით,

სიკისკასითა და დახარბებით, როგორც ოდესღაც თვითონაც ცხოვრობდა. რა ვაჭირებდაც არ უნდა დასტეხოდა, ყოველგვარ გასაჭირს ხვალისნდელი დღის იმედი უნაზღაურებდა. სხვების მსგავსად, ახალგაზრდობა მასაც თავისი უპირატესობა ეგონა და აღრე არც კი უფიქრია, თუ ის ოდესმე გათავდებოდა. დღეს ვარლამი განზე იყო. ცხოვრების ჩქარი მატარებელი გვერდით მიდიოდა და ვერც კი ამჩნევდა რომელიღაც პაწია ბაქანთან ჩამორჩენილ მგზავრს...

და ასე ერთბაშად დაიბადა სურვილი საზოგადოებისათვის თავის შესხენებისა. ვარლამი უცნაურმა მოუთმენლობამ შეიპყრო. რა ემართებოდა? ნუთუ იმ ჩვეულებრივმა ციებ-ცხელებამ დაპრია ხელი, დაფნის გვირგვინის მაძიებელთ რომ შეიპყრობდა ხოლმე? ვარლამი უკვე აღარ დაგიდევდა, რა ღირებულებისა იყო მისი მწერლური მემკვიდრეობა, გამოადგებოდა თუ არა იგი მომავალ თაობებს ცხოვრების მეკვლედ და თანამგზავრად. არა, ვარლამს უნდოდა დარწმუნებულყოფა, რომ ჯერ ისევ ფეხზე იდგა, უნდოდა ყველა დაერწმუნებინა. დიახ, ცოცხალი იყო, ცოცხალი, ცოცხალი, ცოცხალი და შემოქმედებას აწინდელი გზებით ეძლეოდა! გვერდს სულ ტყუილად უვლიდნენ, სულ ტყუილად ეგონათ, რომ მისი ყავლი გავიდა...

2.

— ვაიმე, შენ ისევ ჩაუტყველი ხარ?

ვარლამმა უკან დაიხია და კარი მხოლოდ მაშინ მიხურა, როცა სოფიომ ნახევრაზბნელი ტალანი გაიარა და განათებულ დარბაზში წვრილქუსლიანი ტუფლების პაკაპუკით შევიდა.

ეს იყო საოცრად მოძრავი, შეიძლება ითქვას, დაუღალავი ქალი, ვის სიყვარულსა და ერთგულებას ვარლამისადმი მხოლოდ ნატო თუ გაუწევდა მეტოქეობას. გაუთხოვრად დაბერებულ სოფიოს ბიძაშვილ-მამიდაშვილ-დეიდაშვილები სხვაც ბევრი ჰყავდა, მაგრამ მათ შორის ვარლამი გამორჩეული სიყვარუ-

ლით უყვარდა. სახელმოხვევილ დეიდაშვილზე სოფიო სამი წლითა და ორითვით უმცროსი იყო. ბავშვობა და სიყმაწვილე ერთად გაეტარებინათ. ვარლამმა ვერა და ვერ შეაჩვია თვალი ჭალარათმას სოფიკოს პაწია თავზე. წამდაუწუმ ავიწყდებოდა, რომ ქალი უკვე ორმოცდამეჩვიდმეტე წელიწადში იყო გადამდგარი. ებრალებოდა, რა უტეპ დაბერდაო. სამავიეროდ, თვით სოფიო მხნედ გამოიყურებოდა. ცეცხლი და დაუღებრობა ძველებური ჰქონდა, ნათელი, გადატყევილი სახე კი გოგოსი შერჩენოდა. მხოლოდ მოკლედ შეკრებილი ჭალარა თმა ააშკარავებდა საიდუმლოს, რომლის დამალვას სოფიო არცთუ ისე დიდი მონდომებით ცდილობდა.

— რაღას უღვებარ, ჩაიცვი! — თანშეზრდილი ახლობელი ადამიანის მბრძანებლური კილოთი მიმართა მან ტალანში გახიდულ დეიდაშვილს, — მოიცა, ჯერ მოგილოცო! — ფეხისწვერებზე მიირბინა, აიწია და იუბილარს სუფთად გაპარსულ სავეს ლოყაზე აკოცა.

ვარლამს იასამნის სუნი ეცა, ნაცნობი სუნი. ამ სუნით ყოველთვის შეეძლო გამოეტყოს, რომ სოფიკო-გადაარეული სადღაც ახლოს იყო.

— დათო სად არის? — სულმოუთქმელად ჰკითხა ქალმა.

— წასულია.

— აღარ მობრუნდება?

— მე მგონი, არა.

— რა უჩქარებოდა, ვერ დაგვიცადა? მე ტაქსი მოვიყვანე. მეგონა, ჩაიკმული დამხვდებოდი.

— უკვე დროა?

— აღარ გვეგვიანება. იცი, რამდენი ხალხია თეატრის წინ?

— მართლა? — ვარლამმა ვერც კი შენიშნა, ნაღვლიანი თვალები როგორ გაუნათდა. არ უნდოდა ვინმეს ეგრძნო, რომ სული კბილით ეჭირა, როდის მოედებოდა ბოლო მითელ ამ უაზრო დავიდარაბას, რომლის გამართვა ორი თუ სამი თვის წინათ თვითონვე ისურვა, კეკუტცობაში ჩამოართმევდნენ, — ახლა გამოიარე?



— უკვე უშვებენ. ადგილები დაუ-  
ნომრავია. მართლა, შენ თეატრი ზომ  
გაფრთხილე, ბენუარის ლოყები და  
პარტერის პირველი და მეორე რიგი  
პრეზიდენტს დაუტოვონ?

— მე როგორ გავაფრთხილებდი, სო-  
ფიკო, ეგ რა ჩემი საქმეა!

— ჰო, კარგი. დატოვებენ, აბა, რა იქ-  
ნება. ძალიან მეჭავრება, როცა მეორე  
განყოფილება იწყება და პრეზიდენტში  
ისევე სცენაზეა. შენ არ გეჭავრება?

ვარლამი საწოლ ოთახში შევიდა და  
გარდერობის კარი გამოაღო. სოფიოს  
ბოლო სიტყვებისათვის ყური აღარ უგ-  
დი. უნდოდა ეკითხა, ბანკეტის საქმე  
როგორ არისო, მაგრამ ისევე გაჩუმება  
არჩია, რადგან მეტისმეტი სულწასულო-  
ბა გამოსდიოდა. თავი მაინც ისე ეჭირა,  
თითქოს ეს აურზაური მისი სურვილის  
წინააღმდეგ ხდებოდა და ამის გამო ცო-  
ტათი უკმაყოფილოც კი იყო. სამზადი-  
სის წვრილმანებში ცხვირის ჩაყოფა  
როდი ივარგებდა. დაკარგულ საქმეს  
სხვები როგორმე გაუძღვებოდნენ. დღე-  
ვანდელი საიუბილეო ბანკეტი, მადლო-  
ბა ღმერთს, არც პირველი იყო და არც  
უკანასკნელი. სუფრა რესტორან „თბი-  
ლისის“ მცირე დარბაზში გაიშლებოდა.  
თავდაპირველად ასორმოცდაათი ადგი-  
ლის დაბეჭვებას აპირებდნენ. დიდი სჯა-  
ბაასისა და აზრთა სხვადასხვაობის შემ-  
დეგ მაინც ამაზე შეჩერდნენ, მხოლოდ  
იმ პირობით, რომ, თუ ვინიცობაა, სტუ-  
მრების რიცხვი ასორმოცდაათს გადა-  
აჭარბებდა, რესტორანის დირექციას კი-  
დეგ ორმოცდაათი კაცის მოთავსება და  
შასპინძლობა ეკისრა.

სტუმრების სავარაუდო სია უკვე  
შედგენილი იყო. სია თვით ვარლამმა  
შეადგინა, მაგრამ არავისთვის უჩვენე-  
ბია. იქ სულ ასოცდასამი კაცი ჰყავდა  
ნაგულისხმევი. დარეკვით უფრო მეტს  
დაურეკა და რამდენჯერმე კიდევ ჩაიხე-  
და სიაში, ხომ არავინ გამომჩნაო. ამის-  
თანა დროს კაცს სიფრთხილე გმართებს.  
სულ პაწაწინა გულმავიწყობა და შეიძ-  
ლება დიდ უსიამოვნებას გადაეყარო.

— ვალიკო, ვახდელი ხარ? — მოესმა  
მეზობელი ოთახიდან სოფიოს ხმა.

— რა იყო? — ვარლამი რბილ სკამ-  
ზე ჩამოვდა საარკის წინ და შარვლის  
ტოტში ფეხი გაუყარა.

— ტელეფონთან ვთხოვენ.

— ვინ არის? რა უნდა?

— მგონი, თეატრიდან არიან. მოიცა,  
ახლავე ვკითხავ!

ვარლამმა შარვალი ჩაიცვა და ნეი-  
ლონის თეთრი პერანგი გაიწორა. ამ  
დროს ნატო ყოველთვის ზურგსუკან  
უდგა ხოლმე. ხელში გატყინებული  
ჰალსტუხი ეჭირა და უცდიდა, როდის  
შეისკვნინდა საყელოს ვარლამი. ბოლო  
დროს ვარლამმა საგრძნობლად მოიმა-  
ტა. ყველა პერანგის საყელო დაუფიწ-  
როვდა. ზედა ღილის შეკვრა სწორედ  
სატანჯველი იყო.

სოფიომ კარზე დააკაკუნა.

— შეიძლება?

— მოდი!

სოფიო წვრილი ქუსლების კაკაუკით  
შემოვიდა, იასამნის სუნი შემოიყოლა  
და ვარლამს სარკეში აპხედ-დაპხედა.

— გიპერს? გაიხადე, თუ გინდა, ახ-  
ლავე გადავანაცვლებ.

— შოფერი გადაიჩრევა. რად გინდო-  
და, ასე ადრე რომ მოიყვანე!

— გაუშვი უკვე.

— კარგად გიქნია. ფეხით გავივლით,  
ან სხვა მანქანას დავიჭერთ. ვინ რეკა-  
და?

— დათო უნდოდათ.

— მერე სად არის დათო!

— მე ვუთხარი, თეატრში იქნება-  
თქო.

— მოდი, თუ და ხარ, ეს შემინიე.  
აღარ შემიძლია.

— ხომ გითხარი, წუთში გადავანაცვ-  
ლებ! — რაკილა მისი დახმარება ბოლოს  
მაინც საჭირო ვახდა, სოფიომ სწრაფად  
მოიბრინა, ვარლამისა და სარკეს შორის  
ჩადგა და პერანგის გახამებულ საყელოს  
ლონიერი წვრილი თითები მოავლო, —  
თავისუფლად დადექი, ნუ იძაბები!

— ნელა, შე დალოცვილო, თუ დამჩქ-  
მიტე, რაღა გამოვიდა!

— ნუ ლაპარაკობ, ბიჭო! — სოფიომ ისე გულთიდად და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი უშუალოებით თქვა ეს, რომ ვარლამს თვალები მოენისლა. იასამნის სუნი, სოფიოს ხმა და ჯერ ბავშვობისდროინდელი სახელი „ვალიკო“, ხოლო შემდეგ ეს „ბიჭო“ სულის სიდრმეში დიდი ხნის წინათ ჩამარხულ და მარად უტყნობ გრძნობებს უღვიძებდა. — ძალიან გიჭერს. ასე როგორ უნდა გასძლო!

— გავძლებ, ნუ გეშინია.

— ახლა რაღა ვაგვიკეთო?

— მომეშვი. ტელეფონთან დაჯექი. მე ამ წუთში გამოვალ. სუ, მგონი, ზარბ დაირეკა.

წუთით ორივე გაირინდა და როგორც კი ტალანში ზარმა განმეორებით დაიძლირა, სოფიომ ნატოსეული სათითვე სარკის წინ დასდო და კარის გასაღებად გაიქცა. ვარლამი უკვე პიჯაკს იცვამდა და სტუმრებთან გასასვლელად ემზადებოდა, როცა სოფიომ სადარბაზო კარი მიხურა და ისევ საწოლ ოთახში შემობრუნდა.

— მოვიდნენ უკვე? — ფარული მღეღვარებით ჰკითხა ვარლამმა და სული მოითქვა.

— ვინ?

— კარი ვის გაულე?

— მეზობელი უნდოდათ. შენ ვინმეს მოელი?

— არავის.

— აბა, რატომ მკითხე?

— ისე. მეც არ ვიცი.

ვარლამი უკვე მზად იყო. წასვლა შეიძლებოდა, მაგრამ ის ფეხს ითრევდა და, თუმცა ვერ გეტყოდათ ვის, მაინც ვიდაცას ელოდა. ქუჩაში რვის ნახევარზე გამოვიდნენ. კარი სოფიომ დაკეტა ინგლისური გასაღებით და გასაღები ვარლამს ჩაუდო პალტოს ჯიბეში. კიბეზე ვარლამი დაწინაურდა. მთელი დღე მარტო გაატარა. ათასში ერთხელ ტელეფონზე თუ დარეკდა ვინმე. ახლაც მარტო ყოფნა და ფიქრი უნდოდა. ქალური ზრუნვა, რასაც სოფიო იჩენდა, რატომღაც აღიზიანებდა. ვარლამი

გრძნობდა, რომ ეს უმადურობა იყო და თავს იცავებდა.

სოფიომ კიბე მკვირცხლად ჩამოირბინა, დაეწია და ჭრელ ხელთათმანში გამოკრული ხელი ნიდაყვექვეშ ამოსდო, მეორე ხელი კი ზემოდან დაასვენა ვარლამის იმავე მკლავს და ზედ მსუბუქად დაეყრდნო. ასე ხელიხელგამოდებულნი დაეჩეტებოდნენ ხოლმე სტუდენტობის დროს, სანამ ჰორიზონტზე ნატო გაჩნდებოდა. ვარლამს თავი მოსწონდა თავისი მომხიბლავი დეიდაშვილით. ცქრიალა სოფიო ყოველი გამგელის ყურადღებას იქცევდა. ერთხანს ხნის ამოუღებელი იარეს. ტროტუარი მოყინული იყო. ქუჩაში თქორი თუ ქალაქის საკვამურებიდან ამოსული ბოლი დაიზღაზნებოდა და ქვარტილიანი ნათურების შუქს ძალას უკარგავდა. მანქანების ნაკადიც ფრთხილად მოედინებოდა თავედამართში. მოყინულ ფილაქანზე საბურავებიც ცუტრავდა და შეეცარა დამუხრუჭება საშინო იყო.

— აქ თუ დაეცი, ვეღარც წამოდგები! — გოგოს ხმით თქვა სოფიომ და გაიცინა, — თოვლი მაინც მოსულიყო.

— ჯობდა, — თქვა ვარლამმა.

ტროტუარებზე ან ქუჩის შუაგულში თითო-ოროლა გამგელს თუ მოკრავდი თვალს. ქალები თბილი შალით ან თავსაფრით იყვნენ შებუღნული. კაცებს მხრები აეწურათ და ჯიბეებში ხელბეჩაყოფილნი რაღაც არაბუნებრივად განიერ ნაბიჯებს ადგამდნენ.

— კოჯორში, ხომ იცი, წუხელაც თოვდა, — განავრძო სოფიომ, — აგტობუსები ტაბახმელიდან დაბრუნებულან. წარმოვიდგენია? ზამთარი ზამთარს უნდა ჰგავდეს. მომბეზრდა ეს მშრალი სიცივე. მართლა მშრალი მაინც იყოს! გახსოვს, როგორი თოვლი იცოდა? ეჰ!..

— ნატოს უყვარდა კოჯორი, — თქვა ვარლამმა.

— კოჯორი კარგია, — სოფიო წუთიერმა მოგონებამ წაიღო, — განსაკუთრებით ზამთარში, როცა მოთოვს...

— ზახუბულში ნაკლებია?





— იქაური მე ზამთარი უფრო მიყვარს. ბევრჯერ ვყოფილვარ.

— ნატოს კოჯრის ზაფხული უყვარდა. დიდი ამბით ვემზადებოდით ზოლმე წასაბარგებლად. მერე უცებ მოეწყინებოდა. აიტეხდა, შინ უნდა წავიდეთ.

— ისე მიყვები, თითქოს ჩემი თვალით არ მენახოს.

— რალაცის ეშინოდა, სოფიკო, ოლონდ მე არ მიმხელდა.

— ნატოს ძალიან უყვარდი. ამისთანა სიყვარული ახლა იშვიათია.

— ტკივილიც კი არ ჰქონდა საკუთარი. — ვარლამმა ერთბაშად ამოიღგა ენა და შეება იგრძნო, — დამიჯერებ? მისი ტკივილიც მე და დათო ვიყავით და სიხარულიც.

— შენც გიყვარდა, — დინჯად თქვა სოფიომ და ხმა გაეზახრა, — ნატო ბედნიერი იყო!

ვარლამი მძიმედ მიაბიჯებდა და თითქოს საკუთარ ფეხისხმას უგდებდა ყურს. რუსთაველის მოედანზე გასულთ სუსხიანმა ქარმა დაუბერა და სახეზე თოვლის წვრილ-წვრილი მარცვლები მოაყარა.

— მგონი, ნატვრა ავიხდა! — სოფიომ ნაძალადევად გაიციინა და მკლავი, რომელზედაც დაკიდებული იყო, ორივე ხელით ძირს დაჰქაჩა, — თოვას აპირებს. ცაც მოღრუბლულა!

— მარტი გაშუალდა. ახლა როგორ შოთოვს!

— ვერ ხედავ?

— ნელა, არ წამაქციო, ფეხი ცურავს! დაბურული ლამპიონების შუქზე ალაპლაპებული მოედანი ფრთხილად გადაიარეს და პროსპექტზე გავიდნენ. ცივ ნისლში აქაც უჩუმრად მოსრიალებდნენ თვალემაბრძლელებული ავტო-მანქანები. ხალხი აქ მეტი იყო. ზოგი ნება-ნება მოსეირნობდა, სხვებს სადღაც მიეჩქარებოდათ...

„ბევრმა, შეიძლება, არც კი იცის, რომ ნახევარი საათის შემდეგ რუსთაველის თეატრში საიუბილეო საღამო დაიწყება, — გაიფიქრა ვარლამმა და თითქოს

წყობო თვალებს ემალებო, ბეწვითი ქელი შუბლზე ჩამოიწია, — დიდი სისულელე ჩავიდინე. ეს არ უნდა მექნა!“

იქით და იქით, ქალაქის შუაგულისაკენ, ხალხი უფრო გახშირდა. უმეტესობა ახალგაზრდობა იყო. ლამპიონების შუქით განათებულ სახეებს გოგო-ბიჭები თოვლის წვრილ-წვრილ მარცვლებს უშვერდნენ და ტურციალებდნენ. მათი ყრიაშული შორს ისმოდა დამის სიჩუმეში. იყო კი ამათ შორის ვინმე, ვინც ვარლამის სახელი იცოდა და თუნდაც ერთი წამით მაინც თანაუგრძნობდა დღევანდელ ზეიმს?

ვარლამი სულგანებული მიაბიჯებდა. ხარბად იჭერდა ნაწყვეტ-ნაწყვეტ ფრაზებს, სიტყვებს, წამოძახილებს. ეს სიტყვები, ფრაზები და წამოძახილები ქვეყნად, ალბათ, ყველაფერს შეეხებოდა, მხოლოდ ვარლამს და მის იუბილეს — არა. ქუჩას თითქოს პირი შეეკრა და ვარლამისათვის ზურგი ეჩვენებინა.

„იქნო „სპარტაკამდე“ ვივლი, — გაიფიქრა ვარლამმა, — თუ ისევ ასე იქნა, ჯანიც გავარდნია, უკან დაებრუნდები!“

მან იცოდა, რომ ეს ფიქრი სისულელე იყო, უკან აბა როგორ დაბრუნდებოდა, მაგრამ უკანასკნელ წუთებში წყენა მაინც მოერია და აფორიაქდა.

„ხალხი გულგრილია. თავისი რჩეული ჰყავს. სხვების მიმართ უმადური და გულგრილია. ყოველთვის ვერც კი მიუხვდები, რატომ და რის გამო აირჩია ის რჩეული“...

ვარლამი დაკვირვებული იყო — „რჩეულის“ რეპუტაცია ხანდახან უღირსებასაც ხვდომია წილად, თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს აქვე ითქვას: ისინი, ის უღირსი „რჩეულები“ რალაცით მაინც იქცევდნენ ყურადღებას. საზოგადოების აღფრთოვანება ამ ჯურის რჩეულების მიმართ ვარლამს მუდამ უზნებოდ მიაჩნდა, მაგრამ ამხედრება და წინააღმდეგობის გაწევა შეუძლებელი იყო. მისი „განსაკუთრებული აზრი“ ლიანგის ერთსულოვნებას აწყდებოდა

და წონასა და დამაჯერებლობას ჰკარგავდა.

„ფეხისხმას არ უნდა ავყოლოდი. რად მინდოდა ეს სისულელე! — ხელახლა გაიფიქრა ვარლამმა, — იუბილის ზიზილ-პიბილები ჩემნაირი ყაიდის ადამიანებისათვის არ არის მოგონილი. უნდა მოიღწინო, შეიწინო... ეს ხომ ყველას არ შეუძლია!“

— დაილაღე? — ჰკითხა სოფიომ.

ისინი გრანიტისვეტებიან ყვირთელ შენობას ჩასცილდნენ. წინ ჰადრებში ჩაფლული ოპერის თეატრი გამოჩნდა.

— რაზე შემატყვე! — ვარლამის ხმაში აღვილად იგრძნობოდა გაღიზიანებული კაცის კილო.

— სუფთა ჰაერია. კარგი ქვენი, ტაქსი რომ გავუშვი. არა? სიცოცხლეა ახლა ქუჩაში გავლა.

— კარგია. ცივა ცობა.

— ნესტიანი სიცივე იცის. ეს არის სიძველე. მთელ ტანში უქმურივით გავიჯდება. ჰო... ვალიკო, რა გითხრა, იცი? — სოფიომ უცებ ხმა შეიცვალა და რაღაც ძალზე მნიშვნელოვანის სათქმელად მოემზადა, — აი, ამდენი ხანია მოვდივართ, ქუჩაში ამდენი ხალხი გვხვდება, ვაკვირდები და... ერთი ნაცნობი სახე არ არის! წარმოვიდგენია?

— ასაკის ბრალია, — ვარლამი მიხვდა, რაზედაც ფიქრობდა ქალი და მოიღულშა, — ძველები წავიდნენ. ქუჩა ახალგაზრდებით არის სავსე. ისინი ჩვენ არ გვიცნობენ, ჩვენ იმათ არ ვიცნობთ...

— როცა მაგას გაეფიქრებ ხოლმე, შიში მაკანკალებს. დედას გეფიცები. გუშინ არ იყო? ჩვენც ხომ ახალგაზრდები ვიყავით...

— ვიყავით. ახლა აღარ ვართ.

— რა მოგველის? — სოფიო ვარლამის მკლავს მიეკრა და ნაბიჯი შეანელა.

— ბავშვივით მეკითხები! — ოდნავ დამცინავად თქვა ვარლამმა. მას ისევე განუსაზღვრელად მოუნდა მარტო ყოფნა. სოფიკო და მისი სენტიმენტალური შეკითხვები უკვე ყელში ამოსდიოდა. ქალს თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე. ეს კიდევ უფრო აბრაზებდა. რა ეშმაკმა

მოიყვანა სწორედ წამოსვლის წინ! ნეტა გამოესწრო...

სოფიომ ზემოდან დადებული მარცხენა ხელი მოაცილა ვარლამის მკლავს, შავი რედიკული გახსნა, ცხვირსახოცი ამოიღო და თვალებზე მოისვა. ამ წუთში იგი მოუსვენარი პატარა დედაბერი იყო, უმწეო და სასაცილო შესახედავი. სოფიომ წუთიერი ნაღველი ერთ კენესას ამოაყოლა, ცხვირსახოცი ისევ ჩაკუჭა რედიკულში და უცებ გამოცოცხლდა.

ისინი უკვე პროექტორებით გაჩირადდნებული თეატრის წინ იღვგნენ. ვარლამს თვალი მოსტაცა უზარმაზარმა აფიშამ, თეატრის წინ, კედელზე რომ იყო მიყუდებული. ასეთ აფიშებს მხოლოდ მაშინ ხატავდნენ, როცა თეატრს ვინმე სახელგანთქმული მესტრო ეწვეოდა სავასტროლოდ. იუბილები ზშირი იყო და საგანგებო აფიშების დასამზადებლად არავის ეცალა. ეს, ალბათ, თვით თეატრმა იყისრა. ვარლამს განსაკუთრებული პატივი სცეს, როგორც დრამატურგს, თეატრის შემწეს...

იცნო თავისი გადიდებული სურათი, ამ ხუთი წლის წინათ რომ საზღვარგარეთის პასპორტში ჩასაკრავად გადაიღო და მზერა მოარიდა. სურათში ვაცილებით უფრო ახალგაზრდად გამოიყურებოდა. სჯობდა, ეს არ მიეცა და რომელიმე სხვა სურათი ამოერჩია.

„სულ ერთია! — გაიფიქრა მან წამის შემდეგ და ამ ფიქრით შინაგანი ჯანყი ჩააჩუმა, — ამას ვინ უყურებს!“

ქუჩის პირას, ფასადის მრგვალი სვეტების უკან, ტელეხედვის ორი გრძელი ავტობუსი იდგა და თეფშისმაგვარი გადამცემი ანტენები მთაწმინდის პლატოსათვის მიეშვირა. ფილაქანზე დაფენილი რეზინის მილები, თავს რომ თეატრის მთავარ შესასვლელთან იყრიდნენ, ფეხებში ეხლართებოდა გამველ-გამომველეთ.

— ხომ გითხარი! ხედავ, რამდენი ხალხია? — წასჩურჩულა ვარლამს სოფიომ და ნაბიჯი პირველმა გადაადგა.

ხალხი მართლაც ბლომად იყო.



სანამ სულ ახლოს მივიდოდა და ზიბიდან მოსაწევვე ბარათებს ამოიღებდა, ვარლამმა კარს ეპვიანად გაჰხედა. მართო აქ იღვანენ თუ შიგნითაც შედიოდნენ?

აფუსფუსებულ მეკარეებს, უშვილო ცოლ-ქმარს, აქაურობას რომ ახმეტელის ღროიდან შემორჩენოდნენ და თეატრის ემბლემით დამშვენებული მწვანე ბერეტები ღირსეულად ეხურათ, საქმე გასჩენოდა, ცოლიცა და ქმარიც, როგორც იმ სანატრელ ღროს, გამალებული მუშაობდნენ, შემსველლებს ხელებში შესცივინებდნენ, ბარათებს ართმევდნენ, ყურის წახვევის შემდეგ უკანვე უბრუნებდნენ და თითო-თითოდ ატარებდნენ.

„დაწყების წინ მუდამ ასეა!“ — გაიფიქრა ვარლამმა, პალტო გაიხსნა და პიჯაკის გარეთა ჯიბეები მოიჩხრიკა. აღარ ახსოვდა, ბარათები რომელ ჯიბეში ჩაიდო.

3

ფარდის ახდა მთელი ნახევარი საათით დაყოვნდა. საიუბილეო კომისია მინისტრის მოსვლას ელოდა. რეჟისორის თანაშემწემ, გამბდარ-გამხდარმა ქერა ბიჭმა, რამდენჯერმე შემოუარა ფარდას და მოპირდაპირე მხრიდან მთავრობის ლოჟისაკენ გაიხედა.

სალამო კულტურის მინისტრს უნდა გაეხსნა ხუთწუთიანი შესავალი სიტყვით. რალაც მიზეზის გამო იგვიანებდა. მას, როგორც საიუბილეო კომისიის თავმჯდომარეს, რასაკვირველია, მოადგილევც ჰყავდა, მაგრამ სანამ ვინმე სარწმუნო ამბავს არ მოიტანდა, მოვიდოდა თუ არა მინისტრი, დაწყება უხერხული იყო.

ეს, უპირველეს ყოვლისა, თვით იუბილარს ეწყინებოდა.

ამასობაში სცენა მთლიანად გაივსო. ნემსის ჩასაგდებ ადგილს ვედარსად იპოვნდით. ქათქათა საყულოებით გაბრწყინებული უზარმაზარი პრეზიდენტი შემადლებულ ადგილზე იჯდა. სახელ-

დახელო კიბის გამწვდომი საფეხურები, რომლებზედაც სკამები განელაგებინათ, სცენის სიღრმეში ზევით და ზევით მიიწევდა. უკან ჩალისფერი ფარდა იყო ჩამოშვებული. ფარდის შუაგულში ეკიდა ისევ ის სურათი, ვარლამმა რომ ხუთი წლის წინათ ვადაიღო, ოღონდ უფრო გადიდებული და ბრჭყვილა. სურათის ქვეშ მოხდენილად მიემაგრებინათ მუყაოში ამოჭრილი წარწერა: 60 — 40.

მეორე ციფრი, რაც სამწერლო მოღვაწეობის ორმოც წლისთავს ნიშნავდა, მთლად ზუსტი არ იყო. როცა ვარლამის პირველი ნაწარმოები — პატარა იუმორისტული მოთხრობა „ორი მეზობელი“ გამოქვეყნდა, ავტორს თვრამეტი წელი უსრულდებოდა. არც საიუბილეო კომისია და არც ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის თანამედროვე მწერლობის განყოფილება თარიღების დაზუსტებას არ გამოსდგომია: ორი წელი გინდ იქით ყოფილა და გინდ აქეთ!

ვარლამი სცენის მარჯვენა კუთხეში დასვეს, იუბილარებისათვის განკუთვნილ საპატიო ადგილზე. იქ ბუტაფორიდან მოტანილი ღრმა სავარძელი დაუდგეს და გვერდით, დაბალფეხებიან პრილა მაგიდაზე სამი ბოთლი ბორჯომი შემოუწყვეს.

ვარლამს არ უნდოდა ამ სავარძელში ჩაჯდომა. სავარძელი ნამდვილი არც კი იყო. სცენის ხელოსნებს ფიცრების გადანაჭრებისაგან შეეკოწიწებინათ და ბრჭყვილა ქსოვილით დაეფარათ. ახმეტელის სპექტაკლებიდან მოკიდებული სად არ დაათრევდნენ. „ყაჩაღების“ მეორე მოქმედებაში ზედ მოხუცი მოთრი ჯდებოდა. შემდეგ „გუშინი ღელწმი“ და სულ ბოლოს „დიდ ზელმწიფეში“ გამოიყენეს...

ვარლამმა ღრო შეარჩია, ამდენი აქეთ-იქით სირბილისაგან გაწამებული რეჟისორის თანაშემწე მოიხმო და თავისი უკმაყოფილება განუცხადა.

— რას უწუნებთ, ბატონო, სავარძელს? — პირხმელმა, ფერწასულმა ბიჭმა გულწრფელი გაკვირვება საქამოდ

ხმადალა გამოთქვა. პრეზიდენტის პირველ და მეორე რიგში, მგონი, კიდევაც გაიგონეს და უშაღ ყურებიც სცქვიტეს. ვარლამი დღეს იუბილარი იყო და ყოველ მის სიტყვას თუ სურვილის გამჟღავნებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა...

— თეატრში უბრალო სკამი არა გაქვთ? — ჩურჩულით ჰკითხა რეჟისორის თანაშემწეს.

— რად გინდათ, ბატონო, სკამი? ყველა იუბილარს ამ სავარძელში ვაჯენთ. მოხერხებული დასაჯდომიც არის. სინდისს გეფიცებით! ოღონდ ზურგიით ძალიან ნუ გადააწევებით. უკანა ფეხი მოტეხილი გახლავთ. ამ დილას სახელდახელოდ დავამაგრეთ.

— კარგი, მომშორდი ოღონდ... ისე, კი უნდა გრცხვენოდეთ: თეატრში ერთი სკამი არა გაქვთ, რომ კაცი დაჯდეს! თანაშემწემ გამხდარი მხრები აიჩეჩა და პრეზიდენტს ათვალწუნებით მოაგლო მზერა.

— ქვეყანა აქ შემოჭირვალდა. სკამებით ვინ გააჯერეს!

— დარბაზში არის ხალხი?

— როგორ არა, პარტერი სავსეა. მეტი არც სხვა დროს მოდის.

— ბალკონები? — ვარლამს ყვრიმალები აეწვა.

— არ ვიცი... ბოდიში... მეძახიან!

რეჟისორის თანაშემწე სტენის მეორე ფრთისაკენ გაიქცა და მაშინვე ხელების ქნევა დაიწყო. ისევ თავს თუ იმართლებდა.

ვარლამს პირი უშრებოდა წყურვილისაგან, ბოთლები კი არცერთი არ იყო გახსნილი. ჭიჭის მოტანაც დავიწყებოდათ.

„ფუ, ძალი პატრონს ვერ ცნობს! — გაიფიქრა მან. სავარძელში ფრთხილად ჩაჯდა და საჩვენებელა თითი ყელსა და გასანთლულ თოკივით მჭიდროდ შემოჭერილ საყელოს შორის გაატარა. საყელო ძალიან უჭერდა, სუნთქვას უშლიდა, — ნეტა რატომ არ დავუჭერე იმ ჩიტირკიას: ვადაინაცვლებინა დილი! მთელი ღამე ამის ვაძლება არ გინდა?“

სოფიო სადღაც ახლოს იჯდა პრეზიდენტის იუბილარის მხარეს.

„ნათესაეები სხვაც ბევრი მყავს. — გაიფიქრა ვარლამმა, — ბარემ ყველა ამოსულიყო! დარბაზში ნეტა ვინა დარჩებოდა?“

მაგრამ უცებ მოაგონდა: სოფიო—შინაური მღვდელი — ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი იყო და მწერლის იუბილენტე ისედაც ერგებოდა საბატო ადგილას დაბრძანება. ვარლამი უკვე დამნაშავედ გრძნობდა თავს სოფიოს წინაშე. ახლოს რომ მჯდარაყო, ორ-სამ თბილ სიტყვასაც გაიმეტებდა. თითქოს მოყურადებული იყო და მის გულის ხმას უსმენდაო, სოფიო თავად მობაკუნდა და ვარლამის წინ ისე დაიხარა, როგორც სასიკეთოდ თავგადაგდებული ავადმყოფის სასთუმალთან დაიხრება ზოლმე შემოფოთებული ჭირისუფალი.

— ხომ არაფერი გაწუხებს, ვალიყო?

— ძალიან მომიჭირა ამ ობერმა.

— ხომ ვითხარი, ვადაინაცვლებმეთქი. ახლა როგორ გინდა ვასძლო?! — მეც მაგას ვწუხვარ. ვათავდება თუ არა, გავიხსნი. ვისაც რ: უნდა, ის იფიქროს! შენ სად ზიხარ?

— მესამე რიგში.

— ვინ არის იქ კიდევ?

— უნივერსიტეტის პროფესორებია.

მართლა, რა გახარო: ჩვენი რაიონის დღეუგაცია ჩამოვიდა. თუ არ ვცდები, საჩუქრებიც მოგართვის.

— ვინ არიან?

— აღმასკომის თავმჯდომარეა და კიდევ ვიღაც ორი. ერთი, მგონი, განათლების განყოფილების გამგე უნდა იყოს. ვერ ვცნობ. მეორე — სკოლის დირექტორიაო.

— რატომ არ იწყებენ, არ იკითხე?

— ბევრი გადააცილეს. უცდიან ვილაცას. მგონი, მინისტრი არ არის მოსული. დილიდან კოლეგია ჰქონია.

— ყველას დღეს გაუჩნდება გადაუდებელი საქმე! თუ არ მოვიდოდა, რატომ იკისრა! სხვამ გახსნას. ერთ ადამიანს უცადოს აძენმა ხალხმა?



მოსაუბრეთ საშუალო ტანის, ავად-  
მყოფურად ჩასუქებული ხანშიშესული  
კაცი მოუახლოვდათ, რესპუბლიკის თე-  
ატრალური საზოგადოების თავმჯდომე-  
რე, და იუბილარის წინ მოწიწებით დაი-  
ხარა.

— ჩვენი ვფიქრობთ, ბატონო ვარლამ,  
დავიწყოთ, მეტი მოცდა უკვე აღარ შე-  
იძლება, — თქვა მან და სოფიოს თავი  
დაუქრა, რითაც ბოდინიცი მოუხადა, სა-  
უბარი შეგაწყვეტინეთო და კიდევაც  
მიესალმა.

— დაიწყეთ, რასაკვირველია! — ფი-  
ცხლად დაეთანხმა ვარლამი, — ვისაც  
მოსვლა უნდოდა, უკვე მოსულია!

— ერთი ხუთიოდე წუთი კიდევ რომ  
მოგვეცადა... — სოფიომ ჩარევა საჭი-  
როდ სცნო და სათითაოდ შეხედა მამა-  
კაცებს.

— არა, არა, დაიწყონ! — გადაჭრით  
იუარა ვარლამმა, — ამდენი ხალხი იც-  
დის. როგორ გეკადრებათ!

— მაშ, ვიწყებთ! — მსუქანი კაცი  
წელში გაიმართა და პრეზიდენტის მაგი-  
დისაკენ გაბედული ნაბიჯით წავიდა.

— შენ მოიცა! — უჩურჩულა სო-  
ფიოს ვარლამმა. ის უკვე წუხდა, რომ  
უმიზეზოდ გაფიცდა და საღამოს და-  
წყება კატეგორიულად მოითხოვა. ხუ-  
თი-ექვსი წუთის მოცდა კიდევ შეიძლე-  
ბოდა. აქაური მყურებელი მაინც შეჩ-  
ვეულია ფარდის ნაგვიანვედ გახსნას.—  
სკამი მოიტანე და ახლოს დაჯექი.

— თუ სადმე ვიშორე სკამი... — სო-  
ფიომ თვალებით რეჟისორის თანაშემ-  
წეს დაუწყო ძებნა.

ფარდა რომ ასწიეს, ვარლამი უკან  
იყო მობრუნებული და ამკარად ბოლმა-  
ზე მოსულ რეჟისორის თანაშემწეს აჩ-  
ვენებდა, სოფიოსათვის სკამი სად და-  
ედგა. სოფიო დაჯდა და პაწია ხელებით  
მაშინვე ტაში დაუქრა. კითხვის დრო  
აღარ იყო, რას შვრებო. ვარლამი მა-  
შინალურად შემოტრიალდა სავარძელ-  
ზე და უნებლიეთ თვალები დახუჭა.  
ავანსცენა პროექტორებით იყო გააჩხ-  
ჩახებულნი. ორი ნაბიჯის იქით თითქოს  
უთვალავი კოცონები აენთოთ. ერთსუ-

ლოვანი ტაში სინათლის კედლის მიღმა  
ისმოდა და მძლავრი შუქით თვალებმოჭ-  
რილი ვარლამი ჭერჭერობით ვერაფერს  
ხედავდა.

— ადექი! — რაღაც მანქანებით მო-  
ესმა სოფიოს საკმაოდ ხმამაღალი ჩურ-  
ჩული და გონს ამან მოიყვანა. უმაღ-  
ფეხზე წამოდგა, ორივე ხელი გულზე  
მიიღო და, როგორც სხვები შვრებოდ-  
ნენ ხოლმე ასეთ დროს, სინათლის  
თვალისმოჭრელი კედლის იქით ჩაბნე-  
ლებულ სივრცეს თავი დაუქრა. ტაში  
უფრო გაძლიერდა, შემდეგ თანდათან  
იკლო და მერე, თითქოს უეცრად გახ-  
სენებით, ამას რას ჩავდივართო, ერთ-  
ბაშად შეწყდა.

მიკროფონში თეატრალური საზოგა-  
დოების თავმჯდომარემ ჩაახველა. უკვე  
დრო იყო შესავალი სიტყვის დაწყებისა.  
შემდეგ ტრიბუნა მომხსენებელს დაეთ-  
მობოდა. ვარლამმა უკან მოიხედა და  
ფრთხილად ჩაეშვა სავარძელში. დიდად  
გაუეჭირდა, როცა პრეზიდენტის მაგი-  
დასთან, იქ, სადაც თავმჯდომარის მიკ-  
როფონები იდგა, კულტურის მინისტრი  
დაინახა. მინისტრს პირზე თეთრი ცხვირ-  
სახოცი მიეფარებინა და მარჯვენა მე-  
ზობელს, მეცნიერებათა აკადემიის ვი-  
ცე-პრეზიდენტს, რაღაცას ეჩურჩულე-  
ბოდა.

„ალბათ, ახლახან მოვიდა, — გაიფიქ-  
რა ვარლამმა და გული მოუღბა, — ფარ-  
და უკვე გახსნილი იყო და თავმჯდომე-  
რის სკამის დაკავება ვეღარ მოასწრო.“

დარბაზში ხელახლა გაისმა ერთსუ-  
ლოვანი ტაში. ვარლამი ისევ წამოდგა.  
პროექტორების თვალისმოჭრელ სი-  
ნათლეს ძლივსძლივობით შესჩვეოდა  
და, თუმცა გაჭირვებით, მაგრამ მაინც  
არჩევდა, რომ დარბაზში ხალხი ბევრი  
იყო. ზემოთ, იარუსების ხავერდგადა-  
კრულ მოაჩირებსაც გადმოჰყარდნობო-  
დნენ მწერლობისა და თეატრის ერთგუ-  
ლი თაყვანისმცემლები. მთავრობის ლო-  
ჯაში სინათლე ენთო. ვარლამი აღარ  
დაჰკვირვებია, ვინ იჯდა იქ. ამის გას-  
გებად თავის მიბრუნება დასჭირდებო-  
და. უადგილო ცნობისმოყვარეობა მყაყ-

რებელთა დარბაზს შეუნიშნავი არ დარჩებოდა და ვაითუ ცუდი შთაბეჭდილება მოეხდინა.

პრეზიდიუმის მაგიდასთან სკამები აახრივინეს. ვასო ხუბულური, კრიტიკოსი, დიდი საიუბილეო ზეიმების უცვლელი მომხსენებელი, თმაშეთხლებული შავგვრემანი კაცი, ადგა და ტრიბუნი-საკენ წავიდა.

— თუ ძალიან გიჟერს, გაიხსენი, — სოფიომ დრო იხელთა და წასაჩუქრულა ვარლამს, — პალსტუხი მინც დააკავებს. ცხელა აქ...

— რაზე გამახსენე! — ვარლამი განეზივრებული ბავშვივით აბუზუნდა, — უკვე დაიწყებული მქონდა!

— ჭრჭერობით ყველაფერი რიგზეა. ხომ მართალია? ნამდვილ დიდ იუბილეს გინდიან. საცოდავი ნატო... — ქალმა დაიკვნესა.

— სუ, ვინმე გაიგონებს!

— თვითონ ვერ ხედავენ? ქვეყანა აქ არის! შენ იცი, როგორ სამადლობელო სიტყვასაც იტყვი. უკუა არ გესწავლება. ღირსეული და თავმდაბალი. გესმის? დაწერილი ხომ გაქვს?

დარბაზის ბჭეებს ვასო ხუბულურის მჭექარე ხმა აზნაზარებდა. ვასოს დავიწყებოდა, რომ თეატრი რადიოფიცირებული იყო და ასე ხმამაღლა ლაპარაკს არავინ საჭიროებდა. ამას გარდა, ხმამაღლი ლაპარაკი აზრის თავის მოყრასაც უშლის ხელს. ყვირილით ფიქრის გაზიარება ყოველად წარმოუდგენელია.

ვარლამმა მზერა გაადევნა პრეზიდიუმის მაგიდას და კულტურის მინისტრის თვალებს წააწყდა. მინისტრი, ალბათ, კარგა ხანს იყურებოდა ამ მხარეს, რათა ვარლამის მზერა დაეჭირა და ბოდიში მოეხადა დაგვიანების გამო. როცა თვალები ერთმანეთს შეხვდნენ, მინისტრმა საათს დაადო ხელი და ვარლამს ერთმანეთზე მიტყუპებული ორი თითი უჩვენა. ეს, ალბათ, იმას ნიშნავდა, რომ სულ ორი წუთით დააგვიანდა, ფარდა ორი წუთის გახსნილი იყო... ვარლამმა ოდნავ გაიღიმა და მხრები აიწურა — რას იზამო. უნდოდა დაემატებინა, რომ

მინისტრის მოსვლით მინც კმაყოფილი იყო. მის ადგილზე სხვას იქნებ სულაც არ შეეწუხებინა თავი. ყოველივე ამის თქმა მარტოოდენ შეხედვით არ მოხერხდებოდა და ამიტომ არც უცდია.

ვასო ხუბულური უკვე მესამედ ახსენებდა ვარლამის პირველ მოთხრობას „ორ მეზობელს“. ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ეს პატარა, მხოლოდ მოცულობით პატარა იუმორისტული ნაწარმოები უკვე შეიცავდა თანამედროვე დიდი დრამატურგიის გასაღებს, რომელი გასაღებიც თავისი მშობელი ხალხის სასიქადაულო მწერალმა შემდეგ მრავალ საყურადღებო თემას მთარგო და ეროვნული კულტურა გაამდიდრა შთაგონებული ქმნილებებით.

ვარლამმა თავი ჩაქინდრა. მას რატომღაც შერცხვა, შერცხვა ვასოს მაგივრად. ვასო ვერ ახერხებდა ნაწარმოების ღერძის პოვნას, თავისი დღე და მოსწირება მთავარი სათქმელის შორახლო ტრიალებდა და ამიტომ იძულებული ხდებოდა სიტყვები ერაზუნებინა. აუდიტორიაზე ზემოქმედება წმინდა აკუსტიკური ხასიათისა იყო. ვარლამმა წინასწარ იცოდა, რომ ხუბულური ასეთივე მოხსენებით წარმოსდგებოდა მის საიუბილეო საღამოზეც და მინც ის ირჩია მომხსენებლად. თუ იუბილეა, მომხსენებელიც ვასო ხუბულური უნდა იყოს! იუბილეზე ვინ მოსულა რაიმე ახლის შესატყობად! იუბილე დღესასწაულია და დღესასწაულს პომპეზური ზარ-ზეიმი გაცილებით უფრო უხდება, ვიდრე ღრმა და ცხადი აზრების ჭიდილი...

დარბაზში ტაშმა იქუხა, იქუხა და იქაულობას ხანძარივით მოედო.

— რა თქვა? — ვარლამი უკან გადაიხარა და ისე უჩუქრულა სოფიოს.

— ვაიმე, ვერ გავიგონე! — სოფიო შეწუხდა, თითქოს ავადმყოფმა ისეთი რამ თხოვა, რის შოვნაც ძალიან ძნელი, თითქმის შეუძლებელი იყო და თავის მხრივ მიუბრუნდა პირველი რიგის კიდეში მჯდომ თეთრმარაოიან სახეშემკუნარ ქალს, — რა თქვა, თუ გაიგონეთ?

ქალმა ისედაც ვიწრო ტუჩები მოწ-



რუბა და თავი. გააჩნია, თან თვალმოუ-  
შორებელი ტრიბუნისაკენ იყურებოდა.  
ალბათ, ვერც ამან გაიგონა, რა თქვა ან  
ვინ ასენა ვასო ხუბულურმა.

ტაშმა ორჯერ თუ სამჯერ კიდევ გააყ-  
რუა ოვაკებს ჩვეულ დარბაზში. ვიდრე  
მოშხსენებელი სიტყვის მოამრგვალებ-  
და, ტელეხედვის პროექტორები მიაბ-  
რუნეს და ახლა პარტერი, ლოქები და  
იარუსები განათეს. დარბაზში უკმაყო-  
ფილო წამოძახილები ისმოდა. ზოგი  
თავგაბეზრებული მაყურებელი ხელს  
იფარებდა თვალბეზე.

— მე მგონი, უკვე დროა დაამთავ-  
როს, — მხოლოდ ვარლამის გასაგონად  
წაიჩურჩულა სოფიომ.

— მეც აგრე ვფიქრობ, — დაეთანხმა  
ვარლამი, — ნამეტანი იცის...

— ერთ საათზე მეტია, ლაპარაკობს.  
დაწყდა ხალხი.

— ხალხს მოსწონს ვასოს ლაპარაკი.

— მეც მოსწონს, როგორ შეიძლება,  
არ მოგემწონოს, ნამდვილი ოქროპირია,  
მაგრამ ყველაფერს დაასარული აქვს.  
ხომ მართალია?

„სოფიო არ ხუმრობს. თვით ვასო  
ხუბულურს ორატორული ხელოვნების  
საფუძვლებში ედავება!“ — გაიფიქრა  
ვარლამმა და გულხელი დაიჭრო. ხუბუ-  
ლურის გაუთავებელი მოხსენება მას  
თანდათან აბრაზებდა, რადგან უდანა-  
შაულო ხალხის თავზე დატეხილი ამ  
რისხვის მიზეზი თვითონ იყო. სხვა  
დროს შეეძლო წამოეწია და თავმჯდო-  
მარისათვის რეგლამენტი შეეხსენებინა,  
რითაც მსმენელი საზოგადოების საერ-  
თო გულისაპასუხს გამოხატავდა, მაგრამ  
დღეს ამ უფლებას მოკლებული იყო,  
ენაზე ბორკილი ედო. ეგეც რომ არა,  
მოხსენებას, ვასო ხუბულურის ხმის  
მთელ ამ გრავინვა-გრუხუნს, აქ ვერა-  
ფერი შესცვლიდა. მართალია, მოხსენე-  
ბას ყურს არაფინ უგდებდა, მაგრამ ყვე-  
ლა გრძნობდა, რომ ტრიბუნაზე დღევან-  
დელი იუბილარის დიდების ძეგლი შენ-  
დებოდა და რაც უფრო მეტი აღტკინე-  
ბით უბრუნდებოდა მომხსენებელი ერთ-  
ხელ და ორჯერ უკვე ნახმარ და გან-

მეორებულ დითირამებს, ძეგლი მით  
უფრო მაღალი, მიუღვამელი და დიდ-  
ბული ხდებოდა. ამას ყველა გრძნობდა,  
გრძნობდა თვით ვარლამიც. მან, რასაკ-  
ვირველია, იცოდა, რომ დიდების ძეგ-  
ლის აგება შეუძლებელია ერთი ღამის  
განმავლობაში. მიზანი მაინც მიღწეუ-  
ლად მიაჩნდა. სხვა დანიშნულება იუბი-  
ლეს არ ჰქონდა. აი, ეს იყო იუბილე...

უცებ დათო გაახსენდა და პარტერს  
თვალი დაადგა. ჭარბად განათებულ  
დარბაზში პირველი რიგიდან შეათე-მე-  
თორმეტე რიგამდე ყველა სახე გარკვე-  
ვით ჩანდა. ნეტა სად იქნა დაათო? ნუთუ  
პარტერში ვერ მოახერხა შემოსვლა?

— სოფიო! — ვარლამი გვერდზე გა-  
დაინხარა, — დათო თუ სადმე დაინახე?

— რა ხანია, ვათვალიერებ, — ჩურ-  
ჩულით უპასუხა ქალმა და შავი რედ-  
კულიდან სწორედ თავისი პაწია სახის  
შესაფერი ოქროს სათვალე ამოიღო, —  
ვაითუ დაგვიანდა და აღარ შემოუშვეს.  
მოვკლავ მე იმას! საძაგელი ბიჭია.

ეს აზრი მართლა ჭკუასთან ახლო იყო.

— აბა, იარუსებს დააკვირდი!

ამ დროს დარბაზი მქუხარე ტაშმა  
შეაზანზარა. ვარლამი შეკრთა და ზეზე  
წამოიწია. ვასო ხუბულური ტრიბუნი-  
დან ჩამოსულიყო. გაოფლიანებულ  
შუბლს ცხვირსახოცით იმშრალებდა და  
აქეთ მოდიოდა. დარბაზი აღტაცებას ვე-  
ღარ მალავდა. სამაგიეროდ, პრეზიდენ-  
ტი თავშეკაავებას იჩენდა და ორატორს  
მხოლოდ ზრდილობის გულისათვის  
აჯილდოვებდა კულმოკვეცილი ტაშით.  
ვარლამმაც ტაში დაუკრა და თავისი თა-  
ვით უზომოდ კმაყოფილ ვასოს, დიდი  
მეგობრული და საზოგადოებრივი მო-  
ვალეობა რომ ასე პირნათლად მოიხადა,  
შუა სცენაზე გაეგება. აქ, სათადარიგო  
მიკროფონთან, ერთმანეთს გადაეხვიე-  
ნენ. ვარლამს მოეჩვენა, რომ ვასო  
მთლად სველი იყო, საზოგადოების წი-  
ნაშე პირველად გამოსულ ახალბედა  
ყმაწვილივით ღელავდა და მადლიერე-  
ბა იგრძნო ამ ადამიანისადმი. ვასომ ყვე-  
ლაფერი გააკეთა, რის გაკეთებაც კი მის  
ხელთ იყო. მეტი არც მოეთხოვებოდა.

— ყურს ხომ მიგდებდი, ბიჭო? —  
კოცნასა და კოცნას შუა წასაჩურჩულა  
იუბილარს მომხსენებელმა.

— ოჰ, რას ამბობ! — სიტყვა ჩამო-  
ართვა ვარლამმა და ამგვარი უცნაური  
შეკითხვა ვითომ ძალიანაც იწყინა, —  
მშვენიერი იყო. დიდი მადლობა. გადა-  
მეხადოს!

— სიყრმის მეგობრები ვართ, —  
ხრინწიანი ხმით თქვა ვასომ მიკროფონ-  
ში და გული აუჩუყდა, — ორმოცი წე-  
ლიწიადი ერთმანეთის გვერდით ყოფნა  
ცოტა კი არ არის. ამდენ ხანს ზოგი  
ცოლ-ქმარაც ვერ ძლებს ერთად. მოგ-  
ვეცი ახალი პიესები. ჭერ სიბერე შო-  
რია!

დარბაზი ამ სიტყვებსაც ერთსულოვა-  
ნი ტაშითა და გულლია სიცილით გამო-  
ეხმაურა.

— ვასო თავისი იუბილის საქმეს აჭახ-  
რაკებს, — იოხუნჯა ვილაცამ პრეზიდი-  
უმში, — ყოჩაღ, მე და ჩემმა ღმერთმა!  
ვარლამმა შუბლი შეიკრა და სავარძ-  
ლისაქენ გულდაგულ წავიდა. სიცილი  
ველარავინ გაბედა. მიხვდნენ, უკბილო  
ხუმრობა ვარლამმა თავის თავზე მიიღო  
და ოხუნჯი ჩააჩუმეს.

4.

კულტურის სამინისტროს ადრესი  
თვით მინისტრმა წაიკითხა. თავის მხრი-  
ვაც დაუმატა ორიოდ სიტყვა: ვარლამს  
„ბრწყინვალე ქართველი დრამატურგი  
და უანგარო მოქალაქე“ უწოდა.

თუ ამ წინადადების პირველ ნაწილში  
ვინმე ოდესმე ეკვს შეიტანდა, მეორე  
ნაწილი უჭოქმანო სიმაართე იყო. ვარ-  
ლამი დიდ ზომიერებას იჩენდა პირად  
ცხოვრებაში და ხასიაფის ამ თვისებას,  
რაც ზოგიერთი სხვა მწერლისათვის  
ფრიალ უცხო ხილი იყო, საზოგადოებაც  
ჭეროვნად აფასებდა. ამიტომ ხანგრძლი-  
ვმა ტაშმა დაჰფარა მინისტრის უკანასკ-  
ნელი სიტყვები. მანამდე მინისტრმა გა-  
მოაქვეყნა ბრძანებულება, რომლის თა-  
ნახმადაც ღვაწლმოსილ იუბილარს რეს-  
პუბლიკის სახალხო არტისტის წოდება

მიენიჭა. დღეს პირველი შემთხვევა იყო,  
ამ საპატიო წოდებას მწერალს, დრამა-  
ტურგს რომ ანიჭებდნენ და დარბაზიცა  
და პრეზიდიუმიც ბრძანებულებას ერთ-  
სულოვანი ტაშით შეეგება.

ვარლამი წამოდგა და ისევ, როგორც  
სალამოს დაწყებისას, დარბაზს სამჯერ  
ღრმად დაუკრა თავი. მან ერთი კვირით  
ადრე იცოდა წოდების მონიჭების ამბა-  
ვი, რადგან მოლაპარაკება, თუ რა ჯილ-  
დოთი აღნიშნულიყო იუბილე, კარგა  
ხანს მიმდინარეობდა, მაგრამ ბოლო  
ღროს ვარლამს ეს სულ მიაფიწყდა და  
მხოლოდ მაშინდა გაასხენდა, როცა მი-  
ნისტრმა ბრძანებულება წაიკითხა.

— მისალმება საბჭოთა კავშირის მწე-  
რალთა კავშირის სამდივნოსაგან! —  
ზარ-ზეიმით გამოაცხადა თავმჯდომარემ  
და ყრუდ ჩაახველა.

დარბაზში სამარისებური სიჩუმე ჩა-  
მოვარდა. გრძელი დეკამა საფოსტო  
ბლანკის მეორე გვერდზე გადადიოდა.  
ვარლამს ის წაკითხული ჰქონდა. სული  
მანაც განაბა და ყურის დასაგდებად მო-  
ემზადა.

უწყალოდ გაცვეთალ სიტყვებს, დღე-  
ში ათ-თხუთმეტ იუბილარს რომ უგზავ-  
ნიდნენ, გაბრწყინებული დარბაზის ქა-  
ლების ქვეშ, ამდენი ხალხის თვალწინ,  
თუ დამაჯერებელი და წრფელი ხმით  
წაიკითხავდი, უცხო ელფერი და მნიშვ-  
ნელობა მიეცემოდა.

თეატრალური საზოგადოების თავ-  
მჯდომარემ, ოდესღაც გმირული როლე-  
ბის შემსრულებელმა სახელმწიფოებრივმა  
მსახიობმა, თავი გამოიღო.

მისალმების ტექსტი უთუოდ მწერალ-  
თა კავშირის იმავე განყოფილებაში იყო  
დაბეჭდილი, სადაც მომავალ იუბილარ-  
თა სავარაუდო სიებს აღვენდნენ. განყო-  
ფილებას მისალმების ორი თუ სამი ნი-  
მუში ჰქონდა. ნიმუშები, ალბათ, სამ-  
დივნოს მიერ იყო დამტკიცებული და  
თვითთულ მათგანს საჭიროებისდა მი-  
ხედვით იყენებდნენ.

ვარლამი საგულდაგულოდ ჩაუკირ-  
კიტდა მისალმების ყოველ სიტყვას. გა-  
ნუზომლად სურდა ეპოენა რაიმე ნიშა-

ნი, რაც ამ მისალმებას სხვა ასეთსავე მისალმებებისაგან განასხვავებდა და ის როგორმე თავს დაირწმუნებდა, რომ მისალმების გამომგზავნები ნამდვილად სულითა და გულით უერთდებოდნენ დღევანდელ ზემს...

სხვებზე მეტი წარმატება უზბეკებს ხვდა წილად. იქაურ თეატრალურ საზოგადოებას სამი კაცისაგან შემდგარი დელეგაცია გამოგზავნა. უზბეკების ჩამოსვლის ამბავი ვარლამმა პირველად დარბაზში შეიტყო და სიხარულით ცას ეწია. გულჩუყებული და თვალეზზე კურცხალმომდგარი წამოვარდა. ვრცელი მისასალმებელი სიტყვაც ფეხზე ამდგარმა მოისმინა. დამსწრეთაგან ცოტამ თუ ვინმემ იცოდა, რა ხდებოდა ამ დროს მის გულში. უზბეკები და ტაშქენტი ვარლამს თავისი ცხოვრების საუკეთესო დღეებს ასხენებდა, ასხენებდა ნატოს, მეთაუ სკამზე რომ იჯდა, პირველ რიგში, ახანეთებულ დარბაზს, შემდეგ გრიგალს ყარა-ყუმის უდაბნოში...

ვარლამმა კბილები კბილებს დააპირა და მაშინვე ჯიბეზე იტაცა ხელი. ძლივს სუნთქავდა. გულზე მოეშვა, როცა ცხვირსახოცი იპოვნა და სახეზე მოისვა, ვითომ დამცხა და ოფლს ვიწმენდო.

ხალხმა შენიშნა, რაც მოხდა, იუბილარის მღელვარება უზბეკ ორატორს დაუკავშირა და სიტყვა მქუხარე ტავით შეაწყვეტინა. ორატორი გაკვირდა. დარბაზს გადაჰხედა. მგონი, საამისო ჯერ არაფერი მითქვამსო. თვითონაც ტავში ააყოლა ტავს და საერთო განწყობილებით აღფრთოვანებულმა მოიცადა, ვიდრე დარბაზი კვლავ დაწყნარდებოდა და ლაპარაკის გაგრძელების საშუალებას მისცემდა.

ცარლამი უზბეკური ჭრელა-ჭრულით შემოსეს. თავზეც უზბეკური კოკორა ქული დაახურეს. სწორედ თავშესაქცევი სანახავი იყო. ვარლამი კოლეჯდამთავრებულ შეიხს ჰგავდა. გულით იცინა. წამით ყოველივე სიამე გადაავიწყდა და მხიარულებას, როგორც ოდესღაც, სიყმაწვილეში, მთელი არსებით მიეცა. დარბაზი დგანდგარებდა. პრეზიდენტი

ფეხზე იდგა და ისე მიესალმებოდა მოწვეულ კუთხიდან მობრძანებულ სტუმრებს, რომლებმაც ასე გაახალისეს დაღვრემილი იუბილარი...

სიცილისაგან სახეგაყინვლილებულმა ძველმა თეატრალმა რამდენჯერმე დააკაუნა ფანქარი მიკროფონზე. ამორგებული დარბაზის დაწყნარება ადვილი როდი იყო.

ნოვოსიბირსკის დრამატიული თეატრი, სადაც ამ ათიოდე წლის წინათ ვარლამის პიესა დაიდგა, იუბილარს დეპეშით მიესალმა. მოერიდნენ, ალბათ, ამ სიშორეზე დელეგაციის გამოგზავნას.

დეპეშები ჟურნალ „ტეატრისა“ და გაზეთ „სიკუსსტოსგანაც“ მოვიდა. „ლიტერატურნაია გაზეტას“ და „დრუჟბა ნაროდოვის“ მისალმებები ჯერ არ ჩანდა. მართალია, არც ერთ ორგანოში და არც მეორეში ვარლამისა არასდროს არაფერი დაბეჭდილა, მაგრამ ეს მათ მაინც არ უშლიდა ხელს ყოველი დღესასწაული წერილობით მოელოცათ. ლიტონი მოლოცვები ვარლამს სხვა დროს უქმურ გუნებაზე აყენებდა, ახლა კი თვალში აკლდა, რადგან მასუბრებლებით სავსე დარბაზი სულ მეტსა და მეტს მოითხოვდა და ვარლამსაც მეტი უნდოდა...

უფრო დიდი შთაბეჭდილების მოხდენის მიზნით თავმჯდომარე დეპეშებსა და მოლოცვის წერილებს შერჩევითა და ნაწილ-ნაწილ კითხულობდა. ჯერ ერთ ან ორ ორატორს მისცემდა სიტყვას, შემდეგ ამდენსავე დეპეშას წაიკითხავდა. ვარლამს გული უკვე აღარ სწყდებოდა, მინისტრმა რომ დაიგვიანა და საიუბილეო საღამოს წარმართვა თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ ითავა. ძველი მსახიობის მადლი და ჯავარი მაინც სხვა იყო. ხალხს ნაწილობრივ ახსოვდა მის მიერ ხორცშესხმული სახეები და გახარებული იყო, სცენაზე რომ ისევ ხედავდა.

რამდენიმე დეპეშა უცხოეთიდანაც მოსვლოდა მწერალთა კავშირს. მოლოცვები, როგორც უმრავლეს შემთხვევაში ხდებოდა ხოლმე, თბილისიდან გავზავ-



ნილი შეტყობინების პასუხად გამოეგზავნათ.

ტელეგრაფების ავტორები ვარლამს, რასაკვირველია, არ იცნობდნენ, მაგრამ, ალბათ, ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ იუბილარი უაღრესად ყურადსაღები მწერალი და მოღვაწე იყო თავის სამშობლოში.

უცხოური დეპეშები თავმჯდომარემ ძალზე მომგებიანად გამოიყენა. ჯერ ვარლამის თანასოფლელები გამოუშვა სცენაზე, რაიონული აღმასკომის თავმჯდომარე და შემდეგ განათლების განყოფილების გამგე ალაპარაკა და, როცა მათ, დარბაზის აღფრთოვანებულ ტაშის გრიალსა და ღრიანცელში, ვარლამი სოფლიდან ჩამოტანილი თეთრი ნაბღითა და თეთრივე ბუხრისქუდით შემოსეს, მიკროფონზე ფანქრის დაკავუნებით დამსწრეთ წესრიგისაკენ მოუწოდა და საზე სულ ახლოს მიიტანა მიკროფონთან.

— დეპეშა ბრატისლავადან! — გაისმა დარბაზში, — იუბილარს მხურვალედ მიესალმება სლოვაკ მწერალთა კავშირის გამგეობა. იუბილარის სახელზე მოსულია აგრეთვე დეპეშები ბერლინიდან...

დარბაზი ისევ ადგანდგარდა. პარტერი თავდავიწყებით უკრავდა ტაშს. იარუსებზე სიხარულით გაცისკროვნებული სახეები ელავდა. თავმჯდომარემ ცოტა ხანს შეიცადა და, როცა ოვაცია ოდნავ დაცხრა, დარბაზში თითქოს მოკიდებული პატრუქი გადაავლო:

— ვენიდან!

ამან კიდევ მეტი ჟრიაშული გამოიწვია. თავმჯდომარე უკვე აღარ უცდიდა, როდის მოლლიდა ხალხს სიხარული და ნაწყვეტ-ნაწყვეტად ისროდა:

— ბუდაპეშტიდან... ვარშაიდან... პრაღიდან... ბუქარესტიდან... სოფიიდან... ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკიდან...

„ეს კი მეტისმეტია! — გაიფიქრა ვარლამმა და სავარძელზე გალიაში მომწყვდეული ლომივით გაიბრძოლა, — სინდის-ნამუსი აღარ არის? არ შეიძლება

ამ ხალხის მოტყუება! ამას სიკვდილი სჯობს!“

შუბლზე სიმწრის ოფლმა გამოჟონა. ამ წუთში ვარლამი ისე იყო ღონეგამოცლილი, ზეზე წამოდგომა და პროტესტის გამოხატვაც კი აღარ შეეძლო. თორემ წამოვარდებოდა და იყვირებდა, იყვირებდა, რომ ყველაფერი მისი ბრალია, როგორმე ეპატიებინათ, რაც ჩაიდინა და აწი ეცდებოდა...

— ვალიკო! — ზედ ყურისძირში მოესმა სოფიოს ჩურჩული, — რა მოგივიდა, ცუდად ხომ არ გახლდი?

ქალი ნამტირალევი იყო. ოდნავ ამღვრეული თვალები ჯერ ისევ უბრწყინავდა.

— ვალიდოლი მაქვს. მოგკე? ვარლამმა თავი გააქნია და თვალები დახუჭა. დარბაზი კვლავ არ დაწყენარებულიყო. თავმჯდომარე ფეხზე იდგა და ცეცხლზე ნავთს უმატებდა.

— ვალიკო! — განმეორებით წაიხურჩულა ქალმა და წამოდგა.

„თუ არ ვუპასუხე, იცივლებს!“ — გაიფიქრა ვარლამმა და თვალები გაახილა.

— გული გაგიხდა ცუდად? — ჩაპკითხა სოფიომ, — თქვი!

— მაცალე, ახლავე გამივლის, — როგორც იქნა, მოახერხა ვარლამმა ხმის ამოღება.

— ექიმს დავუძახებ!

— ქვეყანას ნუ შემიყრი. იქნება ერთი ჭიქა წყალი დამალევინოს ვინმემ.

პატარა პრიალა მაგიდაზე, რომელზედაც საღამოს დაწყებისას გაუხსნელი ბორჯომები იდგა, ადრესები და საჩუქრები დაეხვევებინათ. ბოთლები ვიღაც წინდახედულს გაეტანა. სოფიო წამოხტა, შავი რედუკული სკამზე დატოვა და თეჯირის უკან გავიდა. სულ მალე რეჟისორის თანაშემწემ ჭიქა და ბორჯომის გახსნილი ბოთლი მოუბრუნინა იუბილარს. ვარლამმა წყალი დაისხა. ჭიქა ბორჯომის ნაშინშვლებითა და სასიამოვნო სიგრილით აივსო. როდესაც გამოსცალა და დასადგმელი ადგილი მოუძებნა, სოფიო ისევ გვერდით უჯდა და



მუხლებზე მოკლე ქვედაწელის კალთას იჭიმავდა. პრეზიდენტის მავიდაზე ნიდაყვებით დაყრდნობილი ვიცე-პრეზიდენტი და კულტურის მინისტრი აქეთ იყურებოდნენ. თავმჯდომარემაც მოიხედა, იუბილარს რაღაც ანიშნა.

— შენი ბრალია! — უსაყვედურა სოფიოს ვარლამმა და შეეცადა ხალისიანი, სიცოცხლითა და ჯანის სიმრთელით განუხვირებული კაცის გამომეტყველება მიეღო, — მეორედ არ გაბედო...

— ნუ მიწყრები. არა გრცხვენია? — დამნაშავე ბავშვივით დაიკნავლა სოფიომ, — შემეშინდა...

ვარლამი უცებ მიხვდა, თავმჯდომარის ნიშნები რასაც მოასწავებდა და უნებლიეთ წამოიწყო. შინაგანად უკვე მზად იყო სამადლობელო სიტყვის სათქმელად, მაგრამ ის გარემოება, რომ რიგმა უკვე მოუწია, მისთვის მაინც მოულოდნელი აღმოჩნდა.

თავმჯდომარემ რაღაც იხუმრა, ხალხი გამხიარულა, იუბილარს ახლა კი საჯაროდ მოუბრუნდა და სიტყვა სთხოვა...

ვარლამი წამოდგა და ტრიბუნისაკენ მძიმე ნაბიჯით წავიდა. დარბაზი შეუჩერებლივ უკრავდა ტაშს. ტრიბუნაზე ასვლა გზაშივე გადაიფიქრა. სჯობდა, სცენის შუაგულში შეჩერებულიყო, სადაც სათადარიგო მიკროფონი იდგა. ვიდრე მიკროფონთან არ შეჩერდა და ფეხი მოუსვენრად არ მოინაცვლა, ტაში არ შემწყდარა. ავანსცენაზე ისევ დაანთეს კოცონები, ტელეხედვის ყველა პროექტორი აგრეთვე სცენისაკენ მოეტრიალებინათ და ვარლამი თითქმის ველარაფერს ხედავდა.

— მადლობელი ვარ... — ერთბაშად, ყოველგვარი შესავლის გარეშე დაიწყო მან, — დიდად მადლობელი... ყველასი... მაგრამ... — ეთქვა, რაც აწვალებდა, გაემყდარებინა, რაც მთელი საღამოს განმავლობაში ლოდევით აწვა გულზე და სიცოცხლეს უმწარებდა? — მაგრამ არ ვიცი, ვარ თუ არა ამოდენა პატივის ღირსი... — დარბაზს ისევ წაეკიდა ტაშის ხანძარი. რაღა თქმა უნდა, ბევრმა ეს სიტყვები თავმდაბლობის ექსტად ჩა-

მორთვა, თუმცა ვარლამი გულთმბობდა, — მე დღეს პირველად გავიგე, რამდენი მოკეთე მყოლია, — შეძრული ხმით განაგრძო მან, როცა ტაში მიწყნარდა და ისევ სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, — თუ რამდენი ვინმე მადვენებდა თვალს, რამდენი ვინმე ყოფილა ჩემი გამარჯვების მოსურნე. გამოვიტყუდებით, ასე არ მეგონა... მდლობელი ვარ... მეგობრებო! სიტყვებიც არ მყოფნის...

დარბაზმა შეატყო — იუბილარი ზედმეტად აღელვებული და გულაჩვილებული იყო, სიტყვის გაგრძელება უჭირდა და ლაპარაკი კვლავ ტაშით შეაწყვეტინა. ვარლამიც მიხვდა, მიმიხვდნენო და მდლიერებისაგან კიდევ უფრო გულაჩვილებულმა სული მოითქვა. ახლა ის ერთადერთ სანატრელს ნატრობდა: როგორმე შეემარებინა უპეგზე მოწოლილი მდლარე ზღვა და მაშინვე დაეტოვებინა აქაურობა, რათა შინ, მარტო დარჩენილს, ყოველივე მომხდარი გონივრულად აეწონ-დაეწონა.

ნატო... ნატო რომ გვერდით ჰყოლოდა... იმ ბედნიერ დღეს, ტაშეკტში, სწორედ ასევე იყო გაჩირადნებული დრამატული თეატრის დარბაზი, ასევე აზანზარებდა ტაში მალალ ბჭეებს. სახეზე აღმშრომდებული ნატო მეთათე სკამზე იჯდა, პირველ რიგში, და სხვებთან ერთად ტაშს უკრავდა.

ვარლამმა თავს ძალა დაატანა და პირველ რიგს დაავიკრდა. თითქოს სასწაულის მოხდენას ელოდა...

ეს იყო, ალბათ, ყველაზე უფრო დაულაგებელი და უთავბოლო სიტყვა, რომელიც კი ვინმე იუბილარს უთქვამს მშობელი ერის წინაშე. ვარლამი ამას გრძნობდა, მაგრამ თავს მაინც ვერ მისცა ნება ჯიბიდან მთელი კვირის ნაცოდვილარი ფურცლები ამოეღო და პირში შემოჩერებული მათურებლების წინაშე წაეკითხა. იმ ფურცლებში ყველაფერი დალაგებული იყო, მაგრამ არ იყო მთავარი: დარბაზში მომხდარი ამბის უშუალო განცდა, პასუხი...

— ძალიან ვწუხვარ... — ოდნავ უფ-

რო მოლონდინობის ხმით განაგრძო ვარლამმა და ცოტა ხანს მოიცადა, — ძალიან ვწუხვარ, ორმოცდაათი წლის იუბილე რომ არ გადავიხადე...

ეგონა, უცებ გამოიგებენ, ამას რა აზრითაც ვამბობო. მოტყუვდა. ამჯერად დარბაზში სიცილია იფეთქა.

— მოეწონა! — იხუმრა ვიღაცამ პრეზიდენტში.

— უყურე შენი! — გამოეხმაურნენ სხვები.

— გემრიელი ყოფილაო! — გაუტრიზავეს მყურებლებმაც.

ვარლამი გაშრა. ერთს ამბობდა და მეორე კი გამოუვიდა. მოეჩვენა, რომ წამის წინ ისე გულითადი, გამგები და კეთილის მსურველი დარბაზი ახლა მისი მტერი იყო და, რაკილა პაწია ადამიანური სისუსტე უპოვნა, შეუბრალებლად დასცინოდა. ნამდვილად კი ვარლამს უკვე გამოთქმული აზრის დაბოლოება სწავლდა: ამ დიდ პასუხისმგებლობას და სულეირ აფორიაქებას უფრო ადრე ვიგრძნობდი და საკუთარი ძალების რწმენაც მეტი მექნებოდაო...

„ოღონდ თავმჯდომარე ნუ აღგება და ხალხს ნუ დააწყნარებს!.. — გაიფიქრა მან და, რაკი ამ დროს ტელეხედვის პროექტორები კვლავ პარტერს და იარუსებს მიუტრიალეს, დაფეთებული მხერა დარბაზს მოავლო, — ჯერ ამგვარი შემთხვევა არ ყოფილა, იუბილარის გამოსვლის დროს თავმჯდომარეს ხალხი ეწყნარებინოს!“

სიტყვის ბოლო ნაწილი სულ სხვა გამოვიდა. ვარლამს ერთბაშად ჩააქრობოდა გულში ენით აღწერელი მადლიერება. ის საჯაროდ ვაჯობილ და შეურაცხყოფილ კაცს უფრო ჰგავდა, ვიდრე ხალხის პატივისცემითა და სიყვარულით გარემოსილ ადამიანს...

ფარდა რომ დაუშვეს, თანამოკალმეები და ნაცნობ-მეგობრები, ვინც ტრიბუნლიდან არ მისალმებია, გარს შემოეხვივნენ. ყველა, ქალი და კაცი, მოხუცი და ახალგაზრდა, ეხვეოდა, კოცნიდა და ბედნიერებას ულოცავდა; ვარლამი კი

გაოგნებული იყო და პასუხად რაღაც გაურკვეველს ბურტყუნებდა.

ადგილი, სადაც სულ ცოტა ხნის წინათ ღირსებითა და თავშეკავებული მედიდურობით აღვსილი პრეზიდენტი იჯდა, ნახარ ბრძოლის ველს დამსგავსებოდა. სკამები აერ-დაერიათ. ჩალისფერი ფარდა სანახევროდ აცეცილი იყო და თოკის ორ წვერზე დაკიდებული დიდი სურათი საათის ქანქარასავით ქანაობდა.

სულ ბოლოს დათო და მისი ამხანაგებში მოვიდნენ.

— მოგილოცავ, მამი! — უცნაურად დაბოხებული ხმით უთხრა დათომ და მოეხვია. დათოს ბავშვობის უკანასკნელი დღიდან უკვე დიდი დრო იყო გასული. მამა და შვილი ერთმანეთს აღარ ეალერსებოდნენ. გრძნობების გამომქლავნებას ორივე მართხელა მამაკაცი ერიდებოდა. ვარლამმა გულში ჩაიკრა შვილი და თავისი ეს მდგომარეობა ისე ნაძალადევი და არაბუნებრივი მოეჩვენა, მაშინვე გაუშვა დათოც უმალ მოშორდა და ადგილი სხვებს დაუთმო. სავარძლის უკან ნაცნობ-მეგობართა გრძელი რიგი იდგა.

5.

ჯერ მეორე განყოფილება და შემდეგ ბანკეტი გვიანობამდე გაგრძელდა. სტუმრები ისევ სუფრას უსხდნენ, ოფიციალტებმა რომ ჭურჭლის ალაგება დაიწყეს. ბუფეტი ადრევე დაიკეტა. ყველაზე უწინ მინისტრი და მისი მოადგილე წავიდნენ. მათ თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე და მერე ვასო ხუბულური მიჰყვა. ვასო ხუბულური თამადა იყო და მისმა წამოდგომამ სუფრა სულ არია. მაშინ ახალგაზრდებმა დარბაზის ნახევრადბნელ კუთხეში გაშალეს ახალი მაგიდა და, რაკი უფროსები თანდათან გაიკრიფნენ და ბურთი და მოედანი მათ დარჩა, ვარლამი მიიწვიეს და ქეიფი თავიდან დაიწყეს. აქვე ისხდნენ უზბეკეთიდან სავანგებოდ ჩამოსული სტუმრებმაც. ისინი სასტუმრო „თბილისში“ ცხოვრობდნენ და ღრეობად ქცეული ქეიფი რა დროსაც არ უნდა





დამთავრებულიყო, აქედანვე, ქუჩაში გაუსვლელად ავიდოდნენ თავიანთ ნომერში.

ვიდრე შინ წავიდოდა, ვარლამს ჯერ სოფიო ჰყავდა გასაცილებელი. სოფიომ, მას აქეთ, რაც მეცნიერებათა აკადემიის კოოპერატიულ სახლში თავისი საკუთარი ერთოთახიანი ბინა იმშენა, დამ-ლამობით ნათესავეებთან აღარ რჩებოდა. სხვაგან, წარმოიდგინეთ, ველარც კი ვიძინებო.

ახალგაზრდებმა ხელახლა დალიეს იუბილარის სადღეგრძელო. ღვინოს ყველაზე გაეთამამებინა და თავს აღარავინ იზღუდვდა. ათ-ათი წუთი მინც ილაპარაკეს. ზოგმა რა თქვა, ზოგმა რა. ვარლამს ძალიან ეხატებოდა, მაგრამ უკვე აღარ შეეძლო აქ გაჩერება. ფამილიარობა, რისგანაც დათოს შეზარხოშებული ამხანაგები თავს ვერ იკავებდნენ, მოსაზრებების კატეგორიულობა და ყოვლისმომცველობა გულს ურევდა და ეშინოდა, მოთმინებიდან გამოსულმა ჰკუხის დარიგება არავის დაეუწყყო.

სოფიო უკვე ჩაცმული იყო და თითქმის ნახევარ საათს უცდიდა რესტორნის ვესტიბიულში. მას კიდეც მეტი ვულმოდგინება გამოეჩინა: ვარდერობიდან ვარლამის პალტოც გამოეტანა და მკლავზე ჰქონდა გადაკიდებული. ერთიორჯერ კარი შემოალო და ვარლამს დაეხარა.

— ბატონებო! — ვარლამი წამოდგა და ჰიქა აიღო, — თუ არ მიწყენთ, უნდა დაგტოვოთ. თქვენთან ჯდომას და ქეიფს რა სჯობია, მაგრამ, მოგეხსენებათ... იმედია, დათო უჩემობას არ გაგრძნობინებთ.

— ქეიფი ახლა იწყება! — დაიყვირა დათოს მეზობლად მჯდომმა მწითურმა ახალგაზრდამ. წაწვეტებული, ოფლიანი ნიკაბი მას გულზე დაეხვინა და სუფრას თვალმოუშორებლივ ჩაჰყურებდა. ეტყობოდა, უგონოდ მთვრალი იყო. ძალიანაც რომ ჩასცივებოდი, შეიძლება, ვერც კი მოგვინებინა, აქ საიდან და როგორ მოხვდა...

ახალგაზრდებმა მწითური შეაღვიძეს,

გაჩუმეს და ზეზე წამოიშალნენ. ვარლამი სწრაფი ნაბიჯით გავიდა ვესტიბიულში. აქ სინათლე უკვე ჩამქრალი იყო და შუშის კედელში უშტი ქუჩიდან შემოდინოდა.

— ამალამ გაათენებენ, — მშვიდობიანად თქვა სოფიომ და ვარლამს პალტო გაუწოდა.

- რომელი საათია ახლა?
- ოთხი დაიწყო.
- დიდი დრო გასულა.
- ასე უსაშველო ვიციტ ყველაფერი!
- რას იზამ, ქვეყანას შენ ვერ გაასწორებ.

— ისე მომერია ძილი, დედას გვეიცები, ფეხზე ძლივს ვდავარ.

- ვერ წახვედი?
- არ მეგონა, თუ ასე დიდხანს შერჩებოდი. მე ვთქვი, შინ მივიყვან და მერე წავალ...
- მე რა შენი მიყვანა მინდა! ახლა იქით მყავხარ გასაცილებელი.
- დათო მთვრალია?
- არც ისე. სხვებმა უფრო მეტი დალიეს.

- ნეტა წამოგეყვანა.
- უხერხულია. ამხანაგებს ზომ ვერ დატოვებს.

ვარდერობში მეკარემ გამოიღვიძა. ჯერ კარგად ვერ მოიგონა, სად იყო, მერე გასაღებები ააჩხარუნა და ბანცალბანცალით კარის გასაღებად გამოვიდა.

ქუჩაში სუსხი იყო. უკაცურ, მტვრიან ტროტუარებზე ქარი დაძრწოდა. სოფიომ ქუჩას გაჰხედა.

— არც ტაქსია, არც ტროლეიბუსი! — წამოიძახა და გააქრყოლა, — რა გვეშველება?

- ფეხით გავიაროთ. დაგვეწევა რამე.
- ვაიშე, ცივა!

წასვლა მინც ფეხით მოუხდათ. კინო „სპარტაკამე“ იარეს და უკან რამდენჯერმე მოიხედეს. ოპერის მოპირდაპირე მხარეს, წიგნების დიდი მაღაზიის წინ, საბურთალოდან მომავალი მორიგე ავტობუსი გაჩერდა.

— შოფერ! — თავისებური წვიტინა ხმით დაიძახა სოფიომ და ქუჩა წვრილი

ქუსლების კაკაუტყით გადაირბინა, — გააჩრე, შენი ჭირიმე! უკან ხომ წამოხვალ?

ავტობუსს ბოლო გაჩერებამდე გაპყვნენ და ამავე მანქანით გამობრუნდნენ. სალონში მათ მეტი არავინ იყო. დაორთქლილი ორშუბრიანი სოფიოს შოფერმა გამოართვა და აძიკძიგებული ხელით ბილეთები მოუხია. ვარლამი ფანჯარასთან იჯდა, ხელები ღრმად ჩაერგო პალტოს ჯიბეებში და უსავნოდ გაპყურებდა, როგორ მიჰქროდა უკან ქუჩა, ახალი და ძველი სახლები, სკვერები, შესახვევები და გზაჯვარედინები.

— რატომ გაჩემდი? — მყუდროება სოფიომ დაარღვია და სიცივისაგან კატასავით მოკუნტულმა ქვემოდან ამოჰხედა.

— მე არც არაფერს ვამბობდი, — თქვა ვარლამმა ისე, რომ ქალისაკენ არ მოუხედავს.

— მთელი საღამო უტუნებოდ იყავი. ბანკეტზეც დანა პირს არ ვიხსნიდა.

— შენი აზრით, რა უნდა გამეკეთებინა?

— რას გააკეთებდი, მხოლოდ არც ისე პირქუშად ჯდომა ვარგა! ყველას უკვირდა. მე მკითხეს, ავად ხომ არ არისო.

— მერე შენ რა უთხარი?

— არა-მეთქი. აბა, რა მეთქვა?

— ეჰ, ჩემო სოფიო!.. — ვარლამმა მსუბუქად ამოიოხრა და ნაქსოვ ტრელ ხელთათმანში გამოკრულ პაწია ხელს თავისი მძიმე ხელი დაადო. სოფიო გაიჩინდა. ეგონა, ვარლამი რაღაც მეტად დიდმნიშვნელოვანის თქმას აპირებსო, მაგრამ იმედი გაუტრუვდა. ვარლამმა მეტი აღარაფერი თქვა და ისევ ფანჯარისაკენ მიიბრუნა სახე.

— სულელი გგონივარ! — ქალმა მკვეთრი მოძრაობით გამოსტაცა თავისი ხელი და მთელი ძალ-ღონე დაძაბა, რათა არ ატირებულყო, — ყოველთვის ისე მექცეოდი, როგორც ბავშვს! შენ ახლაც ბავშვი გგონივარ!

— მერე რა არის აქ ცუდი? — გულგრილად იკითხა ვარლამმა. სოფიოს წყენინება აზრადაც არ მოსვლია, მაგრამ ახ-

ლა ქალის უეცარი აპილილება თითქოს აרתობდა.

— ცუდი ის არის... — სოფიოს გული ყელში მოებჯინა და ენა დაებორკა, — გგონია, მე თავმოყვარეობა არა მაქვს? კეთილშობილი ადამიანი სხვის სიამაყესაც ისე უნდა უფრთხილდებოდეს, როგორც თავისას!

— ეგრე გაგახსენა? — ვარლამმა სახე მოაბრუნა და ქალს თვალეზში შეხედა.

სოფიომ იგრძნო, რომ ზედმეტი მოუვიდა, იგრძნო და შერცხვა წვრილმანი წაქინკლაგებისა. ვარლამი არც საყვედურს ეუბნებოდა, არც თავს იმართლებდა.

ავტობუსი მუხრუჭების ღრჭიალით გაჩერდა. სოფიო მონუსხულივით იჯდა და ადგომას აყოვნებდა.

— არ ჩავიდეთ? — შეახსენა ვარლამმა და ადგა, — უკვე მიგსულვართ.

ცივი ქარი იქაურობას გლეჯდა, უჩინარ მტვერს ჰაერში ატრიალებდა და ნაწყვეტ-ნაწყვეტად ზმოუდა მავთულეებში. ერთხანს ქარის პირისპირ იარეს, მერე ეზოში შევიდნენ და სადარბაზო შესასვლელს დაუბირდაპირდნენ.

— დამე მშვიდობისა! — უთხრა ვარლამმა ქალს, როცა ლიფტი რომელიღაც სართულზე გაჩერდა და მათ ვიწრო ტალანში ამოჰყვეს თავი, — მაღლობელი ვარ, რომ შეწუხდი.

— ვალიკო! — წამოიძახა სოფიომ, — გაწყენინე, ხომ?

— ნუ ბავშვობ.

— აბა, თვალეზში შემომხედე!

— კარგი ახლა...

— არ გავიშვებ! ამ სიცივესა და მეორეთმოსვლაში, გგონია, გავიშვებ?

— ნელ-ნელა გაყვები.

— არა! — ქალი წინ დაუდგა და გზა გადაუღობა, — აგრე რომ მცოდნოდა, ფეხსაც არ გადმოგადგმევენებდი. სულ მარტო არ დავდივარ? როცა დრო იყო, მაშინ არავინ მომიტაცა და ახლა ვინ მომიტაცებს!

— შენი ჭირიმე, ნუ გეწყინება, — შეევედრა ვარლამი და სიცივისაგან მო-

ქიმულ ლოყაზე ხელი მოუთათუნა, —  
გამიშვი. შინ უნდა მივიდე...

— ეს სახლი არ არის? ცხელ ჩაის და-  
გალევიანებ. ხომ? წმიერი ხარ, ბიჭო,  
პირში ხეშისი არ ჩავიკარებია.

— რა ვუყოთ, არ მშობია, — ვარლამმა  
ფრთხილად მოიცილა ქალი გზიდან და  
მხრებში თავჩარგული კიბეზე დაეშვა.

— ჯიუტი! — დაადევნა ბაქანზე და-  
ჩენილმა სოფიომ, — როგორ გავიძლო  
შენ საწყალმა ნატომ!

— მიტომაც გავიძლო... — ვარლამს  
ნაღვლიანად გაეღიმა.

გარეთ რომ გამოვიდა, ხის მაღალ ან-  
ძაზე ქარი ობლო ნათურას აქანავებდა  
და, თითქოს შესცივნიათო, ეზოში გრძე-  
ლი ჩრდილები ცახცახებდნენ. ძირს ისე  
მძლავრად აღარ უბერავდა, მაგრამ რო-  
გორც კი ეზოდან ქუჩაში გააბიჯა, ქარი  
წედანდებური გააფთრებით ეძგერა და  
ფეხი ააჩქარებინა.

ნეტავი ბიჭები ისეც სვამდნენ? „ქეი-  
ფი ახლა იწყებოა“, მოაგონდა მწიფური  
ბიჭის როყიო წამოძახილი და გული შე-  
ეკუმშა. იქნებ სიცოცხლაც ახლა იწყე-  
ბა და აქამდე რაც იყო, ანგარიშში ჩა-  
საგდებიც არ არის?

საყელო აიწია, თავი უფრო ღრმად  
ჩარგო მხრებში და ქუჩის მეორე მხარე-  
ზე გადავიდა. ღმერთო, რა გრივალი იყო  
ყარა-ყუმის უდაბნოში! რა ბედზე გა-  
დარჩენ... ნატომ საოცარი სიმტკიცე  
გამოიჩინა, პირდაპირ წარმოუდგენელი.  
სხვა ქალები იჭაურობას იკლებდნენ კი-  
ვილით, ის კი ისე იჯდა, თითქოს ბუზიც  
არ აჭფრენოდეს, მხოლოდ ხანდახან,  
როცა თვითმფრინავი მეტისმეტად შე-  
ირყეოდა და ყველა მგზავრისა და ეკი-  
პაჟის სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა, ვარ-  
ლამს მაჯაზე უჭერდა ხელს, უჭერდა და  
თითქოს ამით ღონიერდებოდა...

უკან, სოფიოს სახლის მხრიდან, მან-  
ქანის მოტორის გუგუნე ისმოდა. ვარ-  
ლამი არ შეჩერებულა. ქარისა და პაერ-  
ში დატრიალებული მტვრის მიუხედა-  
ვად, წინ მიდიოდა და წვრილმანების  
გახსენებას ლამობდა.

ნატო დიდხანს ეშხადებოდა იმ წუთის

შესახვედრად. მთელი ქალური გამ-  
ლეობითა და უხმო თავგანწირვით იბრ-  
ძოდა. ვარლამი, აბა, როგორ წარმოიდ-  
გენდა, თუ ბოლო წლებში ნატოს სიკე-  
დილი ყველგან თან ახლდა. უხმაუროდ,  
ჩუმად ვათავდა, თითქოს საშინელი ტკი-  
ვილებსაგან მოდლილსა და განაწამებს  
ჩაეძინა, რათა დილით ისეც გაპღვიძე-  
ბოდა, წარმომდგარიყო და დათოსა და  
ვარლამის კეთილდღეობაზე ეზრუნა.

ვარლამი რუხი სახლის კედელთან მი-  
ბარბაცდა და მხრით კუთხეს მიეყრდნო  
გული ვარამს აეფსო. არ უნდოდა ახლა  
სხვა რამეზე ეფიქრა, მხოლოდ ნატოს  
მოგონება მონახტრებოდა და, თუმცა ყო-  
ველი უბრალო შემთხვევის გახსენება  
გულში ახალ და ახალ ჭრილობას უჩენ-  
და, ერთთავად წარსულის ბინდბუნდში  
დაეხეტებოდა.

უცებ თავისი სახლის სადარბაზო შე-  
სასვლელი იცნო და გაუკვირდა. ამოდე-  
ნა გზა როდის გამოიარა? ან გამოიარა  
კი? კიბე ათავა და ზარი დარეკა. არავინ  
გამოხმაურებია. დათო ან არ იყო ჯერ  
შოსული, ან ღრმად ეძინა. ერთხელ მა-  
ინც დარეკა. მერე მოაგონდა, რომ კარის  
გასაღები პალტოს რომელიღაც ჯიბეში  
ჩაუდო სოფიომ და ორივე ჯიბე მოიხზ-  
რიკა. ტალანში სიცარიელე და უდაბუ-  
რობა შემოხვდა. ოდნავა ივარძნობოდა  
იასამნის სუნი. იცოდა, შინ არავინ იყო.  
დარბაზში მაინც შევიდა და სინათლე  
აანთო. ერთხანს გულხელდაჭდობილი  
იდგა და იატაკს ჩააყურებდა. თითქოს  
რადაც ძალიან შორეულის მოგონებას  
ლამობდა. მერე გამობრუნდა და ტალ-  
ანის სარკის წინ პალტო გაიხადა.

საწერ მაგიდაზე სანახევროდ ჩათავე-  
ბული ფურცელი ეგულებოდა. მეოთხე-  
დღე იყო, რაც კალამი ხელში არ აეღო.  
წინაწარ ფიქრს ყოველთვის ჩიხში შეჰ-  
ყავდა და შემდეგ დიდი დრო და ღონის  
დაძაბვა სჭირდებოდა გულგატეხილობი-  
საგან თავის ღალწევას. მასალის სიყვა-

რული და წერით გატაცება როგორმე ნაწარმოების დაბოლოებამდე უნდა შეინარჩუნებინა, თუნდაც ეს სიყვარული და გატაცება მოჩვენებითი ყოფილიყო, ხოლო თუ სადმე რწმენა უღალატებდა, ჯობდა, მთელი თვით შეიწყვიტა მუშაობა. ძალად ნაწერი მინც გადასაყრელი იქნებოდა.

ვარლამმა პიჯაკი გაიხადა და მაშინლა იგრძნო, პერანგის საყულო რა გულის-გამაწვრილებლად უჭერდა. რამ დაავიწყა! აქი საზეიმო ნაწილის დამთავრების-თანავე მოდელას აპირებდა? ძლივს შეიხსნა და მთელ ტანში შვება იგრძნო. ყვრიმალეზში სისხლი აჩუხჩუხდა. გარკვევით მოესმა სისხლის ხმა.

გულმა ცთუნებას ვერ გაუძლო. სამუშაო ოთახში შევიდა და სანახევროდ ჩათაყვებულ ფურცელს დაჰხედა. გაკრული ხელით ნაწერი სიტყვები ეუცხოვა.

„ნუთუ მე დავწერე?“

მოაგონდა, რის გამო ვერ შესძლო გაგრძელება. წინ, რომელიღაც სურათში, სიყალბე შეეპარა და იმ ერთმა სიყალბემ უკუღმართად შეატრიალა პიესის მთელი სიუჟეტი. საჭირო იყო „მეცარი სვლის“ პოვნა, გასწორება და მერე ყველაფერი ადგილზე დაჯდებოდა.

ამგვარი იძულებითი შეყოვნების ქაშის ნატო იყო გაჭირვების ტალკვესი. ეს არალიტერატორი ქალი გასაოცარი აღლოთი გრძნობდა, თუ სად დაადგა ძალა მხატვრულ სიმართლეს. მაგრამ ამჯერად ვარლამს სულ სხვა რამ აწუხებდა, უფრო დრმა და ყოვლისმომცველი...

ვის ჰქირდებოდა ეს პიესა? მხოლოდ ავტორს, თუ...

როგორც არ უნდა დაეწერა, როგორი ოსტატობაც არ უნდა გამოეჩინა!

რას უპასუხებდა? რის წინააღმდეგ იბრძოდა? ხმალი რის დასაცავად ეშიშვლებინა?

ფიქრი თანდათან გაიზარდა და, როგორც დრუბლის ჩრდილი მინდორს, მთელ შემოქმედებას გადაეფარა.

სხვა ნაწარმოებები რას ებრძოდნენ?

რას ამკვიდრებდნენ? შეეხებოდნენ თუ არა იმ მთავარს, რაზედაც ქვეყანა დგას, პაერს, რითაც სუნთქავენ აღამიანები? აუცილებელი იყო მათი დაბადება ერის ცხოვრებაში თუ არც უშიათოდ დაშვდებოდა რამე?

„მერე ეს მარტო მე მჭირს?“—იკითხა ვარლამმა.

ყოველთვის ეს მხსნელი კითხვა ამოტივტივდებოდა ხოლმე, როცა აჯანყებულ სინიდიის თავისას მოსთხოვდა. სხვებთან გათანაბრება, მწერლობის უსახო ლიანგში გათქვეფა პასუხისმგებლობის გრძნობას აღუწებდა და, როცა ძალიან გაუჭირდებოდა, მოძალებულ სინიდიის ვარლამი ამ საიმედო ციხე-სიმაგრეში ემალებოდა ხოლმე.

სკამზე დაეშვა და ვახურებული სახე ხელებში ჩარგო. ერთხანს იბორგა. ვერც კი გაიგო, დალილსა და დამენათვეს ძიღმა როდის წაართვა თავი. უცებ წამოიწია. თვალბეჭეში ათასი კოცონის შუქი ეცა და მოიჭმუნხა. გათენებულ იყო. ოთახი სითბოსა და სინათლეს აევსო. წუხანდელი ამბები უკვე სიზმარს ჰგავდა. მაშინვე დათო გაახსენდა. ვითურ დიდხანს რეკა ზარი და ვარლამს კი ისე ღრმად ეძინა, ვერაფერი გაავგონა. ნატოს ხომ არ მოუვიდოდა ეს...

წამოდგა და შვილის ოთახში გავიდა. წუხანდელს აქეთ წვერწამოზრდილი დათო გულადმა იწვა ტახტზე. ზეწარი მხოლოდ მუცელზე წაეფარებინა. ხორბლისფერი, დაკუნთული მკლავები მოსხლეტილად ეყარა დაჭმუჭნულ ბალიშზე.

ვარლამი ფეხაკრეფით გამობრუნდა და კარი გამოხსურა.

შეე დარბაზშიც ჩამომდგარიყო და თითქოს ვერცხლის აბლაბულა გავდა. გარეთ, კვირტებდაბერილი ჰადრის ტოტზე, ჩიტები ყდურტულდნენ. გაზაფხული კარზე იყო მომდგარი. ასეთ დროს აღამიანს მხოლოდ სიცოცხლის ყინი იპყრობს. ვარლამსაც სიცოცხლე მოსწყურდა. იმედის შუქმა გულის სარკველი აჰხადა და შიგ შეღწია.

ახლა ეს შუქი იყო მთავარი...





რავით გაჩაჩილაქე

## ახალი წიგნიდან

და გამოვიდა თესვად მთესვარი

და გამოვიდა თესვად მთესვარი.  
აჰა, დრო იგი წმინდა ჩასახვის;  
რომ განიხდიდა მიწა ცახცახით  
ნისლებს სალამურ სამოსელსავით...  
და გამოვიდა თესვად მთესვარი.

დილა კი ჰგავდა რტოს ატმისფერსა,  
ხნულიც — განფენილ ჩეროს ღრუბელთა...  
სადაც მთესვარი ხნულს გადურბენდა,  
წვიმის ჩურჩულად ისმოდა თესვა.  
დილა კი ჰგავდა რტოს ატმისფერსა.

ო, რარიგ სათნო და მოალერსე,  
იგი მთესვარი მარცვალს ფანტავდა  
და თითქო რხევა ოქროს თავთავთა,  
კრთოდა დიმილი იმის სახეზე...  
ო, რარიგ სათნო და მოალერსე!

და რით არ იყო წმინდანი იგი,  
ზე რომ ასწევდა ხელს მოიმედე...  
ხოლო ჩიტები ფეხით მისდევდნენ,  
ხან კი ყიფიყიფით უფრენდნენ ირგვლივ...  
თქვით, რით არ იყო წმინდანი იგი?

ან რით არ იყო ეს ჯადოქრობა, —  
ჯვალოს ტომრიდან თორნის აღმური,  
ცეკვა, სიმღერა და სალამური  
ქვეყნის სალხენად რომ ამოჰქონდა...  
თქვით, რით არ იყო ეს ჯადოქრობა?

მეც გაოცებით შევცქერდი ბავშვი  
და თუმც კეთილი იგი მთესვარი,  
გაჰქრა იმ დილის სინათლესავით,  
ერთად ცხოვრობენ ჩემს ოცნებაში,  
მთესვარი, ჩიტი და გარიყრაჟი.



მინც მივალ.  
მწამს ფიქტიან ზამთრის ზეცას,  
ამ თოვლ-ყინულს მზე ჟღერიალით შემოღეწავს  
და აღადგენს გაზაფხულის ლაღადისად,  
ფერს და სურნელს იმ პირვანდელ ნახატისა...  
მაგრამ ერთხელ თუ ეს გული დამიწდება,  
გაიხარებს იაც ცისფერ დავიწყებად,  
უხმოდ წამშლის ტყე, მინდორი, ჩრდილიც ტოტის...  
თოვლი მოდის...  
თოვლი მოდის...  
თოვლი მოდის...

და თუ ბედად  
ქამთა ნისლით გადაღესილს  
ვინმე მპოვებს,  
რა დახვდებათ,

განა ლექსი!

მხოლოდ ლექსი,  
ჩემ განცდათა ფერფლი მარტო  
და ფერფლიდან ცოცხლად როგორ აღვიმართო...  
ან ვით შესძლებს სიტყვა, მელნის ჭიანჭველა,  
სული ჩემი კვლავ აღანთოს ცისარტყელად!?  
როგორ ზიდავს გუნებას ჩემსას, ფიქრს თუ დარდება...  
ვაჰ, თუ გზაში დაუვარდეს, გადაგვარდეს,  
ან სულ გაჰქრეს... აქ ხსოვნასთან ფიქრიც წყდება...  
და თოვლივით ჩუმად მოდის დავიწყება...  
კვალს არ ტოვებს სიკეთის თუ კაცთა ცოდვის.  
თოვლი მოდის...  
თოვლი მოდის...  
თოვლი მოდის...



# ქვეყნის

## მოთხრობა

ერთ მშვენიერ დილასაც სამიათას კომლიან სოფელში ხმა გავარდა: ქილიკანთ ტასა, ხანს მიტანებული ქმრიანი ქალი, პეპეროზაანთ საკარმიდამოში გადაჩახულა, ლობიო დაუბარკია, ტომარა აუვისია, სუფრის ჭარხალიც დაუდღღეზია სასწრაფოდ, ესეც ზედ დაუტენია და ის-ის იყო ტომარაწამოკიდებული ყორეზე უნდა გადასულიყო, რომ სად იყო და სად არა, პეპეროზაანთ ბაგრატას პანდური უდრეკია, ყორიდან გადმოუბურთაგებია, მერე მისდგომია და ერთი თუ ორი, ერთი თუ ორი! მიუსიკვილილება ორმოცდაათ წელს გადაცილებული ჯანგულა დედაკაცი.

ეს გახლდათ შემთხვევის ოფიციალური ვერსია, რომელიც მეურნეობის დირექტორს დილაუთენია აცნობეს. მსხვერპლი ხომ არ არისო? — ელექტროსამართების ხრილში იკითხა ამავსაფლელმა დირექტორმა და როგორც კი უარყოფითი პასუხი გაიგონა, ხელი ჩაიჭნია და წვერის პარსვა განაგრძო: მარცვლეულის დამზადების გეგმა ჯერ არ ჰქონდა შესრულებული და საჭიროოდ არ ეცალა.

უთაოდ მიტოვებული ამბავი სამიათას კომლიან სოფელში წაღმა-უკულმა დატრიალდა და სადამოსათვის წყაროებსა და ბოგირებთან გამოფენილმა ხალხმა

ამ შემთხვევის რამდენიმე ვერსია წარმოადგინა...

სოფელში ადრე კოლმეურნეობა იყო. მერე კოლმეურნეობა საბჭოთა მეურნეობად გადააკეთეს. ყველას თავისი საკარმიდამო ნაკვეთი ჰქონდა, ზოგს — ცოტა მეტი, ზოგსაც — ცოტა ნაკლები. ნაკვეთის მეტ-ნაკლებობაზე ძმები და ძმთაშვილები უფრო დაობდნენ, ვიდრე მეზობლები. ამ მხრივ სიმშვიდე სჭარბობდა აყალ-მაყალ სოფელში. უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში სამი მკვლელობაც მოხდა. არც ეს იყო ბევრი ამხელა სოფლისათვის ათი წლის განმავლობაში: ერთხელ ტყისმცველი მოკლეს, ერთხელაც საწყობის დარაჯი, თუმც საწყობიდან არა წაუღიათ რა. ერთი შემთხვევაც ამ სოფლის დღეობაში მოხდა. სამივე მკვლელი სათანადოდ იყო დასჯილი და სოფელი მშვიდობიან ცხოვრებას განაგრძობდა...

ამბის მთქმელები რამდენიმე ჯგუფად განიყოფოდნენ. პირველი ჯგუფი, როგორც უკვე ვთქვით, ოფიციალური პირები იყვნენ: მეურნეობის დირექცია, აგრონომები, ზოოტექნიკოსები, ვეტერინარები და სხვანი, რომლებმაც იცოდნენ, რომ ქილიკანთ ტასა, ორმოცდაათ წელს გადაბიჯებული საკმაოდ ჯანგულა დედაკაცი, პეპეროზაანთ საკარმი-





დამოწი გადაჩაჩხულიყო, ლობიო დაეგლიჯა სასწრაფოდ, ტომარა გაეცხო, ზევიდანაც ჰაი-ჰარად დადღღემილი სუფრის ჰარხლის ფოჩები დაეტენა და ის-ის იყო ნაქურდალწამოკიდებული უკანვე გადმოდიოდა ყორეზე, რომ პეპეროზანთ ბაგრატას წაუსწრია, უკანვე გადმოუბურთავებია ტომრიანად ქილიკანთ ტასა, წაქეულს მისდგომია და ერთი თუ ორი, ერთი თუ ორი! კარგა გემოზე დაუბეგვია ორმოცდახუთი წლის პეპეროზანთ ბაგრატას ორმოცდაათს გადაცილებული დედაცაი...

ოფიციალური მხარის უმეტესობა, აგრონომები და სხვანი, მახლობელ ქალაქში ცხოვრობდნენ და სამუშაოს დამთავრების შემდეგ ქალაქის ავტობუსს გაჰყვნი. ამიტომ, ამ ვერსიის ჯგუფი თითქმის დაიფანტა საღამო ხანისათვის. კანტიკუნტად სხვებიც იზიარებდნენ ამ შეხედულებას, მაგრამ ისინი ერთ ჯგუფად აღარ შეკრებილან.

მეორე ჯგუფი, რომელიც სამკედლოსთან დაგუბებულიყო, გრდემლზე ამდგარ ბაგი-ბუგში იმისთანა ამბავს ჰყვებოდა, რომ ყურში არ შეიშვებოდა.

აქ იყვნენ ტრაქტორისტები, შოფრები, მათი თანაშემწეები. თურმე ნუ იტყვიან და ყორიდან გადმობურთავებული ქილიკანთ ტასა, ეს ლიკლაკა, მობაზრო დედაცაი, ცემით ხო უცემია ომნანახ, ტყვეობაგამოვლილ პეპეროზანთ კაუბაგრატას, და ამ ყაბა-ყუბსა და ბურგანობა-ძალაობაში, მოუკრეფავშიც გადასულა.

— მოუკრეფავში? რას ამბობ, კაცო? — წამით წყდება ურო-ჩაქუჩის ხმაშეწყობილი დაგა-დუგი, ლევანა მჭედელი სალოკი თითით იწურავს ოფლს და გადაკაშვასებულ ნახშირებში აკმევს წკიპტრით.

— მოუკრეფავში და როგორა მერე! — განავრძობს ვეება საბარგო ავტოს შოფერი...

— რაღა დროს ტასას მოუკრეფობაზეა ლაპარაკი, მოსაკრეფი რო აღარა აქ რა! — იცინის ლევანა.

— ტასას ჯელობისა თქვი, ლევანა,

რამე. — ოცდახუთი წლის წინანდელს ბავში უნდათ გადაახედონ წრთობამოცვეთილი ბერიკაცი. ლევანა ჰალარა ულვაშებში მალავს ღიმილს.

— რა ოფოფებიც ახლა უქრიან თავში, მაშინაც ისინი ასვენებდა, — გაჯაგრულმა ულვაშმა ველარ დაფარა მჭედლის ღიმილი, — ცოლ-შვილს მოკიდებული ჯერ არ ვიყა, კალოსა ვლენწავდი, არც აცივია, არც აცხელა და ზედ კვერზე არ შემომიხტა!

— მაგასა, შვილოსა, დაბადებიდან თვალში ეხატა, რა სულისაც იყო, — დაიბუხუნა მჭედლის თანაშემწემ, საკმაოდ ახალგაზრდა კაცმა.

— დააცა, ლევანამა თქვას, ბოთე. რა კვიცივით წინ უსწრებ, არ ვიცი! — გაწყრა შოფერი, — მამ ლეწე და ლეწე, პა ლევანა!

— გალწილი იყო, ღმერთი-რჯული, — ოფიცება მჭედელი.

— ზამთარწაფარებულ ვენახში არ ჩავივლია, დაქიშიშებული მტეგნის მოსამცკრეველ განა?! — ხვიზინებს ბაგრატას კარის მეზობელი შოფერი და საერთო ხორხოცში მხოლოდ მოქნეული ჩაქუჩი და ურო ჩანს, დაგადუგი კი აღარ ისმის.

— მაგის ქმარს რო ჰკითხო, ისეთი მოჯირითე ვიყა, რო ხევსურეთში დაყავდით ცხენების სახედნავათო და... — დრო იხელთა კომბაინერმა.

— მაგი, ალბათ, ცხენების ხედნას გადაყვა და ტასამ რა ქნას, — გამოესარჩლა ვილაცა.

— მანა, ლუქმა გავარდეს — ჯამში ჩავარდესო, მაინც დამიჭირეს, მაინცაო, მაინც მომეჭრა თავი და მაინცაო.

— მოეჭრა თორე, კვირაში კვირას ბაზარზე აღამ-ათენებს. ეს წვრილი ხილიო და ეს ჭყინტი სიმინდიო და ეს ხახვიო და ეს კომბოსტოო, და განა რა მოსდის ი საკარმიდამოში მაგდენი, რო ბაზრის კარი შელწილი აქ. წლიდან-წლამდე ძლივს ორ-სამჯერ გაბედავს ჩემი დედაცაი ახალი კვერცხის ან თითო-ოროლა ვარდის ბაზარზე ჩატანას, ისიც ჯამავირის აღების წინა დღეებში.

— ტასაზე, შვილოსა, იმისთანებს ამბობენ რო...

ქალები ბოგირიდან კარგა მოშორებით, მოჩხრიალე წყაროსთან იდგნენ, ვედროები და კოკები ცალკე ჭორობდნენ, მათი პატრონები — ცალკე.

— ვათბა წყალი, ქალო, წამოიღე დროზე! — უძახოდა რომელიღაცას ქმარი.

— მოვდივარ, რა ნახე?! მოვდივარ! — ქალმა თავშალი გაისწორა და, ვიდრე ხილბანდის წვერი შეშალავდა, ერთი თალიაც ჩაახვია:

— პირში მითხრა, არ დავმალავ: ბაგრაბსთანა კაცი შინა მყოლოდა, ბარემ არა მიშავდა რა, ბაზარზე წვრილი ხილის ზიდვას არ მოვყვებოდით, მამ არა და ჩემი დავარდნილი სიმონაო, მევის იმედად მტერი იქნაო.

ქალმა ვედრო წყაროს ნავში ჩასცალა და ახალი აავსო.

— მართლა აგრე ვითხრა, ქა?

— აი, ამ წყლათ ვიქცე, თუკი...

— კარგი ქა, გვჯერა.

— გვჯერა, გასწი, კაცი გეძახის.

ქალმა ვედროები წამოკრიფა და გასწია. თვალი გააყოლეს:

— არა მგონია, რო ტასა მავასთან ლაპარაკის გუნებაზე ყოფილიყო. — თქვა ერთმა და კოკა გამორეცხა.

— არც მე მგონია, დილას შევიარე ქილიკიანთა, ისე იყო ტასა დაბეჭილ-შეფომფილი, რო ცხვირის მეტი არა უჩანდა რა. სწორედ რო მავასთან გააბამდა ლიკლიკს ყბაახვეული და ნაცემი.

— ჰო, ჰო, მართლა იყო, ქა? — დაინტერესდა საწყობის გამგის ცოლი, რომელზეც იძახდნენ ფერუშარილი გააწყობსოფლის მღალაშიო.

— ვიყავი, მამ რა მრჯის.

— რალა დროს ჩემი მოლზე გორიალი იყო, ქა, რა თქვა? — არ ეშვება საწყობის გამგის ცოლი, თან სულ ტოკავს პასუხის მოლოდინში.

— ქმარიც თავს ადგა, ქა, მაგდენს რას გაუბედავდი რო?

— თავს ადგა, განა?! კომპრესებს უცვლიდა ეგ უკეთური, ეგა, განა?!

— კომპრესებისა რა მოგახსენო, მაგრამ ისე კი დაჰგურგურებდა, სუ კანკლეტს კანკლეტზე უღებდა პირშია.

— სუ ემაგისთანა უკულმართებს როგორა აქვთ ბედი, ეგეთ უენო და საწყალ ქმრებს რო ჩაიგდებენ ხოლმე და!

— ნეტა თითონ ბაგრაბა რას ამბობს, ეგ მულრევი, ეგა. გავონილა განა ეგეთი განადირება რო?! — თავი აიღო წყაროს დაწაფებულმა ტასას ვარებიძამვილმა ფეფელომ, — ბაგრაბას მოსაპარად ხო არ იყო ი ქალი ვადასული, თავ რო დაესხა და აგეთი უნამუსობა ჩაადენინა, რომა დილას აქეთია წყალზე ჩამოსვლა მინდა და სირცხვილით ვიწვი, ქუჩაში როგორ გავიდე, ხალხს როგორ ვეჩვენო-მეთქი, — არ მოვდიოდ.

— სს, ჩუუთ, ქა! დირექტორი! — დაიძახა რომელიღაცამ, თავისი კოკა როგორც იქნა გამოარჩია წყაროსთან მიყრილ-მოყრილ წყლის ჭურჭელში, სასწრაფოდ აიღო, მხარზე შეიდგა და ისეთი გოგმანით შეუყუცა შინისაკენ შეღმართს, თითქოს ეგ არი და, ოჯახის ქალობაში ტოლს ვერავინ დამიდებსო. დანარჩენებმაც ააჩხრიალეს თუნუქისა თუ ემალის ვედროები და ერთიმეორის უკან რომ გამწყობდნენ, ისეთი გრძელი რიგი გამოუვიდათ, ბოლო რომ არ ვადმოეტანათ გზიდან ნამდვილად გაუჭირდებოდა დირექტორს გავლა.

რატომღაც ყველას ეგონა, რომ დირექტორი მომხდარ შემთხვევას გაჰკიცხავდა, ან, ყოველ შემთხვევაში, მკაცრი გამომეტყველებით ჩაუვლიდა ჯგუფ-ჯგუფად შექუჩებულ თანასოფლელებს, მაგრამ დირექტორი მშვენიერ გუნებაზე ჩანდა.

— რა არი, წყარო ხო არ დაწყდა, რას დაგუბებულხართ?

ქალები შეიშმუშნენ, ზოგმა ფეხიც აიდგა, თუმცა, შორს არსად წასულა, ცოტაზე წაიტორღილა: მე არაფერი მკითხოს დირექტორმაო, მოერიდნენ.

— ხვალ ფოცხვაზე გამოხვალთ, ქალებო, უდანაკარგოთ უნდა ავილოთ. მარცვლულს მოვარჩებთ და მერე ჭარხლობამდე ამოვისუნთქავთ, ბრივადირე-

ბიც გავაფრთხილებენ დილაზე, — თქვა დირექტორმა, პატარა გოგონას წყლის წასაღებად ათრეული ჩაიდანის თავსახური მოუხადა, რამდენჯერმე შეავსო და გამოცალა წყაროს წყალი. ნაკადი ღიდი იყო და თავსახური პირამდე ვერ ივსებოდა. ბოლოს გამოავლო, ხუფი კვლავ ჩაიდანს დაახურა და სახლს მიაშურა.

მეურნეობის დირექტორის სახლის თეთრთუნუქიან სახურავზე ჩუქურთმებიან სამერცხლეს ამოეყო თავი, სამერცხლეს წინა პლანზე ორი თუნუქის ჯიხვი დამაგრებინა ოსტატს, ჯიხვების იქით თუნუქისავე წყვილი მტრედი შეჰყურებდა ერთმანეთს. საფოსტო ყუთიდან გახეთქები ამოჩხორილიყო.

დაბინდა. ინსტიტუტში ვერ მოხვედრილი და გათხოვებამოწოლილი ქალიშვილები მთვარით გადათეთრებულ ორღობებში იმ საღამოს რატომღაც უფრო მეტ თავისუფლებას ანიჭებდნენ ბურთის ცემითა და ჭიდაობით მოღლილ სახარე მოზერებს. ბევრმა იმაზე ღრმადაც შეტოპა, ვიდრე ფიქრობდა...

ქილიკაანთ ტასა კი საწოლზე იწვა და ფიქრებით დათარეშობდა. მისი მეუღლე, სამოცდაათს მიტანებული სიმონა დახალულ ზორბალსა ფეჭავდა ხელსაფეჭავში სახალიფაფედ და დროდადრო ცოლს გახედავდა: ხო არაფერი გინდაო, — ჰკითხავდა.

ტასა სიმონას მეორე ცოლი იყო. ბარე ოცი წლის წინათ მიატოვა პირველი ოჯახი სიმონამ. მაშინ ამბობდნენ, ტასამ სიმონას წამალი აჭამაო. მოზრდილმა შვილებმა აღარ ინდომეს სიმონას მამობა, რუსთავეში გადაიხვეწნენ, დალაგდნენ და დედაც თავისთან წაიყვანეს. დარჩა „წამალნაჭამი“ სიმონა უშვილო ტასას ამარა. ტასა შესახედი ქალი იყო და უშვილობა იმდენად არ ადარდებდა ჯეელი ქალის ალერსში წასულ სიმონას. ცოლიც აიშედებდა, მერე აბანოებზე იწყო სიარული ქალმა, ერთიდან ჩამოდიოდა, მეორეზე ვარბოდა. სიმონა ბუცავით იყო ცარიელ სახლში. აბანოებსა და მატარებლებში ქვეყნის ნაცნობი

იშოვა გულმისასვლელმა ქალმა. ფერუმარილს არც გათხოვებამდე იცლებდა და ახლა სულ ფერებში ვაიბენტა. მერე ხანში შევიდა. აბანოებს შეეშვა და ოჯახისათვის გადასდო თავი, მაგრამ წანწალს მიჩვეული, ორდღემში ერთხელ ქალაქის ბაზარზე ჩარბოდა: მწვანილს, თესილებს ან წვრილ ხაბა-ხუბას დაარბენინებდა გასასყიდად. პატარა მრგვალი სარკე ხანვის კონაზე ჰქონდა მიდებული და როგორც კი ბაზარზე თვალმისასვლელი კაცი გამოჩნდებოდა — ჭიტა, მრგვალი სარკიდან ამოხედავდა ტასოს ტასა, და სავაჭრო-საწუწუნოდ დალაგებული ნაოჭების ქარგა იცვლებოდა, მაცთურ-მიამიტური ღიმილი აუკიაფდებოდა სახეზე, იაფი ღიმილი...

საღამოსკამს ტასა უკვე ხალიფაფას მიირთმევდა ყბაბევეული და თვალჩაღებულები, თან კაიგულშემატკივარ ორ ჭორიკანა დედაკაცს უსმენდა: უჩივლე და ფულს მოუგებო, — არიგებდნენ ქალები, რომელთაც დამატებითი ცნობების მიღება და გარეთ გატანა უფრო სურდათ. მომხდარი შემთხვევა განვითარებასა და დასასრულს მოითხოვდა. უკვე თქმული და გავონილი სოფელს აღარ აინტერესებდა.

მესამე დღეს უკვე საქმელებედ შედგმულ მურიან თუჯის ქვაბსა ჰვავდა სოფელი. დულდა, თუხთუხებდა...

ქალები წყაროსთან როდიღა იყრიდნენ თავს საჭორაო-საყაყანოდ. სადაც მოხვდებოდათ, იქ დააფრქვევდნენ სათქმელს. როგორაო, რა, მაშ კანონი აღარაფერიო, ვანა, მაშ ერთ მშვენიერ დღესაც, ბაგრატამ რო ინდომოს და ორღობებში ქალი აღარ გაატაროს დაუტორავი, ვანა სამართალი იქნებაო?!

რაო, ამხანაგური სასამართლო?! ამხანაგური სასამართლო რას მიქვიანო. სასამართლო თუა, სასამართლო უნდა იყოს, ამხანაგობა საღლა გავონილოა.

მამაკაცების უმეტესობა გაურკვეველად სდუმდა. ბაგრატას გასამართლებას თითო-ოროლა მოქალაქუნთო კაცი ამბობდა ხმამაღლა; უფრო ქალთა საზოგადოებაში ირჩევდნენ ასეთ ლაპარაკს.



თვითონ ბაგრატა კი არსად ჩანდა. არც მისი ერთადერთი ბიჭი არჩო გამოჩენილა ეს დღეები ხალხში. ამან კიდე მეტად აშალა და ააქოთქოთა ხალხი. დირექტორიც საქმის კურსში ჩადგა და ამხანაგურ სასამართლოზე თანხმობა განაცხადა, ჯერ ესა ვნახოთ და თუ საქმე ღრმად წავა, ზედა სართულზემაც გადავიტანო, რაიონს გადავცემთო.

ერთი ვიღაც ნასვამ-შეზარბოშებული გლეხი ბაგრატას ალაყაფს მიაწვია:

— გამო, შე!.. — მიადორბლა ნაცროსფრად შეღებილ ალაყაფის კარს, გაღებით კი ვერ გააღო, დაკეტილი იყო. რო ნახა შინ არავინ არისო, მაშინ აუშვა იალქნები და ქუჩის ბოლომდე ცეცხლმოკიდებული გინება აფრქვია: შენაო, შენი ასე და ისეო, რო ავიშენებია ამოდენა ოხერი სახლ-კარი და ერთ პარკლობიოზე სოფელს თავსა სჭრი, შენი კეთილები, შენისო! ფრონტზე სხვაც იყო, მაგრამ შენსავით ხელაშვერილი არ ჩავარდნია ჰიტლერს ხახაში და ჩვენზე მოშვერილი ზარბაზნები არ უტენია, შენი, მე შენაო!..

სახლი დუმდა. ბაგრატას მხრივ სიჩუმემ უფრო გააგულისა მოთამამო-მოყბელო-მოდარდიმანდო ტიპები. ორი ფანჯარაც გაუმთელეს კრიალოსანივით ჩაწყობილ ბაგრატას უზადო სახლსა და ერთი არსათქმელი უწმინდურებაც სთხლიშეს ალაპლაპებულ პარკეტს.

ბაგრატას ძაღლმა ლამის ჯაჭვზე თავი ჩამოიხრჩო სიბრაზით, იმისთანა იყვფა, ამას რას გვიშვებით, თქვე უმადურებო, თქვენაო.

ბაგრატა და მისი ოცდახუთი წლის

მზარ-მკლავიანი ბიჭი აგერ ოთხი დღეც იქნება, რაც მდინარის გაღმა, საშემოდგომო სარწყავში ტივტივებდნენ. მოშორებით პატარა ოთხადგილიანი კარავი გაემართათ, სარწყავი შორს იყო სოფლიდან და შინ მისვლა-მოსვლაში ღროს არ კარგავდნენ. კარავი წინ ზედადგარზე კარტოფილი ფუღვებოდა. ამავე სოფლის მაღაზიაში ნაყიდი, ავსტრიული ტყავის მოკლე შარვლები კოხტად ჰქონდათ ამომჯდარი მამაკაცურ, ჯანიან გავაზე. წეროებივით დააბიჯებდნენ ტბორებში, მაღალყელიანი რეზინის ჩექმები ეცვათ. ოთხი კაცი რომ ვერ აუვიდოდა, იმოდენა ფართობი ჩაებუებუებებინა მამა-შვილს. ხვალ-ზეგ უნდა მორჩენილიყვნენ საქმეს.

კარავზე დაკიდებული ტრანზისტორიდან საამო ჰანგები მოჰქონდა ნიაცს. ჭორებისათვის არ ეცალა მუშაკაცს. ან კი სადა ჰქონდა პეპეროზაანთ ბაგრატას საკარმიდამოს ყორე? უყანგავი ბადე ჰქონდა შემოკრული ბაგრატას ნაკვეთს...

ტასა კი თავისი საკუთარი სახლის სხვენზე მიდგმული კიბის მესამე საფეხურიდან გადმოვარდნილიყო ამ ოთხი დღის წინ, ერთი ქათამი სხვენზე გაჩვეულიყო კვერცხის დებას და ყოველდღე ასვლა უხდებოდა ტასას კვერცხის ჩამოსაღებად, საბაზროდ. სახე ხომ შავად გაბრტყელებოდა პირქვედაცემულ ტასა და მარჯვენა ხელიც სამგან მოსტებოდა. ცოტა შერყევაც მიეღო და შერეკილ-შედრეკილი უჯონოდ უგდებდა ყურს დაჩაჩანაკებული სიმონას ბუზლუნს.

*სენი ციხეოქონი*

**მოთხრობა**

მონკავშირელი გახლავართ 1965 წლიდან. ორასი მანეთი თოფ-იარაღში მივეცი, ორმოცი მანეთი ერთი თვის ძუძუ-მწოვარა ლეკვში მაშვლებინეს. ყოველ-

წლიურად სამ მანეთამდე საწევრო გადასახადს ვიხდი, ხუთ მანეთზე მეტი სამონადირო ლიტერატურის შექენაში მხარჯება.



მოგვხსენებთ, თოფს ნაცრითა და მუხუდლოთი ვერ გატენი წამლისა და საფანტის ნაცვლად. ახლა ძაღლის კვება! ჯიშაინი გახლავთ. მთლიანი სავგარეულოს მქონე ინგლისური სეტერი. დედამისი, ლეღად წოდებული შავლაქიანი, გრძელბეწვიანი ძუ, ვინმე ალექსანდრე შარაშენიძეს ჩამოუყვანია მოსკოვიდან თბილისს. დედის ღედა ლენინგრაღელი გახლავთ. რა თქმა უნდა, ძაღლზე ვლაპარაკობ. ჩემი ძაღლის დიდედის ღედა ვინმე ტიხვინელ მონადირეს, გვარად კუროჩკინს ჰყოლია, ძაღლად, რა თქმა უნდა; სიღდრიც კუროჩკინა მყავს, თქვენ ხართ ჩემი ბატონი. გამოდის, რომ ჩემი გრძელბეწვიანი, შავლაქიანი სანადირო ძაღლის დიდი დიდედის მფლობელი და ჩემი მეუღლის დედის, იგივე ჩემი სიღდრის მამის ოჯახი ერთი გვარისანი — კუროჩკინები ყოფილან. საიდან სად წააწყდება კაცი ნათესავს?!

ვიღრე ნადირობის სეზონი გაიხსნებოდა, ლეკვს ვუვლიდი და ვაგაყვაცემდი. სულ პრიშინისა და არმილევის სამონადირო წიგნებში ვასუხებინებდი მწყურებსა და ხოხბებს: მოიცა, ჩემო მერცხლა, ახლა რომ ქაღალდზე ხედავ, ამას სინამდვილეშიც იხილავ გათიბულ ყანებში-მეთქი. ძაღლიც სიამოვნებით კრუტუნებდა ნამდვილი მწყურის ხილვის მოლოდინში და გემრიელ ულუფას ულუფაზე ათავებდა; გახარებული სამი აბაზის არტალას ვყიდულობდი ყოველდღე.

ერთ დღეს კბილები აჰქავდა და ერთიანად დაბღღენა გასამუხეტრებლად გამოტანილი ბალიშები. აწიოკდა ოჯახი, დამედვენენ ცოლ-შვილ-მშობლები და გიყვარდეს, მე დღე მაყარეს! ამის შემდეგ გაურანდავ ტახტზე მძინავს. ამბობენ, რადიკულიტისათვის მისწრებაა ხმელზე წოლაო.

რომ ვნახე — ძაღლი „კაცობაში“ შედიოდა და საშინაო დავალებებს პირნათლად ასრულებდა, თქვენ ხართ ჩემი ბატონი, დედაქალაქში მონკავშირის პრეზიდენტთან ვაფრინე წერილები და განცხადებები: თქვენი ჰიირიმე, ყელი არ

გამომჭრათ, მუხრანის სკოლის გარეშე არ დამიტოვოთ-მეთქი მთლიანი სავგარეულოს მქონე, შავლაქიანი და გრძელბეწვიანი ჩემი ინგლისური სეტერი, მერცხლა.

პრეზიდენტიცა და თანაშემწე-მოადგილეებიც დიდ უარზე დადგნენ: იმდენი ძაღლი ჩავრიცხეთ სასწავლებელში, თანაც ისეთი უწყმინდესი სავგარეულოსანი, რომ ფოსტალიონად ნამუშევარი, ვინმე შარაშენიძისეული თქვენი მერცხლა იმათთან არაფერიყო.

აქეთ ვეცი, იქით ვეცი და ბოლოს, როგორც იქნა, ვნახე ბზარი ურყევ გამგებელთა რიგებში.

ასე და ამრიგად, შევარბენინე ერთი თვის სწავლის გადასახადი — თხუთმეტი მანეთი, დილის ავტობუსზე ორი ბილეთი ავიღე და ორ საათში მუხრანს ჩავვიღეთ. ორიოდე კილოგრამი ძებვიც ჩავიყოლე ღეზად, ვიღრე იქაურ საკუმელს შეეჩვევა ჩემი მერცხლა, ეს ძებვი შეველეება-მეთქი.

ჰოი, რა წკმუტუნ-წკმუტუნით შეგვხვდნენ მე და ჩემს მერცხლას მუხრანის საგეშო სკოლის მოსწავლეები! სულ ხელეში შემოგვყურებდნენ გვერდებმოლასტულები, ჩვენი პატრონების წერილები ხომ არ ჩამოვიტანათო.

მაშინვე მივხვდი, რა წერილებიც ჰქონდათ მხედველობაში მილასლასებულ შეგირდებს და ვაძლიე და ვაძლიე მერცხალასათვის წადებული ძებვის ნაჭრები. მერცხალას შინ მირთმეული არტალის ძალა ისევ ფერდში ედგა და ძებვზე უარს მეუბნებოდა, თანაც ახალგაცნობილ მოსწავლე-მასწავლებლებში თავის გამოჩენა უნდოდა და თავს იკავებდა.

უნდა გენახათ, რა წკმუტუნი მორთო, როცა მუხრანის სკოლის ეზოდან გამოვეპარე! ორ დღეში ერთხელ ჩავდიოდი მუხრანს, ორ-ორი კილო ძებვი ჩამქონდა ყოველ ჩასვლაზე.

ათი დღის შემდეგ მონკავშირის გამგეობის პრეზიდენტთან დეპეშა მომივიდა. დეპეშას თვითონ აღტაცებული პრეზიდენტი აწერდა ხელს. ავი მატყო-

ბინებდა: თქვენმა ძალმა მერცხალამ ვადაზე ადრე და ბრწყინვალედ ჩააბარა საველე გამოცდები, მიიღო პირველი ხარისხის დიპლომი, მობრძანდით და წაიყვანეთო. დილის ავტობუსს გავყევი და საღამოზე დიპლომებიანი დავბრუნდი შინ...

ჯერ მაისის დღესასწაული გასულიც არ გახლდათ, რომ ახლო-მახლო ჯეჯილებს ლურჯი ბოლი ავარდა. ლურჯი ბოლი ჯერ ტბეთისა და კუსირეთის მხარეს გაიკლავა, შემდეგ თამარაშენ — ქურთა — ძარწემ — ხეთებს მოედო და ბოლოს ერედვის საბჭოთა მეურნეობის სახანავე-სათესში და ხილის ბაღებშიც ათარეშდნენ როგორც ადგილობრივი, ისე გაღმა სოფლელი მარბიელები. სეზონის გახსნამდე კი ოთხი თვე იყო დარჩენილი. ჩავეკალი თავი და ჩავეკალი ძალი სამონადირო ნოველებში. ვითმინე და ვითმინე. ვითმინე და ვათმინინე. დროდადრო მონადირეთა კავშირს ჩავაკითხავდი: ბრძანება ზომ არ მიგიღიათრა ნადირობის სეზონის ადრე გახსნისმეთქი.

მონაკვეთრის თავმჯდომარე დღითი-დღე სულ უფრო და უფრო უხერხულ მდგომარეობაში ვარდებოდა ჩემს დანახვაზე და უმწეოდ შლიდა ხელებს: რაკქნა, ჩემო კეთილო, ჯერ არ გახსნილა სეზონიო. მეც თავს ვაკანტურებდი თანხმობის ნიშნად და ჩემს ძალღთან ერთად კულამოძუბული ვბრუნდებოდი შინ. ვითმინე და მერცხალასაც ვათმინინე, ვითმინე და ვათმინინე. ერთი კვირა რომ დარჩა სეზონის გახსნამდე, ძილი დაგვარგე. ლუმიწანილი გავაწყე აფთიაქში, მაინც ვერ მივიკარე ძილი, და ბოლოს...

აეცახებებული და აწყმუტუნებული შევყევით მე და ჩემი ჭრელი, ინგლისური სეტერი მინდვრებს. გაინაბება ჩემი მერცხალა, დაეპრობ თოფს, პირში მიეცემ ტყვიას და ეცი — ეცი-მეთქი! დავუჭყვოვებ ძალს. ეცემა მერცხალა და ჭრარ — ტოროლას აფრენს. ეცი — ეცი! ვუკიციენებ და ახლა გრძელნისკარტა ნიბლია ამოდის ბალახებიდან. საღამომდე წელში გადავწყდით ორივენი და სამად-სამი მწყერი ძლივს მივიყოლე შინ. ახალ ხილზე ხალხი დაგვევდა, ისე მითვალეირებდნენ მწყერებს, თითქოს ხობებში ან გარეული ინდაურები დამეხოცოს. ფრინველს ნატყვიარს უსინჯავდნენ და მხარზე ხელს მითათუნებდნენ — ყოჩაღ, ბიჭო!

ამ შემთხვევამ კი დამაფიქრა, მაგრამ მალე კვლავ გუნებაზე დავდექი, გამახსენდა თბილისში, მონაკვეთრში ყურმოკრული ლაბარაკი: რაილა დიდი სიცხეებია, მწყერი მთაშია წასული და როგორც კი ცაზე ღრუბელი გაჩნდება, ბარში ჩამოვა ფრინველიო.

ერთი სიტყვით, ორი-სამი ასეთი „ნადირობის“ შემდეგ ძალმა თავი გამიქნია: „მე ეგეთ საქმეზე აღარ გამოგყვები და შენი არა ვიცი რაო“. მოიცა, მერცხალა-მეთქი, აგრილდება და მწყერიც მოგვაწყდება, მკონი ისეთ დღეში ჩავარდე, რომ სულ ნაბული ნაბულზე აკეთო. „აღდგომა და ხვალაო“, — თავი დამიქნია ყურბარტყუნა, ბეწვიანმა არსებამ და ზურგშექცევით წამოწვა თუთის ჩრდილში...

ავგისტოს გასულს და სექტემბრის პირველ რიცხვებში ღრუბელიც მოგვევლინა. უბრალო, საჩრდილობელი ღრუბელი კი არა და კარგი ქუფრი ღრუბელი აეკრა ცას ზნაურიდან აწრისხევამდე, ისეთი წვიმები ატყდა, რომ გარეთ გასვლა გაჭირდა, ნადირობაზე ზომ აღარა ითქმოდა რა. ვაცდა ერთი შაბათ-კვირა-ორშაბათი. მოგეხსენებათ, აღმოსავლეთ საქართველოში ნადირობის დღეებად მხოლოდ ეს სამი დღეა ცნობილი. ერთი კახელისა არ იყოს, ზრდილობის საკითხია, თორემ... ან ამ სამ დღეს რა ქნას კარგმა მონადირემ, დროზე შაშვი თუ არ მოვა...

სეზონის ნახევარიც ასეთ ბლადამბლუმში გავიდა, ბოლოს კარგადაც აგრილდა, თოფ-იარაღი ავისხი, ძალი ქამარზე გამოვიბი და დამიან შევუდექ ზღუღრიგვერდის აღმართს. მალე ტირიფონის ველი გადამქვიმა თვალწინ — ამომავალი მზის სხივებით მოოქროვი-

ლი. ძალი ავეღვი და თოფი იღლიაში ამოვიდე. ჰოი, რას ვარცხნიდა ჩემი მერცხალა ნაწვერალსა თუ ჰარხლის პლანტაციებს! გაჰქონდა და გამოჰქონდა ალღოიანი კვალი მარცხნივ და მარჯვნივ, რამდენჯერმე კიდევ გაინაბა, მაგრამ ამოდ, საეჭვო ადვილები შევეუმოწმე და მწყრის ნასკინტლარევ-ნაბუმბულარევის მეტი ვერა ვნახე რა. დიცისა და ქსუის-დმენისების საზღვრებამდე ვეთრიე და მთლად ცარიელი დაგბრუნდი შინ. ძლივს გავაცალე დაღლილ-დაქანტულსა და გულგატეხილ, ცხოვრებაზე ხელჩაქნულ ჩემს მერცხალას ბეწვებში ჩამკვდარი ბირკა და ეკლური ოჯახების სხვადასხვა ჯახრუ-ჯანდაბა. თითებიდან სისხლი მდიოდა.

კვლავ პრიშინისა და არმილევის სამონადირო ნოველების კითხვა ვიწყე. ამ ლიტერატურით ვედარ დავაინტერესე ჩემი ძალი. მომწყიდით შენცა და შენი წიგნებიცაო, — შემომწყურა მერცხალა და ღობეს ამოეფარა ყურებჩამოყრილი. — თუ ასეთი ნადირობისათვის გინდივართ ინგლისური ძაღლები, ის გირჩენიათ კვლავ სამშობლოში დაგვაბრუნოთ, თორე ჩვენი ფეხით გავუდგებით დიდ ბრიტანეთს და ლამანშის სრუტესაც ადვილად გადავლახავთ. ძაღლის ჯამში ჩავიხედე და კარგი ხორციანი არტალი ხელუხლებელი იღო. ნაწყენი იყო ჩემი მერცხალა.

ასე, ყურებჩამოყრილი გადიოდა დღეები. შინ საყვედურების სეტყვა სეტყვაზე მოდიოდა: ამდენ ხარჯს რათა სწევ, თავი დაანებე მაგ დავიდარაბას, რაც მაგ ძაღლის საკმელში გვეხარჯება, იმ ფულით რომ ბაზარზე ვარიები გვეყიდა, ჩვენს ბედს ძალი აღარ დამკეფდაო. ამ ლაპარაკ-საყვედურებით ისე გამიხადეს საქმე, რომ ბოლოს ძაღლებითა და ფრინველ-ნადირით მოხატული წიგნები ცეცხლში დაწვეი, ჩემს ოთახში ჩავიკეტე და შვიდი დღედაღამე გარეთ აღარ გამოვსულვარ. მერვე დილას ეშმაკმა მომიკაქუნა ფანჯარაზე. ფანჯრის გაღებას აღარ მოუცადა, ღია სარკმლიდან შემოფრიალდა.

— ვინ ხარ, რა სულერი?! არც გიცნობ, არც არაფერი, თავის დღეში თავლით არ მინახიხარ!

ბრაკონიერი მქვია სახელად, გვარად რჭულძაღლიშვილი ვახლავარო.

— ჩემგან რა ჯანაბა გინდა-მეთქი! — ვკითხე.

— რა მინდა და შენი სიკეთე, წამოწყევი, ისე განადირო, რომ წელიწადს იკმარო ნანადირევით.

— ძალი წამოვიყვანო? — ვკითხე შემკრთალმა.

— რათ მინდა შენი ძალი, აგერ ფანჯრიდან გადიხედე, რა ძაღლები ვარ მოსულიო.

გადავიხედე და სამი მდეგარი წყმტუნებდა თითქმის ახალ „ვილისში“, ჰოი, რა ძაღლები იყვნენ!

— ეგ მანქანა თქვენია, პატრიცემულ-მეთქი? — ვკითხე წყალგუმტარ ტანსაცმელში გამოწყობილ ბრაკო რჭულძაღლიშვილს.

— ჩემია, აბა ვისი უნდა იყოსო!

— მე მწყრის საფანტის მეტი რომ არა მაქ რა, როგორ მოვიქცე? — წავიჩურჩულე.

— არაფერი გინდა, თუნდა თოფსაც ნუ წამოიღებ, კბილებამდე ვარ შეიარაღებულიო.

ერთხანს შევყოყმანდი, მაგრამ რა გადავავედ თვალს ჩემს სამონადირო ზარალიან მელურობას, მყისვე დავეთანხმე და პირდაპირ ფანჯრიდან ვისკუპე ბრაკო რჭულძაღლიშვილის მანქანაში. ჯერ აწრისხევის ტყეებში ვდიეთ შვლებსა და ირმებს, კურდღლებსა და დათვებს. ზოგი დავხოცეთ, ზოგიც დაჭრილ-დასახიჩრებული დავკარგეთ ხევ-ხუცებსა და უღრანებში საყვავ-ყორნედ. გვიან საღამოს ჩამოვუარეთ ვანათის სატყეოსადარაჯოს, ერთი გაქუტული კურდღელი ძილმორეულ მეტყევეს ვაჩუქეთ და სულ ლოცვა-კურთხევით გამოგვაცილა სამშვიდობამდე. ზვალაც გამოგვიარეთ, თქვენი ჰირიმეო, — ყელს გვწწავდა კურდღლის ქონით თავმოქონილი მეტყევე...

პირველხანებში ყოველდღე დავდიო-

დით მე და ბრაკონიერ რჯულძალიშვილი სანადიროდ. ხან პატარა ლიახვის ხეობის ტყე-ქალებს ავუთარეშებდით, ხანაც დიდი ლიახვისა და ფაწის ხეობებს ავუქროლ-ჩავუქროლებდით ალალებივით.

მერე ცოტა ვუკელით რბევა-ნადირობას, იმიტომ კი არ მოვუკელით, რომ სინდის-ნამუსმა შეგვაწუხა, არა, ბატონებო, ნადირმა იკლო ტყეში და იმიტომ, ჩვენ საყოფს მაინც ვხოცავდით, მაინც დავთარეშობდით. შიგადაშიგ ქლორი და დინამიტიც მიგვექონდა თან. როცა ნადირზე ხელი მოგვეცარებოდა, ქლორს ვყრიდით ლურჯად მოცქრიალე მთის მდინარეებში, ფუთობით მიგვექონდა წითელწინწკლებიანი კალმახები ახლომახლო ქალაქების ბაზრებსა და სასადილოებში, კილოს ხუთ მანეთად ვაბარებდით. მეც შევიძინე „ორდიფერიანი“ მანქანა, ეზო მდევრებით ავაგეს.

მთლიანი საგვარეულოს მქონე და მუხრანის საძაღლო აკადემიადამთავრებული ჩემი ინგლისური სეტერი დარ-

დით მომიკვდა. ძაღლი ძაღლურად უნდა მოკედეს-მეთქი, არც მიდარდა, მკვდარი ძაღლი ქალაქგარეთ გავათრიე და ქერის ყანაში გადავადდე: მიდექი და იმწყერავე, მერცხალა-მეთქი, სიცოცხლეში ვერ იხილე მწყერი და ეგებ ახლა ეღირსო. ან იქნებ ზედაც გადავაგოვდეს, — დავატირე.

ახლა, თქვენ ხართ ჩემი ბატონი, ოჯახიც კმაყოფილი მყავს და კარგი მომხრე-ნაცნობებიც ვავიჩინე, იმათი შიშით უბატონოდ ხმას ვერავენი გამცემს. წყალწალებული მონადირეები, ერთმანეთს რომ ეკვრიან და ტყუილი ნადირობის ზღაპრებით თავბრუს ახვევენ გამგელე-გამომგელელს, ჩემს დანახვაზე ქუდებს იხდიან და თავს მიკრავენ.

საპასპორტო განყოფილებაში ჩავედი და გვარი გამოვიცვალე — წყალობა წვალებაშვილის ნაცვლად ბრაკო რჯულძალიშვილი დავირქვე. კარგად გნახეთ, მონკაეშირის წევრებო! მე ჩემი გავინალდე და თქვენ კი იხადეთ საწევრო! რა მენადვლება, რა!

## ვნახობი

### მოთხრობა

- აი, დადგეს ჯერ ახალი წელი, მერე ვნახოთ!
- ვნახოთ.
- აი, ვნახოთ!
- აღდგომა და ხვალეო...
- აღდგომა რათა, ახალი წელი.
- ვნახოთ და ვნახოთ, ჩვენც ეგ არ გკინდა?
- უნდობლად რაღათ შემომცქერით, შენც დედაჩემო, შენც მამაჩემო, შენც, ჩემო კეთილო ცოლო?
- ნდობას დამსახურება უნდა, რამდენჯერ დავიფიცია?! — მომესმა ტელევიზორზე მიჯაჭვული მამის ხმა.
- ახალი წელიც კარზეა მომდგარი. ოცდათერთმეტი დეკემბერია დღეს, —

შემახსენა დედაჩემმა. თავი დავაკანტურე და გარეთ გამოვედი. მაღაზიაში ერთი კოლოფი ბულგარული „ბტ“ ვიყიდე და მადიანად მოვქაჩე გრძელყელიანი და გრძელტარიაანი თეთრი სიგარეტი. ფიცის მიხედვით, ბოლო უნდა ყოფილიყო ეს კოლოფი. ეპ, რა დროს გაჩნდა შესანიშნავი ფილტრიათი სიგარეტები, აფსუს!

პაპიროსის მწველის სრული აკადემია მქონდა დამთავრებული: ომისდროინდელი ნამწვებიდან მოყოლებული „ტიმპისა“ და „ყაზბეგის“ გავლით მივედი ფილტრიათი სიგარეტებთან. „შობაკაზეც“ ბევრჯელ შევჩერებულვარ ბულგარული „სოლნცათი“ გამთბარი...





სკოლისა თუ ქალაქის ბოლით ვატენილი საპირფარეშო — მოსაწევი „სალონებიდან“ საკუთარ ოჯახში, საკუთარი მონაგარით შექმნილ რბილ სავარძლებამდე მოვსულვარ. ათასგვარი საფერფლებები და სათუთუნეები, პირველყოფილი ტალ-კვესით დაწყებული, ასანთის დიდი და პატარა კოლოფები და ბოლოს ბენზინისა და გაზის მინიატურული კვეპები. ყველაფერი ეს მოგონებად უნდა ქცეულიყო, ყოველივეზე ზელი უნდა ამეღო; ახალი წლის წინა დღეებში მქონდა დადებული მტკიცე ფიცი...

მაინც რა კამპანია გააჩაღა ჩვენმა რადიომ, ტელევიზიამ თუ პრესამ! პირდაპირ თამბაქოს მწვეველთა წინააღმდეგ დაიბაზნენ, დაიბეჭდა ჩვენი ქვეყნის მედიცინის მეცნიერებათა ქურუმების შრომები თამბაქოს მავნებლობის შესახებ. ორ დღეში ერთხელ ტელევიზორისა თუ კინოს ეკრანებზე ადამიანის ფილტვები იყო ჩამოკიდებული. ჯერ გვიჩვენებდნენ სუფთა, გაკრიალებულ ფილტვებს და მერე კი თამბაქოს ბოლის ჩასუნთქვით გაოხრებულ ბუხარს.

ჰოი, რა საშინლად იცვლებოდა ფილტვების სურათი თვალსა და ხელს შუა!

მერე იყო და ამერიკელმა მეცნიერებმა ატეხეს განგაში: თურმე ნუ იტყვიოთ და თამბაქოს მწვეველის ძალლიც კი ადრე კვდება, ვიდრე ნიკოტინის მოძულე კაცი ძალლი. არადა, ძალლიც მყავს, ცოლს რომ თავი დავანებო...

ამხანაგი შემხვდა, სიგარეტი მთხოვა. გავუწოდე, მაგრამ გული ამიკანკალდა: ბოლო კოლოფი გახლდათ და მისი განაწილება არ მინდოდა. შემატყო.

— რა იყო, ბიჭო? რა სიკვდილმისჯილივით გიკანკალებს ხელი, თუ გული გწყდება, არ მინდა.

— დღეს ვანებებ თავს და მოზიარე არ მინდა მყავდეს ამ უკანასკნელ სიმოვნებაში.

— ანებებ არა, იხვი!

— ნახავ, თუ არა!

— ვნახავთ, რამდენჯერ დავიფიცია, კოლოფიც დავიკვლევთ. ვახსოვს?

— მახსოვს, აა ნახავ!

უცხო ენათა ინსტიტუტის ეზოში ვყრიდით საღამოჟამს უნივერსიტეტიდან დაბრუნებული მე და ჩემი მეგობარი დარჩენილ პაპიროსებს, თან ვიფიცებოდით: ვინც კიდევ მოსწიოსო!

მეორე დილით, სასწავლებელში მიმავალი ნამით დანესტიანებული, დამბუხნული სიგარეტების აკრეფა გვიხდებოდა, მდაზიები დილაუთენია არ გახლდათ ღია და რა გვექნა!

— ახლა სულ სხვაა! — ვთქვი მე.

— აგრე გგონია?

— აი, ნახავ, ღვინოსაც უნდა შევეშვა ახალი წლიდან.

— ღვინოს შესაძლოა, მაგრამ ამას ვერა, — ისე მადიანად მოქაჩა მეგობარმა, რომ მეორე ცალიც მოვიმარჯვე. თუმცა პირველი ახალი მოწეული მქონდა.

— პირობა დადე?

— ჰო, საბოლოო და ვაჟაკური.

— ენახოთ.

— აი ვნახოთ!

მოქაჩა და წავიდა.

მოედანზე სიღვდრი შემხვდა, ქვეყნის ხორავი მოჰქონდა.

— მაშ ხვალიდან, ხომ? — ისე მოკუტა თვალი, რომ ზედვე ეტყობოდა, დამცინოდა.

— ხვალიდან ვანებებ.

— სმასაც?

— სმასაც, რა თქმა უნდა.

— ცოტ-ცოტა შეგიძლია ხანდახან.

— არავითარი!

— შენ იცი, იმედი კი არ მაქვს.

— მაგასაც დავინახავთ.

— რა თქმა უნდა, დავინახავთ. მომეშველე, ხომ ხედავ, ძლივს მიჭირავს, შენი საჰმელიც არის.

გამოვარათვი: სუკები, თევზეული, ჭყინტი ყველი, გოჭი. ყოველდღე ასე ეზიდება...

— ახალ წელს ჩვენთან შევხვდეთ, თქვენებსაც უთხარი.

— ვეტყვი, — ვთქვი და გამოვბრუნდი.

საბილიარღო სარდაფიდან ტალღებდად ამოდიოდა პაპიროსის ბოლი. სახინკლე-

დან ხომ ნულარ იტყვიო! მილიციელის ჯიბურიდანაც კარგა ძალა ბოლი გამოდიოდა. ქვეყანა წევს. კინოსთან ავტორლიაღლი. ბიჭები ბლომად იყვნენ შექუჩებულები, წევდნენ, კოლექტიური ქაჩვა იყო გახურებული. სურათი ნანახი მქონდა, მაგრამ მაინც დავაპირე შესვლა.

— არ გინდა, აღებულება, — დამიძახეს ბიჭებმა და შეთქმულებივით დაეხვნენ ჩემს „ბტ“-ს. ერთი სიგარეტიღა შემატოვეს, ტუჩზე რომ მქონდა მიბმული. სენასის დაწყებას ბევრი აკლდა. ბილეთი გამოვართვი და კვლავ თამბაქოს საყიდლად გავწვი, ამათსავით ხომ არ ვიშათხვრებდი, ახალ წლამდე შევიდი საათი მაინც იყო დარჩენილი... ერთიც ფოიეში დაეურტყი, საპირფარეშოს წინ, და ნახევრადშეშველი ესპანელი ქალიც გამოჩნდა ეკრანზე. ჰოი, რა ტანი ჰქონდა! ძალიან უსინდისოდ კი იქცეოდა. სურათი ცარიელი იყო, შინაარსი ვერ ტვირთავდა მაყურებელს და ხალხი მხოლოდ შიშველი ქალის ნაკვთების თვალიერებით ტკბებოდა. არც მე დამიკლია...

აქა-იქ დარბაზში სიგარეტი ღვიოდა. რამდენჯერმე წამძლია სულმა, მაგრამ ბოლომდე მოვითმინე. სინათლე აინთო დარბაზში და მეც ავანთე გამზადებული სიგარეტი.

— გაღით და მერე! გაღით და მერე! — წყრებოდა აღმინისტრატორი.

— ხელიდან მორჩა, ქსენია, აღარ შეგაწუხებ, — ვახარე აღმინისტრატორს.

— საახალწლოდ დაიფიცებდი, არაფერი გამოგივა.

— ნახავ, თუ არა.

— ვნახავთ, ვნახავთ. ეგ ვაჟბატონებიც ალბათ გაცილებას გიწყობენ, შეიდივეს ერთად რომ აუბოლებია. მაჩვენეთ ერთი, რას წევთ.

— „ბტ“-ა, ბულგარული.

— ვიცი, კარგია, ცოტა ძვირია. სად იყიდე?

— მეცხრამეტეში, ყველგან არი. მიირთვი.

ქსენიამ გამომართვა.

— კიდევ აიღე, მეც მეყოფა.

სამი ცალი ამოიღო, ერთს მორიდებულად მოუქიდა და გასასვლელთან ჩაღვა. ბოლს ვარეთ უშვებდა, ვითომ ნახეთ, როგორ გიფრთხილდებოთ.

— ენახოთ, ენახოთ, — გამიღიმა და შაქრულმა ქსენიამ და ღიმილთან ერთად ბოლიც გამომაყოლა. კინოს გვერდით მცირეწლოვანები აბოლებდნენ და გაბრაზადი:

— რათა წევთ, თქვე!.. — შეეჩერდი წამით და ხელი დავექნეი.

— საქმე ნახე, ძია, — მითხრეს აუღელვებლად, თუმცა შევატყვევ, როგორ გადაიტანეს სიმძიმის ცენტრი მარჯვენა ფეხზე, გასაქცევად დაიჭირეს თადარიგი.

— ყველა წევს, ეს ოხერი! რა ეშველებათ, რა დღეში ექნებათ ფილტვები! ახია მავათზე! ამოდენა ავტიაციას მართო ჩემთვის ხომ არ აწყობს პრესა და ტელევიზია?! მავათაც შეუშვან ყურებში: თამბაქო კიბოს აჩენს, თამბაქო ათას სისაძაგლეს სჩადის!..

ნებისყოფა, ნებისყოფა!..

სასადილოს ჩავუარე. ლურჯ ბოლში იყვნენ ჩამჯდარინი მოქეიფენი. ძველი წლის გაცილება აღრე დაეწყით და უკვე კარგა მაგრად გახლდნენ გამოქუცებულიები. ვიღაც დარტყმული ნათალ ჭიქასაც კვნეტდა ზედ ფანჯარასთან.

ათი სრულდებოდა. დაგვიანება აღარ იქნებოდა, დროზე უნდა მიმეტანა შინ სიდერის წინადადება, ახალ წელს ერთად შევხვდეთო. იცოცხლე, აბუზღუნდება მამაჩემი. არც დედაჩემს ჩაჰქრის გულში მაინცადამაინც ჩემი სიამარსილდერი, მაგრამ წველა კარგი აქვთ და რას იზამს... ჩემი ცოლი უკვე გამოკოპწივებული დამხვდება! უყვარს დედულეთი, თანაც დედასავით გახლავთ ჩატრიკოტინებულ-ჩაკაპრონებული...

მეზობლის სახლის ავტურებში შევკულიტე სიგარეტი. მთელს ჩვენს ქუჩაზე ასე მაქვს ავტურები თუ კარები მომურული. სადაც კი მომხვდება, იქ მივაქყლეტ ხოლმე ნაწწვს. ოთხი-ხუთი წლის წინათ შეკვეხებულ სიგარეტის ნაწწვს გაჩვენებთ, თუ გნებავთ, ავტურთა შუა. ანთე-



ბული ასანთის ღერებსაც ადვილად ვაწებებდი ჭერს ყმაწვილობაში. ერთი სიტყვით, დიდი მხატვარი ვახლდით. რატომ უტრს არავინ ამახვედა, ან კარგად არ მიმიჩქვავდა! ომი იყო, ამბავი! რომ ვიცოდე, ომი აღარ იქნება, უეჭველად შევეშებოდი პაპიროსს! თუმცა, მანაც უნდა დაეანებო. დათქმული მაქვს. ახალ წელზე დავიფიცე და ახალი წლიდან აღბათ აღარც ომი იქნება. რაყილა პაპიროსს თავს ვანებებ, დიდი მშვიდობა და დიდი სიყვარული იქნება ახალი წლიდან. ვნახოთ... ვნახოთ კი არა, უეჭველად ვანებებ თავს ამ სისაძაგლეს. ვნახოთ. ვნახოთ და ვნახოთ! ოჰ, ვნახოთ! ვნახოთ! დილიდან საღამომდე რომ მერბინა, სუნთქვას არ ავაჩქარებდი. ახლა კი ნაბიჯს თუ ავუჩქარე, ქოშინი მეწყება.

ლიფტი ნელ-ნელა მიიწევდა ზევით. სიგარეტი ერთხელ კიდევ მოგქაჩე და მერე ლიფტის კედელს მივასრისე. მე-ლიფტი ქალი წყრომით შემომცქეროდა.

— ხვალღიდან მორჩა, ახალი წლიდან თავს ვანებებ ამ ნავავს, დეიდა თამარ! — დავამშვიდე ქალი.

— ვნახოთ, შვილო.

— ვნახოთ კი არა, ნამდვილად.

— ვნახოთ, ვნახოთ, ათსართულიანი სახლია და ყოველდღე ვიღაც იფიცება, ლიფტი კი აჭრელდა.

— ხვალღიდან მორჩა, ხვალ ახალი წელია, ხვალ სულ სხვაა.

— უფრო ახალი წლის წინ დაიფიცებენ ხოლმე.

— აი ვნახოთ, ახალი წლის წინ ჯერ არ დამიფიცია...

— ათასი კაცი ცხოვრობს ამ შენობაში. ერთმა შარშან ცოლს შევეურთღებო, დაიფიცა.

— ახალ წელზე დაიფიცა?

— ჰო.

— მერე?

— ფიცისტეხიები ხართ ყველანი.

— არა, დეიდა თამარ, ნახავთ, ხვალღიდან ნახავთ!

— ვნახოთ, ვნახოთ...

სიდერტიანთ საახალწლო სუფრა ხო-

რავს დაეზნიქა. ცივად მოხარშულ ღებლებსა და ინდაურებს ზეცისაკენ აღეპყრათ ხარშვისაგან ჩახვლეწილი ბარკლები. თართი, ზუთხი, ოჩხისა და დინამიტის თევზი, ხიზილალა ნაცრისფერი, ხიზილალა წითელი, ხიზილალა შავი, ქარვისფერი თუშური ყველი და სულგუნი. ნაირ-ნაირი პაშტეტები და კუმშაქეული, საცივი და ღომი, იმერული კუბატები, მუქუქები, წითელი ბოლოკის ქამაში გართული შებრაწული გოჭი, გრძელი შოთები, გოზინაყი და ჩურჩხელები, ათსგვარი ხილეული, ნამცხვარი, მშრალი და შამანური ღვინოები, ვერსაშოვნილი ქართული სამარკო კონიაები და ლიმონათები. ხალხითა და საქმელ-სასმელით დაზვინულ სიკეთეს პაპიროსის ლურჯი ბოლი ადგა თავს. ამ საერთო ღრუბელს ჩემი გრძელტარიანი თეთრი სიგარეტის ბოლის წვრილი ნაკადი უერთდებოდა. ჩემი მეუღლისა და დედაჩემის გარდა, ყველა წევდა.

— სიძე-ბატონი ახალი წლიდან უარს ამბობს სასმელსა და თამბაქოზე, — გამოაცხადა სიდერმა და მოქაჩა.

— ოჰო, ევ ვაუკაცობაა, — კვერი დაუტკრა სიდერს მისმა უფროსმა და პაპიროსი მოქაჩა.

— დაპირებით მეც ბევრჯერ დამპირებია, მაგრამ...

აღარ დაამთავრა სათქმელი სიმამრის მეგობარმა.

— ვნახოთ — ჩავილაპარაკე ხმადაბლა, მაგრამ გაიგონეს.

— ვნახოთ, ყმაწვილო, ვნახოთ, — თქვა ჩვენი პაწაწა გაზეთის რედაქტორმა, რომელსაც ლოყა ლოყაზე მილასტვოდა მეტი მოქაჩვით.

— ვნახოთ, — ჩავილაპარაკე ახლა უფრო ხმადაბლა და საათზე დავიხედე. ხუთი წუთიდა აკლდა თორმეტს. ბოლო სიგარეტი ახალი დაწყებული მქონდა. ავიღე და მოვქაჩე. ისეთი ბოლი დავცხე სუფრის გაღმა მსხდომთ, რომ კარგახანს აღარ გამოჩენილან.

— არა, ცოტა ღვინო კი უნდა დალიოს ქართველმა კაცმა ამხანაგებში, — დასძრა სიტყვა სიდერის უფროსმა და

პაპროსი დაფერფლა საცივიან თეფშზე. საუზმის თეფშები ნამწვავებით ჰქონდათ საესე.

— საერთოდ, ნებისყოფის ამბავია, — თქვა ერთმა და მოქაჩა.

— რა თქმა უნდა, ნებისყოფის ამბავია, — კვერი დაუკრა მეორემ და გაზის მინიატურული ასანთი დააკვესა პაპროსის მოსაკიდებლად.

— ახალგაზრდა კაცს არ უნდა გაუჭირდეს, — თქვა ჩემმა უფროსმა და კვლევი მიაწურა ლოყები ერთმანეთს.

— მიირთვით, ბატონო ბაგრატი! — თქვა სიგარეტგაჩრილმა ჩემმა სიდედრმა და თავის უფროსს საცივი გადააწოდა. სიგარეტს გრძელი ფერფლი მოერდვა და საცივში ჩაიხანა.

— ოი, ღმერთო მომკალი. — დაიძახა სიდედრმა.

— არა უშავს რა, ახლავე ამოვფხიკავთ. მარჯვენა მხარეს ჩაეცა. ჩანს კიდევ, — უფროსმა კოვზით ამოწმინდა ფერფლი საცივიდან და ორი-სამი კოვზი საცივიც გადაიღო.

— თორმეტი ხდება, თორმეტი! — დაიძახა ჩემმა მეუღლემ და ყველამ საათებზე დაიხედა.

— აბა ჩქარა, აბა შევავსოთ.

— შევავსოთ, შევავსოთ!

მე კიდევ მოვქაჩე და მძაფრად ვიგრძენი თამბაქოს ოცი წლის სიყვარული.

გილოცავთ ახალ, ათას ცხრაას სამოცდა შვიდ წელს, იხარეთ და იბედნიერეთ, შრომაში გამაჩრვება, ცხოვრებაში წინსვლა...

გვილოცავდნენ რადიოში ახალ წელს.

— მრავალს დაესწარიო!

— ჯანმრთელად და ბედნიერად!

— საქმეში წინსვლა! — ატყდა მილოცვ-მოლოცვა ჩვენს სუფრაზე. გაციისკოვნიერბული მაგიდის წევრები ჭიქებს ჭიქებზე სცილდნენ.

ჩემი თეთრი გრძელყელიანი და გრძელტარნიანი ბულგარული სიგარეტი ნახევრად იყო დამწვარი. ლურჯი ბოლი ამოდიოდა საფერფლიდან. რა უცნაური ქალაქია. არ ქრება, ვიდრე ბოლომდე არ ჩაიწვის!

ახალი წელი უკვე მაგიდის ბატონ-პატრონი გამხდარიყო. ძველი წლიდან ახალში გადმოყოფილი თეთრი, ბულგარული სიგარეტი უტუჩოვ იფერფლვებოდა. რატომღაც მიმძიმდა მისი ჩაქრობა.

## "სუფრაზე სიყვარული"

### მოთხრობა

ახალი დანიშნული იყო ამ თანამდებობაზე, როცა კბილი ასტიკვდა. ადრეც აწუხებდა, მაგრამ ასე არასოდეს შეულონებია. თათბირზე მაინც თქვა სიტყვა, სოფლის მეურნეობის მუშაეებს მიულოცა დიდი წარმატება...

ტკიოდა, კლავდა ტკივილი. სარკეში არ ჩაუხედავს, მაგრამ გახურებული ლოყა თვალს რომ მიაწვა და მხედველობის არე დაუეწიროვა, მიხვდა, რომ საქმე სერიოზული იყო. ზარი დარეკა, მდივანი შემოცქრაილა. ხმის ამოუღებელი

ანიშნა ლოყაზე და ქალიშვილმა სოლიანი, თბილი წყალი შემოთურბენინა. დიდხანს ირეცხა პირი სოლიანი წყლით და კაბინეტში რომ შემობრუნდა, მეორე მოადგილე და ორი განყოფილების გამგე დაუხვდა.

— დავრეკეთ, არჩილ ვასილიჩ, — გაუღიმა ერთმა.

არჩილი არ იყო ჩვეული მამის სახელით მოხსენიებას და ეჩოთორა.

— კბილის კლინიკაში გელოდებიან, არჩილ ვასილიჩ, — გაუღიმა მეორე მო-



ადგილემ და სოდით შეფეთილი ჭიქის ჩამორთმევა დაუპირა. არჩილმა არ დაინება, თვითონ დადგა ჭიქა ლამაზზე.

— რატომ შეწუხდით?! — ცალი ყბით თქვა არჩილმა, მეორე არ გაუნძრევია.

— როგორ გეკადრებათ, კბილია!

— ერთხელ კედელზე მაცოცა, — თქვა მეორე მოადგილემ.

— დაბადება მაწყევლინა, როგორ გეკადრებათ, — თქვა განყოფილების გამგემ.

— საშინელი სიცხე მომცა, თქვენ ხომ არ გაგვიზომიათ, არჩილ ვასილიჩ?

— არა, მაგრამ არა მგონია, — ამჯერად ისე აღარ შეუკრთია არჩილი მამის სახელს.

— როგორ გეკადრებათ, არჩილ ვასილიჩ, ვერაგი რამაა კბილი...

— უნდა გაგეზომათ, ანთების ამბავია, ხუმრობა არ უყვარს...

— გავიგე, — კვლავ ცალყბად თქვა არჩილმა.

— თუ არ გამოუტყდია კაცს, ჰგონია, კბილი არაფერიაო.

— მტრისას მეგის გამოცდა! — თქვა დროულმა განყოფილების გამგემ.

— მეგონა, ფოლადს გავკენეტ მეთქი, — სალი ყბის მხრიდან გამოსცრა არჩილმა.

— მტრისას, რასა ბრძანებთ, არჩილ ვასილიჩ! — ჩაერია მეორე მოადგილე. ტელეფონმა დარეკა, არჩილმა მილი ჩვეული მოძრაობით აიღო, მარჯვენა ლოყას მოარიდა ყურმილი და მარცხენაზე აიფარა მარჯვენა ხელით.

— უნდა მიბრძანდეთ, არჩილ ვასილიჩ, გადადება არ ივარგებს, კბილია, — გაისმა ყურმილში პირველი მოადგილის ხმა.

— ვნახოთ, თუ მიკითხონ, ნახევარ საათში აქა ვარ, — ცალყბად გაუპასუხა არჩილი.

განყოფილების გამგეებმა ერთდროულად გააქნიეს თავი. არჩილმა მილი დადო და მათ გადახედა.

— მაგ დროში ვერ ჩაეტყვით, კბილია, არჩილ ვასილიჩ, — თქვა ერთმა.

— მტრისას, არჩილ ვასილიჩ, ვერ

ჩაეტყვით, — დაუდასტურა მეორე გამგემაც.

— მარილი პარკით, — თქვა მოადგილემ.

— ნახევარ საათში დაებრუნდები, — კვლავ ცალყბად გაიმეორა არჩილმა და კარადა გამოალო პალტოსათვის.

— ბურღი აღბათ ჯერ არ მიგიკარებიათ, არჩილ ვასილიჩ, — ჩაება მოადგილე.

— პირველ ზრამქსზე აქტივისტებს ვხელმძღვანელობდი...

— ეგ ვიცით, არჩილ ვასილიჩ, მთელი მშენებლობა თქვენ კისერზე გადადოდა... კბილის ბურღზე მოგახსენებდით...

არჩილმა თავი გააქნია:

— ასე მეგონა, ფოლადს დავკენეტავ მეთქი... — ჩაილაპარაკა. ტკიოდა.

— ვერაგია, ყველას აგრე გვეგონა თავის დროზე...

— კირკიტ კაკას ვლევდი ძირის კბილებით, ახლა კი, — თავის ქნევით თქვა დროულმა გამგემ და მთლიანი პროტეზი ააჩხარუნა:

— შეიღებმა მითხრე, ახია შენეყო...

შვილიშვილებიც ახია, ახიამ მეუბნებიან. იმამ გონიამ შულ ახალგაყრდები იქნებიან, — წაიჩიფრიათა განყოფილების გამგემ და კვლავ ჩაიდგა პროტეზი. ბებრული ნაოჭები გაუქრა. არჩილი გამოვიდა, მოადგილე და განყოფილების გამგეებიც გამოჰყენენ, გამოაცილეს. სხვა თანამშრომლებიც შემოემატნენ დერეფანში, მათაც ჩააცილეს კიბეებზე...

— ყველაფერი რიგზე იქნება, არჩილ ვასილიჩ!

— თქვენ თავს მიხედეთ, არჩილ ვასილიჩ!

— მთავარია განიკურნოთ, ორი-სამი საათი რა ბედენაა, ორ-სამ დღესაც თუ საჭირო იქნება ფეხზე დადგებით. სამაგიეროდ განახლებული ენერჯით შეუდგებით საქმეს.

— ამოღებაც რომ იყოს, არაფერია, ნოვოკაინის ანისტეზია და მორჩა!

— ცხელ მარისს არაფერი აჯობებს, არჩილ ვასილიჩ, აი ნახეთ, თუ ექიმებმაც აგრე არ გირჩიონ, ვიდრე ანთებითი



პროცესი გაივლიდეს. შემდეგ კი ბურლი, მკურნალობა, პლომბი, გვირგვინი...

— ანეშტეჟია, ანეშტეჟია! — ახლა უკვე ანგლობის მიზნით ააჩხარუნა განყოფილების გამგემ პირში მთლიანი პროტეზი.

მანქანა დაიძრა.

— კბილის ტკივილის დროს არაყ არაფერი ჯობია, შინაური, ორნახადი. სუ არაყ ვლემ ხოლმე, როცა მამივლის, — თქვა შოფერმა და სტომატოლოგიურ კლინიკის ეზოში შეასრიალა ცინცხალი „ბოლგა“.

არჩილი გადმოვიდა. კლინიკის ნახევარწრიული შუშბანდის თითქმის ყოველი შუშა დეკაგებული ჰქონდათ ექიმებსა და ექთანებს, ტენიკოსებსა და კბილის ოსტატებს, ყველა ცნობისმოყვარეობით ათვლიერებდა ახალ ხელმძღვანელს. მანამდე არჩილი რაიონში მუშაობდა. მართალია, იქაც საკმაოდ დიდი თანამდებობა ეკავა, მაგრამ ქალაქი მაინც ქალაქი იყო.

სტომატოლოგიური კლინიკის გამგე, ნადრევალ შედიბული ახალგაზრდა კაცი, მისი კომპლექციისათვის გაუგონარი სისწრაფით ჩამოგრიალდა კიბეებზე: შორიდანვე მიესალმა და არჩილის ხელს გაუშტერა თვალი. არჩილიმაც არ დაუყოვნა ხელის წამორთმევა. რომელიღაც უცხოური ფილმის სადღესასწაულო მარშის ჰანგი ჩაუდგა ყურებში არჩილს. გაუკვირდა, რამ გამახსენა ამ ტკივილშიო.

— რატომ წუხდებოდით, — მარცხენა, უმტკივნეულო ყბა ამოძრავა არჩილმა. კბილის ტკივილი წუთი-წუთზე მატულობდა და გულს უღონებდა.

— როგორ გეკადრებათ, არჩილ ვასილიჩ.

— ამან სადღა ჯანდაბაში მიაგნო მამაჩემის სახელს, — გაიფიქრა არჩილმა და აკვიტებული საზეიმო მარშის ჩახშობა სცადა, მაგრამ ვერას გახდა.

— რას ბრძანებთ, აქეთ, აქეთ მობრძანდით, არჩილ ვასილიჩ, — მეორე კარში შეიპატოჟა გამგემ, — ჩვენ ვიფიქრეთ, უფრო სწორად, ჩვენ გადავწყვი-

ტეთ, თუ სიცხიანი ტკივილები გაქვთ, ადგილზე გიმკურნალოთ, ცივი ჰაერი არ უნდა მოხედეს კბილს...

— ასე მეგონა, ფოლადს გავკვნიტ მეთქი, არასოდეს არ მიფიქრია. როდისღაც წამომიარა, მაგრამ ასე არა. ოჰ, — მორიდებულად წამოიგმინა არჩილმა და სავარძელში ჩაჯდა.

ექვსი წყვილი თვალი შეძვრა ერთ პატარა ფულუროში. რაღაცას თათბირობდნენ, ლათინურად, რაღაცას ბუობდნენ.

— რა ნახეს ნეტავი საამისო, — გაიფიქრა არჩილმა და მეორე თვალზე მიხუტა: ძნელი იყო ეგზომ გადაჭარბებული ყურადღების გაძღვმა. ლათინურ დიალოგებს დრო და დრო სიიდანაც შემოჭრილი ყვირილი არღვევდა. ჩანდა, ვიღაცას კბილსა სდღღებდნენ მეზობელ ოთახში.

— ულტიმა რაციო!

— დურა ნეცესიკას!

— ვოლენს-ნოლენს! — ესმოდა ლათინური სისინ-შიშინი თვალბმილულულ არჩილს. კვლავ იკივლა ვიღაცამ მეზობელ ოთახში, კივილი ამოდდა, შემდეგ განაზღა, გაწვრილდა და ბოლოს სრულიად გააქტა. ცოტა უკლო ტკივილმა არჩილს.

— სალუს ეგროტი, სუპრემა ლექს!

— ნატურა სანატ, მედიკუს კურატ მორბის!

— უბი პუს, იბი ევაჟუა, ულტიმა რაციო!

— ერთი კვირის მკურნალობაა საჭირო, — გაუღიმა კლინიკის გამგემ,

— სათანადო დანადგარს გადმოვიტანთ და იქვე, არჩილ ვასილიჩ...

— სად იქვე?! — გაოცდა არჩილი.

— მერე და რა მოხდა, მოვალენი ვართ, მედიცინა, უზადო სამსახური, ვოლენს-ნოლენს... ჩვენთვის ეს ყველაფერი იოლია, სპეციალური მსუბუქი ავტომანქანა გვაქვს, სათანადო სამკურნალო დანადგარით მოწყობილი, ვირიბუს უნიტის...

— რას ამბობთ, კიბეზე ხომ ვერ ამოვა? — მეორე ლოყა აეწვა არჩილს.

— სინდაქტილუს სკაბიეს, უგრძესი

კაბელი გვაქვს, უხერხული რომ არ იყოს, აქედანაც კი შეიძლება, სერუმ სეცესია. ერთი სიტყვით დღეს სოდიანი თბილი წყალი, საღამოზე ჩვენც გვახლებით, დანადგარი, მედიკამენტები, მთავარია სითბო. ცხარე-მწარეზე თავის შეკავება მოგვიწევთ, არჩილ ვასილი, ვოლენს-ნოლენს, დურა ნეცესიტას, ყოველგვარი თანამედროვე აპარატურა, შესანიშნავი სპეციალისტები, ჩვენი მოვალეობა...

— საკრამენტო! — რატომღაც თქვა მარცხენა, უმტკივნეულო ყბით არჩილმა და მანქანაში ჩაჯდა. ჯერ კიდევ არ იცოდა ახალი ქალაქის ქუჩები და უფრო იმიტომ ჩაჯდა მანქანაში, თორემ არ ჩაჯდებოდა. მეექვსე საათი დაწყებულიყო, კვლავ მოუარა ტკივილმა.

— საკრამენტო, დურა ევაკუა! ულტიმა რაციო, ვოლენს-ნოლენს, საკრამენტო!

შოფერმა გაუგებრად მიაბრუნა თავი არჩილისაკენ.

— შინ! — მოკლედ თქვა არჩილმა, სამუშაო დამთავრებული იყო და სამსახურში მისვლას აზრი აღარ ქონდა.

— კბილის ტკივილის დროს არაყ არაფერი ჯობია. შინაური, ორნახადი... სუ არაყ ვლემ ხოლმე, კბილი რომ მაიმვილი! — ჩაილაპარაკა თანავარდობით შოფერმა, როცა არჩილი მანქანიდან გადმოვიდა.

— ნახვამდის, — ძლივს გამოსცრა ტკივილისაგან გაბრუებულმა არჩილმა და სახლის კიბეებს შეუყვია. ადიოდა, თან გასაღებს ეძებდა ჯიბეში. ცოლშვილი ჯერ არ ჰყავდა ჩამოყვანილი ახალ ადგილზე და ბინაში მარტო იყო.

კარი ჯერ გაღებულიც არ ჰქონდა, რომ ტელეფონის გაბმული ზარის რეკვა შემოესმა. გასაღები არც გამოუძრია, ისე მივიდა ტელეფონთან. ყურმილი ჩვეული მოძრაობით მარჯვენა ხელით აიღო, თუმცა მაინც მარცხენა ყურთან მიიტანა. განყოფილების გამგე ურეკავდა შინიდან: მკურნალობამ ხომ კარგად ჩაიარა, ტკივილმა ხომ გიკლოთო, — ეკითხებოდა განყოფილების გამგე.

— გვირგვინიშ გდაცვირშ დროშ დაციანებული კბილიშ ვაქლიბევა ჩოტა უშიამოენოა, უფრო შქორად არაშაშიამოენო მოვლენაა, — ჩიფჩიფებდა ყურმილში განყოფილების გამგე. ჩანდა, პროტეზი გამოღებული ჰქონდა და იმიტომ ჩიფჩიფებდა...

მერე ხელ-პირი დაიბანა არჩილმა. ნატკენ ლოყაზე არ შეუსხამს წყალი. სარკის წინ იმშრალებდა სველ პირი-სახეს, თან შესიებულ ყბას აკვირდებოდა.

კვლავ აწკრიალდა ტელეფონის ზარი. ახლა უკვე სხვა განყოფილების გამგე ურეკავდა:

— კლინიკაში ვრეკე, მაგრამ უკვე წასული ბრძანდებოდით. ისე კი ვიკითხე თქვენი მდგომარეობა, საშიში იმდენი არაფერია, მტკივნეულია, მაგრამ ამ ტკივილებისაგანაც მალე დავიხსნითო. მითხრეს, ოღონდ ანთებამ უკლოს, ყველა ღონეს ვიხმართო. ამ დღეებში თქვენი გარედ გამოსვლა მიზანშეწონილი არაა, მითუმეტეს, ტემპერატურაც გქონიათ აწეული. დარდი ნუ გაქვთ, ყველაფერი რიგზე იქნება ჩვენთან.

არჩილმა მილი დააგდო, დაღლილი იყო ამოდენა ალიაქოთით: ახალი თანამდებობა, ახალი ქალაქი, ახალი ხალხი, მერე ეს ოხერი კბილიც დაერთო...

ყმაწვილობაში დათვის ხაფანგში გაება ნადირობისას. იშვიათი იყო მათ მხარეს ხაფანგით მონადირეობა და ამიტომაც ჩავარდა, არ ელოდა. ერთიანად დაუჩინჩხა ფეხი ხაფანგის მარწუხებმა. მთელ დღეს ეწვალა, ვიდრე ვინმეს მიაწვდიდა ხმას. და მაშინაც კი არ დაღლილა და არ დაცემულა ასე. გვიან საღამოზე გამოხსნეს ხაფანგიდან. საავადმყოფო, დაღეწილი ძვლების წესრიგში მოყვანა, თაბაშირი, მთელი სამედიცინო დავიდარაბათა სერია. ფეხი კი მოურჩა, მაგრამ ალბინიზმს მაინც შეეშვა, თანაც საპასუხისმგებლო პოსტზე დაინიშნეს იმ ხანებში...

კიდევ დარეკა ტელეფონმა, ახლა მოადგილე ურეკავდა: „გარედან დახმარება გეჭირვებათ და ნახევარ საათში მანდ გაჩნდებით მცირე საუზმეულითო“.

კინალამ ერთი კარგი „დედავატირე“ დააყოლა მოსაუბრეს, მაგრამ თავი შეიკავა. ლოგინი გათხარა და ჩაწვა. კიდეც დარეკეს, ამქამად უკვე მდივანი გოგონას დამტკბარი ღუღუნნი გაისმა ყურმილში: „მოხარშული კვახის ბუძუნძლო და კომშის გული ერთად არეული უება-რი ყოფილა, გინახულებთ თუ არ შეწუხდებით, თან ამ შინაურ მალამოსაც მოვართმევით“...

ისევ ჩაწვა ლოგინში. კვლავ აწკრი-ალდა ტელეფონი. მერე კიდეც დარეკეს, მერე კიდეც. ახალი ნაცნობებისა თუ თანამშრომლების სახეები ერთმანეთში აერია არჩილს...

კიდეც რამდენჯერმე დარეკეს, მერე კიდეც, მერე კიდეც: ეკითხებოდნენ, ურჩევდნენ, თანაუგრძნობდნენ.

და გადაიჩრია ახალი კაცი ახალ ქალაქში.

ფანჯრის მინაზე რაღაც აკაკუნდა. მიიხედა, მახარობელი ასკვებოდა შუშას. კბილის კლინიკის გრძელი კაბელი გაახსენდა რატომღაც. კიდეც დარეკეს და გადაიჩრია. წამოხტა. ტელეფონისაკენ აღარც გაუხედავს, ისე მივიარდა შემო-

სასვლელთან მიყრილ-მოყრილ ბარგს. ალბინისტური კაპრონის თოკს ერთი წვრილი წვერი გამოათართა. ხელდახელ სცადა, ვერ მოწყვეტა, ხელისგული ჩააჭრა უწყვეტელა ძაფმა. დანით გადაჭრა ძაფი არჩილმა და სარკის წინ გაჩერდა პირდაღებული და გოგნებულის. მტკივანი კბილი მოძებნა და კაპრონის ძაფის ყულფი ღრძილებამდე ჩააცვა მტკივნეულ ძირის კბილს.

ტელეფონი გაბმულად რეკდა. თოკი მეორედ გადაანასკვა კბილს. უცხოური ფილმის აკვიატებული ხმა სადღაც გაუქრა. „ლილეო დაა...“ კარის სახელურს გამოაბა ძაფის მეორე ბოლო.

— საკრამენტო — ევაკუა — დურა! — ორივე ყბით თქვა არჩილმა და კარს ფეხი ჰკრა. ძირფესვიანად ამოდღლეძილი კბილი საათის ქანქარასავით ათარეშდა მარცხნივ და მარჯვნივ სამზარეულოს კარზე. ერთბაშად იგრძნო შვება. სარკის წინ იდგა არჩილი და იღიმებოდა. თანაბარი, თეთრი კბილების წყება ელავდა სარკეში. ღიმილით ვაპობილი ტუჩი ფითლად ეღებებოდა...





# მსჯელობა

## მოთხრობა

დამწყები ჟურნალისტი, პავლე ჩალიჩავა ერთ ინდუსტრიულ ქალაქში ნარკვევის დასაწყებად გააგზავნეს. ნარკვევი ერთმა ავტორიტეტულმა ჟურნალმა დაუყვეთა და ახალგაზრდა ჟურნალისტი საქმიანად მოეკიდა ამ ამბავს. პავლემ ინდუსტრიული ქალაქის ქარხნები მოიარა. იმდენი რამ ნახა, შთაბეჭდილებებს თავი ვეღარ მოუყარა და თავში ყველაფერი აერდაერა. მართალია, დრო წინ იყო, მაგრამ პავლე იმთავითვე ფიქრობდა, რით დავიწყოვ. აი კითხვა, რაც მას აწუხებდა.

ზაფხულის მშვენიერი დღე იყო. პავლე მარტო დაეხეტებოდა ვიწრო ქალაქის აბურდულ-დაბურდულ ქუჩებში, რომელთა ასავალ-დასავალი ვერაფრით გაარკვია. ღამის მატარებლით აპირებდა დედაქალაქში გამგზავრებას, საქმე მოემთავრებია და დაღამებამდე რა უნდა ეკეთებინა, არ იცოდა. დინჯად და დაკვირვებით ათვალთვრებდა მღაზიების უგემოვნო ვიტრინებს, დაწესებულებების აბრებს და დაბალი, ქვის შენობების ფასადებს. ბოლოს „კეთილმომსახურების კომბინატში“ შეაბოტა. წინადლით საათი გაუჩერდა და იფიქრა, საქმეს მოვითავებ და დროსაც მოვკლავო.

დიდთავა მესაათემ დაკვირვებით გა-

სინჯა პავლე ჩალიჩავას მაჯის საათი. თავი გააქან-გამოაქანა და მუშტარს ურჩია: ცოტა გაისეირნე, ნახევარი საათის მერე მომავითხე თუ არ გეწყინებაო. ამ წინადადების უარყოფა პავლეს არც უცდია და, რადგანაც წყენითაც არაფერი წყენია, მესაათეს წამოეხსნა და ფართო, ნათელ ვესტიბულში გაიარ-გამოიარა.

„კეთილმომსახურების კომბინატის“ შენობას, რომელსაც ჩვენ აწ სახელოსნოს დავუძახებთ, შესანიშნავი ადგილმდებარეობა ეჭირა. მისი შუშის კედლებიდან მშვენიერი სწორი ქუჩა და ქალაქის მოედანი მოჩანდა. მოედნის იქით დეკორატიული ბაღი და დაბალი, ქვის გალავანი იყო.

ღღის ფერთმეტი საათი იქნებოდა. მოქალაქენი საშოგარზე და სამსახურებში იყვნენ გაკრფილნი. გვარიანად ასიცხებულყოფი და ქუჩაში კანტი-კუნტად მიმავალი მგზავრები თავზე გაეცილ გაზეთს იფარებდნენ.

სახელოსნოში გრილოდა. პატარა აუზში წითელი თევზები დაეკრავდნენ. ხის ბარიერს იქით ხელოსნები ისხდნენ და მღუმარად მუშაობდნენ. ორი მესაათე, ერთი დიდთავა და მეორე ჩვეულებრივთავიანი, ალბათ თვალები რომ არ ტყენოდით, ხის ბარიერს იქით, შუშის კე-

დელთან ისხდნენ; მხოლოდ ერთმანეთს კარგა მანძილით იყვნენ დაშორებულნი. სახელოსნოში რაღაც საოცარი სიმყუდროვე იყო, მითუმეტეს, როდესაც საათების ტიკ-ტიკი, ჩაქუჩების რაკუნის და მოზრდილ გალიაში მოფრთხილავ სა-მოთხის ჩიტების ხმაც ისმოდა. თუ ადამიანები და თანამედროვე მანქანები არ ხრიანებენ, სიჩუმეს, როგორც ჩანს, ძნელად თუ რამე დაარღვევს.

დიდთავა მესაათე თვალზე მიკრული გამადიდებელი შუშით რაღაც უპატარავს მექანიზმებს ალქიმისოვით ჩაპკირკიტებდა. მაგიდაზე შუშის ცილინდრისებური კოლები იდგა, კოლებში რძისფერი სითხე ბუცბუცებდა. სითხეში რაღაც უცნაური მექანიზმები ტრიალებდნენ, კედელზე ძველთაძველი, დიდი საათების ქანქარები ქანაობდნენ.

მესაათის გვერდით ვიღაც წვეროსანი მოხუცი თვლემდა. მოხუცი უზურგო სკამზე იჯდა და თავკისრით შუშის კედლას ჩარჩოს მისწოლოდა. კრაველის ძველთაძველი ბოხობი თვალეზამდე ჩამოეფხატა.

პაველ ბეჭით სახელოსნოს დედაბოძს მიაწვდა და იქაურობა დაკვირვებით მიათვალ-მოათვალიერა. სახელოსნოში გრილოდა. სწორი ქუჩა და მოედანი შუქ-ჩრდილებით იყო აჭრელებული. პაველს ეჩვენებოდა, თითქოს ყველაფერი გამჭირვალე აკვარიუმში იყო ჩადგმული.

ქუჩაში ვიღაც გლეხმა გაიარა. გლეხს ორი უზურგო სკამი მოჰქონდა. ერთი ზომაზე დიდი იყო, მეორე ზომაზე პატარა, ჯორკოსსგავსი. დიდი სკამი ბეჭზე ჰქონდა ჩამოკიდებული, პატარა ხელში ეჭირა. თავზე ხამის, ფაფანაკივით ქელი ეხურა. ნელა, თითქოს უღარდელად მოდიოდა.

მალალი ტანის მეწაღემ ფეშტემალი შეიბრუნა, ხის ბარიერიდან გამოვიდა, სახელოსნოს კარი გამოაღო და მისი აგებულებისათვის საკმაოდ შეუფერებელი წერტილი ხმით დაიძახა:

— ოსტატო!

გლეხმა მოიხედა, თუმცა თავის დღეში არ უფიქრია, თუ ოსტატი იყო.

— მოდი აქ, მოდი! — მეწაღემ გლეხს ხელი დაუჭინა და სახელოსნოში შებრუნდა. თუ გლეხი მის რჩევას ყურს არ ათხოვებდა და წავიდოდა, ეტყობოდა, მეწაღე ბევრს არაფერს დაჰკარგავდა, მაგრამ გლეხი მობრუნდა და სახელოსნოშიც შემოვიდა. ხამის ფაფანაკი მოიხადა, ხელოსნებს მიესალმა და სკამები იატაკზე დადგა. სკამები ახალი გათლილი და შეჭვდილი იყო და ფიჭვის სასიამოვნო სუნით ასდიოდათ.

— როგორ ჰყიდი, ოსტატო? — ჰკითხა მეწაღემ.

გლეხს აღარ მოეწონა, ისევ ოსტატი რომ დუძახეს, იფიქრა, ხომ არ დამცინიანო, მეწაღეს ფეხებიდან ახედა და წყნარად თქვა:

— ეს დიდი ხუთი მანეთი ღირს და ეს პატარა ორმანეთნახევარი!

მესაათის გვერდით მთვლემარე მოხუცმა ცალი თვალი გაახილა, ბოლოს წელშიც გაიმართა და ბოხობიც გაისწორა. პატარა ტანის გლეხი მოხუცს მიაჩერდა. მოხუცმა გლეხს შეხედა და ძალიან ხმაძალა ჩაახველა. გლეხი შეკრთა და მოხუცს თვალი მოაშორა.

— რა ამბავია, შე კაი დედამამიშვილო, ხუთი მანეთი? — უთხრა მეწაღემ გლეხს.

— ასეა და, თუ არ გინდა, ნუ იყიდი, კი არავინ გაძალებს! — უპასუხა გლეხმა.

— სამ მანეთს მოგცემ! — უთხრა მეწაღემ.

— არა ბატონო...

— მეტი არ ღირს, კეთილო! — დაიძახა ქოსა გამომჭრელმა, რომელიც თავაუღებლად მუშაობდა ბარიერს იქით. მარცხენა ხელის მტევანზე ტყავის ნაჭერი ჰქონდა შემოხვეული, მუხლებზე მუხის ფიცარი ედო, აპრილებულ დანას წყალში ასველებდა და რეზინის სქელ ფურცელს მადიანად, ფელამუშივით ჰჭრიდა. გლეხმა გამომჭრელს შეხედა, მაგრამ ხმა არ გაუღია.

— გინდა სამი მანეთი? — აგდებულად იკითხა მალალი ტანის მეწაღემ; გლეხს აგრძნობინა, ესეც ზედმეტია, რასაც გაძლეო.

გლენმა თავის სკამებს ხელი დაატანა და წასვლა დააპირა.

— მოიცა, მოიცა... — დაიჯღანა მეწაღე; ჯობიდან პატარა საფულე ამოიღო, გახსნა, დაკეცილი მანეთიანები გაშალა და ერთმანეთზე დააწყო. გლენმა სკამები ისევ ძირს დაალაგა და მეწაღეს მიაჩერდა.

— აბა, მომატყუე, გამძარცვე, მაგრამ ალალი იყოს შენზე! — თქვა მეწაღემ, გლენს ხელი გაუშალა და შიგ ფული ჩაუღო. გლენმა დაკმუქნილი მანეთიანები გაშალა, მშვიდად გადათვალა და მერე ისევ პატრონს დაუბრუნა.

— აქ ოთხი მანეთია!

— აბა, მეტი რა გინდა!? — კიდევ უფრო დაუწვრილდა ხმა მეწაღეს.

— შე კაი კაცო, ეს სკამი კი არ მიპოვია, ოთხი მანეთის მართო მასალაა და ჩემი ხელობა არაფერი ღირს?

— აბაჰს დაგიმატებ მაშინ და, ის იქნება!

— არა, ბატონო...

— გაყიდვა არ გდომებია და რა გიყო... — თქვა მეწაღემ. პატარა საფულე გახსნა და მანეთიანები აუჩქარებლად, საგულდაგულოდ ჩაალაგა.

— მიეცი რასაც გთხოვს, თუ არა, მოგაყოლებ გამხმარ თავში! — საკმაოდ ბოხი ხმით დაიძახა მოხუცმა, რომელიც ცოტა ხნის წინ სკამზე თვლემდა.

— რაც არა მაქვს, რა მივცე! — უთხრა მოხუცს მეწაღემ და საფულე დაკეტა. სახელოსნოში გარკვევით გაისმა საკეტის ხმა, ტკაპ!

— გამჩენმა არ მოგცეს თუ არა გაქვს! — უთხრა მოხუცმა, სქელი წვერი ჩამოიფარცხა და წამოდგა. იგი უფრო ახოვანი აღმოჩნდა, ვიდრე მოსალოდნელი იყო.

ქოსა გამომჭრელმა, რომელიც სქელ რეზინის ფურცელს ანაწილებდა, ხელსაწყოები დაზგაზე დაალაგა, ხელები დაიფერთხა და გლენს უთხრა:

— უფრო დიდი და მაგარი გამოიკეთე და ვიყიდი!

— უფრო დიდი და მაგარი აგერა

მაქვს! — უთხრა გამომჭრელს მოხუცმა და ჩექმის წვერი აჩვენა.

ბარიერიდან გამხდარი მექუღე გამოვიდა. პატარა სკამი ხელში აიღო, შეატრიალ-შემოატრიალა, ზევიდან დახედა, ქვემოდან ამოხედა, უყნოა კიდევ.

— ჰე! — უყვირა მოხუცმა.

— რა გინდა, კაცო, შენი? — დაიღრიჯა მექუღე.

— უ, შენი! — შეუბღვირა მოხუცმა.

— რა ღირს ესე? — ჰკითხა მექუღემ გლენს.

— ორი მანეთი და ნახევარი. — უთხრა გლენმა.

— მანეთნახევარი არ გინდა?

— არ მინდა!

— კიდევ კარგი, უარი რომ თქვი, თუ არა, შენ თავ გეფიცები მანეთნახევრის მომცემივ არ ვიყავი.

— ჩემ თავს ნუ იფიცებ, ნუ წუხდები! — უთხრა გლენმა.

— რამდენ აძლევ, იაშა დავარდნილო? — ჰკითხა მექუღეს ამხანაგმა, რომელიც სულ კუთხეში კედელთან იჯდა და ქულის სარჩულს ლამზავდა.

— მანეთნახევარს ვაძლევ და არ შევება? — უპასუხა „გაკვირვებულმა“ გამხდარმა.

— კარგი ფასია, ყიმაწულ გეფიცები! — მოუწონა ამხანაგმა.

— მიეცი, მიეცი... — ურჩია მეწაღემ.

— ვაი, რაფარი ბიჭი ხარ! — უთხრა მეწაღეს მოხუცმა, მერე გლენსიკენ მიტრიალდა და სწრაფად თქვა:

— მომეცი მაგ სკამი აქ! — მოხუცი დაიხარა, პატარა სკამი რატომღაც ზევით აწია, მერე უცბად ძირს დადგა და ზედვე დაჯდა.

— მე ვყიდულობ ამ სკამს... ესენი ხელოსნები კი არა, ვაჭრებია, ამათ გადაუშენდათ პატრონი!

— რათ გინდა ხახული ბიძია, მაგ სკამი? — ჰკითხა ქოსა გამომჭრელმა.

— რათ მინდა და დავჯდები ზედ და ვიქნები!

— აბა, ბინას დაგიდებ აქ! — ჩაილაპარაკა მეწაღემ.

— რას წრიბინებ, შე გაჭირვებულ-  
ლო! — უცბად იკითხა მოხუცმა, ელ-  
ვისუსწრაფესად ხალათის კალთა გადა-  
იწია და მარჯვენა ხელი ჯიბეში ჩაიყო.  
გვერდით შეტრიალდა და ჯიბეში ხელ-  
ჩაყოფილი მეწაღეს მიაჩერდა.

— კაი, კაცო, კაი...

გაიღიმა შეშინებულმა მეწაღემ.

ხახულიმ რაღაც ჩაილაპარაკა და ჯი-  
ბიდან მანეთიანები და ხურდა ფული  
ამოიღო. წვრილი ფული ხელისგულზე  
დაიყარა და დათვლა დაიწყო. ცოტა ნას-  
ვამიც უნდა ყოფილიყო და წვრილ-  
წვრილი ფული რამდენჯერმე გადათვა-  
ლა.

პავლე აქამდე ყველაფერს ღიმილით  
უყურებდა, მერე რაღაც გაახსენდა, მო-  
ტრიალდა და მესაათეს მიაკითხა. მე-  
საათე თავისი საქმით იყო გართული და  
პავლე ზემოდან დააჩერდა. ეგონა, ხე-  
ლოსანი ვერ ამჩნევდა, მაგრამ მესაათემ  
მოულოდნელად თქვა:

— იცი, მაგ ბებერი ვინ არი?

პავლეს ეგონა, სხვას ეკითხებოდა და  
პასუხი დააგვიანა. მესაათემ თავი აწია,  
პავლეს შეხედა.

— ვინ არის? — უცბად ჰკითხა პავ-  
ლემ.

— ხახული იოსელიანი არ გაგიგონია,  
ძველი ნაუბედურალი? მენშევიკების  
დროს ყაჩაღობდა! — მესაათემ თვალზე  
გამადიდებელი გაიკეთა და ისევ საათის  
მეჭანიზმს ჩააშტერდა.

— ყაჩაღობდა? — პირი დააღო ჩა-  
ლიჩავამ. არასდროს ამ კაცს ნამდვილი  
ყაჩაღი არ ენახა.

— კი, დამცემი იყო ოკრიბის ტლა-  
ხებში! — თქვა დიდთავა მესაათემ.

მესაათემ მოხუცებულს დასცინა, მა-  
შინ როდესაც თვითონ თერთმეტის ნა-  
ხევარზე ქუჩაში გამოსვლის ეშინოდა  
და სახლის კარს ღამით რკინის ურდუ-  
ლით და ხუთი საიმედო გასაღებით კე-  
ტავდა.

ხახულიმ როგორც იქნა დაითვალა  
ფული.

— ა, ეს ორი მანეთი და კიდევ რაღაც-  
რაღაცეები და წადი ახლა! — ხახულიმ

ფული მუჭში მოიმწყვდია და მერე  
გლესხ ხელის გულზე დაუყარა.

გლესმა მანეთიანი გაშალა, ხურდა  
ფულები კაკალ-კაკალ გადათვალა და ხა-  
ხულის უთხრა:

— აქლია ამას აბაზი...

— არ მაქვს მეტი და მომეშვი!

— ნაკლებად ვერ გავყიდი! — თქვა  
გლესმა და მოხუცს ფული უქანვე გაუ-  
წოდა.

— არ მაქვს მეტი, შე უპატრონო...  
ხომ ხედავ, ავტობუსის ფული აღარ  
დამჩნია... ზევით უნდა ავსულიყავი, ცო-  
ლი მყავს საავადმყოფოში, არ გამოიყ-  
ვანა გამჩენმა იქედან!

— ა, ხახული აბაზი! — დაუძახა მე-  
წაღემ და საფულედან აბაზიანი ამოიღო.

— გადაშავდი იქით! — უთხრა მო-  
ხუცმა.

— აბაზი თუ გინდა, აგერაა, ხახული  
ბიძია! — უთხრა ქოსა გამომჭრელმა და  
იმანაც აბაზიანი ამოიღო. მეჭუდებამაც  
ამოიღეს აბაზიანები და ხახულის გაუ-  
წოდეს.

ხახულიმ ოთხივენი შეათვალეირა,  
თვალეზი წაჭუტა; იფიქრა, იფიქრა და  
არც ერთს აბაზი არ გამოართვა. კარგად  
მიხვდა, ხელოსნები ამით ამცირებდნენ  
და თუ ფულს აიღებდა, ოთხივეს დიდ  
სიამოვნებას მიანიჭებდა.

— წადი ახლა და სხვა დროს გამო-  
იარე, აბაზს ხვალ მოგცემ! — უთხრა  
ხახულიმ გლესს.

— არა ბატონო, კაპიკს ვერ დავიკ-  
ლებ!

— ა, მაშინ შენი სკამი! — თქვა მო-  
ხუცმა და წამოდგა. გლესმა ფული მის-  
ცა. ფული ხახულიმ ჯიბეში ჩაიყარა და  
ძველ ადგილას, მესაათის გვერდით დაჯ-  
და. ბოხობი თვალებამდე ჩამოიწია,  
ზურგით შუშის კედლის ჩარჩოს მიაწვა  
და თვალეზი დახუჭა; რამდენჯერმე ხე-  
ლი გაიქნ-გამოიქნია. ალბათ გუნებაში  
ვიღაცას რაღაცაზე ედავეებოდა. შეიძლე-  
ბა, ფიქრობდა, რომ მიყვიდა სად უნდა  
წამედო სკამი, რომელიც სულაც არ  
მჭირდებოდაო.

გლესმა ერთი სკამი ბეჭუვ გადაიკიდა,



მეორე ხელში დაიჭირა და სახელოსნოდან გავიდა.

— რატომ არ დაგიკლო, ხახული ბიძია, აბაზი? — წვრილი ხმით ჰკითხა მეწაღემ.

— რატომ და ისიც კარგი ნაგავია, შენი არ იყოს! — უბასუხა მოხუცმა და ჩათვლიმა.

ხელოსნებმა თავთავიანთი საქმე განაგრძეს.

პავლე ბეჭით ისევ დედაბოძს მიეყრდნო. იგი ფიქრობდა ქარხანაზე, ეურნალზე, ჰონორარზე და არ იცოდა, რით და-

ეწყო ნარკვევი, რომელიც ფრიად ავტორიტეტულმა ეურნალმა დაუკვეთა.

სახელოსნოში გრილოდა. ვალიაში სამოთხის ჩიტები ფრთხილებდნენ. რაწყუნობდნენ კედლის ძველთაძველი საათები, ისმოდა მეწაღის ჩაქუჩის კაკუნნი.

გარეთ იყო მზე. სკამებიანი გლეხი შუა მოედანზე „უნებართვოდ“ მიდიოდა და უკან უცნაური ჩრდილი მიჰყვებოდა.

ხახული იოსელიანი თვლემდა და ესიზმრებოდა ძველი, დანჯღრეული მატარებლები.

## სკამებიანი

### მოთხრობა

ერთი ახალგაზრდა მეცნიერმუშაი, ტარიელ ღლონტი, დიდი ხნის განშორების შემდეგ სტუმარივით ეწვია მშობლიურ ქალაქს. გვიანი ღამე იყო და ტარიელი სასტუმროში დაბინავდა.

მაღალ, ფართო ფანჯრებს ალიონზე მოადგა მზე. ტარიელმა თვალები გაახილა თუ არა, მაშინვე მიხვდა, რომ მშობლიურ ქალაქში იყო. ფანჯრიდან ნაცნობი პაერი შემოდიოდა. შორს სუფთა, ლურჯი ცა ელავდა. ცაზე ერთი ღრუბლის ფთილა ეგდო. პირდაპირ მაღალი, მწვანით შემოსილი გორა მოჩანდა. გორაზე თეთრი საყდარი იდგა. ირგვლივ წითელი კრამიტით დახურული სახლები მიმოფანტულიყო. ტარიელმა სიმსუბუქე და თავისუფლება იგრძნო. ადგა და ფანჯარასთან გაჩერდა. მზე უკვე გვირიანად ამოსულიყო. იგი საღდაც სასტუმროს უკან იდგა. ქვევით სუფთა, ვიწრო ქუჩები ჩანდა. ქუჩებში მუხუბუქი მანქანები დადიოდნენ. წითელ-მწვანედ შეღებილმა ლამაზმა ტროლეიბუსმა რბილად და უხმაუროდ ჩაიარა და თვალს მიეფარა.

ახალგაზრდა მეცნიერმუშაი — ტარიელ ღლონტი აინტერესებდა, როგორ შეხვდებოდა ის ქალაქი, სადაც მან ბავშვობა, ყრმობა და სიჭაბუქე გაატარა. ზუსტად ათი წელი არ გავლო ამ ქუჩებში, არ ენახა ნაცნობი ადგილები და

აღამიანები. იმ ათ წელს, რომელიც მან თავის პირად ცხოვრებას, კარიერას და მეცნიერულ მუშაობას მოახმარა, რაღაც უშთაბეჭდილებობად, თითქოს სულ უაზროდაც ჩაეგლო. ფაქტიურად იმ ათ წელიწადში ვახდა „კაცი“ და მოიპოვა ის პატივი და სახელი, რომელიც სხვებისათვის სანატრელიც იყო. ტარიელს მაინც მოეჩვენა, რომ მთავარი და კარგი იყო ის, რაც აქ, ამ ქალაქში დატოვა.

ქალაქის ვიწრო ქუჩებში ჩვეულებრივად დადიოდნენ მოქალაქენი. მათთვის იმ დღეს არაფერი ახალი და უჩვეულო არ მომხდარიყო და ტარიელს უცხად შეეცოდა ისინი, რომლებიც სულ ასე ცხოვრობდნენ, არ მიდიოდნენ და დიდხნის შემდეგ არ ჩამოდიოდნენ.

სასტუმროს წინ ძველთაძველი ბაღისათვის ვალავანი შემოერთიბათ, თითქოს რაღაც წაერთმიათ, გაეძარცვათ. იმ რკინის ვალავანთან ტარიელს დიდიდან დაღამებამდე შეეძლო მდგარიყო.

„მაინც როგორ არ გვწყინდებოდა ერთიდაიგივე ადგილზე ყოფნა?“ — ფიქრობდა ტარიელი და იცვამდა. საგულდაგულოდ ივარცხნიდა თმას და დიდხანს ტრიალებდა სარკის წინ. ამ საქმეს რომ მორჩა, ისაუბრა. ახალი ეურნალგაზეთები იყიდა. შემდეგ საპარიკმაზროში თმა და წვერი გაიპარსა. პარიკმაზერმა ჰკითხა: ახალი ხომ არაფერია ვა-

ზეთებშიო. ტარიელმა უთხრა, ჯერ არ წამოიხიხვას, არ ვიციო.

გალამაზებულმა ტარიელმა ვესტი-ბულში გაიარ-გამოიარა და მერე გარეთაც გავიდა. არ იცოდა, პირველად საით უნდა წასულიყო. იქვე ქუჩაში, სასტუმროს მარმარილოს სვეტებთან გაჩერდა; ჟურნალ-გაზეთები გაეკეცა და მარცხენა ხელში დაიჭირა.

ქუჩაში არცთუ ისეთი ხალხმრავლობა იყო, მაგრამ ზოგიერთი ახალგაზრდა უკვე ბაღის კიდეზე დამდგარიყო და გამველ-გამომველს აყოლებდა თვალს. ტარიელი ათვალერებდა ქალაქის შუაგულს. შეცვლილი თითქმის არაფერი მოჩვენებია. ეს კი იყო, აღარ ჩანდა ნაცნობი სახეები, ქუჩებში სულ სხვა ხალხი დადიოდა. ლოყებდალაქლებული ახალგაზრდა ბიჭები (ზოგიერთი ამათ ღვინისაგან თავპირდასიებულ ხალხს ეძახის) ხმამაღლა ლაპარაკობდნენ და მოურიდებლად იცინოდნენ. თითქმის ყველა ერთმანეთს იცნობდა, ყველა ერთმანეთს ესალმებოდა. „ნუთუ მეც ასეთი ვიქნებოდი, აქ რომ დავრჩენილიყავი?“ — გაიფიქრა ტარიელმა და უცბად მოიწყინა. შემდეგ მოეჩვენა, რომ სამაგიეროდ თვითონ საკმაოდ განაზებული იყო. მისი თხელი ტანი და ფოლადისფერ პერანგზე გაკეთებული ყელსახვევი ისედაც იქცევა ვიდეცების ყურადღებას.

ტარიელი მარმარილოს სვეტს მარცხენა ხელით მიეყრდნო და გაირინდა. ერთი სული ჰქონდა, როდის შეხვდებოდა დიდი ხნის უნახავ მეგობარს. ამას მოჰყვებოდა გაუთავებელი პურ-მარილი, რომელიც ტარიელისაგან დიდ ფიზიკურ დატვირთვას მოითხოვდა; მაგრამ ამ ამბავს ელოდა და ყველაფერს წინასწარ შეგუებულოყო. იგი ისედაც ანგარიშვალდებულად თვლიდა თავს იმ ხალხის წინაშე, რომელთაც მისი სამეცნიერო წარმატება იმდენად არ აინტერესებდათ, რამდენადაც მისი ფიზიკური ჯანმრთელობა. ისინი, ცხადია, პირველად გაარკვევდნენ, ხომ არ შეცვალა და განაზა ახალმა ცხოვრებამ მათი ძველი

ძმაცაი და ადგილობრივი მკვიდრი ტარიელ ღლონტი? ხომ არ გახდა იგი აპარტავანი და უკარება?

ამ ფიქრებში იყო ტარიელი გართული, რომ მისი ტოლი ორი ახალგაზრდა სასტუმროს კარს მიადგა. ბიჭებს სახეზე ეტყობოდათ, აქაურები იყვნენ. ერთი მათგანი ტარიელს თითქოს ეცნაურა კიდევ. ერთი სქელი იყო, მეორე — გამხდარი. სქელმა საკმაოდ საეჭვოდ გადახედა ტარიელს და გზა განაგრძო. ტარიელმა იფიქრა, ნეტავ ხომ არ უნდა მივსალმებოდით? ამასობაში სასტუმროს უზარმაზარი კარი ჰრიალით გაიღო. ტარიელი მიხვდა, რომ ბიჭები სასტუმროში შევიდნენ და ჩახლჩილი ხმაც მოესმა:

— უკაცრავად, გენაცვალე, თუ შეიძლება, ერთი მოგვხედ!

ტარიელი მოტრიალდა და წინ ასეთი სურათი დაუდგა: გამხდარ ბიჭს კარი გაეღო და შიგვე იყო გაჩხერილი, — სქელ ამხანაგს ელოდა. სქელი სულაც აღარ აპირებდა იმავე კარში შესვლას, ჯიბეებში ხელეზ ჩაეწყო და ნახევრადწაჭუტული თვალებით ტარიელს მიშტერებოდა. სქელი ნასვამი აღმოჩნდა. ტარიელმა ეს მალე იგრძნო და გაუკვირდა, ამ დილაადრიან სად მოასწროო.

— შენ ტარიელ ღლონტი არა ხარ!? — ჰკითხა სქელმა ტარიელს და ცალი თვალი ფართოდ გააღო, მეორე ისევ წაჭუტული დატოვა. ტარიელმა იფიქრა, ეს კაცი ნამდვილად რესტორანში მუშაობდა, თუმცა მისი უცნაური გამონხედვა იმთავითვე არ მოეწონა.

— დიას, ტარიელ ღლონტი ვარ! — ხმამაღლა უპასუხა ტარიელმა.

— მეშვიდე სკოლა არ დაამთავრე, ვანო კეკუასთან?

— კი, მეშვიდე სკოლა დავამთავრე!

— მერე მე ვერ მიცანი?

ტარიელმა ერთი კი იფიქრა, ვეტყვი გიცანიო, ეგონა, ამით იმ ახირებულ კაცს თავიდან მოიშორებდა, მაგრამ, თუ საქმე ცნობაზე წავიდოდა, ნაცნობს გამხდარი უფრო ჩამოჰგავდა, ხოლო სქელი არაფრით არ ეცნაურა; ამიტომ შეყოყ-

მანდა და ვერც „პო“ თქვა და ვერც „ვერა“. დღემილი სქელმა, ჩანდა, უარად ჩაუთვალა და გამომწვევად უთხრა:

— ახლა ვერ მიცანი ხომ? მაშინ რომ გამლახე, ის კი იყო!

ტარიელს გაეცინა, დარწმუნებული იყო, სქელი ხუმრობსო, მაგრამ ამ ფიქრის უსაფუძვლობაში მალე დარწმუნდა, კარში გახიდული გამხდარი სწრაფად წინ წამოვიდა და ტარიელსა და სქელ ბიჭს შუა ჩადგა. ტარიელს მოეჩვენა, რომ ასეთი ოპერატულობაც არ იყო საჭირო. ამასობაში მუხის მძიმე კარი ჭრიალით მიიკეტა.

— გამოდი აქეთ, ხომ არაფერი მოგვლანდა! — უთხრა გამხდარმა ბიჭმა ამხანაგს და წყევანა დაუბირა, მაგრამ სქელმა უხეშად მოიშორა და ტარიელის პირისპირ ყოფნა ამჯობინა.

— რა იყო, ბიჭო, რამ გაგადიდკაცა? რითა ხარ ჩემზე უკეთესი? ჩემზე ნააწველი რომ ხარ, ჩემზე ლამაზი რომ ხარ, ჩემზე კარგი დედ-მამა რომ გყავს, ჩემზე ლამაზი ცოლი რომ გყავს (ტარიელი უცოლო იყო), ჩემზე მეტი ფული რომ გაქვს, ამით მჯობიხარ თუ რა იყო ვითომ?! — კითხვობოდა გაოცებული სქელი და ტარიელს აგდებულად უყურებდა.

— მე, გენაცვალე, არ გიცნობ და არც მითქვამს, რომ რამით გჯობივარ! — წყნარად უთხრა ტარიელმა, თუმცა ოდნავ აღელდა.

— აბა რატომ გამლახე? — გაუკვირდა სქელს.

— მე თქვენ არ მიცემიხართ, ალბათ, გილაკაში გეშლებით!

— გეშლები არა? ვინ გგონია, ბიჭო, შენ შენი თავი?! დიდი ვინმე ხარ? ტარიელა ღლონტი ხარ, მეტი ხომ არაფერი! მე რეზო ალფაიძე ვარ, რომ იცოდე!

— გამოდი, რა გინდა ამ კაცთან! — წელში ხელი მოხვია რეზოს გამხდარმა ბიჭმა და ტარიელს გაუღიმა, აგრძნობინა, ნასვამია, არ აყვეო.

ტარიელი აწრიალდა. არ იცოდა, რა ექნა. წასვლაც დააპირა, თუმცა სულ არ შეშინებია.

— რატომ გამლახა, მითხრას! — დაცინებით მოითხოვდა პასუხს რეზო ალფაიძე.

— არ გამილახიხარ, ჩემო ძმაო! — ამშვიდებდა ტარიელი და ყოველგვარი მოულოდნელი შემთხვევის თავიდან აპაცილებლად უკან იხევდა.

„თუ დამეტაკა, დამსვრის და პერანგსაც შემომახვეს, ეს ყურნალები მაინც სად გადავყარო!“ — ფიქრობდა ტარიელი. გამხდარი ბიჭი მოხერხებულად ტრიალებდა მათ შუა, თორემ ტარიელი უფრო ხელსაყრელი პოზიციის შერჩევასაც აპირებდა.

— რატომ გამლახე, მითხარი და თავისუფალი ხარ! — ბოლოს ეს შეღავათიანი პირობა წამოაყენა სქელმა.

„კიდევ გაგლახავ, თუ არ გაჩერდი!“ — გაიფიქრა ტარიელმა და სულელურად გაეცინა.

რეზო ალფაიძე თითქოს ნაფიქრალს მიუხვდაო, ოდნავ დაწყნარდა, ხელები ჩიბიდან ამოიღო, დოინჯი შემოიყარა და წყნარად თქვა:

— აბა ახლა გამლახე, თუ კი ბიჭი ხარ!

— თავი დამანებე, არც გიცნობ, ვინა ხარ!

— ახლა არ მიცნობ? გამლახე და აღარც მცნობ?! სამოცდაორი კილო რომ ვიყავი და გამლახე კი იყო? აბა ახლა სინჯე თუ კი ბიჭი ხარ! თუ გინდა ავიწონოთ და მერე ვინჩხუბოთ!

კაცმა არ იცის, რით გათავდებოდა ეს ლაპარაკი, ისევ გამხდარ ბიჭს რომ არ ემარჯვა. იგი სქელს მიაწვა და სასტუმროს სქელი კარი თავით გაატანინა. თუმცა ალფაიძემ მაინც მოახერხა და დაიძახა:

— ტარიელა ღლონტო, გზაზე ვაგლახად არსად შემეჩვენო თუ არა, მე ვიცი! ბიჭები სასტუმროში შეცვივდნენ და მუხის კარი ჭრიალით დაიხურა.

ტარიელს გაეღიმა, თუმცა ხასიათი უკვე გაუფუჭდა სასტუმროს მოშორდა და, ნელა წავიდა. პირდაპირ მიმავალ ქუჩას დაადგა. ანცხებულყოფი ტარიელი ისე მივიდა ხიდანდემ, რომ

ნაცნობი არავინ შეხვედრია. მართალია, არც ისე ბევრი ჰყავდა ვალახული, რომ არ ცოდნოდა, ვინ როდის და სად სცემა, მაგრამ რეზო ალფაიძის სახე ვერა და ვერ აღიღვინა მესხიერებაში. წარმოიღვინა, დაახლოებით მაინც როგორი იქნებოდა ის კაცი, როცა მხოლოდ სამოცდაორ კილოს იწონიდა, მაგრამ არც აქედან გამოვიდა რამე.

ტარიელი ხილზე შეჩერდა. მაღალ, ვიწრო ხილს მზე დაუნდობლად აჭერდა. ასფალტი პირდაპირ დუღდა. პატარა ბიჭები ხილიდან წყალში ხტებოდნენ.

ერთი სველი, გამხდარი, ცისფერთვალება ბიჭი რკინის მოაჯირზე დადგა. ტა-

რიელს გაუღიმა და ქვევით გადაეშვა. წყალში სუფთად, ქვასავით ჩავარდა. წმინდა, ლურჯი წყლიდან თეთრი ბუშტების გროვა ამოცვივდა და იქაურობა გააფერპკრთალა. ბიჭი წელამდე ამოვარდა წყლიდან და მხარულთ ნაპირისაკენ გაეცურა.

ნაპირზე, სილაში, ბიჭები ჭიდაობდნენ.

...ასე იყო ძველადაც. ასე დგებოდა ტარიელი რკინის მოაჯირზე და ტყვიასავით ეშვებოდა წყალში; ასევე ჭიდაობდა სილაში და, საერთოდაც, ყველაფერი ისე ხდებოდა, როგორც ადრე, მის დროს.

*წიგნი*

**მოთხრობა**

ფარნაოზ ედიბერიძე ფიქრობდა, რომ მთავარი ის კი არ იყო, რასაც აკეთებდა, არამედ პირველი და უმთავრესი იყო ის, რისი გაცემებაც ჰქონდა განზრახული. ღრმად იყო დარწმუნებული, ადამიანი ქვეყნად გარკვეული მოვალეობის აღსასრულებლად არისო მოვლენილი, მაგრამ ერთი საქმისათვის გაჩენილი კაცი ხშირად მთელი ცხოვრება მეორეს ემსახურებაო.

თვითონ ფარნაოზი კონდუქტორად მუშაობდა. ამ საქმეს უნაკლოდ და პირნათლად ასრულებდა. ცხოვრების დიდი ნაწილი ბორბლებზე გაატარა და ორმოცი წელი ისე გავიდა, ვითარცა ორმოცი დღე. ფარნაოზი ცხოვრობდა მატარებელში და მატარებელი ცხოვრობდა მასში. მატარებლის ღვრიალი და რახრახი ნანასავით დაყვებოდა ყველგან და ყოველთვის.

...მატარებელი რუსეთის უთავბოლო ველებში მიჰქრავდა. ფანჯარიდან დახუნული, ოდნავ დათოვლილი მინდვრები, გრძელი თავლები, კირით შეღებილი ქოხები და საკვამურებიდან ამონადენი გამჭვირვალე, ლურჯი ბოლი ჩანდა. ფარნაოზი უყურებდა დათოვლილ მინდვრებს. მინდვრები, ტელეგრაფის მავთულები ზედ შემომჯდარი დაყინული ყვა-

ვებით მატარებლის საწინააღმდეგოდ მიდიოდა და ტრიალებდა.

...ფარნაოზს ახსოვს, დამით, სულისშემხუთველ სიცხეში, როგორ გადიოდა სახალხო მატარებელი წიფის გვირაბში. ყველა ვაგონის მუხრუჭი ერთდროულად ხრჭიალებდა, დგრიანობდა ბუფერები. ოფლადგაღვრილი ლოკომოტივი ხარაგოულში ისვენებდა, ხვნეშოდა. ფარნაოზი გრძელ ბაქანზე ჩაივლიდა, წყაროს ცივ წყალს დაღევდა, ბოთლს აავსებდა და ისევ ვაგონში ადიოდა. კიბეს და კარს ჩაეცთავდა, მიძინებულ მგზავრებს დახედავდა და თავის კუბეში შედიოდა. მატარებელი გზას განაგრძობდა. ფარნაოზი ფანჯარასთან იჯდა და ფიქრობდა. გზადაგზა მთის კალთებზე შეფენილი, შორიშორს მიმოფანტული სოფლებიდან სინათლე ციმციმებდა.

თავისუფალ დროს, შინ იჯდა და წერდა ან ბოსტანს ბარავდა, ვინდაც ეძინა, — მაინც მატარებლის ხმა ესმოდა. რკინიგზა ეზოს ჭიშკართან გადიოდა. გახელებული ლოკომოტივი ხვნეშით მიჰქრებდა მძიმე ვაგონებს. ფოლადის ლიანდაგები იღუნებოდა, დამაზუთიანებული შპალები კრიკინებდა, ხერხემალში იმტვრეოდა.

მატარებლის ხმაურს მოსახლეობა



შეჩვეული იყო. რკინიგზა ზუსტად შუაზე ჰყოფდა ვაკეზე დაცემულ ქალაქს. მოქალაქენი ხმაზე ცნობდნენ ლოკომოტივს, ელმავალს; საბარგო, სახალხო, ჩქარ და ნელ მატარებლებს. მატარებლის ხმაზე და საყვირზე იდვიებდნენ დეპოს მუშები. მატარებლის ჩავლის დროს აფრთხილებდნენ ბავშვებს, სკოლაში წასვლის დროს. მოკლედ, მატარებელი ამ ქალაქში ისე გრძნობდა თავს, როგორც საკუთარ ოჯახში.

ფარნაოზ ედობერიძეს მატარებელთან მინც მეტი რამ აკავშირებდა, ვიდრე ამ ქალაქის და, თუ გინდათ, ამ დედაშიწის რომელიმე რიგით მოქალაქეს, მაგრამ იგი თვლიდა, რომ ბუნებით დრამატურგი იყო და არა რკინიგზელი. აი სათავე კიდევ ერთი იმ უბედურებისა, რომელიც ადამიანებს ზოგჯერ ყოველგვარი მიზეზის გარეშე ემართებათ.

ფარნაოზი პიესებს წერდა, წერდა და მალავდა. დრო ცოტა ჰქონდა და ვერაფერს ვერ ასრულებდა. უზარმაზარი ხის სკივრი მოთმინებით ივსებოდა სხვადასხვა ფერისა და ზომის რვეულებით, თაბახის ქაღალდებით. ფარნაოზი დაიწყო მუშაობა იყო, რომ როცა იქნებოდა რაღაცას დაწერდა, რაღაცას დაასრულებდა. დროს ელოდა. ბოლოს პენსიაზე გავიდა და მისი ფიქრით, ეს დროც მოვიდა. თუმცა, იმასაც კარგად მიხვდა, რომ დრო მოვიდა და გავიდა კიდევ მოეჩვენა, რომ მისი მატარებელი, რომელიც გაუჩერებელივ მიეჩანებოდა სადღაც, სადაც იყო, გაჩერდებოდა. შუა გზა როდის გაევიდა, ვერც ვაევი. უკან მოიხედა, ნახა, რომ უფრო მეტი გავლილი ჰქონდა და სულ ცოტა დადარჩენოდა იქამდე, სადაც უნდა მისულიყო. სად მიდიოდა, სად გაჩერდებოდა ცხოვრების მატარებელი, კარგად არ იცოდა.

შეშინებულმა ფარნაოზმა თავიდან გადაქექა სკივრი. ამოალავა, გადაახარისხა ფურცლები, რვეულები. დაჯდა წერა და სულ მოკლე დროში დაასრულა რამდენიმე პიესა. „ძახილი ჭიუხებში“, „ბედის ტრიალი“, „მეტყვევის შეცდომა“ და სხვა. პიესები გადაბეჭდა და

„კიბულელის“ ფსევდონიმით დედაქალაქის თეატრებში დაგზავნა. მერე პერიფერიებშიც მოიციტა.

მოგვიანებით საცამოდ მორიდებული და მისთვის ფრიალ გაუტრკეველი და ბუნდოვანი პასუხები მოვიდა, რომლებშიც სანუგეშო ბევრი ვერაფერი ჰპოვა. ზოგიერთმა თეატრმა პასუხიც არ აღირისა. ვერცერთი თეატრი რეპერტუარში მისი პიესის სათაური და ფსევდონიმი „კიბულელი“ ვერ იპოვა. ეს ძნელი ასატანი იყო, მითუმეტეს, როცა იგი თვლიდა, რომ ორმოცი წლის შრომა, უძილო ღამეები, მგზავრების მადლობები, წვალება და შრომა არაფერი არ იყო იმასთან შედარებით, რასაც იგი ახლა აკეთებდა.

ერთ მშვენიერ დღეს ფარნაოზის დრამატურგიას ადგილობრივი თეატრის რეჟისორიც გაეცნო და მოულოდნელად მისი ერთი პიესა დასადგმელად აირჩია. ახალგაზრდა რეჟისორს, რომელიც მუშაშიც და ავდარშიც მზის სათვალეს ატარებდა, მინცდამაინც ის პიესა, თანაც კომედია მოეწონა, ფარნაოზის აზრით ყველაზე სუსტი რომ იყო. ფარნაოზს გული ეტკინა, თქმით კი არაფერი უთქვამს.

თეატრმა მუშაობა დაიწყო. ფარნაოზი გახალისდა. მართალია, ის თეატრი ახალ წარმოდგენას ერთხელ ან, უკიდურეს შემთხვევაში, ორჯერ თუ აჩვენებდა, მაგრამ დასაწყისისათვის ესეც საქმე იყო.

დადგა ის ღირსსახსოვარი დღეც, რომელმაც ფარნაოზს ამდენი გაუთვალისწინებელი უსიამოვნება შეახვედრა.

ქალაქის ვიწრო, უსწორმასწორო ქუჩებში აფიშები გამოაკრეს.

სადგურში მატარებლები მიდიოდნენ და მოდიოდნენ. აგარაკებიდან მომავალი და აგარაკებზე მიმავალი დასიცხული მგზავრები ფანჯრებიდან თხებივით იყურებოდნენ და გულგრილად ათვალერებდნენ დიდ ფანერზე გაკრულ აფიშას, რომელზედაც დიდი, მწვანე ასოებით ეწერა „უკანასკნელი გასეირნება“. ზევით და ქვევითაც წვრილი

შრიფტით კიდევ რაღაცეები იყო მიწერილი, მაგრამ შორიდან არაფერი ჩანდა და ახლო მისვლა არავის უფიქრია. დასიცხული მგზავრები აფიშას მაინც იმაზე მეტ ყურადღებას უთმობდნენ, ვიდრე მათგან მოსალოდნელი იყო.

პატარა, უშფოთველ ქალაქს ნელა ჩამოეხსნა მზე. დასაველთით დაიწია, დაიწია და ქალაქს ქვევიდან შეენთო. კიდევ ცხელიდა. დაბალი სახლების თუნუქის სახურავები ხურდა. ერთი მთაც არ იყო სადმე, რომ ქალაქს რამეში წადგომოდა. თბილ, შეგუბებულ ჰაერს მახუთისა და ორთქლმავლის კვამლის მახუბუქი სუნის დაჰკრავდა.

ფარნაოზ ედიბერიძე საგულდაგულოდ გამოეწყო. თეთრი შარვალი და თეთრი კიტელი ჩაიცვა. დიდხანს იტრიალა სარკის წინ. გამხდარ, სახეგაცრეცილ კაცს ჭაღარა თმა-წვერი უხდებოდა.

ფარნაოზს პრემიერაზე უმცროსი ქალიშვილი და სიძე მიაცილებდნენ. სამთავნი ფეხით მიდიოდნენ. ფარნაოზს ეჩვენებოდა, რომ გამვლელები საგანგებოდ აკვირდებოდნენ და ათვლიერებდნენ. ეგონა, მთელი ქალაქი იმდღევანდელ წარმოდგენაზე ფიქრობდა.

უზარმაზარი ტანის სიძე თავდახრილი მოდიოდა ყველაზე უკან. ისეთი სახე ჰქონდა, გეგონებოდათ, არაფერზე არ ფიქრობსო, მაგრამ ასე არ იყო. სიძეს წარმოდგენა არ ჰქონდა, რას ნიშნავდა პრემიერა და წინასწარ გრძნობდა იმ ხათაბალას, რაც მისი ფიქრით, იმ საქმეს აუცილებლად უნდა მოჰყოლოდა.

ქალიშვილს მამისთვის მკლავში ხელი გამოედო. ისიც უხმოდ მიდიოდა, მაგრამ რატომღაც დროდადრო რაღაცაზე ეცინებოდა. ყველაზე მეტად მაინც ქალიშვილი ღელავდა.

თეატრამდე თითქმის აღარაფერი იყო დარჩენილი, რომ ფარნაოზი, თავისი წინდაუხედაობის წყალობით, ტროტუარსა და სახლს შუა ამოჰკრილ ვიწრო თხრილში ჩავარდა. ეს ისე მოულოდნელად მოხდა, რომ სიძემ და ქალიშვილმა პირველად ვერც ვერაფერი შეიტყვეს. სიძეს ეგონა, სიმამრი მიწამ ჩაყლაპაო.

ასეთ განივ, ჭრილისმაგვარ თხრილებს ძველებური, ქალაქური ტიპის სახლებს სარდაფის ფანჯრებისთვის უტოვებენ. სარდაფი, რომელიც ზოგჯერ საცხოვრებლადაც არის გამოყენებული, ამ ჭრილით სუნთქავს. ასეთი თხრილები ამ ქალაქში ბევრი არ იყო, მაგრამ, როგორც ჩანს, კაცის ჩასავარდნად ერთიც საკმარისია.

ფარნაოზი თხრილის ფსკერზე იწვა. მარჯვენა გვერდი ყრუდ ეწვოდა. ცხვირში საუქუნის განმავლობაში ნაგროვები მტვრის სუნის სცემდა. სად იყო და რა ჰქირდა, არ იცოდა. ზევით აიხენდა, მართალია, ისევ დღენათელი იდგა, მაგრამ ცაზე მაინც ვარსკვლავები გამოჩნდა. როგორც კი მოისაზრა რა დაემართა, მაშინვე ჯიბიდან ვერცხლის ძეწკვიანი საათი ამოიღო, ხომ არ გატეხილაო. საათი მშვიდად, ჩვეულებრივად ხმაურობდა.

— ფარნაოზ, მანდა ხარ!? — მოისმა ზემოდან სიძის შეშინებული ხმა. სიძე ტროტუარზე დამხობილიყო და დამფრთხალი სახე და თავი თხრილში ჩამოეყო. — თუ ამას ყოფნა ჰქვია, აქა ვარ! — მშვიდად უპასუხა ფარნაოზმა.

— მამა, ცოცხალი ხარ!? — მხოლოდ მაშინ დაიძახა ქალიშვილმა, როდესაც მიხვდა, რომ ამ კითხვაზე დაღებითი პასუხი იყო მოსალოდნელი. მანამდე გაოგნებული იდგა და ხმას ვერ იღებდა.

— ცოცხალი ვარ, შვილო! — ამოიხენეშა ფარნაოზმა და ძლივძლივობით წამოდგა.

— არაფერი გტკივა? — დაინტერესდა სიძე.

— ბეჭი მტკივა და ფეხი...

— რომელი ფეხი?

— აქვს მაგას რამე მნიშვნელობა? — ჩუმად ჰკითხა ფარნაოზმა. სიძემ ჩაახველა.

— ამოწიე ხელები თუ ამოგვწვდები... — უთხრა ქალიშვილმა.

ფარნაოზი წამოდგა და ხელები მორჩილად ასწია. სიძემ კედელთან ფეხის დასადგმელი ადგილი მოძებნა და

თხრილს გადაალაჯა; რაც შეეძლო დაიხარა და ვებერთელა ხელები სიმაშრს მაჯებში წააღო. ამოქანა, კარგა ძალზე ამოიყვანა, თითქმის მუცელზეც მიიხუტა, მაგრამ მეტი ველარაფერი მოუხერხა და ისევ ძირს დაღუშა. სიმაშრი ბევრად იმაზე მძიმე აღმოჩნდა, ვიდრე იგი ვარაუდობდა. სიძე ჩაფიქრდა, მაგრამ ბევრი თავის მტვრევაც აღარ დაჭირვებია, — იქვე ვიღაც შემთხვევით გამოჩენილი მოქალაქე გაჩერდა. პირმრგვალმა, დაბალი ტანის კაცმა ქვევით ჩაიხედა და სიძეს დახმარება შესთავაზა. ორ მამაკაცს ქალიშვილმაც წააშველა ხელი და ფარნაოზი ძლივძლიობით ტროტუარზე დააყენეს. სიძემ იფიქრა: შეიძლება არც უნდოდა ამოსვლა, თუ არა ეს ბერიკაცი ამისთანა რა გახდაო.

პირმრგვალმა მოქალაქემ ვერაფრით ვერ გაიგო, რა ხდებოდა, მაგრამ არც არაფერი უკითხავს. ბოლოს თვითონვე დაასკვნა, ეს ბებერი ქვევით საკაიკაციოდ

არ ჩავიდოდაო, რატომღაც ბოლიში მოიხადა და წავიდა.

ფარნაოზმა თხრილში ჩაიხედა. თავი სინანულით გააქანა და უკან დაიხია. თეთრი კიტელი და შარვლი სილაში და მტვერში იყო ამოსვრილი. ქალიშვილმა კიტელზე ხელი დაუსვა, მაგრამ უფრო დათხვარა. თეატრში წასვლაზე ლაპარაკიც არ ღირდა. ყველაფერ სიკეთეს ფარნაოზის ბექის ტკივილიც დაემატა. ოხო, თქვა ბერიკაცმა და, როცა გაიზარა, მუხლიც მოეკვეთა. სამთავენი შინ დაბრუნდნენ.

ფარნაოზი მეორე დღესვე წამოდგა, მაგრამ ის პიესა მეტჯერ აღარ დადგმულა. იმ თეატრში ახალ პიესას, როგორც აღრეც ვთქვით, ერთხელ ან ორჯერ წარმოადგენდნენ ხოლმე და თუ მაშინვე არ ნახავდი, ყველაფერი ისტორიას ბარდებოდა.

ფარნაოზმა იჯავრა და მალე მოკვდა. შეიძლება მისი დღეც მოსული იყო.

*სიკეთე*

#### მითხრობა

საქვეყნოდ ცნობილ მუსიკოსს, ფილიპე ბარნაველს, ბევრი საინტერესო რამ ენახა და ბევრს კიდევ ელოდა. „გარდამხდა გარდასავალი, აწ უარესსაც მოველიო“, იტყოდა ხოლმე.

ფილიპე ბარნაველი სამოც წელს გადაცილებული, თმაშეთეთრებული, დარბაისელი კაცი იყო. ერთი შეხედვით, ვერც იტყოდით თუ სამოცი წელი უკან ჰქონდა მოტოვებული. ყველასაგან დაფასებული ადამიანი, შემოქმედებითი დიდების ზენიტში იყო. პატივი და სახელი არც არასდროს აკლდა და დარჩენილი სიცოცხლის დღეებიც მშვიდად და უდრტვინველად მიედინებოდა, მაგრამ ფილიპეს რატომღაც ეგონა, რომ მისი ცხოვრება ფაოტრაკებითა და უცნაური თავგადასავლებით იყო სავსე.

ერთ დღეს ფილიპე ბარნაველს ვიღაც უცნობი კაცი ესტუმრა.

ახალი შეღამებული იყო. მტკვრის სანაპიროზე ჩაყოლებული ლამპიონები

ახლახან აენთოთ. შავი, გამხდარი კაცი მორიდებით შემოვიდა ოთახში. გაცრეცილი შლიაბა მოიხადა. ფილიპეს ხელმეორედ მიესალმა და დაუფარავი ცნობისმოყვარეობით შეათვალღიერა მდიდრულად მორთული ბინა. შემდეგ ფილიპეს ნებართვით სავარძელში ჩაჯდა, ფრთხილად მიიხედ-მოიხედა, თავივე მოყუნისა იქაურობა, ალბათ იფიქრა: ყურს ხომ არავინ გვიგდებო. ფილიპეს მოთმინება დაელია და ცოტა შეეშინდა. უცნობმა რამდენჯერმე ჩაახველა და საკმაოდ გარკვევით და დალაგებულად ახსნა, რისთვისაც იყო მოსული. ფილიპემ იფიქრა, ეს კაცი ნამდვილად ლოგის მასწავლებელი იქნებაო.

გამოირკვა, რომ ქალაქ ვარდციხის ყოფილი გიმნაზიის მოსწავლეები ძეგლს უდგამდნენ თავიანთი ქართულის მასწავლებელს, რომელიც ამ ათიოდე წლის წინათ „მოულოდნელად“ გარდაცვლილიყო. ფილიპე ბარნაველს არც უფიქ-

რია, ქართულის მასწავლებელი თუ ცოცხალი იქნებოდა, თუმცა როდის მოკვდა, არც ის იცოდა.

საიუბილეო-საორგანიზაციო კომიტეტი ფილიპეს ატყობინებდა, რომ ფილიპე ისაონის ძე ბარნაველი აუცილებლად უნდა დასწრებოდა ყოფილი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის — ანდრუყაფარ ღვალაძის სამოქალაქო პანაშვიდს და ძეგლის გახსნას. მანამდე (დანარჩენი სხვათა შორის ეწერა. ფილიპეს ყოველ შემთხვევაში ასე მოეჩვენა), ფოსტით უნდა გადმოეგზავნა ორმოცდაათი მანეთი.

ფილიპეს არც წასვლაზე, არც ფულის გადახდაზე უარი არ უთქვამს, მაგრამ გაუთვალისწინებელმა ხარჯმა იმთავითვე შეაწუხა.

ფილიპე ქართულად საკმაოდ ცუდად ლაპარაკობდა და უცნობს (ლაპარაკია გამხდარ, შავ კაცზე) რუსულ-ქართულით აუხსნა, რომ ეს მოწვევა მისთვის დიდი პატივი იყო და ამიტომ დანიშნულ დღეს ვარდციხეშიც ჩავიდოდა და ორმოცდაათ მანეთსაც თავის დროზე გადაგზავნიდა. გამხდარი კაცი, ფილიპეს რომ ლოგიკის მასწავლებელი ეგონა, დამედებულნი წავიდა, თუმცა მასაინძლის მეტყველებაზე დარწმუნდა, რომ იმ სანდოშიანი სახის ჭაღარა მუსიკოსს ქართულის მასწავლებლები არც ისე ძალიან უნდა ყვარებოდა.

ამ ამბის შემდეგ ერთი კვირა გავიდა. ფილიპე ბარნაველმა ჩათვალა, რომ „ლოგიკის მასწავლებელმა“, რომელმაც განებებ არ გაამხილა თავისი გვარი და სახელი, ყველაფერი მოიგონა. არავინ არავისთვის თავს არ იტყვიებს, არავინ არავის ძეგლს არ უღვაშსო, ფიქრობდა იგი. ამ აღმოჩენამ დაამშვიდა თორემ, გადასადგები ორმოცდაათი მანეთი სად იყო. ფული ქუჩაში ხომ არ ეყარა. ორმოცდაათ მანეთს დაემატებოდა გზის ხარჯები და ასი მანეთი გვერდზე ისე გავარდებოდა, როგორც არაფერი. მისი ჯამაგირი კი სულ ათიოდე ასი მანეთისაგან შედგებოდა და თუ ყველას, ვინც რაღაცას ასწავლიდა, ძეგლის დადგმას

დაუბრებდნენ, ფილიპე ულუკმაპუროდ დარჩებოდა. ფილიპემ მასწავლებლის სახეც ვერ აღიდგინა. ხუმრობა ხომ არ იყო ორმოცდახუთი წელი.

ფილიპეს ეგონა, ამ ხათბალიდან კიდევ კარგად გამოეძვერიო და სწორედ იმ დღეს საიუბილეო-საორგანიზაციო კომიტეტის წერილი მოუვიდა. კომიტეტი თავზიანად თხოვდა, თუ შეიძლებოდა, დროზე გადმოგზავნეთ დაპირებული ორმოცდაათი მანეთით.

ფილიპე გაბრაზდა და წერილი უბასუხოდ დატოვა. კომიტეტმა დუმილი, ეტყობოდა, დიდი ადამიანის დაბნეულობას და გულშავიწყობას მიაწერა და დედაქალაქში ახალი წერილი აფრინა. ფილიპეს ახლა უკვე საზოგადოებრივი აზრის შეეშინდა და ფული ვარდციხეში სასწრაფოდ გადაგზავნა. იმ დღეს განერვიულებული იყო და მეკლარნეტეს რეპეტიციის დროს ჯოხი ესროლა. მეკლარნეტემ თავი დაწია და ჯოხი მედოლეს მოხვდა. მედოლემ იფიქრა: „ვამლს ესროდნენ და ბიას ხედებოდა, ისეა ჩემი საქმეო“.

ლამით, ძილში ფილიპეს ყოფილი ქართულის მასწავლებელი — ანდრუყაფარ ღვალაძე ეტუმრა. ანდრუყაფარს საკმაოდ მოზრდილი უღვაშები ჰქონდა და ხელში ქართული ყურნალ-გაზეთები ეჭირა. ფილიპეს გაახსენდა, რომ ანდრუყაფარი აწ უკვე გარდაცვლილი იყო და შიშმა აიტანა. ანდრუყაფარი სევდიანი, მოწყენილი თვალებით უყურებდა თავის ყოფილ მოსწავლეს. ფილიპეს სახე ოფლით დაეცვარა, მაგრამ გაახსენდა, რომ ძეგლის ასაგები ორმოცდაათი მანეთი გადაგზავნილი ჰქონდა და ბრალი არაფერში ედებოდა. ეს მან სიტყვიერადაც განაცხადა, მაგრამ გამოირკვა, რომ ანდრუყაფარი ამისათვის სულაც არ იყო მოსული და თუ ვინმე ძეგლს უღვაშდა, ისიც არ იცოდა; მხოლოდ იმას ნანობდა, მისმა ამჟამად უკვე სახელოვანმა და საამაყო მოწაფემ მისგან რომ ვერაფერი ისწავლა.

„მთელი სიცოცხლე ვწვალობდი და ვკახირობდი, ქართული რომ კარგად მე-



სწავლა. ახლაც ვცდილობ და არაფერი გამოდის. რა მასწავლე ასეთი, რომ შენი ვალიდან ველარ ამოვედი!“ იღრიალა ფილიპემ.

ანდუყაფარ ღვალაძემ ხმა გაკმინდა. ფილიპეს მოეჩვენა, რომ მასწავლებელს საკმაოდ ვაბედულად და დასაბუთებულად შეუტია, მაგრამ წინა ზამთარს რომ „აბესალომ და ეთერის“ პარტიტურა თავებზე შეუტამეს, ეს იყო ცუდი და, თუ ეს მოსულმაც იცოდა, საქმე არც ისე კარგად დამთავრდებოდა, როგორც იგი ფიქრობდა. ბოლოსდაბოლოს მაინც ყველაფერი კეთილად დასრულდა, რადგან სტუმარი ქართულის მასწავლებელი კი არა, არც მეტი, არც ნაკლები, — კონსერვატორიის დარაჯი აღმოჩნდა, რომელსაც გასულ პარასკევს გაუკეთეს აპენდიციტის ოპერაცია.

\* \* \*

ათ სექტემბერს საშემოსავლის სასაფლაოზე ანდუყაფარ ღვალაძის მადლიერმა მოწაფეებმა შეიყარეს თავი.

შებენებელი მოსწავლეები სასაფლაოს ერთ კუთხეში შეგჯუფულიყვნენ. ფილიპე ბარნაველი განაკიდეს იღვა. ხელში შლაპა ეჭირა. ზოლებიანი კოსტუმის ჯიბიდან თეთრი ცხვირსახოცი მოუჩანდა. მაღალი, წარმოსადგევი კაცი სხვებისაგან ამკარად გამოირჩეოდა და უცხო თვალის ყურადღებას იმსახურებდა.

გრანიტის კვარცხლბეკზე დადგმულ ბიუსტს, რომელსაც ძეგლს ეძახდნენ, ნელა ჩამოშორდა თეთრი საბურველი. ფილიპემ ყოფილი მასწავლებელი იცნო, თუმცა მოეჩვენა, რომ ბიუსტი არც ისე ძალიან ჰგავდა განსვენებულს.

ანდუყაფარ ღვალაძის საფლავთან რამდენიმე ორატორმა დაუთმო ერთმანეთს ადგილი. ბოლოს სიტყვა ფილიპე ბარნაველს მისცეს. ფილიპემ ქართულად ბოდიში მოიხადა, სიტყვა რუსულად თქვა. ამის გამო რამდენიმე პატრიოტის ირონიული შენიშვნა დაიმსახურა, მაგრამ, ბოლო-ბოლო, მისი, ისედაც დიდი ავტორიტეტი კიდევ უფრო გაიზარდა. ფილიპე დინჯად და აუღელ-

ვებლად ლაპარაკობდა. იგი ამბობდა, რომ ანდუყაფარ ღვალაძის დამსახურება ქართული საზოგადოებრიობის წინაშე დიდი და განუზომელიაო. ჩუმი და უანგარო, ფუტკარივით მშრომელი, თავდაბალი მუშაკის ანდუყაფარ ღვალაძის სახელი თაობიდან თაობას გადაეცემა და მისი უმწიკვლო ცხოვრება ღღევანდელი ახალგაზრდობისათვის სანიმუშო მაგალითი იქნებაო.

ფილიპემ სიტყვა დაამთავრა და წყნარად ჩამოვიდა ტრიუნიდან. წინანდელ ადვილას ისე დაღვა, ვითომ არაფერი, მაგრამ ოდნავ აღელვებულიყო და სახეც შეხურებოდა. ქალაქ ვარდციხის ინტელიგენცია კი დიდხანს იხსენებდა ფილიპე ბარნაველის ამ სიტყვას, როგორც ოქროპირობის საუკეთესო ნიმუშს.

თავმჯდომარემ ეს ღირსსახსოვარი შეკრება დახურულად გამოაცხადა და „მოსწავლეები“ ჯგუფ-ჯგუფად დაიშალნენ.

ერთმა ძველთაძველმა ნაცნობმა ფილიპეს მკლავში ხელი გაუყარა, გამოელაპარაკა, რაღაცეები გაახსენა და შემდეგ ორთავემ სასაფლაოზე გაისეირნეს.

მთავარი გზატკეცილი საფლავების ხეივანში მიდიოდა. თითქმის ყველა საფლავს ბიუსტი ან ობელისკი ამშვენებდა. მზე შუბის ტარს იქით გადახრილიყო. გზას კვიპაროსების და ჭადრების ჩრდილი ეფინა. წყალყვითელას ხეობიდან გრილი ნიაგი უბერავდა. ირგვლივ სიჩუმე და მყუდროება იდგა. ფილიპე ნელა მიაბიჯებდა ნაცნობთან ერთად. შლაპა ხელში ეჭირა და მარჯვნივ და მარცხნივ იხედებოდა.

— პანტელიმონ კურკაძე... — ამოიკითხა ფილიპემ ერთ-ერთ ობელისკზე და ნაბიჯი შეანელა. — ამ კაცს ვიცნობდი, როდის მოკვდა, ხომ არ იცით?

— შარშან მოკვდა მავ გაჭირვებულ და სულ ტყულა! — უპასუხა შეწუხებულმა ნაცნობმა. გზა განაგრძეს.

ფილიპე თითქმის ოცი წელი არ ყოფილა ვარდციხეში. ოცი წელი არ ენახა მშობლიური ქალაქი. ბოლოს იქამდისაც

მივიწყა იქაურობა, რომ აღარც კი ამხელდა თუ ვარდციხელი იყო. ახლა იგი მომღიმარი სახით, თავდახრილი მიაბიჯებდა თეთრი ალიზით მოტყეპნილ გზაწვირილზე, იხსენებდა იქაურობას, აგონდებოდა, როგორ უთავაზა თავში ერთხელ ანდუყაფარ ღვალაძემ და რატომღაც საუქეთესო ხასიათზე იყო.

— ეს ის არ არის? — ერთ საფლავთან შეჩერდა ფილიპე და პატარა ბიუსტს მიაჩერდა.

— კი, ეს ის არის... — უთხრა ნაცნობმა.

— ბარნაბა კეზევაძე არ არის?

— დიახ, მსახიობი ბარნაბა კეზევაძეა... — დაუმოწმა ნაცნობმა და ფილიპეს დააკვირდა, რას იტყვისო. ფილიპეს არაფერი უთქვამს, უბრალოდ, გზა განაგრძო, მარჯვნივ მიიხედა და შავ ფილაზე ამოჭრილი ასოები წაიკითხა:

— არჩილ გაღმელი, ვარდციხის პედინსტიტუტდამთავრებული... და, ეს ეტყობა დიდი ხნის წინეთ მომკვდარა...

— კარგახანია მოკვდა, ბატონო, ომამდე მოკვდა...

— არ ვიცოდი... ეს ვინ არის? ვასო კენკაძე... ეს ჩემს სკოლაში სწავლობდა, ერთი კლასით წინ იყო, კარგი მოჩხუბარი იყო, მახსოვს...

— ო, ვასო კენკაძე მაგარი დამრტყმელი იყო! — თქვა ნაცნობმა და მოწონების ნიშნად ცალი წარბი ზევით აწია.

— „ახლა ვიდას ურტყამს ნეტავი?“ — გაიფიქრა ფილიპემ და მაღალ კვარცხლებზე შემოსუებული ბიუსტის წინ გაჩერდა.

— ამას რაღა დემართა?

— ეს შარშან გარდაიცვალა, პატივცემულო...

— უჰ! — თქვა ფილიპემ და წინ წავიდა. შემდეგ მარჯვნივ მიიხედა, ისევ ბიუსტი დაინახა, — ამასაც ვიცნობდი...

— რას ბძანებთ? — „გაუტყვირდა“ ნაცნობს.

— ამასაც ვიცნობდი...

— ძალიან კარგი!

— ეს ჩემი ახლო ამხანაგი იყო, ერთმერხზე ვიჭეკით!.. — უცბად შედგა გაცეებული ფილიპე და გრანიტის მოზრდილ ბიუსტს დააკვირდა. — შარშან თბილისში ვნახე, სულ არ ეტყობოდა, რომ სიკვდილს აპირებდა...

— ასეა ცხოვრება მოწყობილი და რას იზამ! — დაამწვიდა ნაცნობმა.

რამდენიმე ნაბიჯის იქით ერთი უგალავნო საფლავი დაინახა. საფლავს ნაცრისფერი ფიქალი ედო. ფიქალზე ჭვარი იყო ამოკვეთილი, ქვემოთ მსხვილი ასოებით ეწერა: ფილიპე ბარნაველი. ფილიპემ კარგახანი უყურა საფლავის ქვას, მერე ნაცნობს ჰკითხა:

— ეს ვინღაა?

ნაცნობმა სათვალე გაიკეთა, საფლავს დახედა, შემდეგ სათვალე მოიხსნა და წარწერა მარცვალ-მარცვალ ამოიკითხა:

— ფილიპე ბარნაველი... — ამ საქმეს რომ მორჩა, სათვალე ცხვირსახოცით გულდაგულ გაწმინდა, ჯიბეში შეინახა და ფილიპეს უთხრა:

— ასეთს არავის არ ვიცნობდი!

— არ იცნობდი? — ჰკითხა გაკვირვებულმა ფილიპემ.

— არა ბატონო, ასეთი გვარი და სახელი, მე მგონი, არც არსებობს.

— ალბათ... — დამოწმა დაფიქრებული ფილიპე ბარნაველი და უკანვე გაბრუნდა.

სალამოს ბანკეტზე უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. ფილიპემ საზოგადოება შეათვალა და მოეჩვენა, ამათავან ნახევარი სასაფლაოზე არ ყოფილა.

ვარდციხის რჩეულმა ინტელიგენციამ გვარიანად მოიზინა და სწორედ მაშინ, როდესაც ანდუყაფარ ღვალაძე ყველას საბოლოოდ გადააფიქვდა, გულანუყეებული ფილიპე ბარნაველი წამოდგა და საჯაროდ თქვა, ჩვენი განსვენებული მასწავლებლისაგან კიდევ ბევრი რამ უნდა ვისწავლოთო. კერძოდ რაო, არ უთქვამს. ყველას ეგონა, იტყოდა, მაგრამ ფილიპემ პატარა შეიცადა და განაბული სუფრას მიუჯდა.



# სსსს თეატრული

გაზრდა შინაგა

## გ ა ტ ა ც ე ბ ა

### პოემიდან „კლდის სიმღერა“

ჰაჯარათ კეხბა ტყეში გაჭრილა,  
აწუხებს ჯაფრი და უძილობა.  
მოჩანს ნახადი ხისქვეშ გამლილი  
და იარაღის აღჭურვილობა.  
ვაჟკაცს ტყე ფარავს მწვანე რტოება,  
ჩრდილი, ფოთლები და მყუდროება.

ო, ტყის ნიავო, ჰაჯარათს ეძმე,  
გულს მოუფონე მაშვრალს და მართალს.  
ტყეო, იყავი ვაჟკაცის შემწე,  
გადააფარე უღრანი კალთა.  
იქნება გესმა ახმათის კენესა  
ან მისი ფაცხის გიზვიზი გესმა?

ძნელია, კაცმა მარტო იცხოვროს,  
უფრო ძნელია გატყუტრება.  
ძნელია კაცმა მარტო აბრძოლოს,  
თუ მეგობარი არ ეგულება.  
აქვს ნადირივით ფხიზელი ძილი  
და ნადირივით ფრთხილია, ფრთხილი.

„თავისუფლების სიყვარულისთვის  
ტყეს შევეფარე, ვით ავაზაკი.  
ამღეუნებია მტერი ურიცხვი,  
თუ მომკლავს — ჯილდოს ელის კაზაკი.  
მე ვარ ფოთოლი ქარით დევნილი,  
ლაფით მოსვრილი და გათელილი!“

ასე ფიქრობდა ჰაჯარათ კეხბა,  
შემოსწოლოდა გულს მძიმე დარდი.  
ჩუ! ლერწმის ტევრმა გაიღო ეხო  
და ლაქაშიდან გამოძვრა ლანდი.  
წამოხტა კეხბა, როგორც ყაჩაღი  
და შეაყენა ფეხზე ჩახმანხი.

— ჰეი, ვინა ხარ, რას იმალეები,  
 გამოდი, თორემ გესვრი, იცოდე.  
 ამას რას ხედავს ჩემი თვალები,  
 ბადრა, შენა ხარ, ჩემო სიცოცხლე?!“  
 გადაეხვიენენ ძმურად ერთმანეთს:  
 — გელოდებოდი, ბადრა, ღმერთმანი.

მამა რას შვრება, ხომ ცოცხალია,  
 ძმაო, მამაზე შემტყვივა გული,  
 — ნაცხარ მოხუცს უჭირს ძალიან,  
 თუმცა დედაშენი ყოჩაღად უვლის,  
 ათ დღეზე მეტი საკანში ჰყავდათ,  
 ბებერი ორბი დაკორტნეს ყვავეთა.

უთხრეს: „წადი და შენს შეილს ურჩიე  
 შეურაცხდი-თქო ხელისუფლებას.  
 დროა, ანებოს თავი ურჩობას,  
 თორემ ნამდვილად დაილუპება.  
 თუ ერთ კვირამი არ შეგვირიგდა  
 თავს ვერ დაიხსნი გასაჭირიდან.“

— შინ წავალ... მამა მომნატრებია...  
 — ძმაო, მოთმენა გიჯობს ამჯერად.  
 იქ ძიაშობა ჩავსაფრებია  
 და უნდა შენი ცოცხლად დაქერა.  
 შურისძიებას ლაიობს ძმისათვის  
 და საფრთხე, გელის მთელი სიცხადით“.

— თქვი, ჩემი დები სად გაიხიზნენ,  
 ხომ არა ევენოთ მგლებს თარეშით?  
 — გამოიჩინა ხალხმა სიფხიზლე  
 და ვადამალა ნათესავეებში.  
 — ბადრა, შენ მგონი, სათქმელს მიმაღაც,  
 მესაუბრები რაღაც იმგვარად.

— დიას, სწორს ამბობ, ველარ გითხარი  
 ხალხის სათქმელი და აღშფოთება,  
 დააპატიმრეს ჩემი სტუმარი...  
 არ შეიძლება მეტის მოთმენა...  
 — თავი მოგვეჭრა, ძმაო, აფხაზებს,  
 შერცხვენილი ვართ მთელ ქვეყანაზე.

\* \* \*

როგორც წარბებთან ლურჯი თვალები  
 ისე ახლოა ზღვა ფსირცის მთებთან.  
 მთვარე საესე და ფერნამკრთალევი  
 ზღვას გადმოევლო და მთაზე შედგა.  
 უკვე გათენდა. სხივი ელვარე  
 სანთლად დაენთო მაღალ მწვერვალებს.



როგორც თეთრი ხე ფოთლოვან ტყეში  
 გამორჩეული თეთრი ნათელით,  
 ასევე ელავს სინათლის თქემით  
 ეკლესიაა თუ მონასტერი.  
 ახალ ათონის ლამაზ გუმბათებს  
 მზე და ჩიტები ლაზათს უმატებს.

ენმინება ზარებს ზარები,  
 ჩიტები გუნდად მზეს დაეკიდა.  
 აჰა, ბერები მთქნარებ-მთქნარებით  
 გამოეფინენ სენაკებიდან.  
 ქვევით ზღვისპირად მწვანე პალმებში  
 უფრო გახშირდა ჩრდილთა თარეში.

გადმოქუხს ფსირკვა მთის ფერდობიდან,  
 გავაკლება და ზვრებში შესცურავს.  
 რძისფერ ჩქერალთან გოგო მოვიდა,  
 პატარა ბიჭი მოჰყვა მეგზურად.  
 გოგონას შვენის კრული თავშალი  
 და დალალები ჩამონამალი.

გზად დილიყანი გამოხრიგინდა,  
 ცხენებს გაშლოდათ ქარში ფაფარი.  
 პატიმარს უჯდა აქეთ-იქიდან  
 ხმალამოწვდილი ორი ჩაფარი.  
 ეტლს ცხენოსნები მოსდევდნენ უკან,  
 მტვრით ივსებოდა შარა თუ შუკა.

მდინარის პირად შეჩერდა ეტლი  
 და „სტრაჟნიკები“ გადმოხტნენ სწრაფად.  
 გაისმა ხმლების ყლარუნი მკვეთრი,  
 მერე ორივე წყალს დაეწაფა.  
 ოსტატს ფეხებზე ადევს ბორკილი,  
 ხელები ზურგზე აქვს ვათოკილი.

წყურვილის მოკვლა ყველამ ინდომა,  
 (კაცი ვერ უძლებს წყლის სიღუფსჭირეს)  
 როცა ტუსადმა წყალი ითხოვა,  
 მას მათრახები გადაუჭირეს.  
 გოგონამ ჩაფრებს ზიზლით გახედა,  
 არ მოეწონა ქცევა თავხედთა.

ამ დროს მოვიდა ვიღაცა ბერი  
 და ჩაფრებს თავი დაუტრა მდაბლად.  
 გოგო ფიქრობდა: „ღვთის მსახური  
 და წყალს შეამევეს პატიმარს ალბათ“.  
 „ბერმა“ დააძრო ორი ნავანი,  
 გაისმა ორი მჭახე ჭახანი.

ორივე მცველი ძირს გაიშოტა,  
 ჩაფრები შედგნენ დაბნეულები  
 და გადმოცვივდნენ სანაპიროდან.

ბერმონაზონთა ათეულები.

მთლად აირია რაზმი ჩაფართა,  
ხელი ასწია და ტყვედ ჩაბარდა.

გოგონა ფიქრობს: „ნეტა ვინ არი  
ეს ვაჟი ასე მარჯვე, ჩაუქი.  
ალბათ ის არი მისი სიზმარი,  
მისი ოცნება და მზეჭაბუკი.  
თუმცა ერთხელაც არ შეხვედრია,  
მისი ბედი და მისი ხვედრია“.

უცებ კოფოზე შეხტა პაჯარათ,  
სადავეს დასწვდა ნაბადგაშლილი.  
ამდროს იჭექა ჩაფრის შაშხანამ  
იქვე წყლისპირს რომ ეგდო დაქრილი.  
პაჯარათს მკლავი ჩამოეკიდა  
და სისხლმა დენა იწყო ნეკიდან.

გოგონამ თავშლის კიდე მოხია  
და შეუხვია ვაჟკაცს ტრილობა.  
ასულს შეენოდა ვაჟური რიხი,  
დალაღები და ბაგეჩვილობა.  
ბერებმა ცხენებს დასცხეს მათრახი  
და დილიჯანი გაქრა რახრახით.

ელვისებურად მოხდა ყოველი,  
დამხვდურნი გასცდნენ პალმის ხეივნებს.  
აჰა, გოგონა თვალეზოცენებს  
ძმას ბილიკებით მიარბენინებს.  
ბიჭუნა მოჩანს ნაფერმკრთალევი,  
დაუტყყეტია შიშით თვალეზი.

— „ნუ გეშინია, სახლში ვბრუნდებით“  
შემკრთალ ბიჭუნას და ეფერება.  
ბიჭს უთამაშებს სახის კუნთები,  
სუნთქვა ეკვრის და ცრემლი ერევა.  
და ეუბნება: „რას გიგავს სახე,  
ვთხოვ, დაივიწყო რაც წელიდან ნახე“.

გადიარბინეს ყანა ბიბინა  
და შეისვენეს წამით ვერხვებთან.  
გოგონას უკვირს, რაც ჩაიდინა  
და სიხარულით თაუბრუ ეხვევა.  
თითებში კმუჭუნის თავსაფრის ნახევს  
და თვალწინ უდგას ვაჟკაცის სახე.

ელავს კორდები მზეგადასხმული,  
აჰა, სოფელი მოჩანს ბორცვის იქით.  
ვიწრო ბილიკით გარბის ასული,  
უკან ბიჭუნა მისდევს ბორძიკით.  
და ექოდ ესმის გაღმა შარავზას:

— ნელა კვარასა...  
— ნელა კვარასა...



## მეუბრის მექანიზმი

ლენინური პრემიის ლაურეატი.

# ლ ე ქ ს ე ბ ი

## ხ ე ლ ე ბ ი

გინახავს ხე —

ქარიშხალში აწეწილი ხე?  
როცა ქარი დანავარდობს  
და ყველაფერს ხევს!

ფოთლებს მზერას გააყოლებს, —  
ქარში გაფანტულებს,  
ირწევა და ხელებივით  
ტოტებს აფათურებს...

ტოტზე წყალი მოწანწკარებს,  
წვიმის წმინდა წყალი,  
და ეს ტოტი გაოფლილი  
მკლავი იყოს თითქოს,  
დაქირქილობს,  
დაქაქანობს,  
დაქილიკობს ქარი,  
წვიმის წმინდა წყალში ბზინავს  
ტოტი — მაჯის სიმსხო.

მკაცრი ქარი ხვს აწვალებს  
დღენიადაგ, მუდამ,  
მაგრამ ვიდრე ცოცხალია, —  
გაისარჯოს უნდა...

გინახავთ ხე, რომ გაპყურებს  
ფოთლებს გაფანტულებს?  
ირწევა და ხელებივით  
ტოტებს აფათურებს.

ჩემმა ხელმა უნდა თესოს  
უკვდავების თესლი,  
ხელებს უნდათ აკვნების თლა,  
ყვავილების კრეფა;  
ხელებს სითბო დაპყლიათ  
უხილავი ცეცხლის,  
და ამ ცეცხლით კაცის გული  
ღვივდება და თბება.

ქარხნებში და სათიბებში,  
ყანებში და ზვრებში, —  
ჩემი ხელი ყველგან სწვდება,  
ყველგან მიხმობს საქმე;  
მე ამ ხელებს არ ვემდური,  
არც არაფერს ვერჩი,  
ხელებს მუდამ ვეფერები,  
ვუმდური და ვაქებ.

ხელებს ჩემსას შეუძლია:  
ალისფერი დროშა  
აიტაცოს და ბრძოლებში  
წინ წაიღოს მედგრად,  
შეუძლია, ბრძოლის შემდეგ  
ყვავილები მორწყას,  
შეუძლიათ, დიდი მთები  
ცის თავანზე შედგას.

ხელებს ჩემსას შეუძლია  
ააშენოს სახლი,

შეუძლია ტყვიის სროლა, —  
 მიზანში რომ მიდის,  
 შეუძლია მტრის ბანაკში  
 ააფეთქოს ნაღმი,  
 გალიიდან გამოუშვას  
 მოწყენილი ჩიტი.

ხელებს თავზე გადავუსვამ  
 თვალცრემლიან ბავშვებს,  
 მე ხელები გასაჭირში  
 მუხმარება, მშველის...  
 უხელებოდ ქვეყანაზე

### ჩ ა ნ ბ ი

მე არ მაქვს ჩანგი.  
 მაგრამ სისხამზე  
 აწკრილდება ტოროლა ციდან;  
 და ხმა იმისი ციდან მიწამდე  
 გალივიღვდება მთრთოლვარე სიმაღ.  
 დამატყვევებლად წკრიალებს სიმი,  
 ღუღუნებს ბგერა დამათრობელი, —  
 მარადიული, როგორც მზის სხივი,  
 და ყურთა სმენის დამატკბობელი.  
 გრძელდება ჟღერა და არ თავდება,  
 დილის ფრინველი წკრიალებს ცაში;  
 და თუ ცის თასი დაპირქვავდება, —  
 წვიმის სიმები მღერიან მაშინ.  
 არა მაქვს ჩანგი.  
 მაგრამ ეს ნაძვი  
 მთრთოლვარე სიმი არ არის განა?  
 ირწვევა, მღერის, —  
 სივრცე ბანს აძლევს  
 და მას ყურს უგდებს მთელი ქვეყანა!

ჟღერს არე-მარე, ისეთი ეშხით,  
 იმნაირ წვეთ და იმნაირ ბანგით, —  
 თითქოსდა მართლა ისმოდეს ტყეში  
 ჩურლიონისის ხმატკბილი ჰანგი.

მზიან მინდორში დამწიფდა პური,  
 სიმებს ვადარებ ოქროსფერ ღეროს...  
 განაბე სული, დაუგდე ყური, —  
 ყანა ზღვასავით ღელავს და მღერის.

მე არ მაქვს ჩანგი. და მაინც ვუმღერ  
 ოქროს სიმებით აესუბულ ყანას,

განა ვინმე გაძლებს? —  
 ხელებია დამცველი და  
 მარჩენალი ჩვენი!

ჰე მიწაო, ჩემო დედაე,  
 ვიდრე სუნთქვას შევძლებ,  
 ვიდრე მკლავში ძალასა ვგრძნობ,  
 ტანში სისხლი მღერის, —  
 მუდამ შენ გეფერებოდეს  
 მაგ მადლიან მკერდზე,  
 მუდამ შენთვის ირჯებოდეს  
 ჩემი ორივე ხელი!

სიმღერას ვამბობ არსობის პურზე  
 და მე ყურს მიგდებს ძთელი ქვეყანა.

არა მაქვს ჩანგი.  
 საყვირი ქარხნის,  
 ვით მსხვილი სიმი, ბოხი ხმით ყვირის!  
 გუგუნებს დაზვა, ღუღუნებს ჩარხი,  
 ყველაფერს იპყრობს ხალისი დილის.

ფარულად დაჰქრის ნიავი გრილი  
 და დილის ნამი სახურავს ვერცხლავს,  
 მტრედმა ფართქალით წაიღო მილი  
 და გამოაბა სიმივით ზეცას.  
 ჩამოვკრავ სიმს და ჩვეული ეშხით  
 იჟღერებს ჰანგი ახალ-ახალი  
 და ამღერდება ერთბაშად ჩემში  
 მინდვრები, ზღვები, ტყე და ქარხანა.

არა მაქვს ჩანგი.  
 მაგრამ ხეები, —  
 რომლებიც ჩემსკენ გამოწვდილია, —  
 სივრცეში ჟღერენ, როგორც სიმები  
 და ეს ხმა ჩემთვის სულზე ტკბილია.

ო, ყველაფერი ჩვეული ეშხით,  
 დამათრობელი ჰანგით და ბანგით  
 ახმოვანდება ერთბაშად ჩემში  
 და...

მე მაქვს ჩანგი, —  
 ხმატკბილი ჩანგი!

ლიტვურიდან თარგმნა ზინვი კნალაჰმა.





## ყაინის ყალიძვი

რსფსრ სახელმწიფო  
პრემიის ლაურეატი.

# მ თ ა ნ ო მ ა ლ ა ლ ნ ო

## ცისარტყელა

განათებულა ცათა კიდური  
მზესუმზირის და ჟოლოს ფერებით,  
კლდიდან ტყეებზე გადახიდული  
მიწას დასცქერი და ეფერები.

ქალები მინდვრად ხელს იჩრდილებენ  
და შესცქერიან ცას გახარებით  
და მდინარისპირ წამოშლილები  
რქებით გჩხვერავენ ღომა ხარები.

შუქად იღვრება მარწყვი და ჟოლო  
და ბალღებს შენთან უნდათ თამაში,  
გიპოვნონ სადმე თავი და ბოლო,  
ხელი ჩაგკიდონ ოქროს ვადაში.

და ნაწვიმარზე ყიჟინი ისმის,  
ბავშვების მზერა ცას უაღერსებს —  
იქნებ როგორმე დაეცე გზისპირ  
ან აჟღირალდე სახურავებზე.

ზის დედაბერი ხავსიან ქვაზე,  
ალბათ, მისი ხნის ქვაც აღარ გორავს.  
მოხუცს თვალები ბინდით აქვს სავსე  
და ძლივსლა არჩევს ნისლიან გორაკს.

ნეტავი ახლა რა აგონდება,  
რა ზმანებები აწუხებს ანდა?  
აუხდენელი ბევრი ოცნება  
აი, ამ მთების თოვლივით დადნა.

შენ ხარ მახვილი უუძველესი  
და მე გიწოდებ ბუდით იღბლიანს.  
მეხით ნაწრთობს და ელვით ალესილს  
ჯერ წვეთი სისხლიც არ დაგიღვრია.

ნეტავი, მართლა ღვთის მახვილი ხარ  
ცის ქარქაშიდან ამოზიდული?  
მაცდუნებულად ცაზე ჰკიდისხარ  
უცხო ფერების ტვერი მდიდრული.

თოვლიან მთიდან ზღვამდე გაწვდილი  
აფრქვევ და აფრქვევ ფერად აღმასებს,  
პოდა, მთელი გზა, მთელი მანძილი  
ხარ სიხარული და სილამაზე.

...სულში მინთია ტვერი ბრდღვილა,  
შუქად იღვრება მარწყვი და ჟოლო.  
თუკი ოდესმე მოვსპობთ იარაღს,  
გთხოვთ, ეს მახვილი დასტოვოთ მხოლოდ.

## ზის დედაბერი ქვაზე

მას აგონდება ჟამი ნეტარი,  
ქორწილის დამე, შიში და ლოცვა,  
პაუ, მას შემდეგ ბევრი მხედარი  
გადაქცეულა სამარის ბორცვად.

მოაგონდება მრავალი რამე  
მივიწყებული და სასურველი, —  
როგორ თანგავდა ქორწილის დამე  
კაკლებისა და მარწყვის სურნელით.

როგორ გამჭრალა ჟამი ნუტარი,  
 გამჭრალა, როგორც ელვა გიზგიზა.  
 გრძელი ნაწნავი, ტანი კენარი  
 და უდარდელი სიცოცხლისკისი.

მასაც რგებია, რაც მართალია,  
 ბევრი ჭირი და ბევრი გოდება  
 და ხანდაზმული სიბრძნის ბრალია,  
 დღეს მხოლოდ კარგი თუ აგონდება.

### მშობლიურ მთებს

მთებო, ისმინეთ ლოცვა-კურთხევა,  
 არ ათქმევინოთ მტერს სააუგო.  
 იდექით მუდამ ასე ურყევად  
 თუნდ ხიროსიშას ცეცხლით დაგბუგონ!

წინაპრებით შეიმედებით  
 და დავაფასებ თქვენს მზრუნველობას.

თქვენით ცოცხლობდნენ მამა-პაპანი  
 და ლოცულობდნენ თქვენზე მარადის...  
 მათ თქვენთან ერთად სწიეს ჭაპანი,  
 მტრის თარეშისგან თქვენ იფარავდით.

მტერი გიქადით ჟამთა სიავეს,  
 გულში აქვს ფიქრი სამუხანათო.  
 მთათო მაღალნო, მედგრად იყავით,  
 თქვენს სიმაღლეებს არ უღალატოთ.

თქვენს კალთებს მათი სისხლი დებავდა,  
 ყოველი ლოდი იყო საფარი.  
 მატიაწა გამარჯვებათა  
 ჩვენი წარსული და წინაპარი.

ასე იდექით უკუნისამდე  
 ბალახითა და მზით დაფერილი.  
 თქვენს ლაჭვარდს ბინდი ნუ დანისლავდეს,  
 აძოვეთ ფარა თეთრ ღრუბელივით.

მათ მოთმინება თქვენგან ისწავლეს,  
 თქვენგან ისწავლეს რაა სიმაღლე.  
 წარსულში თუმცა ბევრი ვიწვალეთ,  
 დღეს კი გვამაღლებს ქვეყნის სიახლე.

ასე ამაყად თუ იდგომებით,  
 მყუდრო გექნებათ განსასვენები, —  
 სამარეშიაც სულ მენდომებით  
 და გაცოცხლდები თქვენი მშვენებით.

თქვენი სიმაგრე მეც მწამს, ქედებო,  
 და თქვენგან ვსწავლობ ქედუხრელობას,

ასე იდექით, რომ სანაქებო  
 იერი ჰქონდეთ ზერებს და სანახებს.  
 თქვენი სიმაგრე მომეცით, მთებო,  
 თქვენი სიმაღლე და სიამაყე.

\* \* \*

ხელით ვეხები შენს ქვას და ბალახს  
 და ეს მანიჭებს ბედნიერებას,  
 მისაკეცდება მკლავებში ძალა  
 და მწამს, სიკვდილიც ვერ მომერგვა.

დიდი რწმენითა და იმედებით  
 განთიადისკენ შენს გზებს მივყვები.

მე მახარებენ შენი ქედები,  
 შენი ხეები, შენი ჩირგვებო,

ვივლი, აქამდე როგორც მივლია,  
 ვერ დამაკავებს ვერა-რა ზღუდე.  
 და შენი თოვლი ისე თბილია,  
 როგორც ზამთარში ჩიტისთვის ბუდე.

ბალყარულიდან. თარგმნა ზოთა ნიშნინიქია.



## პირი სუაქუპი

# სლუეუს თუბლსკლი

(დასასრული)

ოცივე ხელკეტიანი ერთად დასწვდა ქარბორბალას და მოედნიდან გაყვანა დაუპირა. გათრევა ასე არ უნდაო, — იბლავლა ქარბორბალამ. წამოიწია, მაგრამ როგორ წამოიწია, ყველანი ერთად ჰაერში აიტაცა და აქეთ-იქით მიჰყარ-მოჰყარა. მერე, ვისაც ხელი წაატანა, ბურთივით ისროლა მოედანზე, ოცივე რომ დააწვინა, ხელკეტიანთა უფროსს ვამოეცადა, შენი ჯინი მჭირს, ყურები უნდა დაგაჭრაო.

ხელკეტიანთა უფროსი, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, გარბოდა, უკან-უკან იხედებოდა, თან საცოდავი ხმით ეკითხებოდა:

— რა დაგიშავე, ბიჭო, რას მერჩიო?!

ხელკეტიანთა უფროსი ქარბორბალაზე მარდი აღმოჩნდა. გასწრებაც მოახერხა და მიმალვაც. ქარბორბალამ წინ რომ ვერავეინ დაინახა, ველარ გაიხსენა, რისთვის გარბოდა ასე გამწარებული ანდა ვის მისდევდა.

გაჩერდა და ჩაფიქრდა, — ნეტავი რატომ ვავრბოდიო.

ეს წამიერი ჩაფიქრება საჭმარისი აღმოჩნდა. ვიდრე ქარბორბალა უფროსს დასდევდა დასაქერად, ხელკეტიანებგონს მოვიდნენ და წამოდგნენ. ისევე მოიმარჯვეს კეტები. ჩაფიქრებული ქარბორბალა დაინახეს თუ არა, მიეპარნენ უკანიდან და... ოცმა თუ არა, თხუთმეტმა მაინც ერთად დასცხო კეტი ქონდართუხუცესის გაგიყვებულ პირად მცველს.

ქარბორბალა წაქცევით არ წაქცეულა. ცოტათი შებარბაცდა, თავი საკმაოდ მაგარი ჰქონდა და თხუთმეტი კეტი რას უზამდა?! ხელკეტიანებმა მოჰკიდეს ხელი და მოედნიდან გაიყვანეს.

ქონდარელები ამ მეორე სანახაობის კმაყოფილნიც დარჩნენ. იმდენი იციენს, მუცლებზე კანი აღარ შერჩათ.

უფლისწულმაც იცინა და იცინა, სიცილისაგან სულ თახთახებდა. ხელმწიფეცა და დედოფალიც კმაყოფილი იყვნენ, რადგან მათმა ერთადერთმა შვილმა ასე მშვენივრად გაატარა დრო.

ხელმწიფე წამოდგა, ეგონა სანახაობა ამით დამთავრდაო, მაგრამ მოტყუვდა.

დასაწყისი იხ. „ბიბლკი“, № 2, 3.



უფლისწულისა და სალამურას შეხვედრა. წიკიპურტი,  
რომელმაც შეძრა მთელი ქონდარითი

— მეც მინდა, ვა! — წაიბურტყუნა უკმაყოფილოდ უფლისწულმა ქონდარუხმა.

— რა გინდა? — თითქმის ერთდროულად ჰკითხეს ხელმწიფემ და დედოფალმა.

— მეც მინდა ვეჭიდაო.

— ვისა?

— აი, იმას. — ქონდარუხმა ხელი გაიწვირა სალამურასაკენ.

სალამურას ადგილიდან ფეხი არ მოუტეკლია. ქარბორბლას საქციელით გაკვირვებული მწყემსი ბიჭუნა იქვე დარჩა, სადაც იდგა, ვიდრე პირველი ვეზირის დარეტიანებული პირადი მცველი მოედინიდან არ გაიყვანეს.

წასვლა რომ დააპირა, ხელმწიფის რამდენიმე ჭარისკაცი მივიდა და უთხრა: თვით უფლისწულმა მოინდომა თქვენთან ჭიდაობაო. ახლა კი ნამდვილად ცუდად წამივა საქმეო, — გაიფიქრა სალამურამ.

ქონდარუხს უხსნიდნენ, უმარტავდნენ — უფლისწულისათვის უხერხული და შეუფერებელია ვილაც უცნობ გიგინდარასთან ჭიდაობაო. მაგრამ ქონდარუხი ჯორჯე შეჭდა და ჩამოსვლა აღარ მოისურვა. გინდა თუ არა, უნდა ვეჭიდავო.

პირველმა ვეზირმა ისიც კი თქვა, — ეგ უცნობი ბიჭი ჯადოქარიაო. ხომ ნახეთ, რკინასავით კაცი, რომლის მომრევი მთელს ქონდარეთში არ მოიძებნებოდა, მოაჯადოვა და მერე გაავიქაო. ამ გულუბრყვილო და სათნოებით აღსავსე ბავშვს იმ ავ სულთან საჭიდაოდ რომ უშვებთ, ნეტავი რას ფიქრობთო!

არავითარმა შეგონებამ არ გასჭრა. უფლისწული ერთთავად იმეორებდა:

— მინდა, ვა, უნდა ვეჭიდაო.

ქონდარელები წასასვლელად წამოიშალნენ. მაგრამ ხელმწიფის ლოცაში დიდი ჩოჩქოლი რომ შენიშნეს, იფიქრეს: აქ კიდევ რალაც სეირი მზადდებაო. ქონდარელები, როგორც ყველა სხვა

ქვეყნის მკვიდრნი, გათობის მოყვარულები იყვნენ და ამიტომ ახალი სეირის მოლოდინში თავ-თავიანთ ადგილებზევე დარჩნენ.

მოედანზე უფლისწული გამობაყბაყბადა.

ხელმწიფე და დედოფალი სიყვარულითა და შიშით შესცქეროდნენ ერთადერთ ვეიშვილს. გუნებაში ფიქრობდნენ: ის უცნობი ბიჭი მართლა ჯადოქარი არ იყოს და რამე ცუდი არ დამართოს ჩვენს შვილსაო. მაგრამ ქონდარუხი ისე ვაყვაცურად გაბაჯბაჯდა მოედანზე, რომ ორივეს სისწარულის ცრემლი მოადგათ თვალებზე.

სალამურა ასე ახლოს პირველად ხედავდა უფლისწულს და თვალს არ აშორებდა, აკვირდებოდა.

— არ მონუსნოს მაგ შეჩვენებულმა! — ვითომ თავისთვის ჩაილაპარაკა ქონდარუხუცესმა, სინამდვილეში კი ხელმწიფისა და დედოფლის გასაგონად თქვა. თან თვალი გააპარა მათკენ, ერთი ვნახოთ, რა შთაბეჭდილება მოახდინა ჩემმა ნათქვამმაო.

ქონდარუხმავე გულდაგულ შეათვალიერა სალამურა, ორჯერ ირგვლივ შემოუარა და გამომწვევად დაუდგა წინ.

ორივენი უხმოლ მისჩერებოდნენ ერთმანეთს თვალებში.

ბოლოს დუმილი უფლისწულმა დაარღვია.

— რა გქვია?

— სალამურა.

— სალამურა?

— გითხარი, სალამურა მქვია-მეთქი. შენ რალა გქვია?

— შე?

— ჰო, შენ.

— მე... მე... ქონდარუხი.

— მართლა უფლისწული ხარ?

— მე?

— ჰო, შენ.

— მე... მე... რა მკითხე?

— დაგავიწყდა?





— ვა, დამავიწყდა და რა ვქნა.  
 — რა უნდა ჰქნა? არაფერი. მე ისა გვითხე, ნამდვილად უფლისწული ხარ-მეთქი.  
 — მე?  
 — სხვა შენს მეტი აქ არავინ არის.  
 — ვარ, მაშ არა ვარ! ნამდვილად უფლისწული ვარ!  
 — მერე ასე რამ გაგასტუქა?  
 — ვა, მაშ როგორი უნდა ვიყო? უფლისწული ვარ და...  
 — შენ ისეთი ბიჭი ჩანხარ, ძილიც გეცვარება?  
 — მე?  
 — ჰო, შენ.  
 — მაშ უძილობით თვალებს ხომ არ დავიხსნი. შევკვამ და დავიძინებ, შევკვამ და დავიძინებ, შევკვამ და დავიძინებ. მეთქი რა ვქნა, უფლისწული ვარ და...  
 — შენ მოაყვანინე ბაია სასახლეში?  
 — ვინა?  
 — ბაია.  
 — ვინ არის ბაია?  
 — ციცინათელების მწყემსი გოგონა.  
 — ჰო. მე მოვაყვანინე. ციცინათელების მზეთუნახავი მეგონა. ის კი მწყემსი ყოფილა.  
 — მერე, რა იქნა, სად არის ახლა?  
 — ვინა?  
 — ვინა და ბაია, ციცინათელების მწყემსი გოგონა.  
 — აბა მე რა ვიცი, რა იქნა... თუ ვინცაა მეჭიდე.  
 — ჯერ მითხარი, რა იქნა ბაია.  
 — დაიკარგა.  
 — სად დაიკარგა?  
 — ვინა?  
 — ვინა და ბაია?  
 — მე რა ვიცი, სად დაიკარგა... მე უფლისწული ვარ...  
 — წკიპურტი ხომ იცი?  
 — რა?  
 — არ გაგიგონია წკიპურტი?  
 — არა.  
 — არც მოგხვედრია?  
 — სადა?  
 — სადა და ცხვირში.  
 — არა.

— თუ არ მოგხვედრია, ახლა მოგხვედება. — სალამურა ისე გააბრაზა უფლისწულის პასუხებმა, სულ დაავიწყდა. ხელმწიფე თავის ამალიანად მას რომ მისჩერებოდა. უფლისწულს შიგ ცხვირში დაჰკრა წკიპურტი.  
 — ეგრე არ მინდა, ვა! — წამოიძახა ქონდარუხმა და ცხვირზე წაივლო ხელი.  
 — ის კარგია, ბაია რომ დაიკარგა? — სალამურას კიდევ რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ხელმწიფის ლოქაში ერთი ალიაქოთი ატყდა.  
 — მან უფლისწულს ცხვირში წკიპურტი გაართყა! — წამოიყვირა ვილაცამ.  
 — ოჰ, ოჰ, წკიპურტი!  
 — მერე ვის?  
 — ჩვენს საყვარელ უფლისწულს!  
 — მერე და სად?  
 — ცხვირში!  
 — არამზადა!  
 — სალახანა!  
 — თავხედი.  
 — ახლავე დაიჭირეთ!  
 — ჩააქვევეთ!  
 — როგორ გაუბედა!  
 — ოჰ, ოჰ, წკიპურტი!  
 — უფლისწულს ცხვირში წკიპურტი გაართყა.  
 დედოფალ ქონდარინეს ვული შეულონდა.  
 — ჩქარა წყალი, — ბრძანა ხელმწიფემ, — ეგ არამზადა კი დაიჭირეთ და ჩამოახრჩეთ.  
 მოედანზე ხელკეტანები გამოცვივდნენ დავემილი ძაღლებივით. ახლა ოცი კი არა, მთელი გვარდია მოდიოდა. სალამურამ გაქცევა დააპირა, მაგრამ ყოველი მხრიდან შეუტარეს გასაქცევი გზა.  
 საბრალო მწყემსი ბიჭუნა ხელკეტანების ალყაში მოექცა. საშველი არ იყო, უნდა დანებებულიყო.  
 ხელმწიფის ლოქაში დედოფალ ქონდარინეს გარდა ყველანი ფეხზე იდგნენ და გაფაციცებით თვალს ადევნებდნენ ხელკეტანების მოქმედებას. უფლისწული პირველმა და მეორე ვეზირმა გაიყვანეს მოედნიდან. უფლისწული ბუზ-

დუნებდა: ნუ წამიყვანთ, უნდა ვეკვიდარყო, მაგრამ მისი ბუზღუნნი არც პირველმა და არც მეორე ვეზირმა აინუნშიც არ ჩააგდეს.

ხელკეტიანების რკალი თანდათან პატარავდებოდა, მკიდროდ შეკრულნი მოდიოდნენ. ათიოდე ნაბიჯიც კიდევ და სალამურას ხელში ჩაიგდებდნენ. უცებ სალამურას ბრწყინვალე აზრმა გაუელვა თავში. სიხარულისაგან თვალები აუციმციმდა.

ხელმწიფის ლოქაში უკვე ზეიმობდნენ სალამურას დაჭერას. მაგრამ ზეიმი ნაადრევი გამოდგა. სალამურამ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა უკან, მერე გაქანდა, მიწას დაჰკრა ღონივრად ფეხები და პაერში აიჭრა. ოთხმაგი მალაყით გადაველო თავზე ხელკეტიანებს. ხელკეტიანებმა თვალები დახუჭეს და რატომღაც ქულებზე წაივლეს ხელები.

სალამურა უკვე ალყის გარეთ იყო და მთელი ძალით გარბოდა.

— დაიჭირეთ, არ გაუშვათ! — დაუყვირა ხელკეტიანებს გენერალმა. ხელკეტიანები სალამურას დაედევნენ.

სალამურამ ხალხისაკენ აიღო გეზი, ხალხს შეერია და გაუჩინარდა. ხელკეტიანებიც, რა თქმა უნდა, ხალხს ეკვეთნენ, ხელკეტებით დაერივნენ — ახლავე მოგვეციოთ დამნაშავეო. ქონდარელებმა უარი თქვეს — ამ ბიჭს ვერ მოგცემთო.

მაშინ გვარდიელები უფრო გაწიწმადნენ და ქონდარელებს ხელკეტები დაუშინეს. ქონდარისკაცები აღაშფოთა ხელკეტიანების ასეთმა თავგასულობამ. თუ ბრძოლაა, ბრძოლა იყოსო და... მართლაც, ათიოდე წუთის შემდეგ ფეხბურთის მოედანი ნამდვილ ბრძოლის ველს დაემსგავსა.

ხელმწიფე თავის ამალიანად ვაიპარა. ყველანი თავკუდმოგლეჯილები გარბოდნენ სასახლისაკენ. დედოფალი ქონდარინე, წელან რომ გული წაუვიდა და წყლის შეხეფებით ძლივს მოასულიერეს, ყველაზე წინ გარბოდა.

ეგ არაფერი, თვით გენერალმა მიატოვა თავისი გვარდიელები. მართალია, ორივე ფეხით კოჭლი იყო და ისე სწრაფად ვერ გარბოდა, როგორც დედოფალი ქონდარინე, მაგრამ მაინც ხომ გარბოდა. ჰოდა, თუ გენერალი გარბის, უსარდლო გვარდიამ რა უნდა ჰქნას?

ბრძოლაში ხელკეტიანები დამარცხდნენ. ბრძოლის ველს ზურგი შეაქციეს და თავიანთ სარდალს მიბაძეს. ერთი სიტყვით, გაიქცნენ.

ქონდარელები გამარჯვებას ზეიმობდნენ.

სალამურა ხელში აყვანილი მიჰყავდათ.

ასე დატოვეს მოედანი.

## კ უ ნ ძ უ ლ ზ ე

ქონდარელები აღარ ეშვებოდნენ სალამურას, ყველას მასთან ახლოს ყოფნა უნდოდა. ისიც გაიგეს, რომ ჩალამურა კი არა, სალამურა ერქვა.

ცომი ზელია ლელავდა. მკედელ დაჰკა-დაჰკას მითითების თანახმად, სალამურა სანახაობის დამთავრების შემდეგ კუნძულზე უნდა მიეყვანა. ვერ ახერხებდა. ანდა როგორ მოახერხებდა, როცა ყოველი ქონდარელი თავს ვალდებულად თვლიდა ქარბორბალას მომრევი თოკზე მოსიარულე ბიჭი თავის სახლში დაეპატიჟა ქონდარის უგემრიელეს შეჭამანდზე.

სალამურა ყველასთან ერთად ვერ მივიდოდა. ამიტომ ყოველ ქონდარელს შეჰპირდა, დღეს თუ არა, ხვალ ანდა ზეგ უსათუოდ გიწვევითო.

სხვა რომ ვერა იღონა რა, ცომი ზელიამ საქვეყნოდ გამოაცხადა: სალამურა დღეს ჩემი სტუმარია, ადრევე შემეპირდაო. ასეთ შემთხვევაში რა უნდა ექნათ ქონდარელებს? თუ ადრევე მართლა შეჰპირდა ცომი ზელიას, სტუმარს ხომ ვერ გამოგლეჯდნენ ხელიდან.

ქონდარელებს ზრდილობა არ აკლდათ და კარგად იცოდნენ სტუმარ-მასპინძლობის წესები.

ჩვენ უკვე ვიცით, ცომი ზელია ქონდარეთის განაპირა უბანში ცხოვრობდა. იქიდან აღვილი იყო მისვლა სამ მუხასთან, საიდანაც კუნძულზე გვირახი გადიოდა.

ბოლოსდაბოლოს მიაღწიეს გვირახს და გაძვრნენ. ცომი ზელიას გვირახში გაახსენდა, რომ სალამურას მისი დაკრული უღვაში მოძვრა და დარცხვენნილმა გაიფიქრა: დაჰკა-დაჰკას როგორ შევხედო თვალბეშო. მაინც რა მატრახებდა ამდენს. წინდაწინ საიდან უნდა მცოდნოდა, უღვაში მოძვრებოდა თუ არაო.

დაჰკა-დაჰკას შეხვედრისა რცხვენოდა და კინაღამ უკან გამობრუნდა. მაგრამ მერე ზელი ჩაიქნია. ჩემი ბრალია და რასაც მეტყვის მჭედელი, ჩემზე ახი იქნებაო.

კუნძულზე მჭედელი დაჰკა-დაჰკა აღელვებული დახვდათ — ამდენ ხანს რატომ დაიგვიანეთო. ცომი ზელიამ დაწვრილებით უამბო, რაც მოხდა ფეხბურთის მოედანზე.

— საკვირველია. — თქვა მჭედელმა, — ჩვენ ისე შევნიღბეთ სალამურა, არც ქონდართუხუცესს და არც ქარბორბალას არ უნდა ეცნოთ.

— რა ვიცი, იცნეს. — უპასუხა ცომი ზელიამ.

— უღვაში რომ არ ჩამოვარდნოდა, ალბათ, ვერ მიცნობდნენ, — გულუბრყვილოდ წარმოთქვა სალამურამ. ვერ მიხვდა, რატომ მალავდა ცომი ზელია უღვაშის ჩამოვარდნას.

— მაშ უღვაში მოგძვრა? — ჰკითხა მჭედელმა სალამურას.

ცომი ზელია აიწურა, გაწითლდა.

— ვერც კი ვავიგე, ისე ჩამოვარდა.

— მაშ ყველაფერი შენი ბრალი ყოფილა, — ცომი ზელიას მიუბრუნდა მჭედელი. — აკი მთელი ქონდარეთი რომ დაეკიდოს, მაინც არ მოძვრებო?

— რა ვიცი... ალბათ უღვაში არ ვარგოდა. — თავი იმართლა ცომი ზელიამ.

— თავს ნუ იმართლებ, — გაბრაზდა დაჰკა-დაჰკა. — შენს გაფუჭებულ საქმეს სხვას ნუ აბრალებ. ამ ბოლო დროს

ძალიან მიუშვი საქმეს ზელი. შენი გამოცხვარი პური აღარც კი იჭმევა.

ცომი ზელია დარცხვენილი იღვა და არაფერს ამბობდა. იგი დაშინაშავედ გრძნობდა თავს. ცოტა უკეთესად რომ მომეზილა ცომი, ალბათ, სალამურას ახლაც ზედ ექნებოდა უღვაში მიკრულიო.

— თუმცა „ზოგი ჰირი მარგებელიაო“, — ჩაილაპარაკა მჭედელმა. ეს გამოთქმა ძალიან უყვარდა და, როგორც კი ამის წარმოთქმის საშუალებას მოიხელთებდა, მაშინვე იტყუოდა ხოლმე. — ესე იგი, ხელეცტიანები დამარცხეთ... — განავგრო ლაპარაკი, — ეს კარგია... ესე იგი, ხელეცტიანების დამარცხება არც ისეთი ძნელი ყოფილა. ჩვენ შეგვიძლია უფრო გაბედულად მოვითხოვოთ ჩვენი საამაყო ფეხბურთელის, კვანტი დაუდეს გათავისუფლება.

— რა თქმა უნდა, შეგვიძლია! — მაშინვე დაეთანხმა ცომი ზელია, რადგან ასე იოლად გადაურჩა დაჰკა-დაჰკას ვაბრაზებას.

— ახლა წადი და ბრძენ კინა-ლოკოს გადაეცი, ნუ დაიძინებს. ამაღამ ვინახულებ და მოვეთათბირები.

დარცხვენილ ცომი ზელიას ხმა არ ამოუღია, ისე ვატრიალდა და წავიდა მჭედლის დავალების შესასრულებლად.

დაჰკა-დაჰკამ ზელმეორედ მოაყოლინა სალამურას ფეხბურთის მოედანზე მომხდარი ამბავი, თან სულ ერთთავად იმეორებდა, — ეს რა გიქნია, შე ეშმაკის ფეხო. როგორ ვავიგევიბიაო. უფლისწულზეც ბევრი იხარხარა.

— მაშ, იმ მუთაქამ ჰიდაობა მოინდომა?

— გინდა თუ არა მეჭიდო.

— მაშ, დაჰკარი ცხვირში წკიპურტი? სიცილისა და ლაპარაკში შემოაღამდათ.

ნელ-ნელა ვარსკვლავებით მოიჭედა ზეცა.

შუალამე რომ მოახლოვდა, მჭედელი დაჰკა-დაჰკა წამოდგა, — ჩემი წასვლის დრო მოახლოვდაო.

სალამურა მარტო დარჩა კუნძულზე.

## სიცინათელები მიჯრინავენ ბაიას საძებნელად და კოშლოზე

კუნძულზე მარტო დარჩენილი სალა-  
მურა ფიქრებმა გაიტაცა.

ბაია სასახლიდან გაქრა, დაიქარვავო.  
პო, ასე თქვა უფლისწულმა ქონდარუხ-  
მა. ალბათ, დრო იხელთა და გაიქცა. მაშ,  
სად უნდა დაიქარვულიყო? თუ სასახლი-  
დან გაიქცა, შორს ვერ წავიდოდა. აღ-  
ვილი შესაძლებელია, რომ სადმე აქვე  
ახლო-მახლო შეაფარა ტყეს თავი.

თუ ბაია ნამდვილად ასე მოიქცა, მა-  
შინ სულ იოლად მიაგნებს. ახლავე გა-  
ფრენს ციციანთელებს. ციციანთელებ-  
მა კი თავიანთი საქმე ზედმიწევნით  
კარგად იციან.

სალამურამ ციციანთელებიანი კოლო-  
ფი ამოიღო და გახსნა.

— თქვენი იმედილა მაქვს, ციციანთე-  
ლებო. ახლავე გაფრინდით ბაიას საძებ-  
რად. მოიარეთ ეს ტყეები და თუ ბაია  
სადმე ნახოთ, მაშინვე დაბრუნდით უკან  
და შემატყობინეთ. აბა, თქვენ იცით, ცი-  
ციანთელებო, როგორი მონდომებით  
დაუწყებთ ძებნას.

ციციანთელები კოლოფიდან ამოფ-  
რინდნენ და ღამის სიბნელეში აციმციმ-  
დნენ.

— ზომ გიყვართ ბაია, ციციანთე-  
ლებო?

— გვიყვარს, ძალიან გვიყვარს! —  
ახმურდნენ ციციანთელები.

— მაშ, ყველა ტყე დაიარეთ და ეძე-  
ბეთ.

— უსათუოდ მოგძებნით! თუ ბაია  
სადმე აქ არის, უსათუოდ მოგძებნით! —  
ციციანთელები ნაპერწკლებივით გაი-  
ფანტნენ ღამეში.

სალამურა დიდხანს ადევნებდა თვალს  
მთი ციმციმს. მერე ციციანთელები ღა-  
მის სიბნელემ შთანთქა. სალამურამ მდი-  
ნარის ნაპირისაკენ გასწია. იგი რატომ-  
ღაც დარწმუნებული იყო, რომ ბაიას  
ამბავს ღღეს უსათუოდ შეიტყობდა.

მაგრამ ჩვენ ზომ ვიცით, ბაია ტყეში  
არ იყო გახიზნული. ციციანთელების  
მწყემსი გოგონა ქონდართუხუცესს საპ-

ყრობილეში ჰყავდა დამწყვედული. ისიც  
საიდუმლო საკანში, რომლის არსებობა  
მხოლოდ პირველმა ვეზირმა და მისმა  
უერთგულესმა ციხის მცველმა რაზამ  
იცოდნენ.

მიაგნებენ თუ არა ციციანთელები  
ბაიას?

ენახოთ.

ბაიამ, როგორც კი ვარსკვლავები  
აელვარდნენ ცაზე, თვალები გაახილა და  
თავისი ჯამიდან წყალი მოსვა. ცუდი  
სიზმრები ნახა და უგუნებოდ იყო. ნაღ-  
ლიანი თვალებით შეხედა ვარსკვლავებს  
და ატირდა.

— ეჰ, ვარსკვლავებო, მშვენიერო,  
მოციმციმე ვარსკვლავებო! მე აღარავის  
ვახსოვარ! ჩემმა ციციანთელებმაც კი  
დამიფიწყეს.

ბაიამ იმედი დაჰკარგა. აღარ ეგონა,  
თუ ამ საჭინდან ოდენმე თავს დააღწე-  
და. მართლაც, რისი იმედი უნდა ჰქონო-  
და. ვინ გაიგებდა ანდა როგორ გაიგებ-  
და, რომ ბაია ამ საპყრობილეშია დამ-  
წყვედული? თუნდაც გაეგოთ! მერე ვინ  
უშველიდა? ვინ დაიხსნიდა მწყემს გო-  
გონას!

ციციანთელები?

ციციანთელებს რა შეუძლიათ? არა-  
ფერი. ისინი ბაიას აქედან ვერ გაიყვა-  
ნენ.

სალამურა?

სალამურას, ალბათ, აღარც კი ახსოვს  
ბაია. ერთხელ, მხოლოდ ერთხელ შეხე-  
და და დაკარგული ჭია-მაიები აპოვნინა.  
თუნდაც ახსოვდეს, ვინ ეტყოდა, რომ  
ბაია ღამის შიკრიკებმა მოიტაცეს და აქ  
წამოიყვანეს?

ასე ფიქრობდა ბაია და ცრემლი ღაპ-  
ღუბით ცვიოდა.

იქნებ ვარსკვლავებმა უთხრეს?

ბაია ზომ ყოველ ღამე ელაპარაკებო-  
და ვარსკვლავებს. ხან სალამურასთან,  
ხან ციციანთელებთან აბარებდა თავის  
ამბავს.

ვინ იცის, იქნებ მართლა ესმოდათ



ვარსკვლავებს ბაიას ხმა. ერთხელ ხომ გააგონეს სალამურას დაკვრა. თუ არა ვარსკვლავები, სხვა ვინ გადასცემდა ბაიას სურვილს ჭია-მაიების მწყემს ბიჭუნას?

— ვარსკვლავებო, მშვენიერო, უნაზესო ვარსკვლავებო. გადაეცით სალამურას, რომ მე ისევ მახსოვს ღამის სიმღერა.

ვარსკვლავებთან საუბარში ახლაც მთელი ღამე გაათია ბაიამ. ცა ისევ გაფერმკრთალდა, ვარსკვლავებმაც თანდათან დაჰკარგეს ელვარება და სათითაოდ მიიპარებოდნენ ციდან. სულ მალე, ალბათ, განათდება.

ბაიას უკვე ეძინება. ქუთუთოები დაუშმძიმდა — თვალეები ეხუჭება. ძილის წინ კიდევ ერთხელ ახედა ცას და გაოცდა, საკუთარ თვალებს აღარ დაუჯერა.

ცაზე ისევ ციმციმებდნენ ვარსკვლავები. ოღონდ საოცარი ის იყო, რომ ვარსკვლავები ახლა ციმციმთან ერთად მოძრაობდნენ კიდევ. ბაიამ იფიქრა, ალბათ ძალიან დავიღალე და მეჩვენებო.

მაგრამ არა, არ ეჩვენებოდა.

ვარსკვლავები თითქოს ცას მოწყდნენ და გისოსებიანი სარკმლის წინ დაფრინავდნენ. მერე საკანშიც შემოიჭრენ. ჯერ ერთი შემოფრინდა, მერე — მეორე მერე, მესამე, მეოთხე, მეხუთე... საკანი ვარსკვლავებით აელვარდა.

— ბაია, ბაია ვიპოვეთ, — ატეხეს ყრიაშული ციციანთელებმა.

— ოჰ, ჩემო კარგო ციციანთელებო,—

სიხარულის ცრემლი მოადგა ბაიას თვალზე. — ნუთუ მომაგენით, ნუთუ მიპოვეთ, ჩემო ძვირფასებო, ჩემო ღამაზებო. ციციანთელები დააფრინდნენ წინ გაშვერილ ხელებზე ბაიას. საბრალო ციციანთელები! სიხარულისაგან თრთოდნენ, სიყვარულით ეაღერებოდნენ ამდენი ხნის დაქარგულსა და გატანჯულ ბაიას.

— უკვე თენდება, — თქვეს ციციანთელებმა, — ახლა წავალთ და სალამურას შევატყობინებთ, რომ ვიპოვეთ... მთელი ღამე გველოდება.

— ნუთუ სალამურაც აქ არის?!

— აქ არის. შენს საძებრად წამოვედით ყველანი და, როგორც იქნა, ვიპოვეთ.

— გმადლობთ, ჩემო კარგებო. სალამურას გადაეცით, რომ არ დამეჩიყებია. ყოველთვის მახსოვდა ღამის სიმღერა.

ვახარებულნი ციციანთელები ისევ აფრინდნენ, სარკმელს მიაშურეს. ერთხელაც დაემშვიდობნენ ბაიას და მთელი სისწრაფით გასწიეს სალამურასაკენ.

ბაიას ეს ყველაფერი ტკბილი სიზმარი ეგონა. ბაია ბედნიერი იყო.

ისე ჩაეძინა, რომ მომხიბვლელი, ბედნიერების ღიმილი არ მოშორებია მის სახეს. სვალინდელი ღამის იმედით ჩაეძინა. რახან ერთხელ მოაგნეს ციციანთელებმა, მეორედაც მოაკითხავენ, უსათუოდ მოაკითხავენ მეორედაც.

ბაია ბედნიერი იყო!

ბაიას მარტოობა დასრულდა!

ნუთუ ამიერიდან ციციანთელების მწყემსი გოგონა მარტო აღარ იქნება?!

### ტყისმცროსები კუნძულზე

სალამურას იმედი გაუმართლდა: ციციანთელებმა ბაიას ამბავი მოუტანეს. გახარებულმა ტაში შემოჰკრა და სულ თითისწვერებზე დაიწყო ცეკვა. მაგრამ, როცა გაიგო, რომ ბაია საპყრობილეში იყო დამწყვდეული, შეფიქრიანდა, დანალღლიანდა კიდევ. არც ისე ადვილი იქნებოდა ბაიას გაათავისუფლება.

მჭედელი დაჰკა-დაჰკაც ავვიანებდა მოსულას და, ცოტა არ იყოს, ამანაც ჩააფიქრა. უკვე კარგად გათენდა. მზე ამოიწვერა. მჭედელი დაჰკა-დაჰკაც კი ჯერ არსად ჩანდა. სალამურას უნდოდა მჭედელს მოთათბირებოდა ბაიას თაობაზე, რადგან მან უკეთ იცოდა ჭონდარეთის ასავალ-დასავალი. ალბათ მჭედელი ეტ-

ყოდა და ასწავლიდა, რა ხერხითა თუ მანქანებით შეძლებდა სალამურა საბრალო ბაიას დახსნას.

დაჰკა-დაჰკა იგვიანებდა.

სალამურას მის ლოდინში გული ეღეოდა.

ბოლოს, როგორც იქნა, მჭედელმა დაჰკა-დაჰკამ გვირაბიდან თავი ამოჰყო. ძალიან შეწუხებული სახე ჰქონდა მჭედელს. მიწიდან ამოძვრა, ტანისამოსი დაიფერთხა და სალამურა ტყისაკენ წაიყვანა.

— ძალიან ცუდი ამბავი მოვიტანე, — თქვა დაჰკა-დაჰკამ.

— რა მოხდა?! — შეშფოთდა სალამურა.

— წუხელ, ვიდრე მე ქონდარეთში გადავიდოდი, ხელკეტიანებს ყველა ოჯახიდან თითო ქონდარელი წაუყვანიათ.

— სად?

— სად წაიყვანდნენ? საპყრობილეში თურმე ტევა აღარ არის.

— ეს ყველაფერი ჩემი ბრალია, — თქვა სალამურამ. — მე რომ არ გამომსარჩლებოდნენ, არაფერიც არ მოხდებოდა.

— ეგ რა სისულელე წამოგცდა! — შეუტია მჭედელმა დაჰკა-დაჰკამ, — ისინი სამართლიანად მოიქცნენ. სამართლიანობისათვის კი დასჯა ვის გაუგია. — ყველას ერთად ვერ მოერივნენ და ცალ-ცალკე შეიპყრეს. გაიძვევებო! ვერაგები! მიუქთანობები!

— ბაიაც საპყრობილეში ჰყოლიათ დაშწავლული.

— ვინ გითხრა? საიდან გაიგე?

— ციციანთელებმა მომიტანეს ამბავი. — სალამურამ უამბო, როგორ გააფრინა წუხელ ციციანთელები და რა დააბარა. უამბო, თუ რამდენი უფრენიათ საწყლებს ტყეში, მერე მდინარის პირას ნაცნობი ხმა გაუგონიათ, იმ ხმას მიჰყოლიან და ერთ-ერთ საკანში ბაია აღმოუჩენიათ.

— ნუ გეშინია, ჩემო სალამურა, — უთხრა მჭედელმა, — ჩვენ ყველას გავათავისუფლებთ. ბაია სულ მალე იხილავს მზის ამოსვლას. თუ ერთხელ ფეხბურ-

თის მოედანზე დამარცხდნენ ხელკეტიანები, რატომ არ შეიძლება მეორედაც დავამარცხოთ? ახლა ქონდარეთიდან ცომი ზელია მოიყვანს ტყის მჭრელებს. ყველა ქონდარელისათვის უნდა დავამზადოთ ხელკეტი და მერე ვნახოთ, როგორ გაგვიმკლავდებიან ისინი. მხოლოდ საპყრობილეს რკინის კარის გაღება გავვიძინელებმა, მაგრამ, ბოლოსდაბოლოს, იმასაც გავაღებთ.

სალამურა აღტაცებული შესცქეროდა დაჰკა-დაჰკას. მოხიზლული იყო მჭედლის გამბედაობითა და შეუპოვრობით.

კუნძულზე ცოტა ხნის შემდეგ მართლა მოვიდნენ ცომი ზელია და ექვსი ტყის მჭრელი. ისინი მოსვლისთანავე შეუდგნენ საქმეს — ხელკეტების დამზადება დაიწყეს. დაჰკა-დაჰკაც, ცომი ზელიაც და სალამურაც ეხმარებოდნენ ტყის მჭრელებს.

სალამურა ტყეში ხეტილის დროს მდინარე ჩქაფუნას ნაპირზე მივიდა. აქ მდინარის კალაოტი ვიწროვდებოდა და სულ ახლოს მოჩანდა საპყრობილის კედელი. ვისოსებიანი ფანჯრებიდან ქონდარელები იხედებოდნენ, რაღაცას ყვიროდნენ, მუშტებს იქნევდნენ.

საპყრობილეს წინ მოედანზე ხელკეტიანები იდგნენ და კარებს დარაჯობდნენ.

სალამურამ იფიქრა, მოდი, ამ ხეზე ავცოცდები და იქიდან ჩუმად ვუთვალთვალე ფანჯრებს, იქნებ ბაიასაც მოვკრა თვალიო.

მართლაც აცოცდა ხეზე. ორიოდე წუთში ხეს კენწეროზე მოექცა. დიდხანს ათვალიერა სარკმლები, მაგრამ ბაია ვერ დაინახა. ანდა, როგორ დაინახავდა, ჩვენ ხომ ვიცით, რომ ცისკრის ვარსკვლავები აკიაფდებოდა თუ არა, ბაია იძინებდა.

აჰ, ნეტავი ერთი გრძელი თოკი მომცაო. — გაიფიქრა სალამურამ, — იმ საკვამურს ქამანდს ვესროდი, მერე თოკს დავჭიპავდი, ამ ხეზე გამოვამაფდი და სულ ადვილად გადავიდოდი საპყრობილეშიო. მერე ფიქრშივე დასძინა, — თოკის შოვნაზე ადვილი რა არისო.

მაშინვე ჩამოცოცდა ხიდან და მკედელ დაჰკა-დაჰკასთან გაიქცა.

მკედელმა გულდასმით მოუსმინა სალამურას, მხარზე დაარტყა ხელი და სახრიანობა მოუწონა.

თოკს, რა თქმა უნდა, ადვილად იშოვიდნენ. ცომი ზელიამ თქვა: თუ გინდათ, ახლავე მოვარბენინებო. ჩვენი თოკი გრეხია მაგის მეტს რას აკეთებსო.

ასე გადაწყდა. ცომი ზელია მოიტანდა თოკს. შებინდებისას სალამურა ხეზე ავიდოდა და იქიდან ქამანდს მოსდებდა საკვამლე მილს. სალამურას თან ექნებოდა სათადარიგო თოკიც, რომელსაც საკვამურში ჩაუშვებდა და მერე თვითონაც ჩაპყვებოდა...

თუმცა, რატომ ვყვებით წინდაწინ, უმჯობესია ამბებისა და მოვლენების განვითარებას მივდიოთ, რა გვეჩქარება?

ცომი ზელია თოკის მოსატანად მაშინვე აფრინეს ქონდარეთში. თვითონ კი ხელკეტების დამზადება განაგრძეს.

ხუთი-ექვსი საათის შემდეგ საკმაო რაოდენობით დაამზადეს კეტი.

— საკმარისია, — თქვა მკედელმა, — ახლა მთავარია, ქონდარეთში გადავიტანოთ. ქონდარელები მზად არიან და გველოდებიან.

ამასობაში ცომი ზელია აქლოვინებულნი დაბრუნდა, თან საკმაოდ გრძელი თოკი მოიტანა.

— საკმაოდ გრძელია, — სულს ძლივს ითქვამდა ცომი ზელია, — ქამანდაც ეყოფა და საკვამურში ჩასამვებადაც.

შემდეგ დაიწყო ხელკეტების გაზიდვა ქონდარეთში. სალამურა კუნძულზე დარჩა და შებინდებას ელოდებოდა.

— აბა, შენ იცი, ჩემო სალამურა, — უთხრა მკედელმა დაჰკა-დაჰკამ დამშვიდობებისას, — ჩვენ უკვე გავიტანეთ კეტები და მივდივართ. დღეს თუ ჩვენ გავიმარჯვებთ, ამ გამარჯვების მთავარი გმირი შენ იქნები. შენზე ბევრი რამ არის დამოკიდებული.

მკედელმა დაჰკა-დაჰკამ ხელკეტების უქანასკნელი კონა გაიტანა და სალამურა მარტო დატოვა.

## ხის კენჭუროდან ნასროლი ქამანდი

შებინდებისას სალამურა მდინარის პირას მალალ ხეზე აცოცდა. ხის კენჭუროდან გადახედა საპყრობილეს, — ერთი ვნახო, ხელკეტისანი გუშაგები რას აკეთებენო.

ხელკეტისანები სარგადაყლაპულებივით იდგნენ გაჭიმულები. ყოველ მათგანს თავისი საყარაულო ადგილი ჰქონდა მიჩენილი და იმ ადგილიდან ფეხს არ იცვლიდა. ახლა მთავარი იყო, სალამურას ისე ესროლა ქამანდი, რომ ეზოში არავის შეემჩნია.

ქამანდის სროლა კარგად იცოდა. საერთოდ, ყველა ნამდვილმა და გამოცდილმა მწყემსმა კარგად იცის ქამანდის სროლა. ჩვენი სალამურაც ხომ ნამდვილი მწყემსი იყო. ახლა ნახავეთ, პირველნი ცდაზე მოსდებს თუ არა ქამანდს საკვამლე მილს.

მწყემსმა ბიჭუნამ თანაბრად აკრიფა თოკი და მარჯვენა ხელში გადაიტანა.

ერთხელ კიდევ გახედა ხელკეტისანებს და როცა დარწმუნდა ვერაფერს მამჩნევსო, მარჯვენა ხელი მთელი ძალით გაიქნია.

თოკი შხივლით გაიშალა. გველივით დაიკლავა.

სალამურამ გულისფანცქალით გააყოლა თვალი. მინც არ იყო დარწმუნებული პირველსავე ცდით მიზანს თუ მიაღწევდა. მართალია, ამ ხეზე ამოსვლამდე, ტყეში ივარჯიშა, მაგრამ იმ ვარჯიშის იმედი არ ჰქონდა, რადგან ძალიან დიდი ხანია არ უსვრია ქამანდი. ასეთ რამეს კი გამუდმებული წვრთვნა და ვარჯიში უნდოდა.

ეჭვი უსაფუძვლო გამოდგა. ქამანდს ასე ოსტატურად ამერიკული ფილმების გმირი კოვბოებიც ვერ ისროდნენ.

სალამურამ ზუსტი სროლით მოსდო საკვამლე მილს ქამანდი და თოკი მოჭიშა; მთელი ძალით მოქაჩა და ხის ტოტს

გამოაბა. ეს ისე სწრაფად და სხარტად გააკეთა, ქვეყანაზე არავის შეუმჩინებია.

უკვე ღამდებოდა, სალამურამ სწრაფად შემოიხვია წელზე სათადარიგო თოკი.

ხის კენწერო იზნიქებოდა, ამიტომ სალამურას მთელი თავისი ძალების დამბვა და ოსტატობის გამოყენება დასჭირდა. ადვილი საქმე როდია გადასვლა ისეთ თოკზე, რომელიც ზნეჯადი ხის კენწეროს წყალობით კარგად არ არის დაჭიმული. მით უმეტეს, თუ ქვემოთ მდინარე ჩქაფუნობს.

სალამურამ ნახევარი მანძილი გაიარა და ციხეს გადახედა — შემამჩნიეს თუ არაო. მაგრამ ხელკეტიანები, როგორც უკვე ვთქვი, სარგადაყლაპულებივით იდგნენ და სულ ერთ მხარეს — წინ იყურებოდნენ. ისინი საშიშროებას წინიდან ელოდნენ და ზევით რატომ აიხედავდნენ?

მწყემსი ბიჭუნა უკვე აღარ ჩქარობდა, რადგან საკმაოდ ჩამოხნულა და აჩქარება შეიძლება საბედისწერო გამოშდვარიყო. ნელ-ნელა მიდიოდა თოკზე, ყოველ ნაბიჯს ზომავდა, ფეხი არ დამიცდეს და მდინარეში ტყაპანი არ გავადიროსო.

ისე კი ჯობდა, თავიდან აჩქარებულყო, რადგან საოცრად მაღლ ჩამოღამდა და თოკის დანახვა კი არა, თვალთან თითის მიტანაც ჭირდა.

სალამურას ასეთი შიში ჯერ არ განუცდია. რა შემართება, — ფიქრობდა გუნებაში, — მუხლები მიკანკალებს. ეს სულ იმის ბრალია, რომ თოკს ვეღარ გხედავო. პირველად ოთხმაგ მალაყს რომ გადადიოდა, მაშინაც კი არ უგრძენია ამგვარი შიში.

რა ხანია იღვას ერთ ადვილზე და წინ ნაბიჯიც კი ვერ გადაუდგამს. დასწყევლოს ეშმაკმა, რა ძნელი ყოფილა ასეთ ღამეში წონასწორობის დაქერა!

მაგრამ როდემდე უნდა მდგარიყო ასე?

ღრო აღარ იცდიდა. ქონდარელები ხომ სალამურას ელოდებოდნენ. სალა-

მურაზეც იყო დამოკიდებული საყრობილეში შემწყვდეული ქონდრისკაცებისა და ბაიას განთავისუფლების ბედი. დაყოვნება აღარ შეიძლებოდა.

ნუთუ ქონდარელებსა და მჭედელ დაპკა-დაპკას ვერ გაუმართლებს სალამურა იმედს? მაგრამ როგორ უნდა გაუმართლოს იმედი, როცა ათი წუთთა გაუნძრევლად დგას და წინ ნაბიჯიც კი ვერ წაუდგამს.

ვარსკვლავებიანი ცის ფონზე, მართალია, მკრთალად, მაგრამ მაინც შესამჩნევად იყო გამოკვეთილი სახურავისა და საკვამურის კონტურები. სწორედ ეს უკლავდა გულს; რომ საკვამური ასე ახლოს იყო, სალამურა კი ფეხის გადადგმას ვერ ახერხებდა.

ოჰ, რა გულისწამლებად ხმაურობდა მდინარე ჩქაფუნა.

სასოწარკვეთილ სალამურას ფეხის დაჭიმული კუნთები დაეღალა, გრძობდა, თანდათან როგორ ელეოდა მუხლებში ძალა. იმასაც გრძობდა, რომ დიდხანს ასე დგომას ვეღარ შესძლებდა.

სალამურას უცებ სიხარულისაგან სახე გაეზაღრა: ციცინათელები გაახსენდა. ფრთხილად მოიხსნა გულა და გუდიდან ამოიღო კოლოფი, სადაც ციცინათელები ჰყავდა დამწყვდეული. ციცინათელები ციმციმით ამოფრინდნენ და სალამურას გარშემო დაიწყეს ტრიალი. მათ ჯერ არ იცოდნენ, რას დაავალებდა სალამურა.

— ჩემო კარგო ციცინათელებო, თოკი გამინათეთ!

ციცინათელებმა სიხარულით შეასრულეს სალამურას დავალება. ღამეში ოქროსფრად გაბრწყინდა თოკის პატარა მონაკვეთი. სალამურამ ერთი ნაბიჯი გადადგა წინ.

ახლა თოკის მეორე მონაკვეთი გაუნათეს ციცინათელებმა. სალამურამ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა. ცოტათი დამშვიდდა, სული მოითქვა. ასე ვაკყვა ნელ-ნელა თოკს და ციხის სახურავსაც მიაღწია.





სალამურა სახურავზე გადაცოცდა. ახლა კი შევებით ამოისუნთქა.

დროის დაკარგვა აღარ შეიძლებოდა, მაგრამ რა ექნა, მთელი სხეული დაბუ-  
ყებულივით ჰქონდა. განსაკუთრებით  
ფეხები სტკიოდა.

კოტა ხანს დაისვენა, ციციანთელები  
ჩასხა კოლოფში და გულდაში შეინახა.

მერე წელზე შემოხვეული თოკი მო-  
იხსნა და საკვამურს მიადგა. ჩახედა. საკ-  
ვამლე მალი იმ დამეზე უფრო ბნელი  
იყო და ამიტომ უძირო მოეჩვენა.

საკვამურს თოკი შემოახვია და გაკ-  
ვანდა. შემდეგ მიღში ჩაუშვა და თვი-  
თონაც ფრთხილად ჩაჰყვა თოკს. მთე-  
ლი სიმძიმე და ჭაფა შარტო ხელებს  
რომ არ დასდგომოდა, კედლის გამოღ-  
რუტუნულ ადგილებს საფეხურებზე იყე-  
ნებდა, ქალამნის ჭვირებებს ჰყოფდა შიგ  
და ებჭინებოდა.

ასე ჩაცოცდა ბოლომდე და ბუხარში  
აღმოჩნდა.

ოჰ, როგორ გაუკვირდა ბრძენ კინა-  
ლოკოს, როდესაც მოულოდნელად ბუხ-  
რიდან გამოსული მთლად გამურული  
ბიჭი დაინახა! გაოცებისაგან კინალამ  
შეჰყვირა, მაგრამ როგორც ბრძენმა, თა-  
ვი შეიკავა. განა შეიძლება ბრძენმა შეჰ-  
ყვიროს, რანაირადაც არ უნდა გააოცოს  
მოულოდნელმა შემთხვევამ?

სალამურას არ ეგონა, თუ მიწაზე  
ფეხის დადგმისთანავე ვინმეს შეეფე-  
ტებოდა. ამ შეხვედრას მწყემსი ბიჭუნა  
არ ელოდა. მიუხედავად ამისა, არ  
დაბნეულა. დამხედურის ვინაობა რომ  
გამოერკვია, მაშინვე ჰკითხა:

— თქვენ ვინა ხართ?

— მე ბრძენი კინა-ლოკო ვარ.

სალამურა ბრძენ კინა-ლოკოს პირა-  
დად არ იცნობდა, არც ენახა. ისე კი,  
გაგანილი ჰქონდა მისი სახელი.

— მერე აქ რატომ ხართ?

— ღმერთო ჩემო, ნუთუ თქვენ არ  
იცით, ეს რა დაწესებულებაა? ეს ხომ  
საპყრობილეა და მე — ბრძენი კინა-  
ლოკო შეპყრობილი ვარ.

— თქვენ რატომღა შეგიპყრეს, ბრძე-  
ნო კინა-ლოკო?

— განა ვიცი? დამავლეს ხელი და წა-  
მომიყვანეს. ჩემი ნიჟარა დაამსხვრიეს,  
კეტები დაუშინეს. ნეტავი გამაგებინა,  
იმას რალას ერჩოდნენ?

სალამურამ საკანი მიმოათვალიერა.

საკანში ნახევრად ბნელოდა. კა-  
რებში დატანებული პატარა საარკმლი-  
დან მკრთალი შუქი იღვრებოდა. ეტყო-  
ბა, კარი დერეფანში გადიოდა და იქ სი-  
ნათლე ენთო.

— ეს კარი დაკეტილია? — იკითხა  
სალამურამ.

— დაკეტილი რომ არ იყოს, აქ რა გა-  
მაჩრებდა? — გაიცინა ბრძენმა კინა-  
ლოკომ. — დაკეტილია, ჩემო კარგო.  
დაკეტილი.

— მაშ, აქედან ვასვლას ვერ მოვახერ-  
ხებ?

— ჭუჭუტუნაც არ არის, რომ გაძე-  
რე.

სალამურას ნალევლი შემოაწვა გულ-  
ზე. როგორ იფიქრებდა, რომ საკვამუ-  
რით პირდაპირ საკანში ამოჰყოფდა  
თავს. შეპყრობილთა დასახსნელად მო-  
ვიდა და თვითონვე დატყვევებული და  
შეპყრობილი აღმოჩნდა.

სწორედ ამას ჰქვია ბედის დაცინვა.

— სხვა გზა არა მაქვს, თუ მოვახერ-  
ხებ და ჰვარტლმა არ დამაზარჩო, უკანვე  
უნდა ავცოცდე.

— როგორც გენებოს, ჩემო კარგო.  
მე კი მანდ შეძრომას და აცოცებას ვერ  
შეეძლებ. ჭანი არ მომდევს, დასუსტე-  
ბული ვარ.

— ნუ გეშინიათ, ბრძენო კინა-ლოკო,  
მალე გაგანათვისებულეხებთ. მთელი ჭონ-  
დარეთი ფეხზე დგას.

— ოჰ! — ამოიხუნეშა ბრძენმა კინა-  
ლოკომ.

ამ დროს ბრძენმა და სალამურამ გა-  
საღებების ჩხაკუნის და ყვირილის გაიგო-  
ნეს.

— რა ამბავია მანდ, კინა-ლოკო, ვინ  
ლაპარაკობსო.

სალამურამ ბუხარში აძრომა და და-  
მალვა მოასწრო.

კარი გაიღო.

საკანში ქონდართუხუცესი და ციხის  
მცველი რაზა შემოვიდნენ.

— ვის ელაპარაკებოდით? — მკაცრად  
ჰკითხა ბრძენ კინა-ლოკოს ქონდართ-  
უხუცესმა.

— მე? — ვითომ გაცოცდა კინა-ლოკო.

— დიახ შენ.

— არავის! — მოკლედ და მშრალად  
მიუგო ბრძენმა და ყურებიანად გა-  
წითლდა, რაღვან იცრუა. მას კი გაგე-  
ბული ჰქონდა და იცოდა, რომ არცერ-  
თი ცნობილი ბრძენი არასოდეს არ ამ-  
ბობდა ტყუილს. მერე ამაზე დიდხანს  
იფიქრა და ასეთ დასკვნამდე მივიდა:  
არსებობს ორნაირი ტყუილი: — მავნე  
და სასარგებლო. თუ ტყუილს რაიმე  
სარგებლობისა და სიკეთის მოტანა შე-  
უძლია, მაშინ თვით ბრძენსაც აქვს უფ-  
ლება ზოგჯერ ტყუილი თქვასო.

მართალია, ბრძენი კინა-ლოკო ყუ-  
რებიანად გაწითლდა, მაგრამ საკანში  
სანახევროდ ბნელოდა და მისი სიწით-  
ლე ქონდართუხუცესს არ შეუშინევია.  
ციხის მცველი რაზა, როგორც ვიცით,  
ცალთვალა იყო და მითუმეტეს ვერ შე-  
ამჩნევდა.

— ვის ელაპარაკებოდით? — განმეო-  
რებით ჰკითხა პირველმა ვეზირმა.

— არავის, — გაუმეორა ბრძენმა კი-  
ნა-ლოკომ და კიდევ უფრო გაწითლდა.

— როგორ თუ არავის? მე ვარკვევით  
გავიგონე ლაპარაკი.

— ბრძენს უფლება აქვს საკუთარ  
თავს ელაპარაკოს.

— რაზა, ახლავე დაათვალიერე საკა-  
ნი! — უბრძანა ქონდართუხუცესმა ცი-  
ხის მცველს.

რაზამ გულისყურით დაათვალიერა  
საკანი, ცალი თვალთ ბუხარშიც კი შეი-  
ხედა, მაგრამ ვერავინ აღმოაჩინა.

— ოჰო, აქ ბუხარიც ყოფილა! — წა-

მოიძახა პირველმა ვეზირმა, — აქედან  
გაპარვა შეიძლება.

— აქედან ჯერ არავინ გაპარულა. —  
მშვიდად და თვითდაჯერებით თქვა ცი-  
ხის მცველმა და რატომღაც გაიცინა.

— ახლავე გაიყვანე სხვა საკანში!

— არც ერთი საკანი არ არის თავი-  
სუფალი.

— მე ხომ ვიცი, რომ არის! — გაბ-  
რაზდა პირველი ვეზირი, — რატომ მი-  
მაღავე?!

— იქნებ სხვა დროს დაგვკვირდეს, დი-  
დო ქონდართუხუცესო.

— ახლავე გაიყვანე, აქ მაგის გაჩე-  
რება არ შეიძლება.

ქონდართუხუცესი საკანიდან გავიდა.  
გასვლისთანავე რაღაც ხმაური გაიგონა  
და დერეფანს გახედა. დერეფანში სახე-  
გაბადრული მორბოდა ხელკეტაიანთა  
ყოფილი უფროსი, რომელსაც ახლა ახა-  
ლი თანამდებობა მიეღო: იგი ქონდართ-  
უხუცესის პირადი მცველი გახდა.

— ო, ვეზირთა შორის უპირველე-  
სო, — შუა გზიდანვე მიაძახა ახალმა  
პირადმა მცველმა, — თქვენნი ქალიშვი-  
ლი ფრინტა ჩამობრძანდა და შინ გე-  
ლოდებათ.

— ნუთუ ჩემი ფრინტა დაბრუნდა! —  
წამოიძახა გახარებულმა ქონდართუხუ-  
ცესმა და ხელი ქისისკენ წაიღო, სამახა-  
რობლოს ვაჟუქებო, მაგრამ უცებ გადა-  
იფიქრა. ამ რეგვენს ხომ არ ჩამოუყვან-  
ია და რა შუაშია, რატომ უნდა დავა-  
სახუქროო.

ფრინტას დაბრუნებამ ყველაფერი  
დაავიწყა პირველ ვეზირს, შურდული-  
ვით გავარდა გასასვლელისკენ.

დროებით მივატოვოთ სალამურა ბუ-  
ხარში შემალული და ქონდართუხუცესს  
გავყვეთ, რაც არ უნდა იყოს, საინტე-  
რესოა, ამდენი ხნის განშორების შემ-  
დეგ, როგორ შეხვდებიან მამა და ქალი-  
შვილი ერთმანეთს.



ქონდართუხუცესი ველარა ცნოვს თავის ქალიშვილს.  
ქონდარელების ალყაში

რაც ქარბორბალა გაგიყდა, პირველმა ვეზირმა თავის პირად მცველად ხელუცესიანთა უფროსი აიყვანა. პირად მცველს სასახლის დარაჯობა უფრო ევალებოდა, ვიდრე ქონდართუხუცესის დაცვა. სულ სასახლეში ტრიალებდა, ამიტომ პირველმა მან გაიგო ფრინტას ჩამოსვლა და თავის პატრონს შეატყობინა.

ახლა ერთად მოდიოდნენ სასახლისაკენ.

ქონდართუხუცესი გზადაგზა ფიქრობდა, თუ ჩემმა ქალიშვილმა ის გაიძვერა ჰილარიო ბუერა შინ დამახვედრა, ნამდვილად გავგიყდებით. სად ჩემი ასული და სად ვილაც ცომი ზელიას სულელი ვაჟიო?!

საბედნიეროდ, ჰილარიო ბუერა შინ არ დახვედრია. ყოფილ კარის პოეტსაც მოენატრა თავისი მშობლები, ოჯახი და გულმა იქითკენ გაუწია.

პირველმა ვეზირმა კიბეები სულმოუთქმევლად აირბინა. ფრინტას ოთახის კარი შეაღო და შეცბუნებული შედგა.

ვილაც სხვა, უცხო ქალიშვილი დახვდა ფრინტას ოთახში.

ეს ქონდართუხუცესს მოეჩვენა, თორემ ოთახში ნამდვილად ფრინტა იყო.

საოცარია, მამამ საკუთარი ქალიშვილი ველარ იცნო.

— მამა! — წამოიძახა ფრინტამ.

— რატომ მეძახი მამას, შენ ხომ ჩემი შვილი არა ხარ?

— როგორ თუ არა ვარ. აბა, კარგად დამაკვირდი.

ქონდართუხუცესი დააკვირდა, კარგად დააკვირდა. ქალიშვილს ღიმილი ფრინტასი ჰქონდა, თვალებიც, თმაც და, რაც მთავარია, ხმაც სულ ფრინტას ხმის მიუგავდა. მიუხედავად ამისა, ეს ქალიშვილი მაინც არ იყო ფრინტა.

— ოჰ, მამა, ნუთუ ვერ მიცანი? — ფრინტამ სარკეში ჩაიხედა და გაიცინა, — მე ხომ ცხვირის ოპერაცია გავიკეთე. შემომხედე, რა ლამაზი ვარ.

მამამ ორივე ხელი თავზე წაივლო.

— ეს რა გიქნია, ფრინტა. რა უყავი

ჩვენი საამაყო ცხვირი, ნუთუ ის პაწაწინა ლამაზი მეჭეჭეც აღარ დაიტოვე.

— არა.

— მაშ, როგორ უნდა შეგატყონ, რომ ჩემი შვილი ხარ?!

— სულაც არ არის სავალდებულო. სამაგიეროდ, უფრო ლამაზი ვარ.

— ყველაფერი იმ გაიძვერა ჰილარიო ბუერას ბრალია. იმან გაგაბრძოვა და გაგასულელა.

— რას ამბობ, მამა, ყველა მეუბნება, ახლა გაცილებით უფრო ლამაზი ხარო.

— ახლავე დატოვე ჩემი სახლი!

— მამა!

— ან დაბრუნდი ისეთივე, როგორიც წახვედი, ანდა...

— ისეთივე როგორღა დავბრუნდებ? — გააწყვეტინა სიტყვა ფრინტამ.

— თუ ცხვირის დაპატარავება შესძელი, გაზრდასაც მოახერხებ

— ეგ შეუძლებელია.

— თუ ეგერა, მაშინ ახლავე დატოვე ჩემი სახლი. — გაბრაზებული ქონდართუხუცესი ფრინტას ოთახიდან გავიდა და კარი მიიჯახუნა.

აცრემლებულმა ფრინტამაც დატოვა თავისი ოთახი. კიბეზე ისე დაეშვა, არავის გაუჩერებია.

ასე გავიდა სასახლიდან და ღამეულ ქუჩას გაჰყვა ცომი ზელიას სახლისაკენ, სადაც ერთგული ჰილარიო ბუერა ეგულებოდა.

ქონდართუხუცესი თავის ოთახში ბღღვინავდა, გამწარებული კედლებს აწყდებოდა. ოჰ, ეს ახალგაზრდები! — ფიქრობდა პირველი ვეზირი, — სულ არ სცემენ პატივს წინაპრებს! მათ არაფრად უღირთ, ერთი დაკვრით მოიშორონ ის, რაც საუტუნეებით შექმნილა. ღმერთო, რა ცხვირი დაჰკარგა ჩვენმა შთამომავლობამ!

პირველი ვეზირი ისევ ფრინტას ოთახისაკენ გაიჭრა, აქაოდა, მამამ გამაგდოო, იმ სულელმა მართლა არ იფიქროს სასახლიდან წასვლაო.

უკვე გვიან იყო.

ქონდართუხუცესმა ყველა ოთახები დაირბინა. ფრინტა ვერსად აღმოაჩინა. მერე კიბეზე ჩაქუჩკულდა, კარებში მღვარ ახალ პირად მცველს ჰკითხა: ჩემს ქალიშვილს აქეთ ხომ არ გაუვლიათ.

— ამ ათი წუთის წინ გაიარა, პირველი ვეზირი! — უპასუხა ახალმა პირადმა მცველმა.

— მერე, შე რეგვენო, რატომ არ გააჩერე?

— ვერ გავბედი.

— მე რატომ არ მაცნობე?

— რა ვიცოდი, თუ...

— რა ეშველება ამდენ სულელს! — არ დააცალა სიტყვის დამთავრება ქონდართუხუცესმა. — ახლავე წამომყვიცი.

პირველი ვეზირი აჩქარებული ნაბიჯით მიდიოდა ქუჩაში, იქნებ როგორმე ჩემს ქალიშვილს დავეწიო და უკან დავაბრუნო. ფეხდაფეხ ახალი პირადი მცველი მისდევდა კეტომომარჯვებულს. თუ ვინმე მის პატრონს თავს დაესხმოდა, დასაცავად მზად იყო.

გაიარეს ერთი ქუჩა, მეორე... ფრინტა თითქოს მიწამ ჩაყლაპა. მესამე ქუჩის კუთხესთან შეჩერდნენ. ქონდართუხუცესის მახვილ სმენას არ გამოპარვია ჩურჩული, რომელიც უცებ სიბნელიდან მოესმა.

— იქით უკვე ძალიან ბნელა. — თქვა ვეზირმა, — უკან ხომ არ დავბრუნდეთ. — ახლა ქარბობრბალა რომ ხლებოდა თან, უსათუოდ განაგრძობდა გზას, მაგრამ ახალი პირადი მცველის იმედი მაინცადამაინც არ ჰქონდა.

— დავბრუნდეთ! — მაშინვე დაეთანხმა ვახარებული პირადი მცველი.

უკან დაბრუნებულებს ათიოდე ქონდარელმა გადაუჭრა გზა. შეშინებულებმა მარჯვნივ დააპირეს გაქცევა, მაგრამ მარჯვნივაც ქონდარელები დახვდნენ.

გაქცევა შეუძლებელი იყო. ყოველი მხრიდან ქონდარელები უახლოვდებოდნენ.

— მე ქონდართუხუცესი ვარ! — იყვირა პირველმა ვეზირმა, იქნებ ამით მაინც შევაშინო ეს თავხედებიო.

— ჩვენც სწორედ ქონდართუხუცესს

ვეძებთ. ხელმწიფის პირველ ვეზირს. — უპასუხა მჭედელმა დაჰკა-დაჰკამ.

— ახლოს არ მოხვდით, თორემ ყველას სასტიკად დავსჯით! — დაემუქრა ქონდართუხუცესი.

— მაგ ყვირილს ვირჩევნია, საპყრობილეს კარი გააღო და ჩვენი ძმები გაათავისუფლო.

— როგორ მიბედავთ, მე პირველი ვეზირი ვარ.

— იმ პატარა გოგონას რაღას ერჩოდო, რატომ დაამწყვდით?

— რომელ გოგონას? — გაიკვირვა ქონდართუხუცესმა, ვითომ ვერ გაიგო, რომელ გოგონაზე ეკითხებოდნენ.

— ციციანთელების მწყემს გოგონას.

— არავითარი გოგონა მე არ დამიმწყვდევია.

— კარგი, ვნახოთ.

ქონდართუხუცესი გაოცებული იყო. ნეტავი საიდან გაიგეს, ის გომბიო მე რომ შევიპყარიო. ეს ამბავი მარტო მე და ციხის მცველმა რაზამ ვიცოდით, და თუ იმან გამცა, მეორე თვალსაც დავუქსებო.

— წინ გავვიძებნი! — უბრძანა ქონდართუხუცესს მჭედელმა დაჰკა-დაჰკამ.

— არსად არ წამოვალ... მე ჩემს ქალიშვილს ვეძებ.

— შენი ქალიშვილი მშვედობიანად მივიდოდა ჩემ სახლამდე. — მიუგო ციხის ზელიამ, — იქ მას ჩემი შვილი ელოდებოდა.

— ოჰ, თქვე გაიძვერებო. — წამოიძახა ქონდართუხუცესმა, — ყველაფერი შენი შვილის ბრალია. ახლა ჩემი ფრინტა დედოფალი იქნებოდა.

— ლაპარაკის დრო აღარ არის. გავვიძებნი წინ! — კიდევ ერთელ უბრძანა მჭედელმა დაჰკა-დაჰკამ.

სხვა რა გზა ჰქონდა ქონდართუხუცესს, ხელი გაბრაზებით ჩაიქნია და წინ გაუძღვა ამბოხებულ ქონდარელებს. უხმოდ მიაბიჯებდა. ზოგჯერ ბოროტად გადახედავდა თავის პირად მცველს, შენი იმედი ჩემს მტერსაც ნუ ჰქონიაო. შენც ვითომ პირადი მცველი გქვია, აფსუსს, ჩემი უბედური ქარბობრბალა რა დროს გავიქდაო.



## გალიაში შემფყვდელი ქარბორბალა. ციხის მცველი რაზა ქარბორბალას მარწუხეზო

ახლა ისევ ბუხარში შემალულ სალა-  
მურას დაეუბრუნდეთ.

თუმცა ციხის მცველი ერთ საკანს სა-  
გულდაგულოდ მალავდა, ვინ იცის, რო-  
დის დაგვირბნებო, მაგრამ იძულებუ-  
ლი გახდა ბრძენი კინა-ლოკო მაინც იქ  
გადაეყვანა. ასე უბრძანა თვით ქონ-  
დართუხუცესმა. რაზასთვის კი მისი სი-  
ტყვა კანონი იყო.

ციხის მცველი იმ ღამეს ძალიან წინ-  
დაუხედავად მოიქცა და ამ დაუდევრო-  
ბის სიმწარე მერე იწვინა კიდევც.

როდესაც ბრძენი კინა-ლოკო გაიყვა-  
ნა, საკანის კარი ღია დატოვა. იფიქრა,  
რატომ დავეტო, შიგ მაინც არავინ არ  
არისო. ჩვენ კი ვიცით, რომ სალამურა  
ბუხარში იყო შეყუტული და სწორედ  
ამას ნატრობდა, იქნებ ციხის მცველმა  
რაზამ კარი ღიად დატოვოსო.

დერეფანში ფეხის ხმა მიწყდა თუ არა,  
სალამურა ბუხრიდან გამოძვრა. ღია  
კარში თავი გაჰყო და მიმოიხედა. დერე-  
ფანში არავინ არ ჩანდა. მხოლოდ შო-  
რიდან ძლივს გასაგონად მოისმოდა ლი-  
ლინი.

სალამურა ფრთხილად გაჰყვა დერე-  
ფანს.

ლილინი ახლა უფრო ახლოდან ისმო-  
და. მწყემს ბიჭუნას ხმაც და ჰანგიც  
ეცნაურა. ათიოდე ნაბიჯის შემდეგ გარ-  
კვეთით გაიგონა სიტყვებიც:

ქონდართუხუცესზე ძენწი  
ჭეყნად არვინ მინახავსო,  
ადგილი რომ აღარ დარჩა,  
ოქროს ცხვირში ინახავსო.

ეს ზომ ქარბორბალაა — ქონდარ-  
თუხუცესის ყოფილი პირადი მცველი!

ქარბორბალა ზოოპარკის მგელივით  
რკინის ღიდ გალიაში იყო დამწყვდელუ-  
ლი. მოწყვნილი იჯდა და თავისთვის ლი-  
ლინებდა.

სალამურა გალიას მიუახლოვდა.

— გამარჯობა, ქარბორბალა.

ქარბორბალამ სიმღერა შეწყვიტა და  
სალამურას შეხედა. არავითარი შთაბეჭ-

დილება არ მოუხდენია მასზე ძველი მე-  
ტოქის დანახვას.

— გალიაში რა გინდა, რატომ საკან-  
ში არა ხარ? — სალამურა დარწმუნებუ-  
ლი იყო, ქარბორბალამ ვერ მიცნოო.  
ყოფილმა პირადმა მცველმა ირიბად გა-  
ხედა სალამურას და ღიმილით ჩაილა-  
პარაკა:

— რომელი საკანი გამიძღებს. კარებს  
მუშტის ერთი დაკვრით ვამტვრევ.

— ამ გალიას ვერაფერი მოუხერხებ?

— ვერა. ვერც ამ გალიას და ვერც  
შენ.

— მიცანი, ქარბორბალა?

— გიცანი. თუმცა ძალიან გამურულ-  
ხარ, მაგრამ მაინც გიცანი. შენც დავი-  
ჭირენ?

— არა. ქონდარელები უნდა გავათა-  
ვისუფლოთ. ამიტომ შემოვიპარე ციხე-  
ში.

— მეც გამანთავისუფლეთ რა! — შე-  
ეხვეწა ქარბორბალა, — მეც ზომ ქონ-  
დარელები ვარ.

— შენზე ამბობენ, გავიქლო?

— ცოტა ხნით მაშინ გავგიყდი, შენ  
რომ ვერ მოგერიე. ახლა მოვკვივანი.

— არა მჭერა.

— ოღონდ აქედან გამოიშვი და რა-  
საც მეტყვი, იმას გავაკეთებ. შენი ყურ-  
მოჭრილი მონა ვიქნები.

— მე მონები არ მჭირდება.

— ეპ, არავის აღარ სჭერა ჩემი.

— ქარბორბალა, რომ გავათავისუფ-  
ლო, ისევ ქონდართუხუცესს დაუდგები  
პირად მცველად.

— ვისა?! — იღრიალა ქარბორბა-  
ლამ, — იმან დამამწყვდია ამ გალიაში.  
გაჩენის დღეს ვაწყვევლინებ, თუ სადმე  
მოვიხელო.

— კარგი, მაშ, პირობა მომეცი, რომ  
კვიანად იქნები, ისე მოიქცევი, რო-  
გორც მე დაგარიგებ.

— პირობას გამწევ, შენს მეტს აღა-  
რავის დაუჭერებ.

ვიდრე სალამურა დაარიგებდა, ქარ-

ბორბალა როგორ უნდა მოქცეულიყო, ციხის მცველმა გასაღებების ჩხაჩხისუკით ჩამოიარა. ქარბორბალასთან მოსაუბრე, ვამურული ბიჭი რომ დინახა, თავის ერთადერთ თვალსაც არ დაუჭერა და მოიფშვინტა — ხომ არ მეჩვენებო.

— ეს ვიღა?! — წამოიძახა შეძრწულ-ნებულმა.

— მე საკვამლე მიღების მშენებელი ვარ, ბატონო. ნუთუ ვერ მატყობთ?

— მერე აქ რა გინდათ?

— როგორ თუ რა მინდა? მიღებს ვშენდ.

— ვის რად სჭირდება მიღების წმენდა? ოცი წელია აქ ცეცხლი არ დანთებულა.

— ჰოდა, სწორედ იმიტომ დამავალეს, რომ ცეცხლი ოცი წელი არ დაგინთია, — შეიყოლია სალამურამ ციხის მცველი საუბარში.

— სტყუი, შენთვის არავის არაფერი დაუვალე.

— როგორ გეკადრებათ, ბატონო.

— ამ ვიქს რაღას ელაპარაკებოდი?

— ისეთს არაფერს, ცოტა ხანს შევჩერდი სასაუბროდ.

— მე არაფერი არ ვიცი, სანამ შენს ვინაობას გამოვარკვევ. საკანში უნდა დაგამწყვდიო. სწორედ ერთი საკანი დამჩნა ცარიელი.

— არ წამოვალ. მე აქ დავეტედი ქონდართუხუცესს. — სალამურა, ვითომ შეშინდაო, რკინის გალიას მიეკრო ზურგით.

ციხის მცველი დაეჯავურა, — ახლავე წამომყევით. სალამურა არ ნებდებოდა, გალიას ჩაჭიდებული წინააღმდეგობას უწევდა. ციხის მცველი არ ეშვებოდა. ამ ჯავურში ქარბორბალამ გამოყო ხელი გალიიდან და რახას წაავლო.

რაზამ ტყვილისაგან მანკვა-გრეხვა დაიწყო, თან ყვირილი მორთო:

— უჰ, უჰ! ხელი გამიშვი!... მტკივა!... ხელი გამიშვი, შე გიჟო. თორემ ეს ბიჭი გაქვტევას!

ქარბორბალამ მეორე ხელიც ჩასჭიდა ციხის მცველს და თავისკენ მოზიდა. სალამურამ წელზე მიმაგრებული გასაღებები მოხსნა. ციხის მცველი ფეხებს იქნევდა, ყვიროდა, ილანძლებოდა. მერე მშველელსაც უხმო. მაგრამ მშველელი არსად იყო.

— ზემს მოსვლამდე ასე გეჭიროს! — უთხრა სალამურამ ქარბორბალას და დერეფანში გაიქცა.

თავიდან დაჰყვა, ყველა საკნის კარს აღებდა და დატყვევებულებს ათავისუფლებდა. თან არიგებდა, ჭერჭერობით აქ იყავით, ადგილიდან ფეხი არ მოიცივლოთ. როცა ყველას გავათავისუფლებ, მერე გავალბ ციხის კარს და გარეთ ერთად გავალთო.

პირველი სართული მოთავდა.

მერე მეორე სართულზე დაუარა საკნებს. გახარებული ქონდარელები სალამურას ეხვეოდნენ, კოცნიდნენ, მადლობას უხდიდნენ. ახლა მაგის დრო არ არისო, — უთხრა სალამურამ, — საბრძოლველი ჭერ კიდევ ბევრი გვაქვსო.

მეორე სართულიც მოათავა.

ბაია ნამდვილად მესამე სართულზე იქნებოდა, — ფიქრობდა სალამურა და კიბეზე არბოდა. მაგრამ არც მესამე სართულზე აღმოჩნდა ბაია. გათავისუფლებული ქონდარელები სალამურას გარშემო ტრიალებდნენ, აღტაცებულნი, ათასნაირ სამადლობელო სიტყვებს ეუბნებოდნენ, მაგრამ სალამურა გაშტერებული იდგა, თითქოს ქონდარელთა ნათქვამი არ ესმოდა.

ნუთუ ციციანთელებმა მომატყუეს? — დაეპკვდა მწყემსი ბიჭუნა, — რისთვის დასჭირდებოდათ ასეთი ტყუილის თქმა?... ნუთუ ერთი საკანი მაინც დარჩა გაუღებელი?

სალამურას ფიქრის დრო აღარ რჩებოდა. გარედან ჟრიალული შემოესმა და აჩქარდა. ქონდარელებს მიმართა: უკან მომყევითო და კიბე ჩაირბინა. მეორე სართულიდანაც გაჰყვინენ ქონდარელები... პირველიდანაც...



## ქონდართუხუცესი არღვის პირობას. სალამურა საიღუმლო საკანში

ქონდართუხუცესსა და მის ახალ პირად მცველს ქონდარელები საპყრობილემდე მოჰყენენ. საპყრობილეს წინ ხელკეტიანების გვარდია იდგასაბრძოლველად მომზადებული. ბრძოლის დაწყებამას აპირებდნენ, მაგრამ პირველი ვეზირი რომ დაინახეს, შეჩერდნენ. ეტყობა, სამოყვროდ მოვიდნენო, — იფიქრეს.

— სიტყვა სიტყვაა, — უთხრა მკედელ დაჰკა-დაჰკას ქონდართუხუცესმა, — ახლავე გავალბე საპყრობილეს და ყველას გამოვუშვებთ.

ქონდართუხუცესს ახალი პირადი მცველის წაყვანა უნდოდა და მკედელმა არ ჰქნა: ეს მძევლად დატოვე, კარის გაღებას ორი კაცი რად უნდაო.

პირველი ვეზირი მარტო წავიდა საპყრობილესაკენ. მკედელმა დაჰკა-დაჰკამ ვაიფიქრა, — რა ტყუილად გავაწამეთ ის ბიჭი, თუმცა რა ვიცოდით, თუ საქმე ასე იოლად მოგვარდებოდაო. შეიძლება, ისიც შეიპყრეს და ბნელ საკანში დაამწყვდიესო.

ქონდართუხუცესი სულ სხვას ფიქრობდა. მას ბრძოლა ჯერ წაგებულად არ მიაჩნდა.

ვერაგული აზრებით აღჭურვილი, როგორც კი ხელკეტიანების ზურგს ამოეფარა, მოტრიალდა და თავის ქვეშევრდომებს უბრძანა:

— ახლავე გარეკეთ ეს ველურები! ხელკეტიანები დაიძრნენ.

ქონდარელები მიხვდნენ, თუ რა შეცდომა მოუვიდათ, ქონდართუხუცესი რომ გაუშვეს ხელიდან, მაგრამ თითზე კბენა გვიან იყო. კეტმომარკვებულნი გვარდია წინ მოიწვედა. ქონდარელებმაც მოიმარკვეს ხელკეტები და საბრძოლველად მოემზადნენ.

სწორედ ამ დროს გააღო სალამურამ საპყრობილეს კარი და განთავისუფლებული ქონდარისკაცები ყიჟინით გამოცვივდნენ გარეთ.

ხელკეტიანებს თავზარი დაეცათ. მიხვდნენ, რომ ბრძოლას უკვე აღარ ჰქონ-

და აზრი და კეტები დაბლა დაჰყარეს, ეს კი იმას ნიშნავდა, გნებდებოთო.

სალამურას ამის შემდეგ აღარ მოუცდია, უკან შებრუნდა.

ციხის მცველი რაზა ისევ ღრიალებდა. რაც უფრო მეტს ყვიროდა და მოძრაობდა, ქარბორობალა უფრო მეტად უჭერდა ხელს.

— საღ არის ბაია? — მისვლისთანავე ჰკითხა სალამურამ რაზას.

— არ ვიცი... არ ვიცი... — ბლაოდა რაზა.

— ახლავე მითხარი, საღ დაამწყვდიე ბაია.

— ვაი, ვაი, მტკივა! — ისევ ღრიალებდა რაზა. ეტყობა, უარი რომ უთხრა სალამურას, ქარბორობალამ კიდევ უფრო მავრა მოუქირა ხელები.

— იტყვი თუ არა! — დასუქტა ქარბორობალამ.

— ფიტყვი, ვიტყვი! მე არ დამიმწყვდევი... ქონდართუხუცესმა... ვაი, ვაი!.. მტკივა!

— ჰო, აბა, თქვი. — ცოტათი შეუშვა ხელები ქარბორობალამ და ციხის მცველს სული მოათქმევინა.

— კოშკშია... მალა, — ამომარცვლა ციხის მცველმა, — კარი ჰქერხეა ამოჭრილი... კიბე იქვე გდია... მიადგამ... და... ახვალ... ჰქერხოში...

სალამურა მთელი სისწრაფით გაქანდა, კი არ გაქანდა, გაფრინდა. სამივე სართული თვალის ერთ დახამხამებში აირბინა.

ესეც ჰქერხო!

მაგრამ საიდან უნდა ავიდეს ჰქერხოში? აგერ, ჰქერხე კარია ამოჭრილი, ხის კიბეც აქვე გდია. სალამურამ კიბე მიადგა კედელს და ზედ ავიდა. გასაღები მოარგო კარს. გააღო და ჰქერხოში თავი აჰყო.

— ვინ არის? — იკითხა შეშინებულმა ბაიამ. იგი ამ დროს თავის საყვარელ ვარსკვლავებს ელაპარაკებოდა და არავის მოელოდა.

სალამურამ ბაიას ხმა რომ გაიგონა, კინაღამ მუხლები მოეკეცა. სუნთქვა შეეკრა, ხმის ამოდება ვეღარ მოახერხა.

— ვინ არის? — ისევ იკითხა ბაიამ.  
— მე ვარ, სალამურა, — ძლივს წარმოსთქვა აღელვებულმა მწყემსმა ბიჭუნამ.

ბაიამ უცებ ვერ დაიჯერა. სალამურა ჭერხომი ავიდა.  
— ბაია, მე ვარ, სალამურა!  
— სალამურა!  
— ბაია!

— ჩემო კარგო სალამურა, ჩემო მეგობარო! — ბაია ხელებგაშვერილი გაიქცა და სალამურას გადაეხვია.

ერთმანეთს ეხვეოდნენ მეგობრები და ტიროდნენ, ვერც ბაიამ, ვერც სალამურამ ცრემლები ვერ შეიკავეს.

— რამდენი გეძებე, ბაია, და, როგორც იქნა, მოგაგვინა.

— მეც სულ შენზე ვფიქრობდი, სალამურა, სულ მჭეროდა, რომ ბოლოს მაინც მომაგნებდი.

— აჟი შეგპირდი, მზის ამოსვლას გაჩვენებ-მეთქი. მზის ამოსვლა უნდა გაჩვენო, ბაია!

— მე ჯერაც არ მინახავს მზის ამოსვლა. ვიცოდი, რომ მზის ამოსვლას შენს მეტი ვერავინ მაჩვენებდა.

— მხოლოდ წუხელ გავიგე, რომ აჟ იყავი. შენმა ციციანათლებმა მითხრეს.

— ჩემი ციციანათლები! საიდან გაჩნდნენ აჟ ჩემი ციციანათლები.

— მე წამოვიყვანე. მათ ბევრი დახმარება გამიწიეს. ბევრჯერ ვამინათეს ბნელი ღამე.

— ისინი ძალიან გულკეთილები არიან.  
— ძალიან.

— ამას წინათ ღამის სიმღერა გავიგონე. ალბათ, შენ უჯრავდი.

— სხვას ვის შეეძლო მაგის დაკვრა?... მხოლოდ მე და შენ ვიციით ღამის სიმღერა.

— ისე მენატრებოდა და უცებ გავიგონე.

— მე ვუჯრავდი... მდინარის პირას ვიჯექი და შენთვის ვუჯრავდი. მაგრამ მე არ ვიცოდი, თუ გესმოდა.

— როცა დაკვრას მორჩი, გთხოვე, კიდევ ერთხელ დაუქარი-მეთქი.

— შენი ხმა არ გამიგონია, თორემ დავუჯრავდი.

— ვიცი.

— აი გათენდება და მზის ამოსვლისას დავეუჯრავ. მე შეგპირდი და უსათუოდ გაჩვენებ მზის ამოსვლას.

— მზის ამოსვლას შენს მეტი ვერავინ მაჩვენებს.

## მკედელი დაჰკა-დაჰკა კოშლოზს სალამურას და ბაიას. ქარბორბალს უნდა მკედელი გახდეს

ქონდარელები გამარჯვებას ზეიმობდნენ.

მკედელმა დაჰკა-დაჰკამ ბრძანება გასცა: მამხალეები ანათეთო. ქონდარელებმა მამხალეები ანათეს და საპყრობილეს წინ მოედანი გააჩირალდნეს.

— სალამურას ვერ ვხედავ, — თქვა მკედელმა და მოედანს კიდევ ერთხელ გადახედა, — სად არის სალამურა?

— მართლა, სად არის სალამურა? — გაიმეორა ცომი ზელიამაც.

ქონდარელები შეწუხდნენ, მამხალეები მალლა ასწიეს. უფრო კარგად რომ გაეანათებინათ მოედანი.

— ალბათ, საპყრობილედან ჯერ არ გამოსულა. — თქვა ვილაცამ.

მკედელი დაჰკა-დაჰკა რამდენიმე ქონდარისკაცის თანხლებით საპყრობილეში შევიდა. შესვლისთანავე ქონდარელებმა ყვირილი გაიგონეს და თითქმის სირბილით გაიარეს დერეფანი. გაყვირებულები შეჩერდნენ ქარბორბალს გალიის წინ.

ქარბორბალს ისევ ჩაბლუჯული ჰყავდა ციხის მცველი რაზა და ხელს არ უშვებდა, რაზა ყვიროდა, ილანძღებოდა, შველას ითხოვდა.

— გაუშვი ხელი, — უთხრა მკედელ-



მა ქარბორბალას, — რატომ დაგიკვირია?

— არ გავუშვებ! — უპასუხა ქარბორბალამ.

— საპყრობილე გავაუქმეთ და ეგ კაცი საშიში აღარ არის.

— არ გავუშვებ, არ გავუშვებ! — ჩიუტად იმეორებდა ქარბორბალა.

— ქარბორბალა ხომ გაგიყდა. — გადაუწერჩულა ცომი ზელიამ მჭედელს, — ძალით უნდა გავაშვებინოთ.

ქონდარელებმა სცადეს ქარბორბალას ძლიერი ხელებიდან გამოეგლიჯათ ციხის მცველი, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. მარწუხებივით უჭერდა ხელებს და ექვსიოდე ქონდარელის ძალა საკმარისი არ აღმოჩნდა.

— არ გავუშვებ. — ბურღუნებდა გალიაში დამწყვდეული ქარბორბალა, — მე სულაც არ გავგიყებულვარ... სულაც არ გავგიყებულვარ. — როგორც ჩანს, ვაიგონა ცომი ზელიას ჭურჭული.

— თუ არ გავგიყებულხარ, ხელს რატომ არ უშვებ?

— სანამ სალამურა არ მოვა და არ მეტყვის: ქარბორბალა, გეყოფა, ახლა შეგიძლია ხელი გაუშვაო, სულ ასე მეყოლება დაჭერილი.

— სად არის სალამურა?

— ზევით წაივდა. — საქმიანად უპასუხა ქარბორბალამ.

— ჭერხოშია... — ამოიკნავლა მისუსტებულ ხმით რაზამ. ციხის მცველი ან მართლა გასავათდა ანდა თავს იკატუნებდა — ქონდარელებს აცოდებდა თავს, იქნებ როგორმე დამიხსნან ამ გიჟის მარწუხებიდანო. — იქ საიდუმლო საკანია... იქ არის...

— როგორ? სალამურა დატყვევებულია? — იყვირა მჭედელმა დაჰკა-დაჰკამ.

— არა... ციციანთელების მწყემს გონანს უნდა გაუღოს კარი.

ქონდარელები ახლა ჭერხოსაკენ გაეშურნენ. ხის კიბეზე მჭედელი დაჰკა-დაჰკა ავიდა. ჭერხოში შეიხედა.

სალამურა და ბაია იატაკზე ისხდნენ. კედლისთვის ზურგები მიეყრდნოთ და პატარა სარკმლიდან ვარსკვლავებთან

ცას გაჰყურებდნენ, თან საუბრობდნენ.

— სალამურა, როდემდე აპირებ აქ დარჩენას? — ხუმრობის კილოთი ჰკითხა მჭედელმა.

— სულ დამავიწყდა, რომ საკანში ვართ... — თქვა სალამურამ, — ახლავე მოვდივართ.

სალამურამ და მჭედელმა დაჰკა-დაჰკამ ბაია ჭერხოდან ჩამოიყვანეს. ქონდარელები აღტაცებული დარჩნენ ბაიას სილამაზით, განსაკუთრებით კი ნებისყოფით — ასეთ ფაქიზ არსებას მძიმე დღეები რა ვაყვაცურად გადაუტანიაო. გზადაგზა ბოღნისაჲ კი ისდიდნენ: ჩვენ რომ გვეცოდნოდა, ბაია, აქ ჰყავდით დამწყვდეული, უფრო აღრე გაგათავისუფლებდითო.

მჭედელი დაჰკა-დაჰკა დარწმუნებული არ იყო, რომ ქარბორბალა მოჰკვიანდა. ისევ გიჟი ეგონა. ამას როგორ წარმოიღვენდა, ქონდართუხუცესის ყოფილი პირადი მცველი, ახლა სალამურას დავალებას რომ ასრულებდა. მაგრამ როგორც კი გალიასთან მივიდნენ, ეს ეჭვები გაუქარწყლდა.

— ქარბორბალა, შენ რა კაცი ყოფილხარ, კიდევ გიჭირავს — სიცილით ჰკითხა სალამურამ.

— სანამ არ მეტყვი, ხელს არ ვავუშვებ.

— გაუშვი!

ციხისმცველი რაზა ქარბორბალას ხელებისაგან განთავისუფლდა.

— ოჰ! — ამოიკნენესა და დაბუქული და ნატყენი ხელების ქნევით ვაბარბაჲდა, თან უკმაყოფილოდ ბუზღუნებდა, — ეს რა მომივიდა, ეს როგორ დამემართა! სალამურამ გალიის ბოქლომს ვისაღები მოარგო.

— გალიის კარებსაც აღებ? — შეშფოთდნენ ქონდარელები.

— ეს ძველი ქარბორბალა ნუ გგონიათ. — უთხრა მათ სალამურამ. — აი ნახავთ, რა წესიერად მოიქცევა.

— ჯერ მაინც ნუ ვენდობით.

— არა. შეგვირდი და უნდა ვავათავისუფლო.

სალამურას ნათქვამი რომ ვაიგონა,

ქარბორბალას ერთი კურცხალი ჩამოუგორდა ლოყაზე. ქონდარელებმა პირი მოარიდეს. მიხვდნენ, რომ გალიაში დამწყვედელი ქონდართუხუცესის ყოფილი პირადი მცველი მართლა არ იყო ძველი ქარბორბალა.

სალამურამ გალიის კარი გააღო.

ქარბორბალა გამოვიდა და დაციინა. პირი ყურებამდე გაეხა. მერე სიამოვნებისაგან გაიზმორა და თქვა:

— ახლა მაჩვენეთ ქონდართუხუცესი.

მე ვიცი, რასაც ვუხამ!

— ქარბორბალა, შენ ხომ პირობა მომეცი, წესიერად მოვიტყევიო.

— მერე? ქონდართუხუცესს ძველი ხურჯინივით რომ გავებრტყავ, წესიერად მოტყევა არ იქნება?

— არა, ძმავო ქარბორბალა!

— მაშ, რა ვქნა?

— რაზე საქმეს მოჰკიდებ ხელი.

— ვანა ქონდართუხუცესის გაებრტყვა საქმე არ არის?

— შევირდად დამიდექი, ქარბორბალა.— უთხრა მჭედელმა დაჰკა-დაჰკამ,— შენგან ნამდვილი მჭედელი გამოვა.

— აი, მჭედლობა კი ნამდვილი საქმეა! — თქვა სალამურამ.

— როგორც შენ მეტყევი, ისე მოვიტყევი. — გახარებული ქარბორბალა დაღლილ ხელებს იფშენებდა. მართალია, ღონიერი იყო, მაგრამ ხელები მაინც დაეღალა. ცოტა ხანს კი არ ეჭირა ციხის მცველი რაზა!

### გამარჯვებულთა ზეიმი. მზის ამოსვლა

საპრობილეს წინ მოედანი მაშხალე-ბით იყო განირაღდებული.

მთელ ქონდარეთს ამ მოედანზე მოეყარა თავი.

ხელმწიფეც აქ იყო თავის ნაზირ-ვეზირებთანად.

დედოფალი ქონდარინე ამრეზილი იყურებოდა. უკმაყოფილოდ წყურავდა თვალებს — როგორ გამიბედეთ, ამ შუალამით გარეთ რომ გამომიყვანეთო. ჯერ კიდევ არ იცოდა, ვერ მიხვდებოდა იყო, რა ხდებოდა ქონდარეთში.

— ქონდარელებო! — წინ წამოდგა მჭედელი დაჰკა-დაჰკა, — სალამურა დიდი ხნის წინათ ციციანთელების მწყემს გოგონას შეპირდა მზის ამოსვლას განვენებო. მაგრამ ის გოგონა ხელმწიფემ ღამის შიკრიკებს მოატაცებინა მცონარა უფლისწულის გასართობად. სალამურა არც ხიფათს, არც დაბრკოლებებს არ შეუშინდა, ტანჯვითა და წვალებით გამოიარა გზა და ქონდარეთში ჩამოვიდა. ციციანთელების მწყემსი გოგონა ვაათავისუფლა. აი ასეთია ძალა ნამდვილი მეგობრობისა.

— გაუმარჯოს სალამურას! — იგრიანეს ქონდარელებმა.

— დღეს ჩვენ ყველანი სალამურას უნდა ვუმაღლოდეთ, მან მდინარის გაღმიდან ქამანდი ესროლა ციხის საკვამლე მილს, ხოლო მერე ხის კენწეროდან გაიარა თოკი და სახურავზე გავიდა. საკვამლე მილიდან იგი ჩაძვრა საპრობილეში, გააღო ყველა საკნის კარი და ქონდარელები ფაათავისუფლა. ასე რომ არ გაეცეთებინა. ალბათ, სამკვდრო-სასიცოცხლოდ შევებრძოლებოდით ხელეკთიანებს და სისხლიც დაიღვრებოდა, სალამურამ აგვაცილა ეს სისხლისღვრა.

— გაუმარჯოს სალამურას! — ისევ დაიგუგუნეს ქონდარელებმა.

— არავენ იცის, რას ერჩოდნენ, ან რისთვის შეიპყრეს ბრძენი კინა-ლოკო. ტყუილ-უბრალოდ ჩაამწყვდევს საკანში. მის საკანში საკვამლე მილიდან ჩაძვრა სალამურა. ისინი ერთმანეთს დაეღამებარაჯნენ და ეს ლაპარაკი გაიგონა ქონდართუხუცესმა. პირველმა ვეზირმა მოსთხოვა ჩვენს ბრძენ კინა-ლოკოს, გაეთქვა თანამოსაუბრე, მაგრამ კინა-ლოკომ არ გასცა ბუხარში შემალული სალამურა.

— გაუმარჯოს ბრძენ კინა-ლოკოს! — დაიქუსეს ქონდარელებმა.

— ჩვენი სახელოვანი ფეხბურთელი კვანტი დაუღე უმიზეზოდ შეიპყრეს. მაგრამ ეს არ არის მთავარი. ქონდართუხუცესმა მას ციხის მცველობა შესთავაზა და ჩვენმა კვანტი დაუღემ უარი უთხრა. იგი ციხის მცველი რომ გამხდარიყო, ფეხბურთელი აღარ იქნებოდა და ჩვენ, ქონდარელები, ვეღარ დავტყუებოდით მისი თამაშით. კვანტი დაუღემ ნამდვილი გმირობა ჩაიდინა.

— გაუმარჯოს კვანტი დაუღეს! — შესძახეს ქონდარელებმა და წვერგაუბარსავე ფეხბურთელი რამდენიმეჯერ აისროლეს ჰაერში.

— თქვენს წინაშეა ციციანთელების მწყემსი გოგონა, — მჭედელმა დაჰკადაჰკამ ხელი მოჰკიდა და ყველას დასაინახად წინ დააყენა. — ამ გოგონას ბაია ჰქვია.

— ოჰ, რა ლამაზია!

— ნამდვილი მზეთუნახავია!

— ამისი მსგავსი არაფერი გვინახავს!

— კალმით არის დახატული! — გაისმა აქეთ-იქიდან აღტაცებულ ქონდარელობა შეძახილები.

— ეს გოგონა, — განაგრძო მჭედელმა დაჰკა-დაჰკამ, — ხელმწიფის შიკრიკებმა მოიტაცეს ციციანთელების ქვეყნიდან, რათა ღორმუცელა და ძილისგულა უფლისწული გაერთოთ. ესეც არ აკმარეს. იმიტომ, რომ ქონდართუხუცესს თავისი ქალიშვილის დედოფლად გახდომა სურდა და ეგონა, ბაია უშლიდა ხელს, საბრალო გოგონა საიდუმლო საკანში დაამწყვდიეს. მაგრამ ციციანთელების მწყემსმა გოგონამ ყველა ტანჯავწვალემა გადაიტანა და, რაც მთავარია, არ დაჰკარგა რწმენა. მას სჯეროდა, რომ მისი მეგობარი სალამურა მიაკითხავდა და გაათავისუფლებდა. ასეც მოხდა.

— გაუმარჯოს ბაიას! — კიდევ ერთხელ იგრიალეს ქონდარელებმა.

— მე არაფერი არ ვიცოდი! — თქვა ხელმწიფემ.

— რას ჰქვია, არ იცოდით! ახლა ყველაფერს მე ნუკი დამაბრალებთ. — გაწიწმატდა ქონდართუხუცესი.

— გამიშვით, — იღრიალა ქარბორბა.

ლამ და ქონდართუხუცესისაკენ გავარდა მუშტმომარჯვებული.

— ქარბორბალა! — დაუძახა სალამურამ, — ახლავე უკან დაბრუნდი!

ქარბორბალა ელდნაკრავივით შეჩერდა. ხელები ჩამოშვა და დარცხვენილმა ჩაილაპარაკა:

— ჰო, მართლა, სულ დამავიწყდა...

მჭედელს უნდოდა ეთქვა რალაც, მაგრამ ქონდარელებმა არ დააცალეს:

— აღარ გვინდა მეფე!

— არც ქონდართუხუცესი!

— არც დედოფალი!

— როგორ თუ აღარ გინდათ დედოფალი, — თქვა დედოფალმა ქონდარინემ, — თქვენ ვინ გეკითხებთ?! მე დედოფლადა ვარ დაბადებული! აბა, ისე როგორ უნდა ვიცხოვრო?

— ისევე, როგორც ჩვენ ვცხოვრობთ.

— არ შემიძლია, მე დედოფალი ვარ, ჩემი შვილი კი უფლისწულია.

— დედოფალი მართალს ამბობს. — დაუდასტურა ხელმწიფემ. — ამ საკითხს ეგრე ადვილად ვერ გადაწყვეტთ.

— ამას წინათ, — თქვა მჭედელმა, — რამდენიმე ქონდარელმა ღუმელისათვის თუნუქის მილები შემიკვთა. მე შევპირდი, გავიკეთებთ-მეთქი. მიუხედავად იმისა, რომ სამჭედლო დამინგრეს, პირობას მაინც ავასრულე. ქონდარეთში დგას ხელმწიფის თხოთმეტი ქანდაკება. ყველა ჩემი გაკეთებულია და ვიცი, რომ ის ქანდაკებები ღუმელის მილებად გამოდგება. ვისაც მილი დასჭირდება, შეუძლია ჩამოხსნას და შინ წაიღოს.

მჭედელ დაჰკა-დაჰკას სიტყვებმა ქონდრისკაცები გულიანად აცინა.

— ეგ ქანდაკებებია და არა მილები. — წამოიძახა ხელმწიფემ.

— მერე რა, ჩვენ მილებად გამოგვადგება! — უთხარეს ქონდარ მეთხოთმეტეს.

— მე მაგის უფლებას არავის მიცემ! — ჯიუტობდა ხელმწიფე.

უკვე თენდებოდა.

სალამურამ ხელი მოჰკიდა ბაიას და ჰკითხა.

— ხომ არ გეძინება?

— არა. — უპასუხა ბაიამ.

— ხედავ, თითქმის გათენდა.

— ვხედავ.

— წავიდეთ.

— სად?

— იმ გორაზე მინდა აგიყვანო.

სალამურა და ბაია ხელიხელ ჩაიკიდებულები წავიდნენ. ქონდარელებმა თვალი გააყოლეს. მარტო თვალი კი არა, მიმავალ სალამურასა და ბაიასაც მობრუნდნენ. მათი თვალებიდან დიდი სიყვარულისა და მაღლიერების შუქი იღვრებოდა.

— რატომ წაიყვანა ბაია, ვა, — თქვა ქონდარელებმა. — მე მინდოდა ასკინილა მეთამაშა.

— გაჩუმდი! — შეუტია ხელმწიფემ.

— მინდა, ვა!

— რა ღროს ასკინილა, ქონდარე! — ამოიხრა დედოფალმა, — ვერა ხედავ, რა დღეში ვართ?

ქონდარელები დიდხანს იდგნენ მდუმარედ და უმზერდნენ მიმავალთ. სალამურა და ბაია თვალს მიეფარნენ, აღარ ჩანდნენ. ქონდარელები მაინც არ განძრეულან, ერთთავად იდგნენ და გასცქეროდნენ იმ გზას, საითაც სალამურა და ბაია მიდიოდნენ.

— ნეტავი საით წავიდნენ? — იკითხა ვილაკამ.

— მზის ამოსვლა უნდა აჩვენოს ბაიას.

— ნუთუ არასოდეს უნახავს მზის ამოსვლა?

— არა, პირველად დღეს უნდა ნახოს.

— რა ბედნიერია!

სალამურა და ბაია გორაზე ასასვლელ ბილიც მიჰყვებოდნენ ხელიხელჩაიკიდებულები. ბაია ჯერ უნახავი სილამაზისა და განუტყდელი სიხარულის მოლოდინით იყო აგზნებული. ამიტომ სდუმდა. სდუმდა სალამურაც, რადგან არ იცოდა, დამეულ ფერებს მიჩვეული მწყემსი გოგონა როგორ აღიქვამდა მზის ამოსვლის დიდებულებას.

ჯერ პორიზონტი მტრედისფრად გა-

ნათდა. მერე ნელ-ნელა დიდი, ლამაზი, ოქროსფერი მზე ამოიწვერა. მწყემსმა ბიჭუნამ სალამურს ჩაჰპერა და მზის ამოსვლისა დაუქრა.

მზის ამოსვლისთანავე გარშემო ყველაფერმა იცვალა ფერი. მწვანესა და ლურჯს ოქრო შეეერია და უფრო მეტი ბრწყინვალეობით ააელვარა.

ბაიას მოეჩვენა, რომ ქვეყანა ჯაღოსნური ხმებით აივსო. სალამურის ხმას ტყეებიდან, მინდვრებიდან, ზეციდან ათასგვარი ჰანგი ერწყმოდა. ამ ჰანგებით მაგალობელი ჩიტები ესალმებოდნენ გათენებას. ბაიამ სახესა და სხეულზე მზის თბილი სხივების შეხება იგრძნო, ნეტარებით შეიშმულა და მზეს გაუღიმა.

სალამურა მიხვდა, ბაია არასოდეს არ ყოფილა ასე ბედნიერი. უფრო მეტი გატაცებით ჩაჰპერა სალამურას და საოცრად კმაყოფილმა გადახედა ქონდარეთს, საიდანაც ათასი წყვილი თვალი მათ მისჩერებოდა.

ქონდარელებიც ბედნიერები იყვნენ.

— მან პირველად ნახა მზის ამოსვლა!

— ნეტავი მოეწონა, თუ არა?

— რა თქმა უნდა, მოეწონებოდა.

— ჩვენ უკვე შევეჩვიეთ და ისე ლამაზი არ გგჩვენება.

— მაინც ლამაზია!

— არაფერი არ შეედრება პირველად განცდილ სიხარულს!

— რა ბედნიერია!

ბრძენი კინა-ლოკოც ვასცქეროდა სალამურას და ბაიას. მერე თავი მიაბრუნა, ხელმწიფესა და მის ამაღას გადახედა, მერე აღტაცებულ ქონდარელებს გადაავლო თვალი და თავისთვის ჩაილაპარაკა:

— მაინც რატომ განვსზავდებით ასე ერთმანეთისაგან, ჩვენ ხომ ყველანი ქონდარისკაცები ვართ?... — ესა თქვა და ახალი ნიჭარის საძებნელად გაემართა.

წესით აქ უნდა დამთავრებულიყო ჩვენი ზღაპარი, მაგრამ...





მაგრამ მაინც დარჩა ზოგიერთი წვრილმანი მოსაყოლი.

ბარემ იმასაც გიამბობთ.

საიდან დაგიწყით?

დაგიწყით თუნდაც იქიდან, რომ ქონდარელებმა ბაია და სალამურა დიდი ხარ-ზეიმით გააცილეს. სალამურას გულდა ოქროს ფულით გაუვსეს და გაატანეს. საიდან იშოვეს ამდენი ოქროს ფული? ხელმწიფისა და მისი ნახირ-გვებრების სალაროებიდან. მაინც ჩვენი ოფლითა აქეთ ნაშოვნით და თანაბრად დაინაწილეს. რა თქმა უნდა, სალამურასაც არაგუნეს წილი. სალამურა უარს ამბობდა, — ერთი მწყემსი ბიჭი ვარ და რაში გამოიმდგებაო. შენი წილია და როგორც გინდა, ისე გამოიყენეო. ისიც უთხრეს, — ნუ დაგვივიწყებ, გვინახულეო, თან ბაია წამოიყვანეო. უსათუოდ გინახულებო და ბაიასაც თან წამოიყვანო, — უპასუხა მწყემსმა ბიჭუნამ.

ქონდარელებმა თავკაცად მკედელი დაჰკა-დაჰკა აირჩიეს. ამბობენ, კარგადაც გაუძღვა საქმესო. ქარბორბალა შესანიშნავი მკედელი დადგა და სახელიც გაითქვა. მაგრამ სანამ სახელს გაითქვამდა, არა ერთი და ორი გრდემლი და ჩაქუჩი დაამტვრია. ბოლოს, მაინც იშოვა თავისი ღონისა და ძალის შესაფერი იარაღებიო, — ამასაც ამბობენ.

ხელმწიფეს არავითარი საქმე არ ემარჯვებოდა და თურმე ლექსების წერას მიჰყო ხელი. სულელს, ალბათ, ეგონა, ლექსების წერა ადვილია, რა საქმის ცოდნა უნდაო. ის კი არ იცოდა, რომ კარგ ლექსებს მხოლოდ ჭეშმარიტი პოეტები წერენ, დიდად განათლებული და ჰკვიანი ადამიანები.

ქონდართუხუცესმა მკითხაობა დაიწყო. ცრუმორწმუნე ქონდარელებს ატყუებდა და დიდ მოგებასაც ნახულობდა. აი სად გამოადგა ჯადოსნური თიხის ჯამი! მიუპარებოდა ხოლმე ცრუმორწმუნე ქონდარელის სახლს, თიხის ჯამს მიადებდა გარედან კედელზე და გარკვევით ესმოდა ყველაფერი, რასაც შინ ამბობ-

დნენ. ამის შემდეგ ქონდართუხუცესმა დაწვრილებით იცოდა, რა ხდებოდა, ოჯახში, რა უჭირდათ, რა უხაროდათ. როცა ოჯახის ყველა წვრილმანი იტი, მკითხაობა სულაც არ არის ძნელი. ზოგი გულუბრყვილო ქონდარელი იმასაც კი ამბობდა, ქონდართუხუცესი ნამდვილი ვულთმისანიაო.

პილარიო ბუერამ ქონდარეთში გამოსცა ავამემნონ შუბლას ლექსების კრებული. ასე რომ, ავამემნონ შუბლას, როგორც პოეტს, ქონდარეთში იცნობდნენ. ფრინტამ კოსმეტეის კაბინეტი გახსნა და „სილამაზის სალონი“ დაარქვა. ქონდარელი ქალები ხშირად დადიოდნენ მასთან გასალამაზებლად და გასაახალგაზრდადებლად. მაგრამ ყველაზე ხშირად მაინც დედოფალი ქონდარინე აკითხავდა. მას ყოველთვის ასხენდებოდა თავისი ახალგაზრდობა და გულდაწყვეტილი იყო.

ფრინტას ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ის მოხდა, რომ ვაქი შეეძინა. ვაქის შექმნამ ძალიან გაახარა. თუმცა გაკვირვებას ვერ მალავდა, ცხვირის ოპერაცია გავიყვით და ჩემს შვილს რატომ უნდა გამოჰყოლოდა ისეთი ცხვირი, როგორიც ოპერაციამდე მქონდაო. მართლაც, შვილიშვილი პირწავარდნილი ბაბუამისი იყო და ბაბუა ჭეშმარიტად ამაყობდა თავისი შვილიშვილის სავგარეულო, მეჭეპიანი ცხვირით.

ცნობილი ფეხბურთელი კვანტი დაუდო ისევე დარბოდა მოედანზე, ხან ერთ კარში ურტყამდა ბურთს და ხან მეორეში. მრუდე ფეხის გამო, მართალია, ბურთი იშვიათად გაჰქონდა, მაგრამ ქონდარელებს მაინც ძველებურად უყვარდათ და ძველებურადვე ამაყობდნენ თავიანთი ფეხბურთელით.

დედოფალმა ქონდარინემ ქსოვა დაიწყო და შესანიშნავ ჯემპრეებსაც ქსოვდა თურმე. თანაც კარგ ფასად ასალებდა. უფლისწულმა სპორტს მიჰყო ხელი. დღლის გამამხნეველ ვარჯიშს ასრულებდა, უნდა გავხდეთ. სულ ოცნებობ-

და: ნეტავი ისე ვახდებ, სალამურასავით თოკზე სიარული შევძლოო. თოკზე სიარულისა რა მოგახსენოთ, მაგრამ თუ გახდა და კარგად ივარჯიშა, შეიძლება მოკრივე გამოვიდეს.

ბრძენმა კინა-ლოკომ ახალ ნიქარაში დაიწყო ცხოვრება. ქონდარელები ისევ ბრძნად თვლიდნენ და ეკითხებოდნენ:

— ბრძენო კინა-ლოკო, ქონდრის მოსავალს როგორი პირი უჩიანს?

— თუ მოსავალი მოვიდა, ქონდარი თავზე საყრელი გვექნება; — უპასუხებდა ბრძენი კინა-ლოკო.

იგი ნამდვილი ბრძენი იყო. ერთი სიტყვით, ქონდარეთში ცხოვრება დღულდა.

თქვენ ალბათ სალამურასი და ბაიას ამბავიც გაინტერესებთ.

ამასაც ვიამბობთ, არ დაგზარდებით.

შინ მისვლამდე მსცოვანი პოეტო, მოკრივე მიდი მოადე, ჯამბაზი ალუ ჰობი და წერილების დამტარებელი ბიჭი სირბილა მოინახულეს.

მსცოვან პოეტს ძალიან გაუხარდა სალამურას ნახვა და გმირული საქციელისათვის შეაქო კიდევ. მერე სალამურას და ბაიას უთხრა: თქვენი ნახვით ისე გავიხარეთ, რასაც მთხოვთ, ავისრულებთო.

სალამურამ მადლობა გადაუხადა რჩევა-დარიგებისა და წამლისათვის. ერთმაც და მეორემაც ბაიას მოძებნაში დიდი დახმარება გამიწიო. ბოლოს პკითხა: დიდო პოეტო, როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ ჩვენც თქვენსავით გავიზარდოთო?

— ეგ შეკითხვა კი არა, უფრო სურვილია, — უპასუხა მსცოვანმა პოეტმა, — და მაგ სურვილს უსათუოდ შევისრულებთ, თუ ჩემს რჩევას დაიჯერებთ. ბავშვს ცოდნა ზრდის, ცოდნას კი წიგნი იძლევა. ალბათ, გავიგონათ, რომ ბავშვები სწავლობენ, სკოლაში დადიან, პირველი კლასიდან გადაწყავთ მეორეში. მერე მეორედან — მესამეში, მესამედან — მეოთხეში და ასე შემდეგ. რატომ გადადიან ბავშვები ერთი კლასიდან მეორეში? იმიტომ, რომ იზრდებიან, რა

ზრდით? ისევ და ისევ წიგნები, ცოდნის შეძენა. და თუ თქვენ გინდათ გაიზარდოთ და დიდები გახდეთ, უსათუოდ უნდა ისწავლოთ, იკითხოთ წიგნები, — მსცოვანმა პოეტმა სალამურას და ბაიას ორი „დედა-ენა“ გამოუტანა და აჩუქა, — თუ ამ წიგნით დაიწყებთ სწავლას, უსათუოდ ვიზრდებითო.

სალამურა და ბაია შეჰპირდნენ, — უსათუოდ ვისწავლითო. კიდევ გადაუხადეს მადლობა კეთილ მსცოვან პოეტს და გზას გაუდგნენ.

მერე ძველი მოკრივე მიდი მოადე ინახულეს.

ძველმა მოკრივემ სიხარულისაგან ტაში შემოაჭრა და შეჰყვირა:

— შენი ფეხით მოხვედი, ჩემო ბიჭუნა?! — მიდი მოადე გუნებაში ფიქრობდა, ეს რა ბული მეწვია, თან პატარა გოგონაც მოიყვანაო. ახლა კი ნამდვილად ვერსად გამექცევიანო. კარის ჩაქეტვაც კი დააპირა.

სალამურას გაცინა და უთხრა:

— ტყუილად ირჯებით, ბატონო მიდი მოადე. მე თქვენთან არ დავრჩები და ვერც დამტოვებთ! — მერე გულას პირი მოხსნა და ოქროს ფულის ნახევარი დაუტოვა. — რადგან კრივი მასწავლეთ, გასამრჯელოც მიიღეთ. თქვენ ხომ იმიტომ უჩნებეთ თქვენს ძველ მეგობარს და ამ ოთახში ჩამკეტეთ, რომ ფული გეშოვათ? აჰა, ფული! ოღონდ ერთსა გთხოვთ, ვისაც კრივის სწავლა სურს, უსასყიდლოდ ასწავლეთ.

მიდი მოადემ ამდენი ფული რომ დაინახა, თვალები აუჭრელდა. პირობა მაინც მისცა — ხვალვე გავაკრავ ვანცხადებას ქალაქში და ვინც მოინდობებს, კრივს უსასყიდლოდ ვასწავლიო.

ყოფილმა სახელოვანმა ჯამბაზმა მართო კარის ჩაქეტვა კი არა, გალახვაც კი დაუპირა სალამურას, სულ შენი ბრალია, მიდი მოადემ რომ მცემს და შენი თავი ხელიდან გამომგლიჯათ. ბაიამ ხომ სულ მთლად დააკარგვინა ჭკუა, ეს გოგონა ნამდვილი სასწაულიაო.

— აჰ, რას იტყვით? თოკზე მოსიარულე ჯამბაზი გოგონა! შესანიშნავია! —

ყვიროდა ალუ ჰობი და იცინოდა. —  
თქვენ ახლა ორივე ერთად ინტუნავენთ  
თოქზე.

მაგრამ არც ბაია და არც სალამურა  
თოქზე სიარულსა და ჯამბაზობას არ  
აპირებდნენ. სალამურამ იგივე უთხრა  
ალუ ჰობს, რაც მიდი მოადეს. დაუტოვა  
ფული და დაემშვიდობა. ფული რომ  
დაინახა, ყოფილი ჯამბაზი, მოკრივესგან  
განსხვავებით, ატირდა... თქვენ წარმო-  
იღვინეთ, ცრემლიც კი წამოსცივდა.  
ალუ ჰობი მაინც ძველი არტისტი იყო.

ყველაზე მეტად მაინც სალამურას  
დანახვა წერილების დამტარებელ ბიჭუ-  
ნას — სირბილას გაუხარდა. გადაეხვია  
და გადაკოცნა. სირბილას კეთილი გუ-  
ლი ჰქონდა. სამოთხის ბაღიდან, სადაც  
ალუ ჰობმა პირველად გამოიყვანა სალა-  
მურზე დამკვრელი ბიჭუნა, სირბილამ  
სცადა სალამურას გაპარება, მაგრამ რა  
ეუსოთ, თუ არ გამოუვიდა. მთავარი  
იხსა, რომ კარგი და მოსიყვარულე გუ-  
ლის ბიჭი აღმოჩნდა.

სალამურამ მას მშვენიერი ტყავის  
ჩანთა უყიდა. თოქზე მოსიარულეთა ქა-  
ლაქში არც ერთ ფოსტალიონს არ ჰქონ-  
და ასეთი ლამაზი ჩანთა.

მერე სალამურა და ბაია მივიდნენ  
ტყისპირთან, სადაც ციციანთელები  
ეგულეობდით. სამწუხაროდ, იქ ერთი  
ციციანთელაც კი არ აღმოჩნდა. ციციან-  
თელები ბაიას საძებრად მთელ მსოფ-  
ლიოში გაფანტულიყვნენ. თუ ახლა ლა-  
მით, ტყის მახლობლად, წყაროზე ანდა  
გზის პირას ბუჩქების თავზე მოციმციმე  
ციციანთელებს დაინახავთ, იცოდეთ,  
რომ ისინი დღემდე ეძებენ ბაიას და ვე-  
ლარ პოულობენ.

რატომ ვერ პოულობენ?

იმიტომ, რომ ბაია ისე პატარა აღარ  
არის, გაიზარდა. როგორ გაიზარდა? ახ-  
ლავე ვეტყვით...

არც სალამურას დახვდნენ იალაღებ-  
ზე თავისი ჭია-მაიები. ისინიც გაფრე-  
ნილიყვნენ ქვეყნის ოთხივე მხარეს, იქ-  
ნებ ჩვენი სალამურა სადმე მოგნახოთო.  
ამიტომ სალამურამ კოლოფში დამწყე-  
დებული ჭია-მაიები და ციციანთელები  
გააფრინა, სიყვარული და ათიათასი მად-  
ლობა დაადევნა უკან. მერე მოჰკიდა  
ბაიას ხელი და სკოლაში წაიყვანა. რა  
თქმა უნდა, ორივემ თან წაიღო მხეცო-  
ვანი პოეტის ნაჩუქარი „დედა-ენა“.

სალამურა და ბაია ცოდნას იძენდნენ,  
კლასიდან კლასში გადადიოდნენ და, რა-  
საკვირველია, იზრდებოდნენ კიდევ. შე-  
იძლება, ამიტომაც ველარ იბოვეს ჭია-  
მაიებმა და ციციანთელებმა თავიანთი  
ძველი პატრონები.

თქვენ, ალბათ, ისიც გაინტერესებთ.  
ქონდარეთი მოინახულეს თუ არა ბაიამ  
და სალამურამ. ორი-სამი წლის შემდეგ,  
ზაფხულის არდადეგებზე გაეშურნენ  
ქონდარელი მეგობრების სანახავად, ძა-  
ლიან მოენატრათ, ძალიან უნდოდათ  
მათთან შეხვედრა, მაგრამ ქონდარეთს  
ველარ მიავნეს, ქონდარეთი ველარ იბო-  
ვნეს.

ეს გასაგებიც არის, ქონდარეთს რომ  
მიავნო და ნახო, ისეთივე პატარა უნდა  
იყო, როგორც ქონდარისკაცები არიან.

ხოლო სალამურა და ბაია აღარ იყვნენ  
ისე პატარები.

აი, აქ კი ნამდვილად მთავრდება ჩვე-  
ნი ზღაპარი.



# ჭაქიუბა ხაააააააა

## ოთარ ჩაქუბია,

საქართველოს კომკავშირის ცენტრალური  
კომიტეტის პირველი მდივანი

### ჩვენი სოფლის ახალგაზრდობა

#### ვენახვება და გაღმევი

საქმიანი განწყობილებით, ენთუზიაზმით ეგებება დიდი ოქტომბრის 50 წლისთავს საბჭოთა საქართველო. ხუთწლედის პირველმა წელმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ რესპუბლიკის მშრომელები პირნათლად ასრულებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის მიერ დასახულ ამოცანებს. შარშან რესპუბლიკაში წარმატებით შესრულდა სამრეწველო პროდუქციის გამოშვების გეგმა. კმაყოფილებითა და სიხარულით აღვნიშნავთ შესანიშნავ გამარჯვებებს, რომლებიც მოპოვებულია სოფლის მეურნეობაში და სიამაყით ვამბობთ, რომ გამარჯვებებში ახალგაზრდობის წვლილი მცირე როლია.

მევენახეობა და მებაღეობა საქართველოს მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი უძველესი და უმნიშვნელოვანესი უბანია. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციაში დიდია მათი ხვედრითი წონა, ბევრ რაიონში ისინი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენენ.

საქართველოს კვ ცენტრალურმა კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ მრავა-

ლი ღონისძიება განახორციელეს რესპუბლიკაში საზოგადოებრივი მებაღეობისა და მევენახეობის შემდგომი განვითარებისათვის. მიმდინარე ხუთწლედშიც დიდი ამოცანებია დასახული. მაგალითად, 1967 საიუბილეო წელს უნდა გაშენდეს 2891 ჰექტარი ვენახი და 3352 ჰექტარი ბაღი. ამასთან ერთად გაიზრდება მოსავლიანობა.

კანონიერი სიამაყის გრძნობით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მევენახეებმა და მებაღეებმა შარშანდელი წელიც მაღალი მაჩვენებლებით დაამთავრეს — გეგმით გათვალისწინებული 190 ათასი ტონის ნაცვლად მოიყვანეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 243,6 ათასი ტონა ყურძენი, აგრეთვე 134 ათასი ტონა ხილი 108 ათასის ნაცვლად.

მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს გურჯაანის, თელავის, ყვარლის, გორის, კასპის, მცხეთის, სავარჯოს, ქარელის, მაიაკოვსკის, წითელწყაროს, სიღნაღის, ბოლნისის, მარნეულის, ხაშურის, ვანისა და სხვა რაიონების ახალგაზრდა მევენახეებმა და მებაღეებმა. ამ რაიონების კომკავშირის კომიტეტებმა შემოქმედებითად გამოიყენეს აღმზრდელობითი და ორგანიზატორული მუშაობის ყველა





ფორმა და მეთოდი, ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება, შექმნეს საგანგებო რგოლები, რომლებსაც დავალებული ჰქონდათ ნამყენებისა და ნერგების გამოყვანა, ვენახებსა და ბაღებში მეჩხერი ფართობის შევსება.

მევენახეთა და მებაღეთა შორის 1966 წელს გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვეს მცხეთის რაიონის მევენახეებმა და ქარელის რაიონის მებაღეებმა. მცხეთელებმა გეგმით გათვალისწინებული 3242 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს ჩააბარეს 8120 ტონა მაღალხარისხოვანი ყურძენი, ხოლო ქარელელმა მებაღეებმა 5887 ტონის ნაცვლად — 6612 ტონა ხარისხოვანი ხილი. მათ დაიმსახურეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და რესპუბლიკის პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა.

განსაკუთრებული ქებით უნდა მოვიხსენიოთ მცხეთელი მშრომელები, რომლებმაც შარშანდელი გეგმა თითქმის სამმაჯად გაანაღდეს. მცხეთელთა ამ გამარჯვებაში დიდი როლი შეასრულეს კომკავშირის რაიონულმა კომიტეტმა და პირველადმა კომკავშირულმა ორგანიზაციებმა.

1966 წელს მცხეთის რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სამაგალითოდ შრომობდა 30 კომკავშირულ-ახალგაზრდული რგოლი და ბრიგადა. სულ მევენახეობაში მუშაობდა 600-ზე მეტი ჭაბუკი და ქალიშვილი, რომლებსაც მოსავლელად გაპიროვნებული ჰქონდათ 300 ჰექტარი სრულმოსავლიანი ვენახის ფართობი, ზვრების მექანიზაციას ემსახურებოდა 120-მდე ახალგაზრდა მექანიზატორი.

სიამოვნებით აღვნიშნავთ რესპუბლიკაში ერთ-ერთი საუკეთესო და კარგი ტრადიციების მქონე ყვარლის რაიონის მევენახეთა სასახელო შრომით საქმიანობას. შარშან გეგმით გათვალისწინებული 11.110 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიჰყიდეს 14.405 ტონა მაღალხარისხოვანი ყურძენი.

ცოტა როდია ახალგაზრდობის წევრული რაიონის მიერ მოპოვებულ წარმატებაში. შარშან მათ გაპიროვნებული ჰქონდათ 810 ჰექტარი ვენახის ფართობი და ყოველ ჰექტარზე საშუალოდ 55 ცენტნერი მოსავალი მოიყვანეს, ვენახებში მეჩხერიანობის მოსასპობად გამოირგეს 122 ათასი ძირი ვაზი, გააშენეს 50 ჰექტარი ახალი ზვრები და მოუარეს 260 ჰექტარ ახალშენს.

1966 წელს ყველამ კარგად იმუშავა, მაგრამ მაინც უნდა გამოვყოთ უკეთესთა შორის საუკეთესონი: ჭიკაძის, გავაზის, შილდის, გრემის კოლმეურნეობებისა და ყვარლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის კომკავშირელები და ახალგაზრდები.

აუცილებელია შევჩერდეთ ერთ საკითხზე, რომელიც, ჩვენი აზრით, მისაბძი და საყურადღებოა. ყვარლის საბჭოთა მეურნეობის ახალგაზრდობის უშუალო მონაწილეობით აშენდა წყალსაცავი, რომელსაც ადგილობრივმა მცხოვრებლებმა „ყვარლის ზღვა“ შეარქვეს. იგი მშრომელთა გართობისა და დასვენების ერთ-ერთ საუკეთესო ადგილად იქცა. გარდა ამისა, მას დიდი პრაქტიკული გამოყენებაც აქვს — მარტო შარშანდელ გვალვიან დღეებში წყალსაცავიდან ირწყვებოდა 500 ჰექტარი ვენახის ფართობი. გაკეთებულია საშვილო-შვილო საქმე.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მარანი, რომელიც აქაურმა მშრომელებმა ააგეს. მარანი, რომელიც იტევს ორ მილიონ დეკალიტრ ღვინოს, იშვიათი ნაგებობაა.

1966 წელს საუკეთესოდ იმუშავეს რესპუბლიკის მებაღეთა შორის გამარჯვებულმა ქარელელმა მშრომელებმა. რაიონის ბაღებში 1000-ზე მეტი ჭაბუკი და ქალიშვილი საქმიანობდა. მათ მოსავლელად გაპიროვნებული ჰქონდათ 770 ჰექტარი ფართობი. ბაღებს ემსახურებოდა 100-ზე მეტი ახალგაზრდა მექანიზატორი. ახალგაზრდებმა დაამყენეს 32000 ძირი ხეხილის ნერგი, მიიღეს 600 ათასი ცალი პირველი ხარისხის საძირე

მასალა და 100 ათასი ძირი ჯანსაღი ნამყენი, მეჩხერიანობა მოსპეს 300 ჰექტარზე. 300 ახალგაზრდამ პროფესიული დონე აიმაღლა მოწინავეთა გამოცდილებების სკოლებში.

რაიონის მიერ ხილის დამზადების გეგმების წარმატებით შესრულებაში დიდი წვლილი მიუძღვით აბისის, ქვენატკოცის, ბებნისისა და სხვა სოფლების კომკავშირელებსა და ახალგაზრდებს, რომლებმაც ხილის მოსავლიანობა ჰექტარზე 70 ცენტნერამდე გაზარდეს.

მისაბაძი და ქების ღირსია ბებნისის სანერგე სახელმწიფო მეურნეობის კომკავშირელთა შრომითი საქმიანობა.

გორის რაიონი მეხილეობის ერთ-ერთი უძველესი და წამყვანი რაიონია. აქაურმა ვეტერანმა მეხილეებმა მიხეილ რჩეულიშვილმა, ეკატერინე თვალთაშვილმა, დავით მახინაშვილმა, ალექსანდრე ხიზანიშვილმა, ივანე გვიმრაძემ და სხვებმა ქართულ ხილს საქვეყნოდ გაუთქვეს სახელი, მათ ეყუთვნით ხილის მოსავლიანობის პირველი რეკორდები, რომლებიც ახლაც ხელუხლებელია. ჩვენს სახელოვან მეხილე-ვეტერანებს საუკეთესო ახალგაზრდა შემცვლელები გამოუჩნდნენ.

გორელმა მეხილეებმა ხუთწლედის პირველ წელს სახელმწიფოს ჩააბარეს რესპუბლიკის მიერ დამზადებული ხილის მეხუთედი და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ამ დიდი საქმის პირნათლად შესრულებაში. უფროს ამხანაგებთან ერთად თავდადებულად შრომობდნენ ახალგაზრდები, რომლებმაც გაპროცენტებული 1600 ჰექტარი ხეხილის ბაღიდან ჰექტარზე საშუალოდ 64,6 ცენტნერი ხარისხოვანი ხილი მიიღეს. მათი ძალებით გაშენდა 740 ჰექტარი ახალი ბაღები, მეჩხერიანობა აღმოეფხვრა 300 ჰექტარზე. განსაკუთრებით სანაქებთა გორელი ახალგაზრდობის ბრძოლა ხეხილის მავნებლებისა და დაავადებთა წინააღმდეგ. მაგრამ არ შემოიძლია არ აღვნიშნო: ის ენთუზიაზმი, რომლითაც გორელებმა ეს საქმე წამოიწყეს,

თანდათან ქრება. მართალია, სტანდარტული ხილის პროცენტი იზრდება, მაგრამ ძალზე ნელი ტემპებით. 1966 სამეურნეო წელი კარგი შედეგებით დამთავრეს გორის რაიონის სოფელ ტყვიავის, ხელთუბნის, ფლავის კოლმეურნეობების, ვარიანის საბჭოთა მეურნეობისა და სხვა კომკავშირულ-ახალგაზრდულმა რგოლებმა და ბრიგადებმა. რესპუბლიკის ახალგაზრდა მებაღეთა ბრიგადებს შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში მიმდინარე წელსაც პირველი ადგილი დაისაკუთრა ხელთუბნის კოლმეურნეობის თინა იოსებიძის სახელობის კომკავშირულმა ბრიგადამ, რომელმაც 61 ჰექტარზე ახალი ბაღი გააშენა და 13 ჰექტარი ხილის ბაღიდან ყოველ ჰექტარზე 102 ცენტნერი ხილი მოიყვანა. აქვე უნდა აღინიშნოს სოფელ ფლავის კოლმეურნეობის კომკავშირულ-ახალგაზრდული რგოლი, რომელსაც ნიკო ფოსური ხელმძღვანელობს, 2 ჰექტარი ხილის ბაღიდან 55-ის ნაცვლად ჰექტარზე 127 ცენტნერი ხილი მოიწია, ხარისხიანობა კი 92 პროცენტამდე გაიზარდა.

აუცილებლად უნდა ითქვას ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდა მექანიზატორთა სასახელო საქმიანობაზე. მაგრამ აქვე უნდა დავსძინოთ, რომ რესპუბლიკაში წლიდან წლამდე მცირდება ახალგაზრდა მექანიზატორთა რიცხვი.

რაიონული კომკავშირული ორგანიზაციები ცუდად ერკვევიან მათ საქმიანობაში.

1965-66 სასწავლო წელს კასპის რაიონის სოფელ ქვემოქალის საშუალო სკოლის მოსწავლეები შესანიშნავი თაოსნობით გამოვიდნენ: სკოლის დამთავრების შემდეგ დარჩნენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სამუშაოდ. ამ კარგ წამოწყებას მხურვალედ გამოეხმაურნენ რესპუბლიკის მოსწავლეები.

მესხური ხილი განთქმულია ხარისხით, გემოთი და სურნელებით. შარშან ახალციხელმა ახალგაზრდებმა 350 ჰექტარ ხეხილის ბაღს მოუარეს და საშუა-

ლო-საპექტარო მოსავლიანობა 60 ცენტნერამდე გაზარდეს, რაიონში შექმნილი იყო 33 ახალგაზრდული ბრიგადა და რგოლი, რომლებიც შრომის შესანიშნავ მაგალითებს იძლეოდნენ. ახალციხელების მსავასად ბევრმა რაიონულმა კომიტეტმა გაშალა მუშაობა ძველი, მწყობრიდან გამოსული სარწყავი არხებისა და მოწყობილობათა აღსადგენად. მრავალი პექტარი ვენახი და ბალი მოიწყა და უზემოსავლიანი გახდა.

ჯავახეთსა და მესხეთში ჯერ კიდევ კარგად არის შემონახული ამჟამად თითქმის ცარიელი ტერასები, რომლებსაც ჩვენი წინაპრები ხეხილისა და ვენახებისათვის იყენებდნენ. მათი ფართობი რამდენიმე ათეულ პექტარს აღწევს. საჭიროა მესხეთისა და ჯავახეთის რაიონების ახალგაზრდობამ ხელი მოჰკიდოს ამ ტერასების აღდგენას და მათზე მრავალწლიანი კულტურების გაშენებას.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ამბროლაურის, ცაგერის, ონის, საჩხერის, ვანის, ორჯონიკიძისა და სხვა მაღალმთიანი რაიონების ახალგაზრდების მიღწევები. ყურძნისა და ხილის მაღალი მოსავლის მიღებისათვის მათ სხვებზე ნაკლები ენერჯია როდი დახარჯეს, მაგრამ აღნიშნულ რაიონებში ჯერ კიდევ დაბალ დონეზეა სამთო მიწათმოქმედება, ამიტომ ნაყოფიც ნაკლები იყო.

ჩვენს მაღალმთიან რაიონებში კვლავ დღის წესრიგში დგას სასოფლო-სამეურნეო, კერძოდ, მრავალწლიანი კულტურების შექანიზაციის საკითხები. ჩვენი მეცნიერები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები ჯერ კიდევ ვალში არიან აღნიშნული რაიონების მშრომელთა წინაშე.

მეჩხერიანობის წინააღმდეგ ბრძოლა ჩვენი მევენახეებისა და მებაღეების მუდმივი ზრუნვის საგანია. სიმეჩხრე მეტად დიდ ზიანს აყენებს მევენახეობასა და მებაღეობას, რადგანაც წლების მანძილზე გაცდენილი ადგილები სისტემატურად მუშავდება, ირწყვება და ნოყიერდება სასუქებით, მოსავალს კი არ იძლევა. ეს ფართობები ზედმეტ ტვირთად

აწეება სრულმოსავლიან ნაქვეთებს, რის შედეგად მცირდება საშუალო-საპექტარო მოსავლიანობა და იზრდება მიღებული პროდუქციის თვითღირებულება. 1959 წელს გურჯაანისა და გორის რაიონების კომპაგვირულმა ორგანიზაციებმა ბალ-ვენახებში მეჩხერიანობის ლიკვიდაცია ითავეს. მაგრამ ის ფაქტი, რომ დღეისათვის რესპუბლიკაში ხეხილის საერთო მეჩხერიანობა 10 პროცენტზე მეტია, ხოლო ზოგიერთ რაიონში 25-დან 33 პროცენტამდე აღწევს, იმაზე მეტყველებს, რომ ამ მხრივ კომპაგვირულ ორგანიზაციებს კვლავაც დიდი მუშაობა მოუწევთ.

ძირითად ამოცანად რჩება ახალგაშენებული ზვრების მოვლა-პატრონობა, საწერგებში საუკეთესო პირობების შექმნა და პირველი ხარისხის ნერგების გამოყვანა, რადგან ახალი ვენახებისა და ბაღების გაშენებაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს საწერგე მეურნეობის მტკიცე ბაზის შექმნას, მან უნდა დააყვავოს ფილოს ნამყენი ვაზის ნერგებზე მოთხოვნილება. რესპუბლიკაში მეჩხილეობის ნამყენებით და ნერგებით მომარაგების საქმე ძირითადად მოგვარებულია. ახლა მთავარია მათი წესიერი გამოყენება და ახალგაშენებული ბაღების გულსისხიერი მოვლა-პატრონობა. რესპუბლიკაში გამოყოფილია მეჩხილეობის 11 ზონა, რომლებშიც მეჩხილეობის დანიშნულება და მიმართულება სხვადასხვაგვარია.

მყარი და უზვი მოსავლის მისაღებად დიდი მნიშვნელობა აქვს ჭიშების სწორად შერჩევას და მათ გაადგილებას რაიონების მიხედვით. მევენახეობაში ეს საკითხი დიდი ხანია გადაწყდა. სამწუხაროდ, მებაღეობაში ჯერ კიდევ არ ექცევა სათანადო ყურადღება. ბაღებს აშენებენ ნებისმიერად და ხშირად მეცნიერული დასკვნების საწინააღმდეგოდ. ხეხილის ნარგავების განლაგებისადმი ასეთი მიდგომა შეუწყინარებელია.

ყურძნისა და ხილის მოსავლიანობის გადიდება შეუძლებელია, თუ არ განვახორციელებთ საწარმოო პროცესების შექანიზაციას. ამ ამოცანის გადაჭრისათვის

სწავლულ მევენახეთა, მეხილეთა და მეღვინეთა კოლექტივმა დიდი მუშაობა გასწია — შემუშავებულია ღონისძიებანი, რომლებიც განაპირობებენ ამ დარგების შემდგომ აღმავლობას. ამ ღონისძიებათა რიცხვს ეკუთვნის ვაზისა და სადღე რქის ფორმირების სისტემა, ახალგაზრდა და ნაყოფის მომცემ ბაღებში ნიადაგის დამუშავების პროგრესული წესები, ხეხილის ნერგების გამოყვანის დაჩქარებული მეთოდი და სხვა.

საქმარისია აღინიშნოს, რომ ვაზის ფორმირების პროგრესული წესები, რომლებიც შეიმუშავეს მეხილეთა, მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტის მეცნიერმა მუშაკებმა ს. ლომკაცმა და ნ. ახვლედიანმა, 50-70 პროცენტით ზრდიან ვენახების მოსავლიანობას, ბევრმა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ, სადაც ეს მეთოდი დანიერგა, თითქმის ერთიორად გაზარდა ყურძნის მოსავლიანობა.

ვაზის ნერგის გამოყვანის პროგრესული მეთოდი შეიმუშავა ახმეტის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მთავარმა აგრონომმა თ. შაშიაშვილმა. ეს მეთოდი, როგორც პრაქტიკამ ცხადყო, საშუალებას იძლევა სტანდარტული ნერგის გამოსავლიანობა 80 პროცენტამდე გაიზარდეს. ამასთან ყოველი ნერგის თვითღირებულება მცირდება მყნობის ჩვეულებრივ მეთოდთან შედარებით.

ქართველი მეხილეების ერთ-ერთი მთავარი საზრუნავია — შეიმუშავონ ბაღების გაშენებისა და მოვლის ისეთი ორგანიზაცია და აგროტექნიკა, რომლებიც უზრუნველყოფენ ფართობის ერთეულზე ხილის უხვი მოსავლის მიღებას შრომისა და ფულადი სახსრების მცირე დანახარჯით. ერთ-ერთი ასეთი ღონისძიებაა ხეხილის ბაღების შემჭიდროებული წესით გაშენება.

დიდი და ნაყოფიერი მუშაობა გასწიეს საქართველოს მევენახე და მეხილე სელექციონერებმა. მათ გამოიყვანეს მრავალი ახალი ჯიშო. საჭიროა მეცნიერების მიერ რეკომენდებული ჯიშები გახედულად დანიერგოს წარმოებაში.

ვენახებისა და ბაღების კოლოსალური ზრდა, ბუნებრივია, დაკავშირებულია ბევრ ტექნიკურ სიძნელესთან და მოითხოვს შრომისა და მუშახელის დიდ ხარჯს. ჰექტარი ვენახის მოვლაზე ხელით შრომისას საშუალოდ იხარჯება 714 კაც-დღე, მთაგორიან პირობებში კი გაცილებით მეტი.

მიუხედავად იმისა, რომ ამ მხრივ მევენახეობა-მეხილეობაში მნიშვნელოვანი ნაბიჯია გადადგმული, ჯერ კიდევ ბევრი სამუშაო ხელით ან ცხენწყვის საშუალებით სრულდება. საქმარისია აღინიშნოს, რომ 32 ოპერაციიდან მექანიზებულია მხოლოდ ხუთი ძირითადი ოპერაცია.

ამჟამად სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა მიმართულია იქეთვე, რომ ხელით შესასრულებელ სამუშაოთა მეტი წილი მექანიზებული გახდეს. ავიღოთ ვაზის დარგვის საკითხი, იგი ერთ-ერთი ყველაზე შრომატევადია. ვაზის ხელით რგვისას საშუალოდ ჰექტარზე იხარჯება 123 კაც-დღე. ტექნიკის განვითარების თანამედროვე დონის მიუხედავად, ვაზის დარგვა თითქმის მთლიანად დამყარებულია ხელით შრომაზე. საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სათესი და სარგავი მანქანების ლაბორატორიის ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკებმა შეიმუშავეს საკიდი ტიპის ორშეკრივიანი ვაზის სარგავი მანქანა, რომელიც გამოსცადეს ყვარლისა და წითელწყაროს რაიონებში. მისი მუშაობა დიდად მოიწონეს სატეხილისტებმა და პრაქტიკოსებმა.

შექმნილია და ფართო საწარმოო გამოცდას გადის შპალერზე გადაყვანილ სათვის ბოძების ჩასასობი მოწყობილობა, რომელსაც ორი კაცი ემსახურება და დღეში 540-600 ბოძს ასობს. შექმნილია აგრეთვე მავთულის დასაჭიმი მოწყობილობის საცდელი ნიმუშები და ხელის ჯალამბრები, ნახსლავის რიტაჟორების დანადგარები, ნახსლავის რიტაჟორების დანადგარები, შხამ-ქიმიკატების მომზადების მექანიზმი და სხვა.





ზემოაღნიშნულის მიუხედავად, გულახდილად უნდა ითქვას, რომ ასეთი მანქანები სამეცნიერო და პრაქტიკული გამოცდის შემდეგ ან ძალიან ნელა, ან სრულყოფილად არ იწარმოება წარმოებაში. ამის საილუსტრაციოდ საკმარისია აღინიშნოს, რომ ბალ-ვენახებში სასუქის შემტანი მანქანები დიდი ხანია არსებობენ, მაგრამ რიკთაშორისების დამუშავებისას მათ იშვიათად იყენებენ.

რესპუბლიკის კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, თითოეულმა ახალგაზრდამ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში უფრო აქტიურად და ფართოდ უნდა დაწერონ მეცნიერებისა და მოწინავეთა გამოცდილების მიღწევები, მეტი უნდა ვიზრუნოთ მევენახეობაში სასოფლო-სამეურნეო საშუალებების მექანიზმებით შესრულებისათვის.

მევენახეობისა და მებაღეობის რაიონებს თითქმის ყოველწლიურად დიდ ზარალს აყენებს ძლიერი სეტყვა. დასეტყვილ ფართობებზე ზარალი მარტო მოსავლის ნაწილობრივ ან მთლიანად მისი დაღუპვით როდი განისაზღვრება. ინტენსიური დასეტყვის გავლენა თავს იჩენს შემდგომ წლებშიც, რადგან სეტყვით დაზიანებული ვაზი მოსავლიანობას უცებ ვერ აღიდგენს.

ამიტომ სეტყვის წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენი რესპუბლიკისათვის. ამ მხრივ დიდი მუშაობა წარმოებს. ახლა სეტყვის საწინააღმდეგო რაკეტ-

ბის საშუალებით უკვე დაცულია ათასობით პექტარი ფართობი.

ალაზნის ველის ტერიტორიაზე დასეტყვის მაგნე შედეგები მნიშვნელოვნად შემცირდა.

საქართველოს ზვრებისა და მარნების სახელი და დიდება კარგა ხანია გასცდა საბჭოთა კავშირის ფარგლებს. შარშან ჩვენმა ბევრმა მეღვინემ და მევენახემ დაიმსახურა მთავრობის მაღალი ჯილდო.

ქართულ ღვინოებსა და კონიაკებს მიღებული აქვთ 63 ოქროს, 65 ვერცხლისა და 7 ბრინჯაოს მედალი, რაც ჩვენი მეღვინე-ტექნოლოგების უდიდესი გამარჯვებაც არის.

შესანიშნავი თვისებების მქონე ქართული ხილის შემდგომ გადამუშავებას ემსახურება „საქონსერგტრესტის“ სისტემაში შემავალი ქარხნები, რომელთა უმრავლესობა მხოლოდ კონსერვს ამზადებს. უნდა ითქვას, რომ ბოლო წლებში ჩვენმა მეკონსერვეებმა საგრძობლად გააუმჯობესეს გამოშვებული პროდუქციის ხარისხი და ასორტიმენტი.

ამოცანები, რომლებსაც საიუბილეო წელს ვსახავთ, უდიდესი პასუხისმგებლობის წინაშე ვვაყენებს. მათი შესრულება მოითხოვს ყოველდღიურ დაძაბულ და შემოქმედებით შრომას. აუცილებელია გავითვალისწინოთ წინა წლების ხარვეზები, ავამოქმედოთ ყველა რეზერვი, მაქსიმალურად გამოვიყენოთ ყველა დღე და საათი.

## ჩაინა და ციტირების კლანტაციებში

საქართველოს მუშათა, კოლმეურნეთა, ინტელიგენციის თავდადებულმა შრომამ პარტიისა და მთავრობის მაღალი შეფასება მიიღო — რესპუბლიკის ლენინის მეორე ორდენი მიენიჭა. და აი, საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას, რომელიც გამარჯვებულად ცნეს სრულიად საქავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში 1966 წელს მიღწეული მაღალი მაჩვენებლებისათვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და

სრულიად საქავშირო პროფესიულ კავშირთა ცენტრალური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა მიენიჭა. გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია მიიღო გურჯაანის რაიონმა. საქავშირო ჯილდოები დაიმსახურეს რესპუბლიკის მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა.

ამ გამარჯვებებში ახალგაზრდობის წვლილი ცოტა როდია.

სასახელოდ დაამთავრეს 1966 წელი

რესპუბლიკის ახალგაზრდა მეჩაიეებმა. 65 ათასზე მეტმა ქალიშვილმა და ჭაბუკმა მოკრიფა და სახელმწიფოს ჩააბარა 160 ათასი ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი. მათგან თითქმის 10.000-მა მიაღწია ჰექტარზე 5.000 კილოგრამზე მაღალ მოსავალს. მეჩაიეებისაგან მიიღეს შრომითი ესტაფეტა ახალგაზრდა მეციტრუსეებმა. შარშან რესპუბლიკაში დამზადებული 44.100 ტონა ციტრუსიდან 22.500 ტონა ახალგაზრდა მეციტრუსეებზე მოდის.

როდესაც ვლადიმერობით ჩაისა და ციტრუსების შესახებ, შეუძლებელია არ მივულოცოთ დამსახურებული გამარჯვება რესპუბლიკის ყველა მეჩაიეს, განსაკუთრებით კი ლანჩხუთის, აჭარის, აფხაზეთის, მხარაძის, ზუგდიდის, ცხაკაიას, წალენჯიხის, გეგეჭკორის, ტყიბულის რაიონების კომკავშირელებსა და ახალგაზრდებს, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს ჩვენი ეროვნული სიამაყის „მწვანე ოქროს“ და ნარინჯოვანთა უხვი მოსავლის მიღებაში.

განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწიეს ლანჩხუთის მეჩაიეებმა, რომლებმაც პირველი ჯგუფის რაიონებს შორის პირველი ადგილი და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და რესპუბლიკის პროფსაბჭოს გარდამავალი დროშა დაიმსახურეს.

რაიონის მეჩაიეებმა სახელმწიფოს ჩააბარეს 12.342 ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 10.400 ტონისა და გეგმა 118,7 პროცენტით შეასრულეს.

რაიონის ქალიშვილებმა და ჭაბუკებმა მათზე გაპროცენებული 1005,0 ჰექტარი ჩაის პლანტაციიდან ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 5.645 ტონისა სამშობლოს ჩააბარეს 6.345 ტონა ხარისხოვანი ფოთოლი და ჰექტარზე საშუალოდ 6.106 კილოგრამი ფოთოლი მიიღეს. ლანჩხუთელთა ეს გამარჯვება განაპირობა შრომის საუკეთესო ორგანიზაციამ, აგროწესების ზუსტად დაცვამ.

ალსანიშნავია სოფელ ქვემო აყეთის მეჩაიეთა წარმატება. მაღალი მაჩვენებლები მოიპოვეს კოლმეურნეობის კომკავშირულ-ახალგაზრდულმა რგოლებმა. აქ ყველა ახალგაზრდა, რგოლი, ბრიგადა და ჩაბმულია სოციალისტურ შეჯიბრებაში. დაწესებულია გარდამავალი დროშები და ვიმპელები. სისტემატურად მოწმდება ნაჯისრი ვალდებულებანი.

მაღალი მაჩვენებლებით დამთავრეს 1966 წელი ლესის, მამათის, ზემოაყეთის, გულიანის, ჩიბათის, ეწერის, ნინოშვილის და სხვა კოლმეურნეობათა ახალგაზრდებმა. რაიონში ბევრია ისეთი ბრიგადა და რგოლი, რომლებიც ჰექტარზე საშუალოდ 7-8 ათას კილოგრამ ჩაის ფოთოლს კრეფს.

ლანჩხუთის ახალგაზრდობის სახელისა და ღირსების, მისი შრომის მაღალი შეფასება იყო, რომ შარშან მეჩაიეობაში მოპოვებული წარმატებებისათვის რაიონის კომკავშირის აღზრდილს ლამარა ჩხაიძეს სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება მიენიჭა. რაიონის ახალგაზრდობის მიღწევები იმის შედეგია, რომ კომკავშირის რაიონული კომიტეტი უნარიანად ხელმძღვანელობს ახალგაზრდობას. გრძელდება სოციალისტური შეჯიბრება მეზობელ გეგეჭკორის რაიონის ახალგაზრდობასთან.

22 ათასი ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი — ასეთია აჭარის ახალგაზრდა მეჩაიეების წვლილი. „მწვანე ოქროს“ საერთო მოსავალში. საუკეთესო მაჩვენებლები მოიპოვეს ხუტუნის, ბობოყვათის, დავვას „წითელი ოქტომბრის“, ოჩხამურის, ცეცხლურის კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობათა კომკავშირელებმა და ახალგაზრდებმა. ქალთა მეურნეობის რაიონის ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობის № 7 ახალგაზრდულმა ბრიგადამ, რომელსაც ილია ზოიძე ხელმძღვანელობს, გეგმით გათვალისწინებული 109 ტონის ნაცვლად სამშობლოს ჩააბარა 123 ტონა ხარისხოვანი ფოთოლი და საშუალო-საშეკტარო მოსავლიანობა 7.688 კილოგრამამდე გაზარდა.



ჩაის ფოთლის კრეფის გეგმის შესრულების საქმეში ერთ-ერთი ვადამწყვეტი როლი აკისრია მახარაძის რაიონს. რესპუბლიკის ჩაის ნედლეულის 20 პროცენტზე მეტს ამ რაიონის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები იძლევიან. შარშან მათ მოკრიფეს 42.249 ტონა ჩაის ფოთოლი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 37.300 ტონისა.

ამ დიდ გამარჯვებაში თავისი ღირსეული წვლილი შეიტანეს რაიონის ქალიშვილებმა და ქაბუტეებმა, რომელთა ძალებით 1966 წელს სამშობლოს ჩაბარდა 25 ათასი ტონა „მწვანე ოქრო“.

ჩაის ფოთლის კრეფის საქმეში თავი გამოიჩინეს სოფელ შრომის ორგანიზაციის სახელობის კოლმეურნეობის კომკავშირელებმა და ახალგაზრდებმა.

სოფლის კომკავშირელები და ახალგაზრდები სასახელოდ აგრძელებენ ძველი თაობის მიერ დამკვიდრებულ ტრადიციას.

დიდი გადაჭარბებით შეასრულეს აღებული ვალდებულებანი ნატანების, ძიმითის, ნავომრის, სოფელ მახარაძის, დვაბზუს, მზიანის კოლმეურნეობებისა და ნასაკირალის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ახალგაზრდებმა.

როგორც ყოველთვის, შარშანაც, შრომის ავანგარდში იღვწენ კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადები და რგოლები, რომლებშიც 1.250 ახალგაზრდა გაერთიანებული.

მახარაძის რაიონში ბევრი სახელმწივეჭილი ახალგაზრდაა. მათ შორს ვაუთქვეს სახელი არა მარტო მშობლიურ რაიონს, არამედ რესპუბლიკასაც (ელაფრა ნაცვლაძე, ნაირა გოგატაძე, ეთერ და სვეტლანა ნიკოლაიშვილები, ეთერ გოგუა და მრავალი სხვა).

ზუგდიდის რაიონი რესპუბლიკის მეჩაიეობის ერთ-ერთი ყველაზე დიდი რაიონია. აქ ტრადიციულად მაღალ საემურნეო შედეგებს აღწევენ ჩაის დიდი მოსავლის მიღებაში. აქ შრომობენ საქვეყნოდ სახელგანთქმული ქიონია სართანია, თამარ ყუფუნია და სხვები, რომლებმაც ჩაის კრეფის სხვა ვეტერანებ-

თან ერთად შორს ვაუთქვეს სახელმწიველი ჩაის.

1966 წელს რაიონის მშრომელების მიერ მოკრიფილი 29.220 ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთლიდან 18.800 ტონა ფოთოლი ახალგაზრდობის ანგარიშზე მოდის.

წარმატებები მოიპოვეს სოფელ რუხის „საქართველოს“, ჭკადუაშის, კორცხელის კოლმეურნეობათა, ინგირის, ხეცერის ჩაის საბჭოთა მეურნეობათა კომკავშირელებმა და ახალგაზრდებმა.

ზუგდიდი ერთ-ერთი პირველი რაიონია რესპუბლიკაში, სადაც საწარმოო ნათლობა მიიღო მსოფლიოში პირველმა ჩაის საკრეფმა მანქანა „საქართველომ“, რომლის შემქმნელებსაც ამასწინათ ლენინური პრემია მიენიჭათ.

1966 წელს შრომითი წარმატებებით გავაზარეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ქალიშვილებმა და ქაბუტეებმა; განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი გულრიფშის, ვალის, ოჩამჩირის რაიონების მეჩაიეებმა, რომლებმაც პირნათლად გაანადღეს წლის დასაწყისში ნაკისრი ვალდებულებანი. ვალდებულებათა შესრულებისათვის თავდადებით იბრძოდა 220 კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა და რგოლი, რომელთა შორის 47 ატარებს კომუნისტური შრომის კოლექტივის მაღალ წოდებას.

1966 წელს მეჩაიეობის მეორე ჯგუფის რაიონებს შორის ვაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთა გამოვიდნენ ტყიბულის რაიონის მეჩაიეები, რომლებმაც აგრეთვე საუკეთესო მაჩვენებლები მოიპოვეს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადებასა და მზა პროდუქციის გამოშვებაში. ჩაის ფოთლის დამზადების წლიური გეგმა რაიონმა 142,2 პროცენტით შეასრულა, აქედან პირველი ხარისხისა — 136 პროცენტით. ჩაის ფოთლის საშუალო მოსავლიანობამ ჰექტარზე შეადგინა 5.660 კილოგრამი.

ჩვენი ეროვნული სიამაყის „მწვანე ოქროს“ უხვი მოსავლის მოყვანაში

ღირსეული წვლილი შეიტანეს ცხაკაიას, წალენჯიხის, გეგეჭკორის, ჩხოროწყუს, ხობის, ჩოხატაურის, წყალტუბოს, წულუკიძის, სამტრედიის მეჩაიე ქალიშვილებმა და ჭაბუკებმა, რომლებმაც გადაჭარბებით შეასრულეს ახალგაზრდა მეჩაიეთა და მეციტრუსეთა მეოთხე რესპუბლიკურ შეკრებაზე ნაერთი ვალდებულებანი. მეჩაიეთა საერთო გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანეს რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმების სტუდენტებმა, მეჩაიეობის რაიონების მუშა-მოსამსახურეებმა, მოსწავლე ახალგაზრდობამ.

ხუთწლედის პირველი წლის შედეგები მეჩაიეობაში, როგორც ხედავთ, ნაყოფიერია. მაგრამ დიდი შეცდომა იქნებოდა დავჯერდეთ მიღწეულს, ვერ დაეინახოთ ნაკლოვანებანი, რომლებიც ჯერ კიდევ გავვაჩნია.

ცალკეულ რაიონებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ჩაის ძალზე დაბალ მოსავალს იღებენ. რესპუბლიკის 111 კოლმეურნეობა 1.753 ჰექტარ ფართობზე საშუალოდ მხოლოდ 1.000 კილოგრამამდე ჩაის აწარმოებს, 1.558 ჰექტარს შეადგენს ჩაის იმ ფართობთა რაოდენობა, რომელზეც 35 კოლმეურნეობა 1.500-დან 2.000 კილოგრამამდე ჩაის ფოთოლს იღებს, ხოლო 2.000 კილოგრამიდან 3.500 კილოგრამამდე ფოთოლს იღებენ 6.104 კოლმეურნეობაში, რომელთა საერთო ფართობი 4.006 ჰექტარს შეადგენს. მთლიანად კი რესპუბლიკაში 7.400 ჰექტარამდე ჩაის პლანტაცია საშუალო რესპუბლიკურ მაჩვენებელზე დაბალ მოსავალს იძლევა.

მოსავლიანობის გაზრდა, — აი, ერთ-ერთი დიდი რეზერვი, რომლის გამოყენება ჩაის ახალი პლანტაციების გაშენებასა და ექსპლოატაციაში შესვლასთან ერთად, დამატებით ათასობით ტონა „მწვანე ოქროს“ მისცემს სამშობლოს. დაბალი მოსავლიანობის მიზეზი კი ძირითადად ის არის, რომ ზოგიერთ რაიონში ირდევვა აგროტექნიკური ღონისძიებანი, რაციონალურად არ იყენებენ

ორგანულ და მინერალურ სასუქებს, ადგილი აქვს ჩაის ფოთლის დიდ დანაკარგებს. იმის მაგივრად, რომ მიიღონ კონკრეტული ზომები, ზოგიერთი კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელები ამ მდგომარეობას მხოლოდ და მხოლოდ ცუდი კლიმატური პირობებით ხსნიან.

ალბათ, არავის გაუჭირდება მოიყვანოს მაგალითები, როცა ერთნაირ ნიადაგობრივ და კლიმატურ პირობებში მყოფი რგოლები, ბრიგადები, კოლმეურნეობები სხვადასხვაგვარ მოსავალს იღებენ. ასე, მაგალითად, წყალტუბოს რაიონის სოფელ გუმბრის კოლმეურნეობაში გასულ წელს ჩაის საშუალო-საშეკტარო მოსავლიანობამ 3.006 კილოგრამი შეადგინა, ხოლო მის გვერდით ზუსტად იმავე კლიმატურ და ნიადაგობრივ პირობებში მყოფ კიკვიძის სახელობის კოლმეურნეობაში 1.978 კილოგრამი.

წულუკიძის რაიონის წულუკიძის სახელობის კოლმეურნეობის ახალგაზრდული რგოლი, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი დალი წიგწივაძე ხელმძღვანელობს, ყოველწლიურად მაღალ მოსავალს იღებს. 1966 წელს რგოლმა გაპირავნებულ 2 ჰექტარის თვითეულ ჰექტარზე 13.000 კილოგრამი ხარისხოვანი ფოთოლი მიიღო, მაშინ როცა იმავე კოლმეურნეობის № 2 რგოლმა ჰექტარზე საშუალოდ — 3.000 კილოგრამი ფოთოლი.

დასკვნა მხოლოდ ერთია — შრომის მაღალი ორგანიზაცია, აგროწესების ზუსტი დაცვა, პასუხისმგებლობა და სიყვარული დაკისრებული მოვალეობისადმი, არის საწინდარი ყველა წარმატებისა.

გამოვავლინოთ და ავამოქმედოთ გამოუყენებელი რეზერვები, გავხადოთ ყოველი ჰექტარი ჩაის პლანტაცია მაღალმოსავლიანი, მხარი გავუხსწოროთ მეჩაიეობის პირველი ეშელონის რაიონებს, აი რაზე იყო საქმიანი მსჯელობა წულუკიძის რაიონის ახალგაზრდა მე-



ჩაიეთა შეკრებაზე. მათ იკისრეს ჩაის მოსავლიანობა შარშანდელთან შედარებით ყოველ ჰექტარზე 300 კილოგრამით გაზარდონ, ჩამოაყალიბონ ახალგაზრდული ბრიგადები და რგოლები, შექმნან მოწინავეთა გამოცდილების სკოლები და ამ გზით 1967 საიუბილეო წლის ბაჩაქას ჩაუყარონ საფუძველი.

კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა წულუქიძელთა თაოსნობა და დაავალა მეჩაიეობის რაიონების კომკავშირულ ორგანიზაციებს მხარი დაუჭირონ მას.

კომკავშირული ორგანიზაციების საზრუნავი ყოველთვის იყო და მომავალშიც უნდა დარჩეს ახალი ჩაის პლანტაციების გაშენების, მისი მოვლა-პატრონობის, ჩაის პლანტაციებში მეჩხერიანობის ლიკვიდაციის საქმე. კომკავშირის ამ ინიციატივამ, რომელიც რამდენიმე წლის წინათ წამოვიწყეთ, რესპუბლიკის ქალიშვილებისა და ჭაბუკების ფართო მხარდაჭერა ჰპოვა. კომკავშირის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ეს ამოცანა ჩაის პლანტაციებში ძირითადად გადაწყვეტილია. ამასთან არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბრძოლა ჩაის მეჩხერიანობის მოსპობისათვის კამპანია არაა, მის წინააღმდეგ ყოველწლიურად უნდა ტარდებოდეს თანმიმდევრული ღონისძიებანი.

დავალებანი, რომლებიც მიმდინარე ხუთწლედში მეჩაიეობაში გვაქვს, შეუძლებელია შესრულდეს მხოლოდ და მხოლოდ სუბტროპიკული რაიონების რეზერვების საფუძველზე. ამიტომ ახლა ძირითად პრობლემას ჩაის სამუშაოთა მექანიზაცია წარმოადგენს. საქართველო ჩაის მექანიზაციის სამუშაოთა მიხედვით ერთ-ერთ პირველ ადგილზეა მსოფლიოში. ამჟამად მეჩაიეთა განკარგულებაშია ჩაის ბუჩქების სასხლავი, ნიადაგის დასამუშავებელი, სასუქების შემეტანი, ფუმიგაციის და სხვა მანქანები.

შევუქმნათ მანქანებს მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობები — ასეთია ამოცანა, რომელიც ჩვენი მეჩაიეების, კომ-

კავშირული ორგანიზაციების წინაშე დგას.

მე მინდა შევაჩირო მკითხველის ყურადღება ერთ მნიშვნელოვან საკითხზე — კოლხეთის დაბლობის ამოშრობაზე. როგორც ცნობილია, ხუთწლედის ბოლოსათვის ექსპლოატაციაში უნდა შევიდეს 90.000 ჰექტარი ნაყოფიერი მიწა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სამუშაოები ათვისებულ კოლხეთში, ძირითადად მექანიზებული წესით იწარმოებს. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება ქარსაფარი ზოლების გაშენების შესახებ. ეს პირველ რიგში კოლხეთის ახლადათვისებულ მიწებზე გაშენებულ საბჭოთა მეურნეობებს ეხება. კომკავშირულმა ორგანიზაციებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ ამ დიდ და საშვილიშვილო საქმეში.

ქართული ჩაის ხარისხი დიდადაა დამოკიდებული მის ტექნოლოგიურ დამუშავებაზე. ჩვენი ჩაის მრეწველობა აღჭურვილია მსოფლიოში ყველაზე მოწინავე ტექნიკით, რაც დიდად განაპირობებს ქართული ჩაის მაღალ ხარისხს.

ქართული მანდარინი, ფორთოხალი და ლიმონი მოწონებით სარგებლობს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობაში და მათზე მოთხოვნილება ყოველწლიურად იზრდება. ამიტომაც მეციტრუსეობის რაიონების ახალგაზრდობის ვალია ყველაფერი გააკეთონ ამ დარგის შემდგომი აღმავლობისათვის.

ციტრუსოვანთა გეგმების შესრულების საქმეში განსაკუთრებით ისახელეს თავი აჭარის, აფხაზეთის და მახარაძის მეციტრუსეებმა. მარტო აჭარის ახალგაზრდა მეციტრუსეების ძალებით სამშობლომ მიიღო 12.000 ტონა ციტრუსი. ბათუმის რაიონის ახალშენის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის № 3 ახალგაზრდულმა ბრიგადამ (ბრიგადირი ა. ვაშაყიძე) ნაცვლად გეგმით ვათვალისწინებული 84 ტონისა, მოკრიფა 173 ტონა მანდარინი და გეგმა 205 პროცენტით შეასრულა.

შესანიშნავი მაჩვენებლებით დამ-

თავრეს შარშანდელი წელი გალის რაიონის ახალგაზრდა მეციტრუსეებმა.

ციტრუსოვანთა გეგმების შესრულებაში თავიანთი წვლილი შეიტანეს ხობის, ლანჩხუთის, ზუგდიდის რაიონების ახალგაზრდებმა.

ჩვენი რესპუბლიკა დედამიწის სუბტროპიკული ზოლის ყველაზე ზრდილოეთი რაიონია. ამიტომ აქ ხშირად მეორდება მკაცრი ყინვები, რომლებიც გარკვეულ ზიანს აყენებს ციტრუსოვანთა ბაღებს. ასე იყო წელსაც. ზამთრის ყინვებმა განსაკუთრებით დაზიანა ლიმონის ნარგავები, ამიტომ გამეჩხერებული და დაზიანებული ფართობების აღსადგენად ათეულ ათასობით სტანდარტული ნერგია საჭირო. ახალგაზრდობამ უნდა ითავოს სანერგეების მოწყობა. ამ საქმეში დიდი გამოცდილება დააგროვეს აჭარისა და ფხზხეთის კომკავშირულმა ორგანიზაციებმა.

სამწუხაროდ, ზოგიერთი რაიონის ახალგაზრდობის ერთი ნაწილი თავს არიდებს საკოლმეურნეო შრომას, ეწევა უსაქმურ და პარაზიტულ ცხოვრებას, სპეკულანტობს.

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის მიერ ჩვენი ქვეყნის დედაქალაქ მოსკოვში და ხარკოვში ჩატარებული რეიდის შედეგად გამოვლინებულ იქნა ბაზრებში მოვაჭრე, რესპუბლიკის 162 მცხოვრები, რომელთა შორის 130 ახალგაზრდაა. ეს ქორ-ვაჭრები არსად არ მუშაობენ, ეწევიან პარაზიტულ ცხოვრებას, სპეკულანტობენ ციტრუსებით, დადნის ფოთლით, ყვავილებით. სასტუმროებში, რესტორნებში, საზოგადოებრივი თავშესაფრის სხვა ადგილებში არღვევენ წესრიგს, ხულიგნობენ.

აუცილებელია კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ასეთი ახალგაზრდების მიმართ შექმნან საზოგადოებრივი ვაკცხვის ატმოსფერო, მკაცრი ღონისძიებები გაატარონ მათ მიმართ. საჭიროა თვითელმა ჩვენგანმა წმინდად დაიცვას კოლმეურნეობის ღირსება და სახელი, აქტიურად ჩაებას საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში, განიმსჭ-

ვალოს სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებისათვის პირადი პასუხისმგებლობის გრძნობით.

ის მიღწევები, რაც ჩაისა და ციტრუსებში გვაქვს, ჩვენი მეცნიერებისა და სპეციალისტების ნაყოფიერი მუშაობის შედეგია. მათ ბევრი გააკეთეს საქართველოში სუბტროპიკული მეურნეობის განვითარებისა და აღმაჯლოებისათვის. რესპუბლიკის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ფართოდ იყენებენ ჩაის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის რეკომენდაციებს. ასე, მაგალითად, დანერგულია ჩაის ბუჩქების მსუბუქი მოსწორებითი სხვა, რაც მოსავლიანობას ჰექტარზე საშუალოდ 500-600 ცილოგრამით ზრდის. ამასთან ასეთ პლანტაციებში 15-20 დღით ადრე შემოდის მოსავალი. ეს ჩაის ფაბრიკებს აძლევს საშუალებას თანმიმდევრულად გადაამუშაოს ნედლეული.

კომკავშირული ორგანიზაციების მოვალეობა პრობანადა გაუწიონ მეცნიერების მიღწევებს, იბრძოლონ ცხოვრებაში მათი პრაქტიკულად დანერგვისათვის.

კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა საიუბილეო შეჯიბრებაში ჩაბმული სოფლის ახალგაზრდებისათვის, პირველადი კომკავშირული ორგანიზაციებისათვის, ახალგაზრდებისათვის, კომკავშირის რაიონული კომიტეტებისათვის დააწესა სამახსოვრო დროშები და ვიმპელები, რომლებიც სადღესასწაულო დღეებში გადაეცემა უკეთესთა შორის საუკეთესოებს.

ყოველდღიურ შემოქმედებით შრომასთან ერთად, კომკავშირულმა ორგანიზაციებმა უნდა იზრუნონ მშრომელი ახალგაზრდების ორგანიზებული დასვენების მოწყობისათვის. ჩვენი სოფლების უმრავლესობაში არის კეთილმოწყობილი კლუბები, კულტურის სახლები, ბიბლიოთეკები, სპორტული მოედნები. საჭიროა გონივრულად გამოვიყენოთ ისინი. კულტურულ-მასობრივ და სპორტულ მუშაობაში ჩაებათ რაც შეიძლება მეტი ქალიშვილი და ჭაბუკი. მივალ-

წიოთ იმას, რომ ნაყოფიერი ვარჯის შემდეგ ახალგაზრდობას კულტურული დასვენებისა და ვარჯის საშუალება ჰქონდეს. მივიღოთ ზომები კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა და სპორტული მოედნების შეკეთებისა და მოწყობისათვის. ჩავატაროთ კონფერენციები, დისპუტები, შევხვედეთ რევოლუციის ვეტერანებს, ძველ კომკავშირელებს, მოვაწყოთ ექსკურსიები ისტორიულ-რევოლუციური ადგილების დასათვალიერებლად.

კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ მიმდინარე წელი აჯამებს ჩვენი ხალხის არა მარტო სამეურნეო მიღწევებს, არამედ მის ცხოვრებაში მომხდარ დიდ კულტურულ ძვრებსაც.

საჭიროა ჩვენმა მწერლებმა (პირველ

რიგში ახალგაზრდა მწერლებმა) კინოსკოტლევიზიის, რადიოს მუშაებმა მეტი გააკეთონ მეჩაიე და მეციტრუსე ქალიშვილებისა და ჭაბუკების გმირული შრომის ასახვისათვის.

ცოტაც და მეჩაიეთა მრავალათასიანი ლაშქარი დაიძვრება ჩაის მწვანე ღუყვის მოსაქრეფად და როგორც ყოველთვის, ამ დიდი არმიის ავანგარდში იქნება ჩვენი სიცოცხლით სავესე კუნთმავარი ახალგაზრდობა.


ეჭვი არ არის, საქართველოს ჭაბუკები და ქალიშვილები, როგორც ყოველთვის, წელსაც არ დაზოგავენ, ძალასა და ენერჯიას, ახალ-ახალი წარმატებებით შეხვდებიან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორმოცდაათ წლისთავს.

## „სილქა“ სკოლა

როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, გამოჩენილ საბჭოთა პოეტს კარლო კალაძეს დაბადების 60 წელი შეუსრულდა. მისი ცხოვრების ამ შესანიშნავ თარიღთან დაკავშირებით და საბჭოთა ლიტერატურის განვითარების საქმეში დამსახურებისათვის პოეტი დაჯილდოვდა შრომის წითელი დროშის ორდენით.

კარლო კალაძე ღირსეული წარმომადგენელია მშობლიური მწერლობის იმ თაობისა, რომელიც სამართლიანად ითვლება ქართული საბჭოთა ლიტერატურის ფუძემდებლად. მისი ლექსები, პოემები, პიესები, აგრეთვე ხალასი ნიჭით აღბეჭდილი იუმორისტული ნაწარმოებები დიდხანსია აღელვებენ და ასარებენ ჩვენს მკითხველებს. მრავალმხრივია და ნაყოფიერი პოეტის საზოგადოებრივი მოღვაწეობა. იგი ითვლება საქართველოს მწერალთა ორგანიზაციის ერთ-ერთ ხელმძღვანელად როგორც მისი პრეზიდიუმის წევრი, პოეზიის სექციის თავმჯდომარე. იგი წლების განმავლობაში რედაქტორობდა იუმორისტულ ჟურნალ „ნიანგს“, ამჟამად საქართველოს წიგნთა პალატის დირექტორია.

ჩვენ, „ცისკრის“ რედაქციის მუშაკები, განსაკუთრებული სიყვარულით მივესალმებით სახელოვან იუბილარს, როგორც ჩვენი ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრს და ვულოცავთ მთავრობის მაღალ ჯილდოს, ვუსურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს, დაუშრეტელ ახალგაზრდულ ენერჯიას, მრავალ ახალ შემოქმედებით სიხარულს.



ბიოგრაფიული ჟიურნალი

## რუსთაველის ეპოქის ქართული ქრონიკა

ბრიგოლ აბაშიძის რომანები „ლაზარელა“ და „დიდი ლამი“

ისტორიაში ცნობილ ყველა ეპოქას თავისებურად გამოარჩევენ დიდი ადამიანები, რომლებიც მის სულსა და შინაგან არსებას ყველაზე უკეთ გამოხატავენ. ზოგჯერ ერთი, ხოლო უფრო ხშირად რამდენიმე გენიოსი ამშვენებს ამა თუ იმ პერიოდს კაცობრიობის განვითარებაში, როგორც ბერძნულ ანტიკას, პომეროსისა და ჰესიოდეს შემდეგ, პითაგორე, დემოკრიტე, ჰერაკლიტე, სოკრატე, პლატონი და არისტოტელე — ფილოსოფიაში; ესქილე, ევრიპიდე, სოფოკლე და არისტოფანე — დრამატურგიაში; სოლონი, პერიკლე და მაცედონელი — პოლიტიკაში. ჩეხების ისტორიას ამკობენ იან ჰუსის, იან ეჟეკას, კარლოს მეოთხისა და იან ამოს კომენსკის დიდი სახელები.

XII-XIII საუკუნეების ქართველობას ხელმძღვანელობდნენ უბრწყინველესი პოლიტიკოსები — დავით აღმაშენებელი, გიორგი მეფე, დიდი თამარი, ხოლო პოეზიას ჰყავდა მხატვრული აზრის ისეთი დიდებული წარმომადგენლები, როგორც იყვნენ სარგის თმოგვილი, მოსე ხონელი, შავთელი, ჩაბრუ-

ხაძე და რუსთაველი. თვითეული მათგანი ისე ორგანულად უკავშირდება თავის ეპოქას, რომ მათი სახელის მოუხსენიებლად შეუძლებელია თვით იმ ეპოქის წარმოდგენა.

აქ ბუნებრივად იბადება კითხვა, რომლითაც ბალზაქი თავის წერილს იწყებს მოლიერზე: „ერთხელ ლუდოვიკო მეთოთხმეტემ პკითხა რასინს: „დიდ ადამიანთაგან, რომლებმაც ჩემი მეფობა განადიდეს, ვინ არის პირველი?“

— მოლიერი, — უპასუხა რასინმა.

ორმა საუკუნემ დაადასტურა სამართლიანობა ამ პასუხისა, რომელსაც დაეთანხმებოდა ჩვენი ყველაზე უფრო შორეული შთამომავლები“.

როცა ამ ფაქტს ვიხსენებთ, კიდევ უფრო ცხადი ხდება მისი ჭეშმარიტება, მიუხედავად იმისა, რომ ლუდოვიკო მეთოთხმეტის დროს მოლიერის გვერდით იდგნენ მხატვრული აზრის გიგანტები: კორნელი და რასინი, ბუალო და ლაფონტენი.

თამარ მეფეს რომ ლუდოვიკო მეთოთხმეტის მსგავსად ეკითხა: დიდ ადამიანთაგან, რომლებმაც საქართველო



განადიდეს, ვინ არის პირველი, სწორი პასუხის გასაცემად გენიოსის ძებნა არავის დასჭირდებოდა; უბრალო კარისკაცი, ყოველი ქართველი მეფეს უპასუხებდა:

— რუსთაველი.

და, მართლაც, საქართველო და ქართველობა არავის ისე არ განუდიდებია, როგორც რუსთაველის გენიას. „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი საქართველოსა და ქართველობის სინონიმად იქცა. ძველი ელინების მსგავსად, რომლებიც ყველაფერს „ილიადას“ უკვდავ ავტორს უკავშირებდნენ, ქართველი კაცის ცხოვრებასაც მეთორმეტე საუკუნიდან რუსთაველის ბეჭედი აზის, როგორც მისი ყველაზე დიდი ეტალონი. ამიტომ ჩვენ ხშირად ვამბობთ: „რუსთაველის ეპოქა“, „რუსთაველის დრო“, „რუსთაველის საუკუნე“, როცა გვინდა აღვნიშნოთ ეპოქა, რომელსაც „ვეფხისტყაოსნის“ გენიალური ავტორის სახელი უკავშირდება. რუსთაველში განსახიერდა თამარის ეპოქა, რუსთაველმა ათასგვარი ბრწყინვალეობით გაანათა საქართველოს დიდი წარსული. ყველაფერი ლამაზი, რაც ძველ ქართველს ეზმანებოდა, ყველაფერი ამაღლებული, რაც მას წარმოედგინა, „ვეფხისტყაოსნის“ გენიალურ სტროფებში ამოიკითხა. ასე გადაეჭლო ერთმანეთს სულიერად და ისტორიულად ორი ფენომენი — ერი და მისი დიდების ყველაზე საუკეთესოდ გამომთქმელი გენიოსი.

მხატვრულად ასახო ეპოქა, რომელიც შორეულ წარსულს ეკუთვნის, მაგრამ დღემდე ინარჩუნებს ელვარებას, პირველ ყოვლისა, ნიშნავს დაწერო ისტორიული ხასიათის ნაწარმოები, სულ ერთია, რა ეპოქა არ უნდა მიმართო. ენარი აქ მხოლოდ ფორმის აღმნიშვნელი იქნება და არა თვით ნაწარმოების ხასიათისა.

ისტორიული ხასიათის ნაწარმოებს როცა ჰქმნის, მწერლის ვალია ღრმად შეისწავლოს ეპოქა, რომელიც მისი პალიტრის სავანი გამხდარა. ეპოქის შეს-

წავლა არ ნიშნავს მარტოდენ ომებისა და სასახლეების აღწერას, სარდლებისა და მეფეების თავგადასავალთა ვადმოცემას. კაცობრიობის ისტორია დღემდე ნამდვილად კლასთა ბრძოლის ისტორიაა, ხოლო ვისაც სურს ჩასწვდეს ამ კანონზომიერების ლოგიკას, მან აუცილებლად უნდა იცოდეს სოციალურ ძალთა თანაფარდობის რეალური მონაცემები. არც ეს არის საკმარისი. მხატვარს მოეთხოვება ისტორიული სინამდვილე ისე დახატოს, როგორც იყო ან როგორც შეიძლებოდა ყოფილიყო, დახატოს გარდასულ დროთა ნაცნობი სურათების დაურღვევლად. ისტორიული ფაქტები და რეალიები მხატვრულ ნაწარმოებში აუცილებლად საჭიროებენ შემოქმედებითი ფანტაზიით შევსებას, იმგვარ გარდასახვას, რომ ჭეშმარიტი ხელოვნების საკუთრებად იქცნენ. თუ ეს არ შეუძლია, მწერალი ვერც შექმნის ისტორიულ მხატვრულ ნაწარმოებს.

ეპოქის არც პოლიტიკური, არც ეკონომიური მხარის ცოდნა არაფერს გვეტყვის ხელოვნებაში, თუ მხატვარმა ვერ გაიგო და ვერ გვაგვრძნობინა იმ ეპოქის სული, ძირითადი იდეა. ყველაფერი რაც ეპოქას ახასიათებდა, დაწყებული პოლიტიკურ-ეკონომიური წყობით და ერთი შეხედვით სულ უბრალო ტრადიციის ელემენტით, ხელოვნამა ცოცხლად უნდა წარმოგვიდგინოს, როცა ისტორიულ ნაწარმოებს გვთავაზობს. გარეგნულ ყოფა-ცხოვრებით დეტალებთან ერთად მან უნდა მოგვცეს არამარტოზოგადი ეთნოგრაფიული სურათები, რომლებშიც გარდასული დროის მრავალფეროვნებას ვხედავთ, არამედ, გვიჩვენოს შინაგანი სულიც, ყოველივე ამას რომ ჰქმნიდა და პრაქტიკულად იყენებდა. მეფისა და მისი ამალის, ხალხისა და სარდლების ჩაცმულობა, მათი მეტყველების განმასხვავებელი ნიუანსები, ქცევა და ეთიკური ნორმები, ყველაფერი, რასაც შეუძლია წარსულის სურნელება გვაგვრძნობინოს — ისტორიული ხასიათის მხატვრულ ნაწარმოებში იმპერატივს წარმოადგენს, ურო-

მლისოდ ბუტაფორია გვექნება კემპარიტი ხელოვნების ნაცვლად.

ისტორიული და თანამედროვეობის თემები მხატვრისათვის ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მხოლოდ იმით, რომ ერთი წარსულია, ხოლო მეორე — აწმყო. სხვა მხრივ მისთვის განსხვავება არ არსებობს, ორივე ცხოვრებაა და ორივეს ისე უნდა გადმოცემა, როგორც სინამდვილეს შეეფერება.

არიან ავტორები, რომლებიც მხოლოდ იმას გეხატავენ, რაც კარგად იციან. ასეთ ავტორებს დიდი პატივითა და სიყვარულით უნდა მოვექცეთ, როგორც უაღრესად კეთილშობილ ხელოვანთ. ისინი არ ჰგვანან იმ „მწერალ-ისტორიკოსებს“, რომლებიც წარსულს ისე ექცევიან, როგორც საკუთარ ხალხს. ყალბი აზრით დაიმედებულნი, ძველ ფოლიანტებს საწინააღმდეგო მასალა არ გააჩნიათ, ნებისმიერად აღწერენ ყოველივეს. მაგრამ ავიწყდებათ: ისტორიული რეალები გარდა არსებობს სალი ლოგიკური დასკვნა, რომელიც არააობად აქცევს ხოლმე ამგვარ თვითნებობას.

როგორც არ უნდა იყოს ისტორიული თემატიკა, რომელი ცივილიზებული ერისა თუ საუკუნისა, მწერალი ყოველთვის აღმოჩნდება კიდევ ერთი რთული ამოცანის წინაშე: მას აუცილებლად დასჭირდება აღწეროს იმდროინდელი საომარი მოქმედებანი. ამისათვის საჭიროა იცოდეს სამხედრო ხელოვნების ისტორია, იცოდეს ომის წარმოების ძველი წესები და საშუალებანი. მაგრამ, რადგან ისტორიული რომანი ძნელია წარმოვიდგინოთ ბატალური სცენების გარეშე, აქ მარტოოდნ ძველი დროის სამხედრო აღჭურვილობათა ან ომის წარმოების ხერხების ცოდნა საკმარისი როდი აღმოჩნდება. მწერალს მოეთხოვება ისე მოგვეცეს გარდასულ დროთა ბატალური სურათები, რომ მათში მოქმედ გმირთა სულიერი მხარეებიც ნათლად ჩანდეს. ეს კარგად იცოდა, მაგალითად, „სალამბოს“ ავტორმა, რომელმაც ვამილიკარისა და მატოს ბრძოლების

აღწერისათვის ძველი კართაგენის ცხოვრება ისტორიკოსებზე უფრო ღრმად შეისწავლა. და როცა გუსტავ ფლობერს თავს დაესხნენ (საკმარისია სენტ-ბევის მოხსენიება), „სალამბოს“ ავტორმა გამანადგურებელი პასუხი გასცა და კართაგენის ისტორიის უცოდინარობაშიც კი ამხილა ბევრი თავისი მოწინააღმდეგე. „სალამბოს“ ბატალური სცენები უბრწყინვალესი ადგილებია, რომლებსაც მხატვრის ოსტატობასთან ერთად ისტორიის ღრმა ცოდნის წარუშლელი კვალი ამჩნევია.

ამ აზრებითა და განწყობილებებით ვუდგებით გრიგოლ აბაშიძის ორი რომანის — „ლაშარელასა“ და „დიდი ლამის“ კრიტიკულ ანალიზს. პირველი, რაც თვალში ეცემა მკითხველს, ესაა ორივე ნაწარმოების ფართო მასშტაბურობა, სადა, ბუნებრივი, ლამაზი ქართული მეტყველება, მოქმედი გმირების გამოკვეთილობა, წყაროების ღრმა ცოდნა, იმის უნარი, რომ ისტორიული მასალა ორგანულად შეაწინას ფანტაზიით შეთხზულს, რათა მხატვრული სურათი ბოლომდე გასრულდეს. ისტორიულ რომანში ხომ ყოველთვის ერთმანეთს ავსებენ ნამდვილად არსებული და მწერლის ფანტაზიით შეთხზული გმირები. სხვაგვარად ისტორიული რომანი ვერც დაიწერება. რუსთაველის ეპოქის ქართულ ქრონიკაშიც, წმინდა ისტორიულ მღვდლებთან ერთად, ბევრი გამოკონილი პირი გვხვდება და ეს სავესებით კანონზომიერია. ისინი ქმნიან მთლიან ფონს და ერთმანეთთან აკავშირებენ ფრაგმენტულად შემორჩენილ თავგადასავლებს ან საომარ მოქმედებათა სცენებს საწყვეტებს.

ორივე რომანში ისე ვრცელი პანორამა გადაშლილი მეცამეტე საუკუნისა, იმდენი მოქმედი გმირია გამოყვანილი, იმდენი საკითხი და პრობლემა დაყენებული, ჩვენი კრიტიკული ანალიზი ყველაფერს რომ შეხებოდა, ტომებად გადაიქცეოდა. ვინც იცნობს ამ საუკუნეების ისტორიულ წყაროებს, ლიტერატურისა და ხელოვნების ძეგლებს,

ადმოსავლეთის პოლიტიკურ-კულტურულ ვითარებას, შემოსევათა თუ დარბევათა მატთანებს, ბოლოს, რელიგიურ-ფილოსოფიურ მიმდინარეობათა შინაარსს ფეოდალიზმის პირობებში, შეუძლებელია არ მოიხიბლოს გრიგოლ აბაშიძის არა მარტო ფართო განათლებით, არამედ შემოქმედებითი დიპაზონითაც. ასე ვრცელი ტილოების შექმნა ისტორიულ მასალებზე, ტილოებისა, სადაც წარსულის ცნობილ ამბებს შერწყმია ის, რაც არ მომხდარა (ამიტომ ჩვენც არ ვიცით), მაგრამ მოხდებოდა ალბათობით ან აუცილებლობით, შეეძლო მხოლოდ ტალანტს, ფართო შემოქმედებითი გაქანების ხელოვანს, აღჭურვილს ცოდნის ნამდვილად დიდი სიკეთით.

როგორც სარდალი განაგებს ხოლმე ქარების დანაყოფთა საბრძოლო მოქმედებას, ისე რომანისტი აწესრიგებს გმირთა ურთიერთობას, და ყველაფერი, რაც ხდება, ავტორის ნებას ემორჩილება. ემორჩილება, მაგრამ წარმოიდგინეთ რამდენი რამ: ასზე მეტ ადამიანს სიცოცხლე, ინდივიდუალური სახე, ხანსათი უნდა მისცე, ამოქმედო, ტანსაცმელი ჩააცვა, უნდა აღწერიო ქვეყნებისა და მხარეების ლანდშაფტი, ეთნოგრაფია, კულტურულ-ისტორიული ყოფა, მასების მოძრაობა, მათი სულსკვეთება გამოხატო პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთდამოკიდებულების სრულიად გარკვეულ ფონზე; წარმოსახო რელიგიურ-ფილოსოფიური დრტივნა, რომელიც ეპოქას მოსდგამს; დაუკავშირო ყველაფერი ერთმანეთს და გამართო მკაცრად ჩამოყალიბებულ მთლიან სიუჟეტზე; ბოლომდე დაიცვა საკუთარი კონცეფცია, ენა, სტილი უთვალავ წვრილმანში — ეს, ნიჭსა და ცოდნასთან ერთად, მეტი რომ არ ითქვას, თავდადებულ, ეპიკურ შრომას მოითხოვს შემოქმედებითი გამარჯვებისათვის...

„ლაშქარელისა“ და „დიდი ღამის“ ავტორმა დიდი და ძნელი მიზანი დაისახა — გადახედეთ მარტოოდენ მოქმედ გმირთა ვრცელ გაღერებს. ლაშქარსა და რუსულდანის, ივანე მხარგრძელისა და

ვარამ გაგელის პარალელურად ჩვენს წინაშე წარმოსდგებიან ციციხო და ლილე — ტანჯული დედა-შვილი, რომლებსაც ბედმა საშინელი ხვედრი არგუნა. მათთან არის დაკავშირებული „ახოვანი კახელი“, თუმცა წარმოშობით მთიელი — ლუხუმ მიგრიაული, რომელიც შემდეგ ლაშას მცველი ხდება, და მაღალ არისტოკრატიასთან ურთიერთობის შედეგად, მიუხედავად პატიოსნებასთან შეერთებულ ერთგულებისა, ლამაზი ცოლის — ლილეს გამო ტრაგიკულად იღუპება. მკითხველს ძნელია დაავიწყდეს „ლაშქარის ხევისბერი ჩალხია ფხოველი“, „არც ისე დიდი ხნის წინათ მეფის ანლობელი კაცი“, ბოლოს „ექლესიიდან მოკვეთილი“, „მადრიბსა და მაშრიყში მოგზაური“, „თავისუფალი იდეების მქადაგებელი“, ბევრგან ვაჟას მინდიას რომ მოგვაგონებს.

ახლა აიღეთ მხარგრძელის (ათაბაგის) შვილები — ავაგი და თამთა. პირველს წილად ზედა სახელოვანი მამის სიკვდილის შემდეგ ქართველთა ჯარის მთავარ-სარდალი გამხდარიყო საშინელი აღრევის ხანაში, ხოლო მეორეს — უცხოელის ცოლობა და განაწამები სიცოცხლე დაებდა.

ალარაფერს ვამბობთ ორივე კათალიკოსის, საერთოდ, სამღვდელთა ჩვენებაზე. მათი ვერაგული როლი და რელიგიური ფანატიზმი (ზოგჯერ საწინააღმდეგოც) ამ ისტორიული ქრონიკის ავტორს ძალიან კარგად აქვს გადმოცემული. მას არ დავიწყინა მაღალი წოდების გვერდით დაბალი სოციალური წრეც ეჩვენებინა, კერძოდ, ხელოსნები და მექიანები, ძველი თბილისის ეს განუყრელი ამქარი.

ჩვენს თვალწინ მოქმედებენ გმირი ვაჟაკები — ძმები ივანე და შალვა ახალციხელები (თორელები), რომლებიც უპირისპირდებიან ზაქარია და ივანე მხარგრძელს. ეს დაპირისპირება კარგად გამოხატავს ფეოდალთა ურთიერთმტრობასა და შეჯახებას პირველობისათვის, თუმცა მოტივი სულ სხვაა და მას ვერ აჩერებს შალვა თორელის უხა-

დო სიყვარული ივანე მხარგრძელის ულამაზესი ასულის — თამასადმი. როცა ეს უკანასკნელი ძალით გაათხოვეს ხლათის მელიქ აუჰადზე, შალვა თორელი ტარიელივით ველად გაიჭრა.

ჩვენ ვხედავთ დიდ ფეოდალ ვარდან დადიანს, ნიჭიერ ევარსლანს, ყივჩაღების ხანს კოტიანს, დიდ ვაჰარს შიო კაციტაისძესა და მსტოვარ ვაჰარს ჰამადავლეს, რომელსაც, დუხჭირობის მიუხედავად (ცალი ფეხითაც კოჭლი იყო), ულამაზესი ცოლი — ხათუნი ჰყავდა. ეს ჯამუში ქალი შეგნებულად მიიტყუებს ჰაბუჯ ლაშას, მასთან ავხორცობს, ცნობებს დასტყუებს და ქვეყნის საიდუმლოებას მტერს გადასცემს.

პარალელურად ავტორი გვაცნობს უმბრიას, კონსტანტინეპოლს, გელათისა და იყალთოს აკადემიებს, იოანე იტალისა და მიქაელ ფსელოსის მოწაფეებს, ქართველ ნეოპლატონიკოსებს — იოანე პეტრიწსა და არსენ იყალთოელს, ფილოსოფოს ანტონს, გელათის აკადემიის მეთაურს, პეტრე გელათელს — ფილოსოფიის მასწავლებელს; ყოველივე ამას ემატება იმდროინდელი ხელოვნებისა და ლიტერატურის ძეგლთა აღწერები.

თუ, ერთის მხრივ, მკითხველის თვალწინ ეპიზოდურად გაივლიან ხოლმე აშოტ კურაპალატის, დავით აღმაშენებლის, დემეტრეს, გიორგი მესამის, თამარის სახელები და სახეები, სამაგიეროდ, ავტორი სრულად ხატავს უშუალოდ მოქმედ გმირებს, კერძოდ, ალექსი კომნენს.

რაღა ღირს თუნდაც ერთი სახე რუსი ვაჰრის ტიხონისა, სამშობლოს უდიდესი, უშიშარი პატრიოტისა, რომელიც მოწამებრივად იღუპება და ბოლომდე როგორც თავისი სამშობლოს, ისე საქართველოს ერთგული რჩება.

რომელი ერთი უნდა ჩამოვთვალოთ: ვერაკი ერისთავი ბაკური და საზოზლარი ქუშხარა — ვანძის ამირა; უსამართლობის გამო გაყარადებული ქართუმა და არგვეთის ერისთავის კეთილშობილი მეუღლე; წმიდა საბა და ილუმენია ირინე; შარავნის ავახაყი კუნძა და ხარ-

ბი მესაფლავე; მინორიტების ორდენის მღვდელ-მონაზონი იაკობ როგვანელი და პაპის ლეგატი კარდინალი პელაგიოსი, თურქეთის სულტანი მუჰამედი და თათარ-მონღოლთა მბრძანებელი ჩინგიზ-ხანი, მისი „ნაცადი ქოფაკები“ — ვებე დასუბუდაი, საქართველოს ამწიოკებლები; პატრიოტი ბრმა მეფანდურე და ხალხის მასა.

ამდენი მოქმედი გმირი მარტო ერთ რომანში — „ლაშარელაში“ ვხვდებით, ხოლო „დიდი დამე“ აგრძელებს დაწყებულ ოდისეას.

ნაცნობი სახეების ვარდა, მეორე რომანში გამოდიან ცაგო და ვაჩე — შეყვარებული წყვილი, რომელთა ცხოვრება საშინელი ტანჯვითაა აღბეჭდილი ქვეყნის საერთო უბედურების ფონზე. შემდეგ ვხედავთ ცაგოს ძმებს — მამუკასა და პავლია კუტს. მამუკა იმ დიდოსტატთაგანია, რომლებმაც ქართული ხელოვნების ისტორიაში უადრესად თვალსაჩინო როლი შეასრულეს. ახალდაბელი ჰაბუჯი, მამით დაობლებული, „ხელოვანის ნიუს გამოიზენს“, „ოქროს კვეთას ისწავლის“, თბილისში „პირველი ოქრომჭედელი“ ხდება. უნებლიედ ვაგახსენდებათ ბექა და ბეშქენ ოპიზარების გენიალური ხელოვნება, როცა ავტორი მამუკას და მის ოსტატობას გვიხასიათებს. რაც შეეხება პავლია კუტს, მამუკას უმცროს ძმას, მშვენიერ პოლიგლოტს, მისი სახით მკითხველი ამოიცნობს ეკლესია-მონასტრებში შეხიზნულ ქართველ მწერალთა წყებას, მწერლები-სას, რომლებიც მოწამებრივი შრომით ამდიდრებდნენ ქართულ ლიტერატურას. ვანათლებული, მრავალი ენის მცოდნე პავლია კუტი არა მარტო თხზულებათა მთარგმნელია. არამედ, ერის პირუთენელი მემკვიდრე, უებრო ეამთაღმწერელი, პატრიოტიზმითა და ერის სამსახურით შთაგონებული კაცი. ამიტომ მკითხველი ღრმა გულსტიკივლით განიცდის პავლია კუტის საშინელ ხვედრს.

თითქმის ანალოგიურია შრომა მხატვართუნუცეს დემეტრე იყალთოელისა, რომელიც ვაჩეს ფერწერას ისწავლის,



ბეზანიაში თამარის ცნობილ ფრესკას ხატავს. ავტორი მართებულად იქცევა, როცა ძველი ქართველი ფერმწერლების ოსტატობას ისე გვიჩვენებს, როგორც რენესანსისდროინდელ გენიოსების შრომას ვატიკანის სტანციებისა და ვერსალის აპარტამენტების მხატვრული შედეგების შესაქმნელად. დემეტრეც ამგვარი ოსტატია, დიდი ტლანტი და ფანტაზიკურად მშრომელი, რომელსაც ბეთანიის შემდეგ გუდარხის სასახლის მოხატვა უკისრია, შევირდად კი ნიჭიერი ვაჩე აუყვანია.

და ჩვენს თვალწინ გაიღვებს კიდევ ერთი დიდოსტატის — კარის ხუროთმოძღვრის გოჩი მუხასძის სახე. ეს გახლავთ ცოცხალი განსახიერება ხელოვანთა, რომლებმაც საქართველო დაამშვენეს საკვირველი ნაგებობებით — მალაქი ტაძრებითა და ულამაზესი სასახლეებით.

ახლა პოეზია — რუსთაველისდროინდელი პოეზია, რომლის წარმომადგენლად ავტორს გამოყვანილი ჰყავს თავდადებული პატრიოტი თურმან თორელი. როცა მართვეს მისი ლექსების წიგნი, ვაჩეს მიერ გადაწერილი და მოხატული, თორელმა მამუკას მოკრძალებით უთხრა: — „დიდი ხელოვანი ყოფილა შენი მეზობელი, მამუკა. ჩემი წიგნი კი არა, რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ არ მინახავს ასე ოსტატურად მოხატული... ამ ნახატებმა ჩემი ლექსები სულ სხვაგვარად დამანახა და წარმომიდგინა...“ (გვ. 356)<sup>1</sup>. ავტორი შემდეგ ასევე მოხატულ „ვისრამიანს“ გვიჩვენებს, რათა გაასრულოს ეპოქის პოეტური სამყაროს სურათი.

ყველა ეს მოქმედი გმირი, ხელოვნების ოსტატი, რომანში ნაჩვენებია ქვეყნის საერთო ცხოვრების ფონზე. ისინი არამარტო მხატვრულ ძეგლებს ჰქმნიან, არამედ, ჩაბმული არიან სამშობლოს ბედნიერებისათვის ბრძოლაში, თავდა-

დებულად იღწვიან როგორც გარემომტრის წინააღმდეგ, ისე შინაური უწყსრიგობის ასალავმავად. სულით ხორცამდე პატრიოტები, ისინი მაგალითს გვიჩვენებენ, თუ როგორ უნდა ბრძოლა სამშობლოს საყვითილდღეოდ. ამ მომენტების ხაზგასმა უეჭველად ავტორის სწორ არჩევანზე მეტყველებს.

ახლა გადავხედოთ სხვა მოქმედ გმირებს.

ვაჩეს დედის გარდა რომანში ახალი სახეც გამოჩნდება — არზრუმის სულთან ტულრილშას ვაჟი — მოლასედინი, რომელიც მაჰმადის რჯულს უარყოფს, ქრისტიანობას მიიღებს და რუსუდან დედოფლის მეუღლე ხდება. პარალელურად ვეცნობით დემეტრე იყალთოელის დას, რომელიც ადრე დაქვრივებულ ძმას ერთადერთ ასულს უზრდის. ეს ასული გახლავთ ლელა, შემდეგში დიდოსტატ ვაჩეს უერთგულესი მეუღლე.

გოჩი მუხასძე წვეულებას მართავს და მასთან პირველად ვხედავთ „საქართველოს უვიგოგინო მეფის (ივანე მხარგრძელის — გ. ჯ.), ძესა და რუსუდან მეფისთან ძმასავით უზრდილ ავაგს“. აქვე ვგებულობთ, რომ თურმან თორელს ვაჟი შექმნია, რომელიც „პირწავარდნილი დედა“ (ცაგოს ჰვავს). სტუმართა საუბარში გაიღვებს დიდი მუჰამედის შვილის — ხვარაზმელი სულტნის ჯალალედინის სახელი. ჰაერში ომის სუნიტრიალებს და ავაგ მხარგრძელი ვერ მალავს, რომ „ომი აღარ აცდება ჩვენს ქვეყანას და ძნელი ომიც იქნება“. მონგოლების ასპარეზზე გამოჩენამ უკვე დიდი ცვლილებები გამოიწვია აზიაში. მამაცი, მაგრამ უბედური ჯალალედინიც კი „იმ მონგოლებს გამოექცა, რომელთაც ჩვენ, აგერ, ოთხიოდე წლის წინათ კუდით ქვა ვასროლინეთ“, — ამბობს თორელი. იგი სრულად გამოხატავს იმდროინდელი საქართველოს საგარეო და საშინაო პოლიტიკურ ხელმძღვანელთა საბედისწერო შეცდომას მონგოლთა ურდოების შეფასებაში. „ხვარაზმის ლტოლვილმა სულტანმა,

<sup>1</sup> ციტირებას ყველგან ვახდენთ შემდეგი გამოცემიდან: გრიგოლ აბაშიძე, „ლამარელა“, „დიდი ლამე“, 1965 წ.

ჯალალედინმა, საქართველოს რა უნდა დაეკლოს, ქვეყანა ჰაქას აღარა აქვს და სამყოფელი. თავ ა სამკვიდროდან აყრილი, აგერ, რა ხანია, თავქუდმოგლეჯილი მორბის, რომ მონგოლებს გადაურჩეს და საღმე დაემალოს“, — სიცილით ამბობს თორელი. მაგრამ ეს სიცილი, რაც ბევრს სახეზე ეხატებოდა, ნამდვილად საბედისწერო იყო.

მაღე იწყება ჯალალედინის ცნობილი შემოსევები და საქართველოს არაერთგზისი აოხრება, რომლის დროსაც იღუპება ქართველ ოსტატთა დიდი ნიჭით, მოწამებრივი შრომით დადაფნული უბრწყინვალესი ძეგლებიც ფერწერისა და არქიტექტურისა. და ავტორი მართალია, როცა წერს: „ქართველები ცუდად ერკვეოდნენ იმ ამბებში, რაც საქართველოს სამხრეთითა და მთელს აღმოსავლეთში ხდებოდა. მონგოლთა პირველი გამოჩენა, მათთან ძლიერი ომი და თათართაგან თავიანთი ნებით საქართველოსაგან გაცლა ქართველებს თავის უდიდეს გამარჯვებად მიაჩნდა... ეს შეხედულება საქართველოს სამეფოს მესვეურთა შორის იმდენად ფეხმოკიდებული იყო, რომ აღარავინ უკვირდებოდა საქმის ნამდვილ არსს. საქმე კი ის იყო, რომ საქართველოს ლაშა გიორგის მეფობის დროს, მონგოლთა მხოლოდ ერთი, მეწინავე ლაშქარი მოადგა, რომელსაც ჩინგიზ-ხანისაგან დავალებული ჰქონდა, დევნილი ხვარაზმმა მუჰამედის კვალის პოვნა, ირანისა და რუსეთის სამხრეთის დაზვერვა და კავკასიის გზით კასპიის წარდილოებზე გავლით, ისევ ყენის სამყოფელში დაბრუნება... ქართველები მონგოლებზე თავიანთ გამარჯვებას აზვიადებდნენ...“ (გვ. 403). ეს აზვიადება და შეცდომა ჩვენს ქვეყანას ძალიან ძვირად დაუჯდა, რასაც შემდეგ ასე კარგად გვიჩვენებს „დიდი ლამის“ ავტორი.

ჯალალედინი შემოესია საქართველოს, გარნიის დაარბევის შემდეგ თბილისიც აიღო და ქვეყანა განსაცდელში ჩავარდა.

ამ ფონზე მოქმედებენ დიდვაჭარი ჰა-

ჯი ჯიჰანი, რომელიც ჯალალედინს ყოველმხრივ ეხმარება, ქართველი სარდლები — სურამელი, დადიანი, ბაკურციხელი, მემნა და ბოცო ჯაყელები, სენათა ერისთავი, შანშე მხარგრძელი (ზაქარიას შვილი) და თვით ივანე ათაბაგი მემკვიდრე ავაგთან ერთად. შანშე და ავაგი მამების მაღალი წოდებით განებივრებულნი, ვაჟკაცობით სულ არ ჰგვანან სახელოვან მშობლებს. ივანემ მხოლოდ იძულებით მიაღწია იმას, რომ ისინი ბრძოლის ველზე გამოსულიყვნენ.

ასეთ აწეწილ, დაძაბულ ვითარებაში რუსუდანს ვაჟი შეეძინა — მოძავალი მეფე დავით ნარინი.

იწყება ომი, რომელშიაც მტრის მხარეზე, ჯალალედინის ვარდა, მისი ძმა — ყიასედინი და ორხანი მონაწილეობენ. ომი ჯალალედინის გამარჯვებით მთავრდება და ქართველთა ლაშქარი ნადგურდება.

ავტორი ძალიან კარგად გვიჩვენებს ჯალალედინის მემატიანეს ენ ნესეეს, გვაცნობს მის აზრებსა და შეხედულებებს ტყვედჩავარდნილ თორელთან საუბრებში. მტერია, მაგრამ, როგორც მწერალი, თანაგრძნობით ეკიდება პატრიოტ პოეტს თურმან თორელს. ეს ამბები რომანის ავტორს ისე მშვენივრად, ისტორიისა და რელიგიის ცოდნით, აღუწერია, რომ მთელ რომანად ღირს, ისევე, როგორც ჯალალედინის დაღუპვის ოსტატური ჩვენება. ასევე ძლიერად არის გადმოცემული საშინელი ხვედრი უზბეგის „გაუბედურებული ვაჟისა“, რომელიც „დაბადებით ყრუ-მუნჯი იყო და სახელად ქამუში უხმობდნენ“. საზარელია მისი ყოფა, საშინელი აღსასრული, მანამდე კი ღალატი ლამაზი ცოლისა — იგი ჯერ ორხანის, ხოლო შემდეგ თვით ჯალალედინის საკუთრება ხდება. მშვენიერი დეტალია „სპარსეთის ზღაპრული მეფის ქეიქაუსის ოქროს ქამარი“, რომელსაც ქამუში ჯალალედინს აძლევს, ოღონდ ცოლი დამიბრუნეო. ჯალალედინი ასრულებს ქამუშის თხოვნას, მაგრამ, მეორე დღეს ქამუში და მისი მეუღლე სარეცელები მკვდრები იპოვენ —

„საწოლთან საწამლავის დაცარიელებული შუშა ეგდო და ვერაინ მიხვდა, თუ ვის ვინ მოეკლა“ (გვ. 464).

ამგვარი ჩართული ამბები თუ პასაჟები მკითხველის ინტერესს აძლიერებს. ერთ-ერთი ასეთი ეპიზოდია თამთას მისვლა ჯალალედინთან შალვა ახალციხელის ტყვეობიდან გამოსახსნელად. შალვა იღუპება (თავს მოჰკვეთენ), ჯალალედინი კი მიხვდება, რომ ბეწვზე გადაიჩნა. თურმე, ხლათის დედოფალი თამთა „სისხლით ქართველი და ქართველების ჯამუში“ ყოფილა, „სულტნის ბანაკში გასამსტოვრად შემოსული, იქნებ მის მოსაკლავადაც შემოგზავნილი, ვითარცა ივდითი, რომელმაც მოჰკლა ოლოფრენი — კაცი მხნე და მტრისაგან უძლეველი“ (გვ. 478).

რომანში დიდი ოსტატობითაა აღწერილი თბილისის დარბევა, უშიშარი ჯალალედინის მხეცობა და ვერაგობა. სისხლის ტბორებს აყენებს ეს საშინელი კაცი და არაფერს ერიდება გამარჯვების მისაღწევად. მისი სრული ორეულია ფაზირი შერეველმოლკი, რომლის მიზეზითაც ლელა იღუპება — სასახლის ფანჯრიდან გადავარდება, რომ მტერს ავხორცი სურვილი არ შეუსრულოს.

შემდეგ პირველად გამოჩნდება ქერმანის პატრონად დატოვებული ეჯიბი ბორაყი, ისეთივე ვერაგი, როგორც ჯალალედინია. საერთოდ, ვერაგობა, გამყიდველობა, დალატი, რაც ასე ხშირად გვხვდება ძველ მატიაწებში, რომანის ფურცლებზეც ასახულია. და სხვაგვარად არც შეიძლება, რაკი ავტორს საწორედ ხსენებულ ისტორიულ წყაროებთან ჰქონდა საქმე. ამ ვერაგობის შედეგად იწვის თბილისი, ოხრდება ერის დიდება, და ჩვენს წინაშე წარმოსდგება აღმოდებული ივერია, რომელიც ჩინგიზის დოქტრინის — „იასის“ მსხვერპლი უფრო ადრე შეიქნა, ვიდრე მონღოლთა ურდო მას ხელთ იგდებდა.

მძიმე სურათებს თან ერთვის აღამიანთა ტრაგიკული ხვედრიც. თქვენ ხედავთ დაბრმავებულ დიდოსტატ ვაჩეს და მო-

მაკვდავ ცავოს. თუ მათი ტანჯვა მკითხველის გულისტკივილს იწვევს, პირიქით ხდება ჯალალედინის და შერეველმოლკის აღსასრულისას. შერეველმოლკს სიკვდილი მიუსაჯა თვით ჯალალედინმა დალატისათვის, და აღსასრულის წინ ეს ვერაგი ქალივით ტირის, ყურანის სიტყვებს იშველიებს:

ოდეს თვალი დაღვეს,  
ოდეს მთვარე დაბნელდეს,  
ოდეს მზე და მთვარე შეერთდეს,  
მაშინ ლაღად ჰყოს კაცმა:

— სადა ებოვო სადგური თავშესაფარი?

აღარსად იყოს სადგური თავშესაფარი შენდა,  
თენიერ უფლისა შენისა,  
რომელ გეყოს სადგურად თავშესაფარად.

შერეველმოლკის აღსასრულის შემაზრზენი სცენა აღწერილია უეჭველი ხელოვნებით, მაგრამ არანაკლებ ძლიერია თვით ჯალალედინის სიკვდილიც 1231 წლის 17 აგვისტოს.

თითქოს ჯალალედინის მხეცობა არ კმაროდაო, საქართველოს ახალი უბედურება კარს მოადგა — მონგოლების მთავარი ძალები მოაწვნენ ძალაგატეხილ ქვეყანას. ჯერ კიდევ ახალგაზრდა, მაგრამ დარდისა და უბედურებისაგან ნაადრევად მოხუცებულ რუსუდანს რაღა შეეძლო. ავაგ მხარგრძელიც შეუფერებელი ამირსპასალარი იყო. მონგოლების გამარჯვების შემდეგ ხალხი კიდევ უფრო აუტანელ მდგომარეობაში ჩავარდა.

ამ ფონზე მოქმედებენ ჩვენთვის ადრე ცნობილი გმირები — თორელი წერს არა რუსუდანის, არამედ თავდადებული გმირის შალვა ახალციხელისა და გარნისში დაღუპულ ვაჟაკათა „ქებას“; დაბრმავებულ დიდოსტატი ვაჩე, რაკი ხატვა აღარ შეუძლია, ტერაოტებს აკეთებს. და როცა მონგოლები თბილისს მოადგნენ, ქართველებმა მეფის ბრძანება აღასრულეს: საყვარელი ქალაქი დაცალეს და გადაწვეს. ავტორი მართალია, როცა გვეუბნება: მონგოლების რისხვა ძლიერი იყო — მათ დაიპყრეს რუსეთი, მოსპეს ყოვჩაღეთი, უნგრეთის ველებზე გაიჭროლეს, ბალკანები დაღუწეს, ხმელთაშუა ზღვის ნაპირამდე მი-

ვიდნენ. მათთვის უკვე ახლო იყო ვენა და ვენეცია. „მონგოლთა სისასტიკისა და უძლეველობის შიშს იაპონიის სანაპიროებიდან ბრიტანეთის კუნძულებამდე მიეღწია. ევროპა ძრწოდა და ცახცახებდა“ (გვ. 647).

ასეთ პირობებში დაზავება უნდა მომხდარიყო და ქართველთა მეფეც თანხმდებოდა. მთაგრები მიდიან ყარაყორუმში, რომელიც მონგოლთა ვეებერთელა სახელმწიფოს სატახტო ქალაქად ქცეულა. ამ სახელმწიფოს ახლა განაგებს გუიუქ-ყანი. ავაგი და თორელი მხოლოდ ორი წლის შემდეგ მიაღწევენ მონგოლთა სატახტოს. ავტორი დამაჯერებლად, მიმზიდველად აღწერს მონგოლთა კარს, ქართველ ვაჟკაცთა გმირობას, ცნობილ მოგზაურს — პლანიო კარპინს.

ძლივს, დიდი გაჭირვებით ბრუნდებიან შინ ყარაყორუმს გაგზავნილი ქართველი მთაგრები და ხედებათ აწიოკებული ქვეყანა. რუსუდანს თავისი ვაჟი ერთი წლის წინათ მონგოლებთან გაუგზავნია, მაგრამ შემდეგ ვერაფერი შეუტყვია და დარღსაგან გარდაცვლილა. თორელის ვაჟი შალვა ტყეში გავარდნილა და მონგოლებს ებრძვის. ამიტომ მისთვის სახლკარი გადაუწყავთ. რაღა რჩება უბედური თაობის წარმომადგენელს? სიკვდილი, მხოლოდ სიკვდილი და მართლაც კვდება ეს შესანიშნავი შემოქმედი, დიდი ბატრიოტი.

სიკვდილის წინ მისი დიალოგი დიდოსტატ იაჩესთან მშვენიერი აპოთეოზია სასოებისა: დიდი ღამე დაიწყო, მაგრამ გათენდება, ვინაიდან „საქართველო უკვდავია... ბევრჯერ გაიხსნება მისი ცისკარი“.

ეს ოპტიმიზმი მარტოოდენ ავტორისეული არ არის. მას გრძნობთ ორგანულად და რომანის ღირსებაც აქ უნდა ვეძიოთ.

II.

როგორც ვხედავთ, რუსთაველის ეპოქის ქართული ქრონიკა უაღრესად ვრცელი მხატვრული ტილოა და მისი

შექმნისათვის ავტორს ხანგრძლივად უნდა ეშრომა. ამგვარი დიდი მასშტაბის შედეგები იოლად, კალმის ერთი მოსმით როდი იწერება. ეპოქის გამოხატვა, ასობით მოქმედი გმირის ერთ სიუჟეტში მწყობრად ჩაყენება, ყველაფრის ცოდნა, რაც ცხოვრებასთან და ისტორიასთან არის დაკავშირებული, ვიმეორებთ, ნიშნად ერთად, ნამდვილად ეპიკურ შრომასაც მოითხოვს.

შეიძლება გავიკვირდეს, რომ ორივე რომანში ასე ხშირად გვხვდება ომების აღწერა, მაგრამ, ვინც მეცამეტე საუკუნის ქართულ ქრონიკებს იცნობს, მისთვის ნათელი იქნება, თუ რატომ იქცევა ავტორი სწორედ ასე და არა სხვაგვარად. დავით აღმაშენებლის, დემეტრეს, გიორგი მეფის, თამარისა და ლაშას დრო დიდი ბრძოლებით, სამხედრო შეტაკებებითაა აღნიშნული ჩვენს ისტორიაში და ვისაც მათი სახეების ჩვენება უნდა, ამ ვზას ვერ აცდება.

კითხულობთ ამ რომანებს და თქვენ გრძნობთ, რომ გრიგოლ აბაშიძეს ღრმად შეუესწავლია XII-XIII საუკუნეების სამხედრო ხელოვნება, რათა ხსენებული ომები ოსტატურად აღეწერა. ავტორს შეეძლო დაკმაყოფილებულიყო „ქართლის ცხოვრების“ იმ თავებით, რომლებიც დავით აღმაშენებლის, გიორგი მეფის, თამარისა და ლაშას მემბრტინებებს დაუწერიათ. ამ მასალაში ძალიან კარგად ჩანს, თუ როგორ წარმოებდა იმდროინდელი ომები, რა აღჭურვილობა ჰქონდა ქართველთა ლაშქარს, რა წესები და კანონები იყო თვით ომის წარმოებისა. მაგრამ მწერალს მიუშარ თავს უცხო წყაროებისთვისაც, გამოუყენებია ბიზანტიური და არაბული მასალები, სომეხი ისტორიკოსების ცნობები. ერთი სიტყვით, ცდა არ დაუკლია, რომ ლაშასა და რუსუდანის დროინდელი ომები არამარტო ცოცხლად, ისტორიული ჭეშმარიტებითაც წარმოესახა. საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ ბრძოლა განძის ციხე-სიმაგრის ასაღებად.

რაკი ომთან გვაქვს საქმე, ვრცელი



ამონაწერის მოტანა დაგვჭირდება შედარებით სრული წარმოდგენის მისაღებად. რომანის მეთორმეტე თავში ასეა ასახული განძასთან დაკავშირებული ბატალური სცენები:

„ძღვეამოსილ ქართველთა ლაშქარს განძამდე წინ ვერავინ აღუდგა. გზადაგზა მტრის მიწა-წყალი მოარბიეს, ურიცხვი ტყვე და ალაფი წაიმძღვარეს და ბოლოს თვითონ განძას მიადგნენ.

განძის ათაბაგი ქართველებთან ომს ულოდა და ქალაქი კარგად გამაგრებინა, ციხისათვის ახალი ზღუდე და ფართო თხრილები მოეწყო ირგვლივ, დიდძალი სურსათი შეეტანა და ქალაქი ხანგრძლივი ალყისათვის მოემზადებინა.

გულმტკიცედ იჯდა სიმაგრეში განძის ათაბაგი. საქართველოსაგან გამდგარი ყმიდანაფიცი იმდენად თავის იმედს ციხის სიმტკიცესა და შეუველობაზე როდი ამყარებდა, რამდენადაც ცოტახნის წინათ დაქირავებულ ყვიჩაღთა ოცდაათი-ათასიანი ლაშქარის ძალასა და ბრძოლის უნარზე.

ქართველებმა იცოდნენ განძის ათაბაგის გაქედმადლებს მიზეზი, მათ განძასთან ბრძოლის, მისი ალყისა და აღების ადრინდელი გამოცდილებაც ჰქონდათ და ქალაქის პირდაპირ იერიშს მისი გარემოცვა არჩიეს.

მეფის ლაშქარმა ქალაქს ალყა შემოარტყა, დანარჩენი ქვეყნისაგან მოსწყევითა და დინჯად დაუწყო ლოდინი ციხის გატეხვას.

ქალაქიდან ყოველდღე აწყობდნენ გამოხდომას მამაცი მეციხოვნეები, აქედან გარემომცველები უტევდნენ და იყო წვრილ-წვრილი, მაგრამ სისხლისმღვრელი გაუთავებელი ბრძოლები.

პირველ ხანებში მეფეს ეს პატარა შეტაკებები ართობდა, თვითონ წინ გამოდიოდა და ხმალაშობებული საბრძოლველად იწვევდა განძელ რჩეულებს, უკან შექცეულებს ცხენდაცხენ ციხის კარამდე სდევდა და ბანაკში მხიარული სიმღერით ბრუნდებოდა ხოლმე.

როცა ბრძოლა არ იყო, ნადირობითა და ბურთაობით ერთობოდა, ხანაც გან-

ძის საუკეთესო ღვინის სმით ჰკლავდნენ.

ბოლოს ესეც მოსწყინდა ჰაბუკ მეფეს და ბანაკში ყოფნა დაუშქიმდა.

ალყა გრძელდებოდა, ხოლო ალყაშემორტყმულები დანებებისა და დამორჩილების ნაცვლად კიდევ უფრო მეტ სიმტკიცესა და სითამამეს იჩენდნენ.

მეფესა და მის ერთგულ მხედრობას ის აღონებდა, რომ ციხე შეუვალი იყო, ხოლო ვარეთ დიდი ლაშქარი არასოდეს გამოდიოდა, რათა გადამწყვეტ ბრძოლაში გასწორებოდნენ თავზედ განძელს“ (გვ. 132-133).

ყველაფერი აქ ისე ბუნებრივი ეჩვენება მკითხველს, თითქოს ავტორი მართოდენ თავისი ფანტაზიით წერდეს. მაგრამ ეს ნამდვილად ასე როდია. ანალიზი რომ მოვახდინოთ „ლაშარელას“ ავტორის მიერ გამოყენებული ფაქტებისა, ჩვენ დავინახავთ, თუ რა მიმომართომა დასჭირდა მას განძის ასაღებად ლაშქარს მიერ წარმოებულ ბრძოლების აღწერისათვის.

რომანში გვიხსენებთ:

„ლაშამ რამდენჯერმე გადაკრულად ჩამოაგდო სიტყვა გარემოცვის გაქიანურებასა და ციხის იერიშის დაჩქარებაზე, მაგრამ მხარგრძელმა კი არა, ორთავძმათა ახალციხელთაც შორს დაიჭირეს, ლაშქარს ტყუილად შევაწყვეტო და ასე გამაგრებულ ციხეს ვერაფერს დავაკლებთ, მით უფრო, რომ ციხეს ყვიჩაღთა ძლიერი სპა იცავსო.

ჩვეულებრივ, სხვა ომებიდან თავიანთ სამთავროებისკენ მოსწრაფე ლიხთიქითელი მთავრებიც კი ციხეზე იერიშს დაჯარის უბრალოდ შეწყვეტას უპაზრობად სთვლიდნენ.

მეფის გონება გამოცდილი სარდლების რჩევას ემორჩილებოდა, მაგრამ ჰაბუკის სისხლი და ახალგაზრდული გული სხვას ეუბნებოდა, გადამწყვეტი ბრძოლისათვის აჩქარებდა.

— რა გახდა ეს განძის ციხე, რამდენჯერ აუღიათ იერიშით ქართველებს, ჩვენ ვისზე ნაკლები ცვაკაცები ვართ, რომ ასე გაგვიძნელდა.

— თუ ციხეს სუსტ ადგილს არ მოვუძებნით და ძალით არ შევეღწევთ, ეს ალყა შეიძლება ერთ წელშიაღსაც გაგრძელდეს.

— თუ ომია, ომი იყოს, ციხეს შეტევა უნდა, თორემ განძელები თავისით კარს არასოდეს არ გავეილებენ...

ლელავდნენ მეფესავით ჭაბუკი სარდლები და ლაშას ციხის საიერიშოდ იწვევდნენ...

შეზარბოშებულ მეფეს ისეც სისხლი უღულდა, მეგობრების რჩევას აჰყვა და ორი ათასი მესხი ცხენოსნით ღამის სიბნელეში, ამირსპასალარისა და ახალციხელების უცნობლად გაემართა ციხის შემოსავლელად.

მეციხოვნეებმა მეფე იცნეს, ციხის კარი გააღეს და თავგამეტებით მიეტივნენ.

ციხიდან გამოსული ლაშქარი ურიცხვი იყო. განძელები და ყივჩაღები ირგვლივ მოერტყნენ ერთ მუჭა ქართველებს და სასტიკად შეუტყეს.

გაუჭირდა მეფის სპას და სწორედ შენივთებული ბრძოლის დროს დაჰკრა ზურგში განძელებს ქართველების ახალმა რაზმმა. შუა ვაკვეთეს მაშველებმა განძელთა წყობა და მეფეს შეუერთდნენ“ (გვ. 133-134).

განძის აღებისათვის ბრძოლა ასე ბუნებრივად არის გადმოცემული. კიდევ უფრო საინტერესოა გარნისის ტრაგიკული ბრძოლის აღწერა „დიდ ღამეში“, როცა ჯალალედინი საბედისწეროდ ამარცხებებს ქართველთა ლაშქარს. ეს ბრძოლა დამლუბველი შეიქნა ქართული მხედრობისათვის და მის უმძიმეს შედეგებს საქართველომ თავი ვეღარ დააღწია მონგოლების შემოსევაშიც, მით უფრო ამ კატასტროფული ფაქტის შემდეგ.

აეტორს რამდენი უნდა ემუშავა, რომ სისტემაში მოეყვანა მასალა, ასე კარგად აღწერა გარნისის ისტორიული ბრძოლა, სადაც მარტო მესხი ოთხი ათასი დაეცა და არუსუდანის დროინდელ საქართველოს სამხედრო ხერხემალი გადაუტყდა. დააკვირდით ამ ბრძოლის მშვენიერ აღწერას:

„ხვარაზმელთა მარცხენა ფრთა ჯალალედინის ძმის ყიასედინისა და ორხანის მეთაურობით ვააფთრებთ აწვებოდა ახლადაშლილ, ჯერ კიდევ ძილისაგან გამოუფხიზლებელ ქართველებს.

მარჯვენა ფრთა ისარს აყრიდა და ეს ისრის ტყორცნა გაუფალი კედელი იყო, ისრის წვიმისა თუ სეტყვის მთლიანი კედელი, სადაც ერთი წერტილიც არ რჩებოდა დაუცხრილავი და ისარ მოუხვედრელი.

ქართველებიც მარჯვედ აყრიდნენ ისარს. მაგრამ ბევრნი იყვნენ ხვარაზმელები და მათი ისარი გაუფალ საფრად მიუძღოდათ წინ ორხანისა და ყიასედინის ქვეით ჯარისკაცებს.

ახალციხელების მოვარდნა და მთავე ხვარაზმელების შეჩერება ერთი იყო. ბრძოლა შენივთდა და ხელჩართულ კვეთებაში ქართველებმა თანდათან დასწიეს მთის ნაპირისკენ ამდენი ვაი-ვაგლანით ამოსული ხვარაზმელები. შალვას გამოცდილ თვალს არ გამოპარვია მტრის უეცარი შედრეკა, „ჰაჰა მავასო!“ — შესძახა და მთელი ძალით იქით მიაწეა, სადაც მტრის კედელი შეირყა, შექანდა და უკან გადაიხარა.

ყიასედინი და ორხანი ამაოდ უყვიროდნენ მეომრებს. ხვარაზმელთა მარჯვენა წვერი თანდათან მოშორდა მალლოზს, დამოკლდა და ფერდობებზე დაცურება იწყო.

მაშინ მარცხენა ფრთა ამოიმართა მალლოზზე და ახლა თითქმის ზურგში დაუშინეს ქართველებს ისრის სეტყვა.

შალვამ იგანეს გასძახა. უფროსი ძმა ქართველთა მოზრდილი რაზმით მარცხნივ შემობრუნდა და შეტევაზე გადმოსულეებს ეკვეთა. აქაც ხელჩართული ბრძოლა გაიმართა და აქაც შეყვონდა მტრის მოწოლა. ორივე წვერი მალლოზზე ფეხის მოსაკიდებლად იბრძოდა. ქართველები ცოტანი იყვნენ, მაგრამ კარგად იყენებდნენ თავიანთი განლაგების უპირატესობას, ზემოდან აწვებოდნენ და ადვილად უმკლავებდოდნენ ქვემოდან დიდი წვალეებით ამოსულ ხვარაზმელებს.

მაგრამ აი, მტრის შუაგული, უმთავრესი ჯარი დაიძრა თავით ჯალალედინის წინამძღოლობით. თავით ფეხამდე შეიარაღებული ცხენოსანი ლაშქარი ზათქითა და ყურისწამლები გრილით წამოვიდა. შალვამ უკან გაიხედა. ქართველთა მთავარი ბანაკიდან ჩამიჩუმე არ ისმოდა, მშველელი არ ჩანდა. მერამდენეჯერ აფრინა კაცი მხარვრძელთან ამბის შესატყობინებლად და სასწრაფოდ მოშველების სათხოვნელად!

მთავარი იყო, ეს მძიმედ შეიარაღებული, მქროლავ რაშებზე ამხედრებული მტერი არ ამოსულიყო მადლობზე, თორემ მერე მისი ვამკლავება ძნელი იქნებოდა. თავისი ისედაც მცირერიცხოვანი ჯარიდან საუკეთესო ნაწილი შუაში დააყენა შალვამ და ახლა დაბლა დაეშვა ისრისა და დავორებული ქვეების სეტყვა.

ერთხანს გაუძლეს ქართველებმა დასვენებული, მრავალრიცხოვანი მტრის მოძალბებს, მაგრამ მტრის ცხენოსანი გულს მოაწყდა და ფრთებიდანაც შემოურა.

მეტი ვზა აღარ იყო, ქართველებს უკან უნდა დაეხიათ, რომ მტრის გარემოცვაში არ მოხვედრილიყვნენ. ბრძოლით, ფარხმლის ჩახახუხით დაიწიეს ნელ-ნელა, მაგრამ მწყობრად მესხებმა“ (გვ. 420-421).

როგორი ძლიერი ადგილიც არ უნდა ამოეწეროთ, ვერ შექმნის მთლიანსა და ძლიერ შთაბეჭდილებას, როცა საქმე ბატალურ სცენებს ეხება. მკითხველმა უნდა იცოდეს რა კონკრეტული სიტუაციაა, რა უძღვის წინ აღწერილ ბრძოლებს და მხოლოდ მაშინ შეუძლია მოტანილი ამონაწერისაგან სრული ეფექტის მიღება. გარნისის ბრძოლის ფრაგმენტს მაინც შეუძლია მკითხველი დაარწმუნოს, თუ რა სადად, საქმის ცოდნითა და ბუნებრივობით გადმოგვეცემს ავტორი საბრძოლო სცენებს. ხოლო, როცა მკითხველს ეცოდინება, რომ გარნისი მიუდგომელი, გამაგრებული ციხე იყო, ჯალალედინიც ეჭვობდა მის აღებას, და მაინც ბედის სხვანაირად დატრიალდა, მტერმა წარმოუდგენლად იო-

ლი გამარჯვება მოიპოვა, რაც ხვარაზმელთა ბელადმა ღვთაების განგებას მიაწერა, მაშინ შთაბეჭდილების ძალა, თვით ბრძოლის ტრაგიკული შედეგები შეუღარებლად მტყენვეული აღმოჩნდება.

შეუძლებელია მკითხველს ყველა ის ძლიერი ბატალური სცენა გავაცნოთ, რომლებიც ორივე რომანში გვხვდება. მაშინ იმდენი ამონაწერის გაკეთება დაგვეჭირდება, რომ ადგილი აღარ დავრჩება საკუთარ მოსაზრებათა გამოსათქმელად. ვინც „ლაშარელასა“ და „დიდ დამეს“ წაიკითხავს, მისთვის ესთეტიკურ სიამოვნებასთან ერთად, ისიც ხელშესახებულ საურძნობი იქნება, რომ ავტორს ეხერხება ბატალური სცენების აღწერა, თვითეულ მათგანს ცოდნით, მხატვრული გემოვნებით, ბუნებრივი და ისტორიული კოლორიტის დაცვით გადმოგვეცემს.

აქ საჭიროა გავიხსენოთ ელემენტარული ჰემოზირიტება, რომ ისტორიის მხატვრული გაზრება შეიძლება ორგვარად: იდეალური წარმოდგენით, როცა გვიხსენებს წარსულში არავითარი ნაკლი არ დავინახოთ, ყველაფერს დიდების შარავანდედი დავადგათ და თვალი მოვარიდოთ მწარე სინამდვილეს. ასე იქცეოდნენ ძველი რომანტიკოსები, რომლებმაც შუასაუკუნეები ცისარტყელი-სებურ ოცნებაში წარმოსახეს. რომანტიკოსებმა ისტორია გაიზარეს, როგორც დაკარგული საუნჯე და, აწყობით გულგაცრუებულებმა, წარსული დროის დიდება თანამედროვეობას ნიმუშად გაუხადეს.

მეორე ვზა ისტორიის მხატვრული ასახვისა რეალისტურ კონცეფციაში პოულობს თავის ადექვატურ განხორციელებას, როცა წარსული ხელოვნების ენაზე ამეტყველებულია ისე, როგორც იგი იყო. რეალისტი მწერალი არამარტო წარსულის დიდებას გამოაფენს, მის მწარე სინამდვილეშიც ვვახედებს და ცდილობს მიმზიდველად გვითხრას, რასაც ძველი ფოლიანტები მიუყვებოდნენ, მაგრამ ხშირ შემთხვევაში მშრალი

ენით გადმოგვეცემენ. ეს არ ნიშნავს რეალისტი მწერალი მარტოოდენ ისტორიული წყაროებით იყოს შეზღუდული და ფანტაზიის მოქმედებას გაუზრდოდეს. მხატვრულ გამოგონებას რეალისტი მწერალიც მიმართავს, მაგრამ მისი ფანტაზია არასოდეს ისტორიულ ფაქტთა საზღვრებიდან არ გამოდის.

ვისაც სურს ისტორია ჩვენს მიერ დასასიათებელი პირველი გავებით დაინახოს, მას არ ვურჩევთ გრიგოლ აბაშიძის ისტორიული რომანები წაიკითხოს. მათთვის იქ არ აღმოჩნდება არც იდეალური წარსული, არც რომანტიკულად შეფერადებული სინამდვილე. რუსთაველის ეპოქის ქართული ქრონიკის ავტორს ისტორიული თემატიკის მხატვრული განსხეულებების მეორე გზა აურჩევია, და ჩვენი წარსულის დიდებასთან ერთად, მისი მწარე სინამდვილაც წარმოუსახავს. ამიტომ „ლაშარელასა“ და „დიდ ღამეში“ ძველი რომანტიზმის არავითარი ნიშან-წყალი არ მოიპოვება, ორივე რომანი მძაფრი რეალისტური მანერითაა დაწერილი და ნამდვილად უპასუხებს ავტორის ჩანათქმის, რომელიც შემდეგი სიტყვებითაა გადმოცემული: ქრონიკაში „ნაჩვენებია ის რთული სავარეო და საშინაო ვითარება, რომელიც შეიქმნა დიდი თამარის გარდაცვალებისა და ისტორიის სარბიელზე მანამდე უცნობი ხალხის, მონგოლების გამოჩენის შემდეგ... საქართველოს ძლიერი ფეოდალური სამეფოს ნგრევის მიზეზებს ავტორი ეძებს იმ სოციალურ ძალთა დაპირისპირებაში, რომელსაც მაშინ ჰქონდა ადგილი საქართველოსა და მთელს აღმოსავლეთში, იმ დახლართულ პოლიტიკურ სიტუაციაში, რომელმაც უზრუნველყო მონგოლთა ველური ტომების გაბატონება კულტურულად დაწინაურებულ მრავალ ხალხსა და ქვეყანაზე“. ეს იყო მიზანი გრიგოლ აბაშიძისა და ამიტომ აირჩია ისტორიული წარსულის რეალისტური ასახვის გზა.

ამ გზას მიჰყვება ავტორი თითქმის

ყველა შემთხვევაში და ჩვენ არ შეგვიძლია არ მოუფწონოთ, ვინაიდან ისტორიული რომანის ავტორი, მხატვართან ერთად, ნამდვილი ისტორიკოსიც უნდა იყოს. სხვაგვარად შეუძლებელი იქნება ხელოვნების ნამდვილად გამართული ნაწარმოები მივიღოთ ამ ქანრში. ეს უკანასკნელი კი უაღრესად რთული ქანრია.

ჩვენ არაერთხელ აღგვინიშნავს, რომ ისტორიული რომანის დანიშნულება წარსულის გაცოცხლებასა და განზოგადებაში მდგომარეობს. ეს არის მორალი, რომელიც ხსენებული ქანრის ავტორმა თავის ნაწარმოებს უნდა წარუძღვაროს.

რას გვასწავლიან გრიგოლ აბაშიძის ისტორიული რომანები?

„ლაშარელა“ და „დიდი ღამე“ მხატვრულ სახეებში ოსტატურად აცოცხლებენ XIII საუკუნის ქართულ ქრონიკას, გვიჩვენებენ, თუ როგორი უბედურება მოუტანა ქართველ ერს შინაგანმა აშლილობამ, ფეოდალთა ურთიერთშელღმა პირადი განდიდებისათვის, რასაც თან დაერთო ცენტრალური მმართველობის შესუსტება და გარეშე ძალის აგრესიული მოქმედება. მართოდენ გარნისის ტრაგედიაში შეიძლება ყოველივე ეს დავინახოთ. ქვეყნის მმართველს ერთი საზრუნავი უნდა ჰქონდეს — სამშობლოს ზედნიერებისათვის დაუცხრომელი ბრძოლა და ამ ბრძოლას მან ყველაფერი უნდა დაუმორჩილოს, პირველყოვლისა, საყუთარი, პირადი ინტერესები. როცა ეს ელემენტარული ჭეშმარიტება ირღვევა ან მივიწყებას ეძლევა, განსაცდელში ვარდება ერთი და მეორეც, ქვეყანაც და მისი მმართველიც. როგორც „ლაშარელა“, ისე „დიდი ღამე“ მშვენივრად ვეიდასტურებენ ამ ჭეშმარიტების სიბრძნეს და განზოგადების საშუალებასაც იძლევიან. ჩვენ ეს მიგვაჩნია გრიგოლ აბაშიძის ისტორიული რომანების ნამდვილად დიდ მიღწევად.





## გიორგი კალანდაძე

### კვლავ უნთნან მოველ...

ლადო სულაბერიძის პირველი ლექსები 30-იან წლების მიწურულში დაიბეჭდა. ამ სამი ათეული წლის მანძილზე ბევრი მნიშვნელოვანი რამ მოხდა საზოგადოებრივ ცხოვრებასა და ლიტერატურაში. ლადო სულაბერიძის შემოქმედება ყოველთვის ფეხდაფეხ მიჰყვებოდა თანამედროვეობას, ეხმაურებოდა ჩვენი ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენებს.

პოეტის ადრინდელი ლექსები: „ყირიმის ღამეები“, „სანგარი“, „ღამე ყირიმელ მეზადურებთან“, „წვიმაში“, „ჭია-შია“ და სხვ. გამოირჩევა თავისებური პოეტური მიგნებითა და უშუალოებით.

პატარა ბარით გავკერი,  
პატარა სივრძე-ვანი აქვს, —  
შავი ზღვის გაღავანია,  
ყირიმის გაღავანია.

პოეტური ჰიპერბოლა, რომელიც ხევესტურული საგმირო ლექსის ცნობილ სტრიქონს („შენ სიკვდილს ვინ დაიჭერებს, შე გაღავანო ქვისაო“) გვაგონებს, აქ თავის მაღალ ფუნქციას ასრულებს. ლექსში იგრძნობა მტერზე გარდაუვალი გამარჯვების რწმენა.

ამ ლექსის კონტრასტად გაისმის 1946

წელს დაწერილი ლექსი „ყანები“, პოეტი მოგვიტობს, რომ ომის ქარცეცხლში გაჭრილი პატარა სანგარი „ძველ ქრილობასავით“ დაჩნევია ყირიმის ველებზე აბიზინებულ ყანებს.

მე განგებ შევეუპირისპირე ერთმანეთს ეს ორი ლექსი, როგორც ომისა და მშვიდობის პოეტური კონტრასტი, რომლის ფონზედაც იშლება ლადო სულაბერიძის პოეზიის ერთ-ერთი საკმაოდ ძლიერი ნაკადი. პოეტმა ომისა და მშვიდობის თემაზე შექმნა ბევრი საინტერესო ლექსი.

შეუძლებელია გულისხმიერმა მკითხველმა წაიკითხოს და მის ხსოვნაში სამუდამოდ არ აღიბეჭდოს ღამაში, სევდიანი ბალადა „სათუთუნე ქისა“. ამ ბალადაში გვჩნობლავს ხილულისა და განცდილის დიდი უშუალოებით წარმოსახვა, თხრობის დრამატული სიმძაფრე. ბალადის ლირიკული გმირი ომის მრისხანე დღეებში, ფრონტზე, გრძნეული ავგაროზივით თან ატარებდა დედის მიერ შეკერილ სათუთუნე ქისას.

ის ქისა ისევ ჩამომყვა,  
ცოტა „მაზორკაც“ ჩამომყვა,  
შავი ზღვის გაღმა დამქონდა,  
დამაქვს შავი ზღვის გამოღმა.



ლექსებში „მონოლოგი“ და „ცისფერთვალემა“ ცხოვრებისეული სიმართლით ნაკარნახევი პოეტური გამონათვინი მხატვრულ ვანზოგადებამდეა აყვანილი.

გაშლილ ველზე, გზის პირას ამართული მუხის ახლოს, სამამულო ომის ფრონტზე დაცემული ცისფერთვალემა ქალის საფლავია. ლექსის პირველივე სტროფი მწუხარე განწყობილებას უქმნის არა მარტო ადამიანებს, არამედ ბუნების მოვლენებსაც:

ერთი პატარა ცისფერთვალემა  
ჩვენმა ვაჟებმა, ჩვენმა ქალებმა,  
ამ მუხის ახლოს ჩაველიშა მგზავრმა,  
აზოვის ქარმა. შავი ზღვის ქარმა, —  
არ დაივიწყეთ.

ორი მომდევნო სტროფი მოგვითხრობს ცისფერთვალემა პატარა ქალის სიცოცხლისა და სიკვდილის ამბავს. მას „დედ-მამაც ჰყავდა, მიჯნურიც ჰყავდა“, მაგრამ სიკვდილის ეამს არც ერთს არ დაუხუტავს მისთვის თვალები. იგი დამარხა საბჭოთა მეომარმა. იგი ომის გრიგალის გადავლის შემდეგ მწუხარე შარბისუფალივით კვლავ გამოჩნდება ყირიმის ველზე გზისპირას ამართულ მუხასთან და შეჰლაღადებს:

კვლავ შენთან მოველ... ეჭვი, მუხავ,  
შენ მისი სულის მფარველი თუ ხარ,  
გაშალე მხრები და მომეხვიე.  
ხედავ, თვალები კვლავ გაუღია,  
აბა, რა არის ეს ორი ია?!  
აზოვის ქარო, შავი ზღვის ქარო,  
დაპეტრე, ნისლი არ მიაკარო:  
მას მუდამ მზისკენ უყვარდა ცქერა.

ომისა და მშვიდობის კონტრასტული შეპირისპირების ფონზე იშლება ლექსებიც: „წარწერა დელაკრუას სურათზე“, „ომი და ჩემი სახლი“, „ობელისკები“, „ზღვის პირას“. ეს ლექსები ომ-გადახდილი თაობის ძველი ტკივილების გახსენებაა.

ზამთარია. ათოვს ზღვას და ხმელეთს. თოლიამ ზღვის შორეული სივრციდან თოვლის ფიფქი ფრთით გამოიტანა და „დახარჩობას გადაარჩინა“. ცალფეხა კაცი ზღვის ნაპირას გიტარას უკრავს; გას-

ცქერის ხომალდს, რომელიც ნაპირს გაშორდა და თრთოლვით უმდერის „ზღვაში დამხრჩვალ ფიფქებს“.

რა მოაგონდა, რა მოენატრა?!  
წყნარად ათრთოლებს სიმებს ენებიანს.  
იქნება ომი წამოვლანდა,  
იქნება ის თოვლი გახსენება.

(თოვლი ზღვისპირას).

ამავე თემაზე დაწერილი ლექსებიდან უნდა დავასახელოთ აგრეთვე: „წარწერები კლდეზე“, „ჩექმები“, „გულწითხრობილი ხომალდი“, „ბალადა“, „დედა“ და ლირიკული პოემა „ოცნება“. „დედა“ დაწერილია ცნობილი ხალხური ბალადის — „მოყმისა და ვეფხის“ — კეთილმყოფელი გავლენით. მისი ძირითადი იდეური ჩანაფიქრი უსახვგრო ჰუმანიზმია, რითაც სუნთქავს ხალხური ბალადა: „ხან იფიქრებდა: უდედოდ გავზრდა ვინა თქვა შვილისა, ეგება ვეფხის დედაც ჩემბერ მწარედა ტირისა“.

პოემაში „ოცნება“ ორიგინალური პოეტური ხილვით არის აღქმული ჩვენი შემცველი თაობის ბედი, მისი დიდი მომავალი, განცდები და იდეალები.

გავიხსენოთ ლექსი „შვილის მეგობრებს“, რომელიც ამშვენებს ლაღო სულაბერიძის შარშან გამოცემულ ლექსების კრებულს. იგი გამთბარია უაღრესი ლირიზმით, ახალგაზრდობის დიდი სიყვარულით, მისი მომავლის ღრმა რწმენით:

თქვენ შეუმჩნევლად გააღეთ კარი,  
შემიკრთეთ ყრმობის სილუეტები.  
მერე დატყვევ ჩემს სულში ზარი  
და გამახსენეთ, რომ მე ვბერდები.

ლაღო სულაბერიძის ლირიკის მეორე ნაკადში უნდა მოვაქციოთ საყოფაცხოვრებო ხასიათის ლექსები. გამოთქმა „საყოფაცხოვრებო“ პროზაულად ქდერს, მაგრამ ეს ლექსები ქეშმარიტი პოეტური შთაგონების ნაყოფია.

საინტერესო ნაწარმოებია „წითელი ბუშტი“. ორი პატარა ბიჭი ზაფხულში დასასვენებლად წასულა სოფლად. მაგიდაზე დარჩენილა გამგზავრების წინ მათ მიერ გაბერილი წითელი ბუშტი. მისი დანახვა მართალსა და უცნაურ ასო-



ციაციებს აღუძრავს ბიჭების მშობელს  
(ამ შემთხვევაში — თვითონ პოეტს):

ღვეს მაგიდაზე წითელი ბუშტი,  
მომწყვდებული შიგ მათი სული...  
ცისკრის ვარსკვლავის ამოსვლის უდღი,  
ამ სიფრიფანა წითელ ბუშტს უვლი,  
ავერ რომ გიღვეს ნუვრის ფილბივით.

ლადო სულაბერიძეს ეხერხება სილა-  
მაზის მზეგადასულ წინაპართა ანრდი-  
ლებთან ინტიმური საუბარი („ბორენა“,  
„სილამაზის ლანდთან“), ბახტრიონის  
ნანგრევების ჩრდილში მშობელი ქვეყ-  
ნის ძნელბედობის სურათების ხილვა.

პოეტი ისტორიული წარსულის სურა-  
თებს თანამედროვე ადამიანის თვალით  
ჭერეტს („ვარძიის ქეები“, „ფხოვლები“,  
„აბოს ნიშთან“, „მოზარნიშული ჯამი“,  
„ნაბოლონის საგარძელი ზუგდიდში“).  
ჩვენში ხშირად იწერება მიძღვნილი  
ლექსები, რომელთაგანაც მეტი წილი  
რიტორიკული ხასიათისაა და მოკლებუ-  
ლია პოეტურ სიტბოსა და უშუალობას.  
რალაც უჩვეულ სევდასა და სიყვა-  
რულს განგვაცდევინებს ლექსი „აღზე-  
ვანს ავა მარილზე ხარი“. იგი გერონტი  
ქიქოძის ხსოვნისადმი არის მიძღვნილი.  
თვალწინ წარმოგვიდგება მაჩაბლის ქუ-  
ჩით მომავალი ახოვანი მოხუცი, რომე-  
ლიც ოლიმპიური სიღარბისლით შედის  
მწერალთა სასახლის ბაღში:

ელიძეები ახლაც ქიაჩელს,  
ლეს მალა-მალ ცრემლი ერევა,  
კვლავ ძმაცუტრად არ გავიანჩხლდეს,—  
შეჩვეულია შენს მოფერებას.

ლექსში გახსნილია გერონტი ქიქოძის  
კეთილშობილი, რაინდული ბუნება, მა-  
ღალი პატრიოტიზმი და ღრმა ჰუმანუ-  
რობა.

„შენ დარჩი ცალად და მის მაგიდას  
კვლავ ფეხაკრფით მიეპარები“, — ნი-  
ნო მაყაშვილისადმი მიმართულ ამ სტრი-  
ქონებს აქვს თავისი ვრცელი ქვეტექს-  
ტი. საუბარია აქვს ტიციან ტაბიძის მაგიდის  
შესახებ, მაგიდისა, რომელსაც ფეხაკ-  
რფით უახლოვდება დაღუპული პოე-  
ტის მეთუღლე — თითქმის კვლავ ფრთხი-  
ლობს, შთავონება არ დაურღვიოს დაუ-  
ვიწყარ მეგობარს.

ლადო სულაბერიძეს ცოტა როდო-  
აქვს დაწერილი ხალხთა ძმობის თემაზე,  
მაგრამ მათგან გამოირჩევა მცირე მო-  
ცულობის ლირიკული პოემა „სევან-  
თან“, რომელიც მიძღვნილია ქართველ-  
სომეხთა კეთილშობილეთა ურთიერ-  
ობისადმი. გავიხსენოთ ლექსები: „მე-  
გობრის საფლავთან“, „სტუმრად მოს-  
კოველებთან“, „ხოსე დიასის საფლავ-  
თან“ და ამ ორი ათეული წლის წინათ  
დაწერილი „ბაშირ შამბე“ — ლექსი მი-  
ძღვნილი თბილისში მცხოვრები ზანგი  
მეხანძრისადმი.

სულაბერიძის სატრფიალო ლექსები-  
სათვის უცხოა ბანალობა. მათში ერთ-  
დროულად არის ახალგაზრდული ცეცხ-  
ლიც და რაინდული თავდაჭერაც, ბუნე-  
ბის სუნთქვაცა და სიცოცხლის მსწრაფ-  
ლწარმავლობაზე დაფიქრებაც:

შენ ამერიდე, დაფერებული  
წინანდებურად ვარდის ფერითა,  
ნუთუ მართლა ვარ დაბერებული,  
რომ ვეღარ მიცან და ამერიდე...

ლადო სულაბერიძეს იშვიათად თუ  
მოუნახავთ ლექსს, რომელიც რაიმე  
ორიგინალური პოეტური ჩანაფიქრით  
არ იყოს შთავონებული. მართალია, ამ-  
გვარ ჩანაფიქრს ზოგ შემთხვევაში აკ-  
ლია მხატვრული სრულყოფა („გლო-  
ბუსთან“, „რაკი ზღვისპირას გასურს ავა-  
რაკი“), მაგრამ მეტწილად ავტორი კარ-  
გად ანერგებს ჩანაფიქრის პოეტურ გან-  
ზოგადობას („მცხეთაში“, „შავი სათ-  
ვალე“, „მცირე ზამთარი“, „დაკარგუ-  
ლი წუთები“).

მცხეთის არქეოლოგიურ გათხრებზე  
და მის ისტორიულ ძეგლებზე ბევრი  
დაწერილა და ბევრიც დაიწერება, მაგ-  
რამ სულაბერიძის ლექსი „მცხეთაში“  
მკითხველის ყურადღებას აბყრობს —  
განსაკუთრებით მისი მეორე ნაწილი,  
(„აქ ერთი კარგი მოხუცია, ერთი მეზა-  
ლე“). მამულაშვილის საყვავილე მცხე-  
თაში თითქმის ყველა ქართველ პოეტს  
(ბევრ არაქართველსაც) უნახავს, მაგრამ  
ამ კონკრეტული ფაქტის სულაბერიძი-  
სებურად მოხდენილი პოეტური განზო-  
გადება, ვფიქრობთ, ჯერ არავის მოუცია:

თოვს...  
 ია-ია, კლავის ყვავილი, ენძელა თეთრი,  
 ჰყუვიან ისე,  
 აბრილსას როგორც სწვევიათ...  
 არ ვაუშვია ამ ბერიკაცს  
 ზებერი მტკნოთით  
 გაზაფხული და  
 ამ ეზოში დაუმწყვდევია.

ლადო სულაბერიძის შემოქმედებაში მხატვრულად აისახა მშობლიური კუთხის სურათები, ბავშვობისა და ყრმობის მოგონებები.

რამდენიმე სიტყვა სულაბერიძის პოეტიაზე. ამ მხრივ, უბირველეს ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს ლირიკული თხრობა და ნათელი მეტაფორული მეტყველება.

ზაფხულის სიცხე „სარაფანით და მსუბუქი ქოშით“ აწყდება ქალაქს... „ვეიდულობ ნაყინს, სულ ას გრამ ზამთარს“ („მცირე ზამთარი“); „ხარხარებს მზე და შუადღის ხვატი დგას თეთრი ღრუბლის ფარფლიან ქუდი“ („ჩვენნი შუადღე“); „და დაქპრის ისევ მშობელ მიწაზე შენი მარადი ქალიშვილობა“ („სიღამაზის ლანდთან“); „სევანზე დილა შეცურდა ნავით, შეკაყუდება ცას არარატი“ („სევანთან“); „სულ მისხალ-მისხალ ჩამოგირიგებთ, ვაგინაწილებთ ღიმილს პეშვებით“; „შემომებლება მე თქვენი ქარი და ქალარაზე ნილს შემომაცლის“ („შვილის მეგობრებს“); „გულადი მოყმე მიჰყვება თოკებს — ბილიკს — ძირს გამწყდარ გზის ვაგრძელებას“ („მოყმე და მთა“)...

პოეტი იყენებს ლექსის თავისებურ სტროფულ წყობას. მხედველობაში გვაქვს ხუთსტრიქონიანი სტროფული წყობით დაწერილი ლექსები, რომლებშიც, მუხამბაზური ლექსებისაგან განსხვავებით, მეხუთე სტრიქონი თავისუფალია და არც ერთ სხვა სტრიქონს არ ერითმება (არც იმ სტროფში, სადაც იგი ზის და არც სხვა სტროფში). ძნელია კატეგორიული განცხადება იმისა, აქვს თუ არა ვისმე სულაბერიძემდე გამოყენებული ამგვარი წყობა, მაგრამ ერთი რამ უდავოა: ლექსის ამგვარ წყობას პირ-

ველად ლადო სულაბერიძემ მიანიჭა სა-მოქალაქო უფლება თავის პოეზიაში. ამ წყობით არის დაწერილი პოემა „ოცნების“ დიდი ნაწილი.

რა ვიცი, სად ხარ და რომელ სოფელს,  
 ან რომელ ქალაქს დაემკვიდრები,  
 ახლა სკდებიან ატმის კვირტები  
 და სხვა კვირტებთან უკეთესობენ,  
 შენ კი არ ვესმის მათი ჩურჩული...

ამგვარი სტროფული წყობით არის დაწერილი მთელი რიგი ლექსებისა: „ერთი ღამე“, „ინტურისტის“ სასტუმროში“, „ძმის წერილი“, „შუამთის მონასტერი“, „მამულო ჩემო“, „თვითმფრინავი“, „ზღვაზე“, „ახალწვეულს“, „გამეღვიძება“. რა შეიძლება ითქვას ამგვარი ლექსთაწყობის პოეტურ ღირებულებაზე? ვფიქრობთ, იგი კარგად ესადაგება პოეტურ თხრობას.

სულაბერიძე ხშირად მიმართავს ე. წ. ანჟამბემანებს. ამ ხერხის მოხდენილად გამოყენება მეტწილად კარგ ეფექტს იძლევა, მაგრამ ხელოვნურად შექმნილი ანჟამბემანი და, მითუმეტეს, მისი ძალზე გააზრება პოეტურ თხრობას აბრკოლებს, ლექსს ძნელად საკითხავს ხდის.

აქ მიდიოდა ერთხელ ერეკლეც,  
 ჯარს მიუძღოდა პატარა კახი,  
 საქართველოდან რომ გაერგა  
 მტერი... მივალ და ყოველი სახლის  
 წინ ვენახი და მწვანე მოლია.

შესანიშნავ ბალადაში „დედა“, რომლის შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი, პოეტური თხრობა ვადატვირთულია ხელოვნური ანჟამბემანებით:

დაემხო მკერდზე, მაგრამ აღარა  
 სუნთქავს, გამოიღო მკერდს დააყარა  
 თავის ქალარა თმები და ლეგა  
 ფერის ახალის ჩამოფხრეწილი  
 კალთები ზრუნვით შემოუსწორა...

პოეტი ზოგჯერ იყენებს მახამურ რითმებს. პოეტური კულტურის განვითარების თანამედროვე დონისათვის, შეიძლება ითქვას, ეს საკმაოდ ძნელი ხერხია, რადგან მახამა თუ ანალი და ორიგინალური არაა, ცრუკლასიკურობის ანდა პრიმიტიულობის შთაბეჭდილებას



ტოვებს. ამიტომ არ ვარგა მაჯამური რითმა — „ისარიო — ის არიო“ და არა უშვასრა რითმას — „მარტო-მარტო“:

— მე ღრუბელივით შემოვრჩი მარტო  
ამ მხარეს, ირგვლივ ისევ თოვლია...  
თქვენ კი მოხვედით, მზეო და მარტო,  
ვაზაფხული კი არ მოგყოლიათ.

რამდენიმე სიტყვა პოეტური ლიცენციებისა და ხელოვნური რითმების თაობაზეც.

ბარდოს, დაფაროს ეს ნაურმალი,  
არ დაიხუროს ზეცა კარფართე,  
მე ამ ურმებზე ვეცალი პურმარისლს  
და ვადეგრძელებ ფიფქებს ფარფატებს.  
გაივლი ასე ზამთარს და გნახავ,  
შენამდეც მოვალ, ცხელო აგვისტო,  
შენ რომ შემომხედე ამ გზაზე ახლა,  
ამ ლამაზ ფიფქებს აღარ დაგვიტოვ.

(გზაზე).

ზამთარში ზაფხულზე ფიქრი — მოხდენილი კონტრასტული შეპირისპირებაა, რომელზედაც აგებულია მთლიანად ეს ლექსი, მაგრამ არც „ფიფქებს ფარფატებს“ („ფარფატა ფიფქების“ ნაცვლად) და არც „დაგვიტოვ“ („დაგვიტოვებ“-ის ნაცვლად) ენობრივად სწორი ფორმა არაა. აშკარაა, რომ ასეთი ფორმები მოითხოვეს სარიტმო სიტყვებმა: „კარფართე“ (?) და „აგვისტო“.

პოეტური ლიცენციები: „ასაფრენელად“ („მზესუშპირებთან“), „მარტოკა ქარი დაქროლავს გარეთ“ („გათენებამდე“), „შადრევანები“ („პოლარული ციალი“) და სხვა.

ხელოვნური რითმებაა (ყოველ შემ-

თხვევაში, იქ, სადაც ისინი სხედან, ხელოვნურად გამოიყურებიან): „წამიყვანა შინ“ — „ლამისყანაში“, „აპრილს თან“ — „დაფრინდა“, „ბალახ-ბულახებს“ — „გარუჯულა ხე“, „თეთრონისო“ — „თეთრო ნისლო“ და მისთანანი. ლადო სულაბერიძე, საერთოდ, რითმების (ხშირად მოულოდნელის) ოსტატია და ამგვარი ხელოვნური რითმები მის ლექსებში, მით უმეტეს, სჭრის ყურს. ძალზე იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება ენობრივი ლაფსუსები და სხვა ხასიათის უზუსტობანი.

ის, ჩემი ლექსის მზე და მშვენება,  
როგორ მოვიხილო ყამარის ქალი.

ენობრივად გაუმართლებელია გამოთქმა „ყამარის ქალი“ (ნაცვლად „ყამარ-ქალისა“).

ზუსტად არ არის აზრი გამოთქმული ჩემს მიერ ზემოთ სანიმუშოდ გარჩეული ლექსის („სანგარი“) ერთ სტროფში:


ის მიჯობს, სამარედ მექმნეს,  
მტერმა ვით გადამითელოს,  
აქედან უკან წასულსა  
მზემ დილა ნუ გამოითენოს.

„წასულსა“ არ გამოხატავს იმ აზრს, რასაც ავტორი გულისხმობს, კერძოდ, ბრძოლის ველიდან უკან გაქცეულს, მხდალს, შეშინებულს.

ამ საკითხზე ასე დაწვრილებით აქ მითომ შევჩერდით, რომ ლადო სულაბერიძის ვრცელი და ლამაზი პოეზია თამამად აიტანს მსგავს შენიშვნებს.



# გეხნიჯეა



გიორგი საყვარელიძე

## „უნიკატო ნაკილეი“

(პლენანოვი ურომისა და თაგაზის წარმოშობის შესახებ)

პირველი რუსი მარქსისტი გიორგი პლენანოვი, მიუხედავად მის მიერ დაშვებული შეცდომებისა, ჩვენი რევოლუციის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი მოღვაწეა.

ნაროდნიკობისათვის ძირის გამოთხრა, რუსეთში მარქსიზმის გავრცელება, მოწინავე ადამიანების შეგნებაში ამ მოძღვრების პრინციპების განმტკიცება, გასული საუკუნის დასასრულის რუსეთის მდგომარეობის მარქსისტული ანალიზი, ახალი ტიპის მარქსისტული პარტიის შესაქმნელად გზის გაწმენდა, — აი პლენანოვის დიდი ისტორიული დამსახურება.

ათიოდე წლის წინათ, 1956 წლის ოქტომბერში, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა საგანგებო დადგენილება მიიღო პლენანოვის დაბადებიდან 100 წლისთავის ფართოდ აღნიშვნის შესახებ. მაშინ პლენანოვის სახელი მიეკუთვნა ლენინგრადის სამთო ინსტიტუტს და მემორიალური დაფებით შეიმკო: სახლი ქ. ლიბეცკში, სადაც ბავშვობისა და ჭაბუკობის წლები გაატარა ამ დიდმა მოაზროვნემ; სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკა, სადაც პლენანოვი ხშირად მუშაობდა და რომელსაც მან უანდერძა თავისი დიდებული ბიბლიოთეკა.

უფრო ადრე ლენინგრადში შეიქმნა პროფესიული რევოლუციონერის სახლ-მუზეუმი. აქ ნაყოფიერ შეცნიერულ კვლევა-ძიებას ეწევიან მისი მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობის შესასწავლად.

ამ მემკვიდრეობიდან, ამჯერად, ჩვენ მხოლოდ ცნობილ „უმისამართო წერილებს“ შევეხებით. წერილებში პლენანოვი შრომის, თამაშის, აღზრდის, ესთეტიკური გემოვნების წარმოშობის განვითარებისა და მათი ურთიერთდამოკიდებულების საკითხებს განიხილავს.

იგი, უპირველეს ყოვლისა, არკვევს ისტორიის მატერიალისტური გაგების არსს და ნათელყოფს მის უპირატესობას იდეალისტური თვალსაზრისის წინაშე.

პლენანოვი დამაჯერებლად ასაბუთებს, რომ ბუნებისა და საზოგადოებრივი მოვლენების ახსნა, რასაც ვერ ახერხებს იდეალისტური თვალსაზრისი, ისტორიის მატერიალისტური თვალსაზრისის მომარჯვებით სავსებით შესაძლებელია.

თამაშის, აღზრდისა და ესთეტიკური გემოვნების წარმოშობა ერთმანეთთან მჭიდროდა დაკავშირებული. თითოეული მათგანის საფუძველს შრომა წარმოადგენს. ამიტომ აუცილებელია გაირკვეს, თუ განვითა-

რების რა სტადიაზე გადავიდა ადამიანი საკვების უბრალო ძებნიდან შრომაზე. პლენარული საფუძვლიანად განიხილავს ამ საკითხს და ველური ტომების ცხოვრების მეცნიერული ანალიზის საფუძველზე საოცარი სიცხადით წარმოგვისასხავს მეტად რთულ პროცესს.

დასახელებულ წერილებში პლენარული ძირითადად სამი ცნობილი მკვლევარის — კ. ბიუხერის, გ. სპენსერისა და კ. გროსის შეხედულებებს მიმოიხილავს.

ბიუხერის აზრით, საკვების ინდივიდუალური ძებნიდან შრომაზე გადასვლის პროცესზე შეუძლებელია რაიმე წარმოდგენის შექმნა. რადგან, საქმეს ართულებს შრომასა და თამაშს შორის საზღვრის გავლების სიძნელე. ბიუხერი ფიქრობდა, რომ რაც უფრო ახლოს მივიდვართ წერტილთან, საიდანაც შრომის განვითარება იწყება, მით უფრო უახლოვდება შრომა თამაშს ფორმითაც და შინაარსითაც. საბოლოოდ ბიუხერი მიდიოდა იმ დასკვნამდე, რომ თამაში წინ უსწრებს შრომას.

პლენარული ასაბუთებს საკვების უბრალო ძებნიდან შრომაზე ადამიანის გადასვლის დროის დადგენის სრულ შესაძლებლობას. იქედან გამომდინარე, რომ თავდაპირველად საკვების ძებნას ჰქონდა არა ინდივიდუალური, არამედ საზოგადოებრივი ხასიათი.

პლენარულმა მკაცრად გააკრიტიკა თამაშის ბურჟუაზიულ-მექანიკური და იდეალისტური თეორიები. ამ თეორიათა ავტორების აზრით, თამაში ბავშვებში დაგროვილი ჭარბი ენერჯისაგან განთავისუფლებაა, (სპენსერი), ან პატარებისათვის დამახასიათებელი თამაშის თავისებური ინსტინქტი, რაც ადრეული ასაკიდანვე იმ მნიშვნელოვანი ფუნქციების გავარჯიშებას ემსახურება, შემდეგ რომ დიდების საქმიანობაში აღმოჩნდება აუცილებელი (კ. გროსი). პლენარულმა გამოაშკარავა ამ თეორიების ბიოლოგიზმი და იდეალიზმი, დაიცვა და დაასაბუთა მარქსისტული დებულება, რომლის თანახმადაც საბავშვო თამაშობათა საფუძველს შრომა წარმოადგენს.

პლენარულის თეორია თავის დროზე პროგრესულ თეორიად ითვლებოდა, მაგრამ იგი არაა სავსებით გამართული მარქსისტუ-

ლი თეორია. მისი ავტორი უგულებელყოფდა თამაშის სოციალურ არსს და მხოლოდ საწარმოო-ტექნიკური თვალსაზრისით თვლიდა შრომას საბავშვო თამაშობათა წარმოშობის წყაროდ.

რას წარმოადგენს თამაში და რით განსხვავდება იგი შრომისაგან?

პლენარული ეთანხმება იმ მკვლევართა შეხედულებებს, რომელთაც მიაჩნიათ, რომ თამაში უშუალოდ არ ეხმარება ცხოვრებისათვის აუცილებელ პროცესებს და მოთამაშის მოქმედება გარკვეულ უტილიტარულ მიზანს არ ისახავს; მაგრამ თამაშის წყალობით ამოძრავებელი ორგანიზმის გავარჯიშება სასარგებლოა, როგორც მოთამაშისათვის, ასევე, საბოლოოდ, მთელი ტომისათვის. მართალია, ადამიანი ვარჯიშობს უტილიტარული მიზნითაც, მაგრამ უტილიტარულ მოქმედებას, ვარჯიშისა და მისგან მიღებული სიამოვნების გარდა, რაიმე პრაქტიკული მიზნის მიღწევისაკენ მივყავართ (მაგალითად, საკვების მოპოვება). თამაშს კი ასეთი მიზანი არ გააჩნია.

თამაშის შინაარსის შესახებ ბიუხერისა და სპენსერის შეხედულებათა დაპირისპირების გზით პლენარული ასაბუთებს იმ თვალსაზრისის სამართლიანობას, რომელიც თამაშის საფუძვლად შრომას აცხადებს.

სპენსერის აზრით, მტაცებელი ცხოველების თამაში ნადირობა და ჩხუბია. ეს არის მსხვერპლის დევნის დრამატული წარმოდგენა, ე. ი. გარკვეული ინსტიქტების დაკმაყოფილება. აქედან ნათელია ცხოველებთან უტილიტარული მოქმედება წინ უსწრებს თამაშს. ადამიანებში კი, მაგალითად, ბავშვთა თამაშები (თოჯინების ძიძაობა, სტუმრობანა და სხვ.) უფროსების საქმიანობის თეატრალური წარმოდგენაა. ძალიან ხშირად უფროსები თავიანთ მოქმედებაში უტილიტარულ მიზნებს ისახავენ. მაშასადამე, ცალკეული ადამიანისა და მთელი საზოგადოების ცხოვრებისათვის საჭირო მოქმედება აქაც წინ უსწრებს თამაშს და განსაზღვრავს მის შინაარსს. ასეთივე შეხედულები-საა ამ საკითხზე ცნობილი ფსიქო-ფიზიოლოგი ვილჰელმ ვუნდტი. მისი აზრით, თამაში შრომის შვილია; არ არსებობს თამაშის არც ერთი ფორმა, რომელსაც თავისი



ნიმუში არ ჰქონდეს სერიოზული საქმიანობის ამა თუ იმ სახეობაში.

პლექსანოვი სათანადო მაგალითებით ასაბუთებს იმ აზრს, რომ თამაშს წარმოშობს საქმეში ძალების დახარჯებით მიღებული სიამოვნების ხელახლა განცდისადმი მისწრაფება.

ნადირობაზე ძალების დახარჯებით მიღებული სიამოვნების ხელახლა განცდისადმი მისწრაფებით აიხსნება ის, რომ ველურები თავიანთ ცეკვებში ხშირად წარმოსახავენ სხვადასხვა ცხოველთა მოძრაობას. თამაშის ხასიათს მათთან განსაზღვრავს სერიოზული საქმიანობის, ე. ი. ნადირობის ხასიათი. აქედან თვალნათლივ ჩანს — თამაში შვილია შრომისა და შრომა აუცილებლად წინ უსწრებს მას.

მოგზაურები აღწერენ ერთ-ერთი ბრაზილიური ტომის ცეკვას, რომელიც შემადრწუნებელი დრამატიზმით გამოხატავს დაჭრილი მემორის სიკვდილს. რა რას უსწრებს ამ შემთხვევაში — ომი ცეკვას, თუ ცეკვა ომს? პლექსანოვი სამართლიანად აღნიშნავს: ჯერ იყო ომი და შემდეგ წარმოიშვა სხვადასხვა საომარი სცენების ამსახველი ცეკვები. ჯერ იყო შთაბეჭდილება, რაც ველურნი მოახდინა მისი დაჭრილი ამხანაგის სიკვდილმა და შემდეგ გაჩნდა ცეკვის საშუალებით ამ შთაბეჭდილების წარმოსახვისადმი მისწრაფება.

პლექსანოვი უშვებს, შეიძლება ბიუხერმა ომი და ნადირობა არა შრომად, არამედ გართობად ანუ თამაშად მიიჩნიოსო. მაგრამ უდაოა, რომ განვითარების დაბალ საფეხურზე მონადირე ტომებისათვის ნადირობა და ომი მონადირის თავდაცვისა და არსებობის უზრუნველყოფისათვის აუცილებელი მოქმედებაა. ერთი ც და მეორეც სახეებით გარკვეულ უტილიტარულ მიზანს ისახავს და სრული უაზრობაა მათი გაიგივება თამაშთან, რომელიც ასეთ მიზანს არ ისახავს.

პლექსანოვი მკითხველის ყურადღებას მიაქცევს სამხრეთ მინდინაოს ერთ-ერთი მკვიდრი ტომის ბავგობსების იერ მიწის დამუშავების წესს. აქ მიწათმოქმედებას ორივე სქესის ადამიანები მისდევენ. იმ დღეს, როდესაც ბრინჯი უნდა დათესონ, ბავგობსები დილაადრიან იყრიან თავს და

იწყებენ მუშაობას. წინ მამაკაცები მიდიან და ცეკვით არტობენ მიწაში რკინის წურაქვებს. მათ მიჰყვებიან ქალები, რომლებიც ბრინჯის მარცვალს ყრიან მამაკაცების მიერ გათხრილ ორმოებში და მიწით ავსებენ მათ. ჩვენ ვხედავთ თამაშის (ცეკვის) შეერთებას შრომასთან, მაგრამ ეს არ ფარავს შრომასა და თამაშს შორის არსებულ ჭეშმარიტ კავშირს.

თვით ბიუხერი აღნიშნავს, რომ პირველყოფილი ხალხების ბევრი ცეკვა სხვა არაფერია, თუ არა გარკვეული მწარმოებლური მოქმედების შეგნებული მიზანძა. აქედანაც ნათელია — შრომა აუცილებლად წინ უსწრებს ცეკვას. ამის შემდეგ იმის მტკიცება, თითქოს თამაში შრომაზე უფროსია, ბიუხერს აშკარა წინააღმდეგობაში აგდებს.

პლექსანოვს უდაოდ მიაჩნია, რომ ველურისათვის ნადირობა-გართობა სპორტი კი არაა, არამედ — ცხოვრებისათვის აუცილებელი სერიოზული საქმიანობა. იგი მიუთითებს ველურების ცხოვრების მცოდნეთა ცნობებზე: იმ დღეებში, როცა ბუშმენები იძულებული არიან იზიშმილონ, ისინი თავდავიწყებით ეძებენ საჭმელს. დამშუული ადამიანის მიერ საკვების ძებნას, ცხადია, გართობად ვერ მივიჩნევთ.

ბიუხერის აზრით, პირველყოფილ ადამიანს შეეძლო ეცხოვრა უშრომლად; ქვეყნად არსებობდა მრავალი ისეთი ადგილი, სადაც მოიპოვებოდა ბუნების მსამზარეული პროდუქტები: პალმა, პიზანგი, პურის ხე, ქოქოსისა და ფინიკის პალმები და სხვა. ამიტომ ადამიანს ზოგ ქვეყანაში არ ჰირდებოდა არსებობისათვის ძალების მაქსიმალური დაძაბვა.

პლექსანოვი შენიშნავს, რომ ცხელი ქვეყნების ბუნება ადამიანისაგან არ მოითხოვს ძალების იმაზე ნაკლებ დაძაბვას, ვიდრე ზომიერი სარტყლის ბუნება.

პლექსანოვი განაგრძობს ბიუხერთან კამათს და მოჰყავს იმ ქალის მაგალითი, რომელიც ლაშქრობის დროს ტვირთს მიათრევს, სხვა დროს — ძირკვავს ფესვებს, აშენებს საცხოვრებელს, ანთებს ცეცხლს, ფხვკს ტყავს, წნავს კალათს, ხოლო შემდეგ ყანაში მუშაობს. ცხადია, უაზრობა იქნებოდა გვე-





ფიქრა, რომ მთელი ეს საქმიანობა თამაშია და არა მუშაობა.

პლესანოვი იხსენებს ცნობებს, რომელთა მისხედვითაც ინდიელი მამაკაცი ზაფხულში მუშაობს დღეში არა უმეტეს ერთი საათისა, რისთვისაც შეიძლება გართობა გვეწოდებინა. მაგრამ იმავე ტომის ქალი წლის იმავე დროს დღეში ექვს საათს შრომობს. ამ შემთხვევაში ვერ იტყვი, საქმე „თამაშთან“ გვაქვსო. ზამთარში კი მამაკაციც და ქალიც გაცილებით მეტს მუშაობენ, ვიდრე ზაფხულში. ამ დროს კაცი მუშაობს ექვს საათამდე, ქალი კი 10 საათამდე. ეს კი ნამდვილი შრომაა, თუმცა იგი ნაკლებად მომქანცველია, ვიდრე მუშის შრომა ცივილიზებულ საზოგადოებაში.

თავისი დებულების დასამტკიცებლად ბიუსერს მოჰყავს კიდევ ერთი საბუთი. მას მიაჩნია, რომ საზოგადოების განვითარების გარიჟრაჟზე არ არსებობს კულტურულ მონაპოვართა გადაცემა გვარიდან გვარზე, რაც ველურის ყოფას აკლებს ერთ-ერთ ნიშანს — მეურნეობის ყველაზე არსებით თვისებას.

პლესანოვის სიტყვით, რამდენადაც თამაში პირველყოფილ საზოგადოებაში მომავალი სასიცოცხლო ამოცანების შესრულებისათვის ახალგაზრდობის მომზადების ამოცანას ემსახურება, ცხადია, იგი არის თაობათა გამაერთიანებელი ერთ-ერთი კავშირი და სწორედ კულტურულ მონაპოვართა გვარიდან გვარზე გადაცემასე მეთვითებს.

ბიუსერი აღნიშნავს პირველყოფილი ადამიანის ერთ თვისებას, — იგი განსაკუთრებული სიყვარულით ეკიდება, მაგალითად, ნაჯახს; მას თავისი არსების ნაწილად თვლის, რადგან ძალზე დიდი შრომა და ხარჯა ამ იარაღის გაკეთებაზე. მაგრამ ბიუსერს შეცდომად მიაჩნია ვიფიქროთ, რომ ეს ქონება მემკვიდრეობით გადავა შვილსა და შვილიშვილზე და შემდგომი პროგრესის საფუძვლად იქცევა, რადგან ქონება საფლავში იმარხება მის მფლობელთან ერთად.

პლესანოვი ასაბუთებს, რომ საფლავში დამარხულ ნივთთან ერთად არ ქრება ამ ნივთის ხელახლა შექმნის უნარი.

„უმისამართო წერილების“ ამ ნაწილში ვხვდებით საინტერესო ცნობებს ალზრდის შესახებ პირველყოფილ ხალხებში.

მარქსისტული მოძღვრების თანახმად ალზრდა, როგორც სოციალური მოვლენა, მხოლოდ ადამიანთა საზოგადოებისათვის არის დამახასიათებელი და იგი პირველყოფილი თემის შრომითი ცხოვრების პროცესში იხსება.

ამ თვალსაზრისიდან გამომდინარე, პლესანოვი აღნიშნავს, რომ დაბალ საფეხურზე მდგომ მონადირე ტომებში მშობლები ცდილობენ თავიანთ შვილებს გადასცენ მთელი ტექნიკური ცოდნა, რისი შექმნაც მათ თვითონ მოუხერხებიათ. სპეციალისტების ცნობებით, რომლებიც კარგად იცნობენ ავსტრალიის მკვიდრთა ცხოვრებას, ავსტრალიელის ვაჟი, როგორც კი სიარულს დაიწყებს, მამას თან დაჰყავს სანადიროდ და სათევზაოდ, იგი უამბობს და ასწავლის მას სხვადასხვა გადმოცემებს. ასეთივე ცნობები მოგვეპოვება ფილიპინების კუნძულების ზანგებისა და ანდამანის კუნძულების მცხოვრებთა ბავშვების აღზრდის თაობაზე.

ზოგიერთი, ნაკლებად სანდო, მკვლევარის აზრით, ამ საერთო წესიდან გამონაკლისს წარმოადგენენ ვედები, რომლებიც თავიანთ შვილებს თითქოს არ ასწავლიან იარაღის ხმარების ხელოვნებას. პლესანოვი უარყოფს ამ მოსაზრებას. ჩრდილოეთ ამერიკის წითელკანიანებთან გვარი ნიშნავდა განსაკუთრებულ აღმზრდელებს, რომლებიც ახალგაზრდობას გადასცემდნენ პრაქტიკულ ცოდნას, რაც მათ მომავალში შეიძლებოდა დასჭირვებოდათ. კოოსის კაჟრებთან ათი წლის ასაკს გადაცილებული ბავშვები ერთად იზრდებოდნენ ტომის მეთაურის შეუნელებელი ზედამხედველობით, რათა ვაჟები ვაწვრთნილიყვნენ კარგ მხედრებად და მონადირეებად, ხოლო გოგონები საშინაო საქმიანობაში გაწაფულიყვნენ.

პლესანოვი შენიშნავს: თუმცა სამარეში ძალიან ხშირად ნადგურდება მიცვალებულის კუთვნილი ნივთები, მაგრამ ამ ნივთების წარმოების უნარის მემკვიდრეობით გადაცემა გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე გვარიდან გვარზე თვით ნივთების გადაცემა. მიცვალებულის ქონების საფლავში განადგურება, ცხადია, აფერხებს სიმდიდრის დაგროვებას, მაგრამ იგი არ წყვეტს თაობათა ცოცხალ კავშირს პირველყოფილ

საზოგადოებაში. გარდა ამისა, საზოგადოებრივი საკუთრების პირობებში ძალზე უმნიშვნელოა ცალკეული პირის ქონება. იგი შედგება, უპირველეს ყოვლისა, იარაღისაგან.

პირველყოფილი მონადირე-მომომრის იარაღი კი ისეა შეზრდილი მის მფლობელთან, რომ ნაკლებად გამოსადეგია სხვა პირთათვის. ამგვარად, მიცვალბეულ მფლობელთან ერთად იარაღის დამარცხვა საზოგადოებისათვის იმაზე ნაკლები დანაკარგია, ვიდრე ეს შეიძლება პირველი შეხედვით მოგვეჩვენოს. ხოლო შემდგომში, როცა ტუქნიკა განვითარდა და საზოგადოებრივი სიმდიდრე დაგროვდა, ნივთების განადგურება სერიოზულ დანაკარგად გადაიქცა, ამიტომ იგი თანდათანობით შეიზღუდა ან სრულებით შეწყდა.

ბიუსერი ველურებში მშობლიური გრძობის არსებობასაც სკეპტიკურად ეკიდება. მშობლებსა და შვილებს შორის სულიერი კავშირი მას კულტურის ნაყოფად მიაჩნია, ხოლო განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომ ხალხებში ყველაფერს ფარავს საკუთარი არსებობის შენარჩუნებისათვის ზრუნვა.

ძალზე საინტერესოა პლენანოვის შესუდულებები ველურთა შორის მშობლიური გრძობის საკითხზე.

პლენანოვი აღნიშნავს, რომ ავსტრალიელებს სრულიად სამართლიანად მიაკუთვნებენ უმდაბლეს მონადირე ტომებს. ამ ტომის კულტურული განვითარება უბადრუკია, და შესაძლებელია მათთვის ჯერ კიდევ არ იყოს ცნობილი ის „კულტურული მონაპოვარი“, რომელსაც მშობლიური სიყვარული ეწოდება. მაგრამ სინამდვილე არ ამართლებს ამ ვარაუდს: ავსტრალიელებს გაგიჟებით უყვართ თავიანთი შვილები. ისინი ხშირად თამაშობენ ბავშვებთან და ალერსს არ აკლებენ მათ.

განვითარების ძალზე დაბალ საფეხურზე დგანან ცეილონის ველები. ბიუსერი მათ ასხენებს ბუშმენებთან ერთად, როგორც უკიდურესი ველურობის მაგალითს. მაგრამ, სრულიად სანდო ცნობების მიხედვით, ცეილონის ველებიც ერთობ შეყვარებულნი არიან თავიანთ შვილებსა და ნათესავებზე. შვი-

ლების სიყვარულით გამოირჩევიან გამყინვარების პერიოდის კულტურის ტიპური წარმომადგენლები — ესკიმოსები. ასევე ცნობილია სამხრეთ ამერიკელი ინდიელების დიდი სიყვარული თავიანთი შვილებისადმი. მკვლევარები ამ გრძობას ამერიკის მკვიდრთა ხასიათის ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო თვისებად მიიჩნევენ. სპეციალისტთა ცნობებით, საკვების სიმცირისას ბევრ ველურ ტომში მოზრდილები შიმშილობენ, ბავშვებს კი საჭმელს არ აკლებენ. ასევე, შეიძლება მივეუთითოთ აფრიკის მუქკანიანთა შორის უამრავ ტომზე, რომელთაც თავიანთი შვილებისადმი ფაქიზი მზრუნველობით მიიქცეის მოგზაურთა ყურადღება.

მთელი ეს მასალა კატეგორიულად უარყოფს ბიუსერის შეხედულებას.

პლენანოვმა დაძებნა თამაშის წარმოშობის ბიუსერისეული თეორიის შეცდომის ფესვები და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ეს მკვლევარი შეცდომაში შეიყვანა პროფესორ კარლ გროსის თეორიამ, რომელიც შრომას თამაშის შვილად აცხადებს.

გროსის მართებული აზრით, ფაქტები არ ადასტურებს იმ შეხედულებას, თითქოს თამაშს ჭარბი ენერგიისაგან განთავისუფლებისადმი მისწრაფება წარმოშობს. ბავშვები, თუნდაც ძალზე დაქანცულები იყვნენ, მყისვე ივიწყებენ დაღლილობას, როგორც კი თამაშს შეუდგებიან. მათ არ სჭირდებათ ხანგრძლივი დასვენება და ჭარბი ძალების დაგროვება. ინსტინქტი აქეზებს ბავშვებს მოქმედებისაკენ არა მარტო მაშინ, როცა ენერგიის ფილა სავსეა, არამედ მაშინაც კი, როცა ამ ფილაში ერთი წვეთიღაც ჩარჩენილი.

მაგრამ შემდეგ გროსი თვითონ უშვებს შეცდომას და თამაშის წარმოშობის ახალი დეალისტურ თეორიას გვთავაზობს.

გროსი აღნიშნავს, რომ სპენსერის თეორია (გროსი მას შილერ-სპენსერის თეორიას უწოდებს) ცდილობს გაარკვიოს თამაშის ფიზიოლოგიური მნიშვნელობა, მაგრამ იგი ვერ ხსნის თამაშის ბიოლოგიურ მნიშვნელობას. თამაშის ბიოლოგიური მნიშვნელობა კი ძალზე დიდია. თამაშებს, განსაკუთრებით, ახალგაზრდა ცხოველების თამაშებს, სრულიად გარკვეული ბიოლოგიური

მიზანი აქვს. ნორჩ არსებობა თამაში სასარგებლო თვისებათა ვარჯიშს წარმოადგენს. თამაში ამზადებს ნორჩ ცხოველს თავისი მომავალი სასიცოცხლო მოქმედებისათვის. მაშასადამე, თამაში წინ უსწრებს შრომას. ამიტომ გროსი არ ეთანხმება დებულებას, რომ თამაში შრომის შვილია. იგი შრომას აცხადებს თამაშის შვილად.

ცხადია, ეს იგივე შეხედულებაა, რასაც ბიუხერთან შევხვდით და ძნელი მისახვედრი არაა, ბიუხერის შეცდომა მართლაც გროსის შეცდომიდან მომდინარეობს. ამის შემდეგ თითქოს საჭირო აღარაა გროსის შეცდომებზე საგანგებო მსჯელობა, მაგრამ პლენაროვის ყურადღებას ის იქცევს, რომ გროსი საკითხს სხვა კუთხით განიხილავს. მას მხედველობაში აქვს, უპირველეს ყოვლისა, ბავშვების და არა მოზრდილების თამაში.

ამიტომ პლენაროვი ახლა სწორედ ამ კუთხით განიხილავს საკითხს. იგი ხაზს უსვამს თამაშის უდიდეს აღმზრდელობით მნიშვნელობას. მას მიაჩნია, რომ პირველყოფილ ხალხებში საბავშვო თამაშობები, ამავე დროს, ბავშვის მხატვრული ნიჭის აღმზრდელი სკოლაცაა. ბავშვების გართობა კი პირველყოფილ საზოგადოებაში მჭიდროდ უკავშირდება მოზრდილების საწარმოო საქმიანობას.

პლენაროვის აზრით, უტილიტარული მოქმედება საზოგადოების თვალსაზრისით თამაშზე უფროსია, ე. ი. თამაში შრომისაგანაა წარმოშობილი, მაგრამ ინდივიდის ცხოვრებაში, მაგალითად, ომობანას თამაში წინ უსწრებს ომში ნამდვილ მონაწილეობას. ესე იგი, ბავშვები ჯერ თამაშობენ და შემდეგ სწავლობენ.

ეთნოგრაფებისა და ფოლკლორისტების ცნობით ომობანას ხშირად თამაშობენ ავსტრალიელი ბავშვები და ამ თამაშს დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ უფროსები, რადგან იგი (ომობანას თამაში) ანვითარებს მომავალ მეომართა მოქნილობას. იმავეს ვხვდავთ ჩრდილოეთ ამერიკის წითელკანიანებთან, სადაც ასეთ თამაშში ზოგჯერ ასობით ბავშვი მონაწილეობს.

პლენაროვის შეხედულებით, აქ ჩვენს წინაშეა სასიცოცხლო მოქმედებისათვის ახალ-

გაზრდების მომზადების ფაქტი, მაგრამ ეს ფაქტი სულაც არ ადასტურებს გროსის თვალსაზრისს.

ზოგიერთ პირველყოფილ ხალხში არსებული „აღზრდის სისტემის“ მიხედვით ომობანას თამაში წინ უსწრებს ომში ნამდვილ მონაწილეობას. მაშასადამე, ცალკეული მონაწილის თვალსაზრისით, თამაში უფროსია უტილიტარულ მოქმედებაზე. მაგრამ საყურადღებო ის არის, თუ რატომ შეიქმნა აღზრდის ისეთი სისტემა, სადაც ესოდენ დიდი ადგილი უჭირავს ომობანას თამაშს. მიუხედავად იმისა, ამ ხალხებისათვის ძალზე საჭიროა კარგად მომზადებული, ბავშვობიდანვე სხვადასხვა საომარ ვარჯიშს შეჩვეული მეომრები. ამგვარად, ჯერ ნამდვილი ომი და მისგან შექმნილი საჭიროება კარგი მეომრებისა, ხოლო შემდეგ ომობანას თამაში ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებებისათვის. აქედან ნათლად ვრწმუნდებით, უტილიტარული მოქმედება, საზოგადოების თვალსაზრისით, თამაშზე უფროსია.

პლენაროვის მართებული დასკვნით, შრომისა და თამაშის ურთიერთობის საკითხს, ისევე როგორც საზოგადოებრივ მეცნიერებაში წამოჭრილ ყველა სხვა საკითხს, არ შეიძლება განვიხილავენ სხვაგვარად, თუ არა საზოგადოების თვალსაზრისით.

პლენაროვმა პირველმა განიხილა მარქსისტულად თამაში, როგორც ბავშვთა გონებრივი, ზნეობრივი და ესთეტიკური აღზრდის ერთ-ერთი საშუალება. მან ყოველგვარი საფუძველი გამოაცალა ბიუხერის, გროსისა და სხვათა ცდას დაემტკიცებინათ, რომ ჯერ თამაში წარმოიშვა და შემდეგ შრომა. პლენაროვმა დაასაბუთა: თამაშის საფუძველი შრომაა და თამაში შრომის შვილია. დიდია პლენაროვის ღვაწლი ამ სფეროში. მან ფრიალ კეთილშეწყობილი გაგვლენა მოახდინა მთელ იმდროინდელ დემოკრატიულ პედაგოგურ აზრზე.

ბიუხერის შეხედულებებში მცდარია ესთეტიკური გემოვნების წარმოშობისა და მისი ისტორიული განვითარების საკითხიც. მისი აზრით, ადამიანმა პირველად ხელი მოჰკიდა არა არსებობისათვის აუცილებელი საგნების დამზადებას, არამედ თავისი ეს-

თეტიკური მოთხონილებების დაკმაყოფილებას.

ბიუჯერის თვალსაზრისით, სხეულის ტაქტიკურება წინ უსწრებდა შრომისა და თავდაცვის პირველი იარაღების დამზადებას. მაგრამ უამრავი ფაქტით დასტურდება: შრომის იარაღის დამზადება ყოველთვის წინ უსწრებდა ყოველგვარი სამკაულის დამზადებას. პირველყოფილი მონადირის მხატვრობა უტყუარად ადასტურებს იმას, რომ სასარგებლო საგნების წარმოება და საერთოდ სამეურნეო საქმიანობა წინ უსწრებდა ხელოვნების წარმოშობას და აშკარა გავლენას ახდენდა ამ უკანასკნელზე. ადამიანებმა ჯერ ნადირობა დაიწყეს და მხოლოდ ამის შემდეგ მოჰკიდეს ხელი სურათებში თავიანთი ნადირობის ასახვას.

ვეოლუციური მოძღვრების მამამთავარი დარვინი თავის ცნობილ შრომაში „ადამიანის წარმოშობა და სქესობრივი შერჩევა“, საინტერესოდ ასაბუთებდა იმ დებულებას, რომ მშვენიერების გრძნობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ცხოველთა ცხოვრებაში. პლექსანოვის ვარაუდით, აქედან ისტორიის იდეალისტური გაგების მომხრეებს შეეძლოთ გაეკეთებინათ დასკვნა, ბიოლოგია ასწავლის მშვენიერების გრძნობის წარმოშობას.

ქვემოთ დავრწმუნდებით, რომ თავისთავად ფრიად საინტერესო მაგალითები, რომლებიც დარვინს მოაქვს, ვერ გვიხსნის ესთეტიკური გემოვნების წარმოშობას და მით უფრო — ამ გემოვნების ისტორიულ განვითარებას.

დარვინს მიაჩნია—მშვენიერების გრძნობა არაა მხოლოდ ადამიანის განსაკუთრებული თავისებურება; ასეთი გრძნობა განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომ ცხოველებსაც აქვთ. ამ აზრის დასაბუთებლად დარვინს მოჰყავს რამდენიმე მაგალითი იმისა, რომ ერთი და იგივე ფერები და ბგერები ჩვენი მოგვწონს და ცხოველებსაც, რომ მათ ადამიანებზე მათ უნარი განიცადონ ესთეტიკური ტკბობა, ე. ი. ჩვენი ესთეტიკური გემოვნება ზოგჯერ ემთხვევა ცხოველთა გემოვნებას. მაგრამ ეს მაგალითები ვერ გვიხსნის ესთეტიკური გემოვნების წარმოშობას.

დარვინი მიუთითებს, მშვენიერების გაგება ცივილიზებულ ადამიანებში უამრავრთულ იდეასთან და ასოციაციასთან არის დაკავშირებული. ამით დარვინს ბიოლოგიიდან სოციოლოგიაში გადაყვავართ. ეს ფრიად მნიშვნელოვანი აზრია. პლექსანოვის მოსწონს დარვინის ეს აზრი, მაგრამ პლექსანოვს მიაჩნია, რომ მშვენიერების გაგების სხვადასხვა იდეებთან ასოციაციას ადგილი აქვს არა მარტო ცივილიზებულ ადამიანებში, არამედ ველურ ტომებშიც. თავის ამ მოსაზრებას პლექსანოვი მრავალი მაგალითით ასაბუთებს.

აი ეს მაგალითები.

პირველყოფილი ხალხების მორთულობაში ფრიად მნიშვნელოვან როლს ასრულებს ცხოველების ტყავი, კლანჭები და კბილები. მათი ასეთი როლი მხოლოდ ამ საგნების ფერებისა და ხაზების შეხამებით არ შეიძლება აიხსნას. ვეფხის ტყავით, კლანჭებითა და კბილებით, ან ბიზონის ტყავითა და რქებით მორთული ველური ხაზს უსვამს საკუთარ ძალასა და მამაცობას: ის ვინც მამაცს ამარცხებს, თვითონაა ძლიერი, ის ვინც ძლიერს ამარცხებს, თვითონაა ძლიერი. სხვადასხვა ველურ ტომებში ზემოთაღმოთვლილ საგნებს, ცხადია, ჯერ ატარებდნენ, როგორც მამაცობის, სიმარჯვასა და ძალის გამომხატველ ნიშნებს და მხოლოდ შემდეგ დაიწყო ამ საგნებით ესთეტიკური გრძნობის გამოწვევა; ისინი სამკაულებად იქცნენ.

ბევრ აფრიკულ ტომში ქალები ხელებსა და ფეხებზე რკინის რგოლებწამოცმულნი დადიან. მდიდრების ცოლები ხშირად ერთ ფუთამდე ასეთ სამკაულს დაატარებენ. მიუხედავად უხერხულობისა, ისინი მაინც სიამოვნებით ეგუებიან მათ. ზანგ ქალს სიამოვნებს ასეთი ჯაჭვებით „მოჯანგა“, რადგან ამ „სამოსში“ თავი ლამაზი ჰგონია. პლექსანოვის აზრით, ასეთი მორთულობით გატაცებულნი არიან სწორედ ის ტომები, რომლებიც ამჟამად რკინას ძვირფას ლითონად თვლიან. ძვირფასი ლამაზია იმიტომ, რომ მასთან სიმდიდრის იდეის ასოციაციაა დაკავშირებული. დინკის ტომის ქალი მაშინ უფრო ლამაზად ეჩვენებათ, როცა იგი, ვთქვათ, რკინის ოც რგოლს ატარებს, ვიდრე მაშინ, როცა იგივე ქალი მხო-



ლოდ ორ ასეთ რგოლს ატარებდა და, მამა-სადამე, უფრო ღარიბი იყო. ცხადია, აქ საქმე რგოლების სილამაზეში კი არა, სიმდიდრის იმ იდეაშია, რომლის ასოციაციასაც მშვენიერების ასეთი გაგება წარმოშობს.

ბატოკის ტომში უშნოდ ითვლება ის, ვისაც ზედა კბილები არა აქვს დამძვრალი. სილამაზის ეს უცნაური გაგებაც გარკვეული იდეის ასოციაციის შედეგადაა წარმოშობილი: ბატოკები მესაქონლე ტომია, სადაც გაღმერთებული ძროხა და ხარი. როცა ზედა კბილებს იძროხენ, ბატოკები ცდილობენ ამ ცხოველებს დაემსგავსონ. როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაშიც ისაა ლამაზი, რაც ძვირფასია და კონკრეტულ ესთეტიკურ წარმოდგენას ამ შემთხვევაშიც სრულიად გარკვეული იდეა წარმოშობს.

მაკოლოლოს ტომის ქალები ზედა ტურს იხვრეტენ და შიგ იყრიან ლითონის ან ბამბუკის დიდ რგოლებს, რასაც აქ პელელეს უწოდებენ. დასახელებული ტომის ერთ-ერთი წინამძღოლი ძალზე გაუკვირვებია შეკითხვას, თუ რატომ ატარებენ ქალები ამ რგოლებს. მას ასეთი პასუხი გაუცია: „სილამაზისათვის! ესაა ქალების ერთადერთი სამკაული. მამაკაცებს წვერი აქვთ. ქალებს არა აქვთ იგი. რა იწებოდა ქალი პელელეს გარეშე?“

ჩამოთვლილი მაგალითების საფუძველზე პლექანოვი დაასკვნის, რომ საგანთა ფერის თუ ფორმის შესამებით გამოწვეული შევრძნება პირველყოფილ ხალხებშიც ასოცირდება გარკვეულ იდეებთან და ამ ხალხებს ბევრი სამკაული მხოლოდ ასეთი ასოციაციის წყალობით ეჩვენებათ ლამაზად. კითხვაზე, თუ რა იწვევს ამას, საიდან მოდის ის რთული იდეები, რომლებიც ჩვენში სხვადასხვა საგნებით გამოწვეულ შევრძნებებთან ასოცირდებიან, შეიძლება უპასუხის მხოლოდ სოციოლოგმა და არა ბიოლოგმა. ამ მოვლენების მეცნიერულ ახსნას ისტორიის მატერიალისტური გაგება უზრუნველყოფს. ეს გაგება გვარწმუნებს — აღნიშნული იდეები საზოგადოების საწარმოო ძალების მდგომარეობით, მისი ეკონომიკითაა წარმოშობილი და განპირობებული.

პლექანოვის მართებული აზრით, ადამიან-

ნების ზნეობრივ წარმოდგენებში არაფერი არაა აბსოლუტური; ისინი იცვლებიან მათი ცხოვრების პირობების შეცვლასთან ერთად. დარვინთან პასუხს ვერ ვპოულობთ კითხვაზე, თუ რა ქმნის ამ პირობებს და რა იწვევს მათ ცვლილებებს. ისტორიის მატერიალისტური გაგების მომხრეებმა დაასაბუთეს, რომ ამ პირობებს ქმნის საწარმოო ძალების მდგომარეობა და ისინი იცვლებიან საწარმოო ძალების განვითარების შესაბამისად. ამით მათ შეავსეს დარვინის ნათქვამი, ახსნეს ის, რაც დარვინს დარჩა აუხსნელი. დარვინი განიხილავდა ადამიანის, როგორც ზოოლოგიური სახეობის, წარმოშობას. მატერიალისტური თვალსაზრისის მომხრენი კი ამ სახეობის ისტორიული ბედით დაინტერესდნენ. მათი კვლევის სფერო იქ იწყო, სადაც დარვინისტიების კვლევის სფერო დამთავრდა.

პლექანოვი აღნიშნავს, რომ ადამიანს, ისე როგორც ბევრ სხვა ცხოველს, ახასიათებს მშვენიერების გრძობა, ე. ი. მას აქვს გარკვეული საგნისა თუ მოვლენის გავლენით ესთეტიკური კმაყოფილების განცდის უნარი. თუ სახელდობრ რომელი საგანი ან მოვლენა გერის მას ასეთ კმაყოფილებას, დამოკიდებულია პირობებზე, რომელშიც იზრდება, ცხოვრობს და მოქმედებს ადამიანი. ბუნება ადამიანს უქმნის პირობებს და აძლევს შესაძლებლობას, აქონდეს ესთეტიკური გემოვნება და ესთეტიკური წარმოდგენები. ამ შესაძლებლობის სინამდვილედ გადაქცევას განსაზღვრავს ადამიანის გარემომცველი პირობები. ამ პირობებით აიხსნება ის, რომ კონკრეტულ ადამიანს, საზოგადოებას, ხალხს თუ კლასს აქვს სწორედ ასეთი და არა სხვაგვარი ესთეტიკური გემოვნება და წარმოდგენა.

ისტორიის მატერიალისტური გაგების მომხრეებს მიაჩნიათ, რომ ადამიანის ბუნება ცვალებადია.

პლექანოვი ლაპარაკობს ადამიანის ბუნების ისეთ თვისებაზე, როგორიცაა წაბაძვისადმი მიდრეკილება, რომელიც ყოველთვის დიდ როლს ასრულებდა მთელი ჩვენი იდეების, გემოვნების, მოდებისა და ზნე-ჩვეულებების ისტორიაში.

წაბაძვის უდიდეს მნიშვნელობაზე ჯერ

კიდევ მე-18 საუკუნის მატერიალისტები მიუთითებდნენ. პელეგეუსი ამბობდა, ადამიანი მთლიანად წაბაძვისაგან შედგებაო. წაბაძვის კანონების შესახებ საინტერესო გამოკვლევების ავტორი ტარდი წაბაძვაში ხედავდა საზოგადოების სულს. პლენანოვი აქვე იმასაც შენიშნავს, რომ ამ მოაზროვნემ ყალბ საფუძველზე წარმართა წაბაძვის კანონების კვლევა.

პლენანოვი იმოწმებს დარვინის „ანტი-თეზის დასაწყისსა“ და ჰეგელის „წინააღმდეგობას“ (რაც იგუხვია) და ამბობს, ცხოვრებაში ყოველთვის როდი გვაქვს საქმე წაბაძვასთან. გარკვეულ პირობებში ადამიანები ავლენენ არა წაბაძვისადმი, არამედ წაბაძვის სრულიად საწინააღმდეგო მისწრაფებას. ესაა წინააღმდეგობისადმი მისწრაფება. ამის მაგალითად პლენანოვი იღებს სტიურატების რესტავრაციას, რომელმაც დროებით აღადგინა ინგლისში ძველ მემამულეთა ბატონობა. მაშინ ინგლისელი მემამულეები ოდნავ მისწრაფებასაც კი არ ამჟღავნებდნენ, წაებაბათ რევოლუციური წვრილი ბურჟუაზიის უკიდურესი წარმომადგენლებისათვის — პურიტანებისათვის. პირიქით, მათ უძლიერესი მიდრეკილება ჰქონდათ იმ ჩვეულებისა და გემოვნებებისადმი, რომლებიც პირდაპირ ეწინააღმდეგებოდნენ ცხოვრების პურიტანულ წესებს. მოდად იქცა იმის სიყვარული და კეთება, რაც პურიტანებს სძულდათ და რასაც ისინი კრძალავდნენ. პურიტანები ძალზე რელიგიურები იყვნენ. რესტავრაციის დროინდელი საერო პირები კი თავიანთი უდმერთობით იწონებდნენ თავს. პურიტანებში დევნიდნენ ლიტერატურასა და თეატრს.

პლენანოვი იხსენებს ველური ტომების მეტად თავისებურ ჩვეულებებს. მაგალითად, ზანგი ქალი უსამკაულოდ არ გამოდის სახლიდან, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა იგი ძაძებს ატარებს. ცხოვრების ჩვეულებრივი მიმდინარეობის პირობებში ნორმალურად ითვლება ჭუჭყიანი ტანსაცმლის სუფთა ტანსაცმლით შეცვლა. მაგრამ, როდესაც კვდება ადამიანი, რომელსაც ტომში მნიშვნელოვანი მდგომარეობა ეკავა, აფრიკის მრავალი ტომის ადამიანი იცვამს ჭუჭყიან ტანსაცმელს. კუნძულ ბორნეოს მცხოვრებ-

ლებმა კარგა ხანია ხელი აიღეს ხის ქერქისაგან დამზადებულ სამოსელზე და ჩვეულებრივ პირობებში ისინი ბამბეულისაგან დამზადებულ ტანსაცმელს ატარებენ. გლოვისას კი ეს ხალხი ისევ ხის ქერქით იმოსება. არიან ხალხები, რომლებიც გლოვას გადაბრუნებული ტანსაცმლის ტარებით გამოხატავენ.

პლენანოვი დამაჯერებლად ასაბუთებს ადამიანის ესთეტიკური გემოვნების ასეთივე გზით განვითარების ფაქტს.

მაგალითად, სენეგამბიაში მდიდარი ზანგი ქალები ძალზე ვიწრო ფეხსაცმელს იცმევენ. ამის გამო ისინი უხერხული სიარულით გამოირჩევიან. მაგრამ სწორედ ასეთი სიარული ითვლება აქ მიმზიდველად. დარიბი და მშრომელი ზანგი ქალები ასეთ ფეხსაცმელს არ იცმევენ. ამიტომ ისინი ჩვეულებრივად დადიან. მათ არ შეუძლიათ ისე იარონ, როგორც მდიდარი კვლუცები დადიან, რადგან ასეთი სიარული დიდ დროს საჭიროებს. მდიდარი ქალების სიარული სწორედ იმიტომ ეჩვენებათ აქ მიმზიდველად, რომ ასეთ ქალებს დრო ძვირად არ უღირთ, — ისინი არ შრომობენ. ასეთ სიარულს თავისთავად არავითარი აზრი არა აქვს, მაგრამ მნიშვნელობას იძენს მხოლოდ იმით, რომ იგი სამუშაოთი დატვირთული დარიბი ქალების სიარულის საწინააღმდეგო სიარულია. ცხადია, ამას საფუძვლად უდევს საზოგადოებრივი მიზეზი, სახელდობრ, ქონებრივი უთანასწორობის არსებობა სენეგამბიის ზანგებს შორის.

ასეთია პლენანოვის თვალსაზრისი ესთეტიკური გემოვნების წარმოშობისა და მისი ისტორიული განვითარების შესახებ.

როგორც დავინახეთ, მთელი რიგი საზოგადოებრივი მოვლენების გარკვევისას ჩიხში მოექცა ყველა მკვლევარი, რომელიც ამ მოვლენებს იდეალისტური თვალსაზრისით განიხილავდა. პლენანოვმა კი მატერიალისტური თვალსაზრისის მომარჯვებით ნათელი მოვიხილა შრომის, თამაშის, აღზრდისა და ესთეტიკური გემოვნების წარმოშობის და მათი ურთიერთდამოკიდებულების საკითხებს, რითაც მან მარქსისტული პედაგოგიური აზროვნების განვითარებაშიც ფრიად მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა.

# ჩინი ქუცუნებანი

გუგამ გუგინთალი

## წმინდა პური არსობისა

(კარლო კალაძის დაბადების 60 წლისთავის გამო)

— ეს ლუკმა ლექსიც საარსებო პურია წმინდა, ჩემო კარგებო, პური თქვენთან გავტეხო, მინდა! — ასე გულმართლად მიმართა კარლო კალაძემ ერთ-ერთ ლექსში თავის მკითხველს. პოეტისათვის ქართული სიტყვა ერთი ლუკმა წმინდა პურია, ხოლო ლექსი კი მოძმეთა და მოყვასთა დასაბურებლად თონიდან მთვარესავით ამოფრენილი შოთი პური.

ქართველ კაცსაც ყოველთვის სიამოვნებდა თავის საყვარელ პოეტთან ერთად პურის გატეხვა, მისი ლექსები თუ პოემები გონების საზრდოდ და სულის საამოდ ესახებოდა. კარლო კალაძემ კლასიკური პოეზიის ტრადიციები შეისისხსნორცა და თავის შემოქმედებას უპირველესად მშობელი ერის ალალი და შეუფარავი სამსახური დააკისრა. დღემდე ამ ერთგულებით იყო პოეტი გამსჭვალული და დიდი წინასწარმეტყველება არა სჭირდება იმის მტკიცებას, რომ არც მომავალში დაიღლება ხალხის სიყვარულით. ეს მაღალი მიზანდასახულება თუ სულისკვეთება აძლევს ყველაზე მეტ ძალას, მნიშვნელობას პოეტის ნათქვამსა და სათქმელს. სათქმელი კი ბევრი ჰქონდა და აქვს კარლო კალაძეს,

რადგან სულ ახალგაზრდამ, ცამეტი-თოთხმეტი წლისამ, დაუკავშირა თავისი ცხოვრება ხალხის ისტორიულ სეებედს; მისი ლექსები საბჭოთა საქართველოსთან ერთად დაიბადნენ და აგერ ნახევარი საუკუნეა, რაც ისინი პოეტთან ერთად იზრდებიან და მწიფდებიან.

პროფესიონალი რევოლუციონერების ოჯახში აღზრდილი პოეტისათვის არა ყოფილა საუკუძმანო ახალი ცხოვრების მიღება-არმიღების საკითხი. მან თავიდანვე დაუკავშირა თავისი ცხოვრებაცა და კალამიც ახალ საქართველოს, თავისი ერის ახალი იდეებით განათებულ გზას. კარლო კალაძე ერთი პირველთაგანი იყო პროლეტარულ მწერლებს შორის და ერთ-ერთი იმ მცირერიცხოვანთა შორის, ვინც თავისი ნიჭისა და სულიერი სიმდიდრის მეოხებით მტკიცედ დაიმკვიდრეს ადგილი ქართულ მწერლობაში.

იროდიონ ევდოშვილისა და ვლადიმერ მიჩაიკოვსკის რევოლუციურმა შემართებამ მისცა დასაბამი კარლო კალაძის შემოქმედებას ოციანი წლების დასაწყისში და მას შემდეგ პოეტი, თავისი ერის მესაიდუმლე და მემატიაწე, ერთგულად ემსახურება საბჭოთა საქართვე-

ლოს. ბევრი რამ ნახა და განიცადა ამ ხნის მანძილზე, ბევრი რამ ვაიგო და შეითვისა. და ცხოვრებიდან შეძენილი აზრი და გრძნობა პოეტური სიტყვით კვლავ დაუბრუნა ერს, ვით „პური არსობისა.“

ამ ხნის მანძილზე პოეტი ერთხელაც არ დაღლილა, არ ჩაუმუხლავს, სული არ მოუთქვამს. ერთგულად და მხნედ მოპყვება ცხოვრებას და არცერთი მნიშვნელოვანი მოვლენა არ დარჩენილა ამ შესანიშნავი შემოქმედის ინტერესების მიღმა. იგი მუდამ ახალი ცხოვრების მშენებელთა და მისი ინტერესების დამცველთა პირველ რიგებში მიაბიჯებდა და მიაბიჯებს.

„ჩემს პირველ სიტყვებს მხოლოდ ბრძოლისა და თავისუფლების წყურვილით ვრამზავდი. ცისა და მიწის სილამაზეს გული დაუთმე უფრო გვიან, როცა თვალი წიგნებს შევაჩვიე, როცა საკუთარმა დღეებმა და ღამეებმა ჩამაფიქრეს“, — წერს პოეტი.

ეს წყურვილი არასოდეს განელეზა კარლო კალაძეს თავის პოეზიაში. გავიხსენოთ მისი პირველი ლექსები: „მხედრულა“ ან „ძახილი აღმოსავლეთს“, ოცდაათიან წლებში დაწერილი ციკლები „მთების ეპოსი“ და „ხერთვისის განთიადები“ თუ „პოემა „უჩარღიანი“, დიდი სამამულო ომის გამართული დღეებით შთაგონებული ლექსები „მეხვედრები ბრძოლის ველზე“ და პოემა „მზე ცეცხლის კვამლში ამოდიოდა“, ომის შემდგომი ცხოვრების მშვიდობიანი და შემოქმედებითი შრომით აღსავსე ციკლი „ისევ მშობლიურ სოფელში“, ან სულ უკანასკნელ ხანს დაწერილი ლექსები. გავიხსენოთ ყოველივე ეს და ნათელი გახდება, რომ პოეტი მუდამ ბრძოლისა და შრომის წინა ხაზზე იყო და არის. ისიც სწორია, რომ „ცისა და მიწის სილამაზეს“ უფრო მოგვიანებით ეზიარა კარლო კალაძე, მაგრამ ამას ოდნავადაც არ გაუნელებია პოეტის მაღალი მოქალაქეობრივი გრძნობა.

კარლო კალაძე მარტო პოეტური სიტყვით როდი ემსახურება ქართულ

მწერლობასა და კულტურას. მისი პოემები „როგორ“, „ხატიჯე“, „სახლი“ მტკვრის პირას“ ქართული საბჭოთაო დრამატურგიის თავფურცელია. ბევრ საბჭოთა დრამატურგს არ ღირსებია კოტე მარჯანიშვილთან ერთად შემოქმედებითი მუშაობა, ხოლო კარლო კალაძე, თუ არ ვცდები, ერთადერთია, რომლის სამი პიესის დადგმაც განაზოცილებო ბრწყინვალე რეჟისორმა. კოტე მარჯანიშვილისა და კარლო კალაძის ურთიერთობა და თანამშრომლობა ერთი საუკეთესო ფურცელია არა მხოლოდ პოეტის ბიოგრაფიაში, არამედ საერთოდ ქართული თეატრის მოღვაწეებისა და ქართველი მწერლების შემოქმედებითი მეგობრობის ისტორიაში.

ახლა, როდესაც თვალს გადავაკლებთ კარლო კალაძის განვლილ შემოქმედებით გზას, ჩვენთვის ნათელი ხდება მისი სისხლსავსე, დაძაბული, შემართებული ცხოვრება და ის დიდი ღვაწლიც, რომელიც მან ქართულ მწერლობას დასდო.

საერთოდ, მწერლის შემოქმედების გახსნისა და გაგებისათვის ხშირად ჩვენ დიდ ყურადღებას ვაქცევთ ცხოვრებისეულ მოვლენებს, რომლებიც აყალიბებენ და ამძაფრებენ აზრსა და გრძნობას (ეს აუცილებელიცაა, უამისოდ ვერც ვერაფერს გავხსნით და ვერც ვერაფერს გავარკვევთ), მაგრამ ნაკლებ მნიშვნელობას ვანიჭებთ ხოლმე თვით მწერლის ბუნებასა და ხასიათს, რაც არანაკლებ განსაზღვრავს მისი პოეზიის სულს.

კარლო კალაძის პოეზიის მოტივებისა და განწყობილების, მისი სულისკვეთების მისახვედრად და მისანიშნებლადაც კი მარტო მწერლის ბიოგრაფიაში გარკვევა არა კმარა, ამისათვის მისი ხასიათის ცნობაცაა საჭირო. იმედია, ხალისიანი განწყობილება, რომელსაც პოეტი თავისი შემოქმედებით გვინერგავს, მხოლოდ ახალი ცხოვრების პერსპექტიულობით არ აიხსნება. ამაში არანაკლები დამსახურებაა თვით პოეტის მხნე ბუნებისა, სამყაროს ოპტიმისტური ხილვისა. სწორედ ამ ისტორიული ვითარებისა და პოეტის საკუთარი ბუნების



ბედნიერმა ურთიერთდამთხვევამ წარმოშვა კარლო კალაძის სიცოცხლითა და სიხალისით სავსე შემოქმედება, რომელიც მუდამ, თვით ყველაზე მძიმე წლებშიც კი, მხოლოდ იმედითა და ენერგიით ასაზრდოებდა მკითხველს. სწორედ თავისი მხნე და ხალისიანი ბუნების გამო, წასაიათის სიმტკიცის წყალობითაა, რომ კარლო კალაძეს არასოდეს განუტეია ადამიანის ტვინისა და გულისმღრღნელი დაეჭვებები, უიმედობა, შიში. მაშინაც კი, როდესაც პოეტი სოფლად კლასთა ბრძოლის მძაფრი სურათების მოწმე იყო, მაშინაც, როცა კავკასიონთან მომდგარი მტრის ქვეშევნის ხმა ესმოდა, მას ერთი წუთითაც არ დაუკარგავს სიმხნევე და ხალისი. ეს მისი ბუნებისა და ხასიათის სიძლიერეზე ლაპარაკობს მხოლოდ.

რა თქმა უნდა, ამ პირადმა თვისებებმაც განაპირობეს პოეტის მეტწილად ამალღებული და ამღერებული ხილვა ცხოვრებისა.

კარლო კალაძეს უპირატესად აინტერესებს კეთილი მხარეები ცხოვრებისა და ადამიანებისა, ამითაა აღტაცებული, ამას უმღერის, ამ განწყობილებას გვიზიარებს, ამაში გვარწმუნებს. შეგვიძლია გავიხსენოთ არა მხოლოდ ის ლექსები, სადაც ცხოვრების სიყვარული და მისი ნათელი მხარეების ხილვა პირდაპირ და უშუალოდაა გადმოცემული, არამედ ისინიც, რომლებშიც პოეტური მსჯელობით ან ალევგორიული მინიშნებებით მწერალი მხატვრულად ასაბუთებს თავისი პოზიციის სისწორეს. საკმარისია ერთმანეთს შევადაროთ მისი შესანიშნავი ლექსები „საქართველოსკენ იჩქარის გული“, „ქვევრები“, „გუდასტვირი და ღვინის გუდა“, რომ ეს ნათელი გახდეს ჩვენთვის.

„საქართველოსკენ იჩქარის გული“ — ესაა გულიდან ამონანეთქი საღიდებელი სამშობლოზე თავდავიწყებით შეყვარებული მამულიშვილისა. სიხარულით გულამღერებულ პოეტი ვერ ახერხებს და არცა ცდილობს თავისი მოზღვავებული ვრძნობების შეკავებას:

გემზე ათასი ვინმეა, მესმის ჩემი ბატარა ქვეყნის დიდება,  
ვუცქერი წარსულს, ვუცქერი მერმისს,  
მინდა ეიმღერო და მერიდება!  
ხალხო, ამ ქვეყნის დილო მხატვარო,  
ოფიონ შენა ხარ ქვეყნის დიდება,  
მე კი რამდენი რა ვადაუთვალო,  
ალევიც აღარ მყოფნის თითებად!

ჩვენთვის ნათელია კარლო კალაძის პოეზიის განმსაზღვრელი განწყობილებებიც, მისი მაჟორული ელერაც, ხალისითა და იმედით სისავსეც, ახალი ცხოვრებით ტკბობაც, სამშობლოსა და ხალხის სიყვარულის გულიდან აღმოშნადარი სიმღერაც. ამ განწყობილებითა და გრძნობებითაა შექმნილი მისი საუკეთესო ლექსები. ამითაა პოეტის „სულიერი ქვევრი“ სავსე, საიდანაც გადმოდინდება მთელი მისი პოეზიაც, რომლის აზრისა და სულისკვეთების გამოხატულებაცაა, თუ ამას ერთ ლექსს დავაციონებთ, „მგზავრული“.

ცხოვრების შეაგზაპე პოეტი ჩააფიქრა წუთისოფლის სიმოკლემ და მის პოეზიაშიც თავი იჩინა განვლილი ცხოვრების ანალიტიკურმა ჭკრტამ. ამისი ნიმუშია ლექსი „ეს რა დიდებულ დღეს დავესწარი“. „ვარ მოყვარული ამ წუთისოფლის და რაც აქ ვნახე, იმით მდიდარიო“ — ამბობს პოეტი და ამაში, ვინც კარლო კალაძესა და მის პოეზიას იცნობს, არ შეიძლება არ დაეთანხმოს:

მთაო ჰალარავ, მთაო ხნიერო,  
ზღვის წინ დამიგე ეგ ნაბდის კალოა,  
მინდა მზის ჩასვლა ვათვალიერო,  
არაფერს წავშლი ღრუბლების გარდა.

ვერც კი მოვასწარ ხმის შემადლება დღემ სოფელს ისე გადაუარა,  
ნუთუ შენ მაინც არ გენაღვლება —  
ხვალ აქ ამოვალ ისევ, თუ არაა?!

ასეთი, თითქოს სევდანარევი სტრიქონებიცაა ლექსში, მაგრამ ეს ალბათ მხოლოდ წამიერი დაეჭვების შედეგია. სიცოცხლითა და სიხალისით სავსე პოეტისათვის ჭერ ადრეა „მზის ჩასვლის თვალიერება“, ხოლო ქართველ მკითხველს კი დიახაც ენაღვლება, „ხვალ აქ ამოვა ისევ, თუ არა“ იგი და გულით უსურვებს მას დიდხანს სიცოცხლეს.

გაქან ბარაკვილიძე  
თამაზ ებანოიძე

## მეცნიერი და ალფრდელი

(აკადემიკოს ილია ვეკუას დაბადების 60 წლის ბამო).

ჩვენს დროში, როდესაც მეცნიერება ეროვნული პრესტიჟის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტი გახდა, ქართველი ხალხი ამაყობს თავისი საქვეყნოდ განთქმული სწავლულებით.

თანამედროვე მათემატიკურ ფიზიკაში ხშირად შეზღვევით ისეთ გამოკვლევას, მონოგრაფიას ან სახელმძღვანელოს, რომელშიც მითითებულია იმ დიდ ღვაწლზე, რაც ამ დარგში ქართული მათემატიკური სკოლის ბრწყინვალე წარმომადგენელს, აკადემიკოს ილია ვეკუას მიუძღვის.

ილია ვეკუა თანამედროვე მათემატიკის იმ თავაკათა რიგებში ღვას, რომელთაც წილად ზედათ ახალ, მეტად მნიშვნელოვან მეცნიერულ მიმართულებათა ფუძემდებელნი გამხდარიყვნენ. გამოყენებითი მათემატიკა, მეცნიერების შედარებით ახალი დარგი, ილია ვეკუას უმადლის პირველხარისხოვან, ფუნდამენტურ შრომებს, რომელთა მნიშვნელობა შორს ვასცდა ჩვენი სამშობლოს ფარგლებს. სწორედ ამიტომ, ამ უკანასკნელი ათი წლის მანძილზე არც ჩვენში, არც საზღვარგარეთ თითქმის არ ჩატარებულა მათემატიკოსთა ისეთი თავყრილობა, რომელს აქტიური

მონაწილე არ იყოს ეს ახოვანი, გრუზა, ქალარა თმით დამშვენებული ვაქაკი. ამერიკისა და ევროპის უმაღლეს სასწავლებლებს არაერთხელ მიუწვევიათ იგი ლექციების წასაქითხად. წყნარი, ოდნავ დაბალი, მაგრამ მტკიცე და დამაჯერებელი ხმით ესაუბრება აუდიტორიას მათემატიკის ურთულეს პრობლემებზე და ეს ყოველთვის არის საბჭოთა მათემატიკური აზრის დღესასწაული.

ილია ვეკუა კაბინეტური მეცნიერი როლია, იგი კომუნისტი მოღვაწეა და ყოველთვის იქ არის, სადაც სახალხო საქმე მოუწოდებს. მას, მეცნიერს, ორგანიზატორსა და დიდი საქმეების კაცს, კიდევ უფრო ამაღლებს ნამდვილი ადამიანური თვისებები: „ზოგს ალბათ ჰგონია, რომ ასეთ ბუმბერაზ მეცნიერს ბევრი უცნაურობა უნდა ახასიათებდეს, — წერს მისი მოწაფე, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ანდრო ბიწაძე, — არამეცნიერულ ვითარებაში ილია ვეკუა სრულიად ჩვეულებრივი ადამიანია და შესაძლოა მას ცხოვრებაში შეემთხვეს ყველაფერი, რაც ჩვეულებრივ ადამიანს მოსდის. ერთი უდავოა: გულკეთილობაში მას იშვიათად თუ ვინმე შეეცილება“. ეს უგრძობ-

ნია ყველას, ვისაც რაიმე ურთიერთობა ჰქონია ამ მაღალი ნიჭისა და დიდი ბუნების ადამიანთან.

ილია ვეკუაშა თავისი „მიწის მუშა“ წინაპრებისაგან მემკვიდრეობით მიიღო: ვაჟკაცური ხასიათი, შეზავებული ასევე ვაჟკაცურ გარეგნობასთან, ნაჭედი ნებისყოფა და განსაკუთრებული სულიერი წონასწორობა, რომელიც არ ღალატობს მას არც ჭირსა და არც ლხინში. ამით ერთნაირად ხიბლავს იგი დარბაისელ აკადემიკოსებსაც და იმით, ვისთვისაც ძვირფასია მარლიანი ხუმრობაც.

არ არსებობს ისეთი პატივი და ღირსება, რომელიც სამურზაყანოელი გლეხის შვილს ილია ვეკუას არ დაემსახურებინოს: დაწყებული უმაღლესი სამეცნიერო ხარისხებითა და წოდებებით, გათავებული მთავრობის მაღალი ჯილდოებით, სახელმწიფო და ლენინური პრემიებით. საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობით.

ეს არის ფართო გზა, რომელიც ქართველი კაცის ნიჭს მისცა საბჭოთა ხელისუფლებამ.



1907 წლის გაზაფხული იყო, აპრილის თვე. ძველი სამურზაყანოს ერთ პატარა სოფელში, შეშელეთში, თოფი გავარდა. „მიწის მუშას“ ნესტორ ვეკუას და მის „რჯულიერ ცოლს“ ლიზა აფშილავას ასულს (ასეა აღნიშნული სოფლის მღვდლის მიერ გაცემულ დაბადების მოწმობაში) ვაჟი შეეძინათ. ვაჟს ილია დაარქვეს, დიდი პოეტის ილია ჭავჭავაძის პატივისცემით. საერთოდ ამ ოჯახში ქართული მწერლობისა და ისტორიული წარსულის სიყვარული იმთავითვე არსებულა. ნესტორ ვეკუას ცოტა მიწა ჰქონდა და დიდი ოჯახი. წლებზე ფეხს იდგამდა და შვილებიც ადრე შეეჩვივნენ შრომას, ხელგარჯილობას, ოფლით მოპოვებული ლუკმის პატივისცემას. ოჯახში პატიოსნების, სიმართლისა და ვაჟკაცობის კულტს ნერგავდა თედო ბაბუა. თედო ვეკუას — სამეგრელოს

გლახთა ცნობილი აჯანყების ერთ-ერთი მეთაურის მართალია თოდუას სიძეს — გამორჩევი ჰყვარებია შვილიშვილი და ანდერძად დაუგდია: რაც არ უნდა დაგიკდეთ, ამ ბავშვს სწავლა მიაღებინეთო. საშუალო სასწავლებელი მაშინ კარგა მოშორებით, ზუგდიდში იყო და ნესტორსაც არაფერი დაუზოგავს, რომ შვილი სასწავლებლად გაეგზავნა.

მსოფლიო ომისა და რევოლუციური ბრძოლების დროში ეს არც ისე ადვილი იყო დარბი გლახისათვის. როდესაც, თურმე, მამაჩემმა მარჩენალი ხარ-კამეჩი გადადენა ეზოდან, — ღიმილით იგონებს აკადემიკოსი ილია ვეკუა — ერთ მეზობელს შეუტყუაღებია: „რას შვრები, აქევე ოჯახსო!“ „რა ვქნაო, — უთქვამს მამაჩემს, — ბიჭს უნდა ვასწავლოო“. „ასწავლო, თორემ პროფესორი არ გამოვიდესო“, — ჩაუტყვევია ხელი მეზობელს.

ზუგდიდის შრომით სკოლაში, სადაც სასწავლებლად შევიდა ილია ვეკუა, თავს იყრიდნენ დიდი იაკობ გოგებაშვილის ტრადიციებზე აღზრდილი პედაგოგები, რომლებიც ახალგაზრდას უვითარებდნენ არამარტო ცოდნის სიყვარულს, არამედ მაღალ მოქალაქეობრივ თვისებებსაც. ამაში დიდი ღვაწლი მიუძღოდა სკოლის გამგეს ნ. ნადარეიშვილს. და რომ არ ყოფილიყო მათემატიკის მასწავლებელი არტემ ჭიჭინია, ვინ იცის, როგორ წარიმართებოდა ილია ვეკუას მომავალი. ამ ტანმაღალ, მოკრძალებულ ჭაბუკში გამოცდილმა პედაგოგმა ადრე შეამჩნია ანალიტიკური აზროვნების უნარი, განსაკუთრებული მიდრეკილება მათემატიკური დისციპლინებისადმი და ყოველნაირად შეეცადა თავისი ფანატიკური სიყვარული მათემატიკისადმი მოწაფისთვისაც გადაედო.

1925 წლის 29 ივლისს ზუგდიდის შრომითი საშუალო სკოლის დამთავრების მოწმობას აძლევენ ილია ნესტორის ძე ვეკუას.

იმავე წლის 9 სექტემბერს ილია ვეკუა განცხადებას წერს ქართულ უნივერსი-



ტეტში: „მიმდინარე სამოსწავლო წელს დავამთავრე საშუალო სასწავლებელი და მსურს განვაგრძო სწავლა ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. გთხოვთ, ჩამრიცხოთ საპედაგოგო ფაკულტეტის მათემატიკურ დარგის სტუდენტად“.

ილია ვეკუამ ამიერიდან მთელი თავისი ცხოვრება მათემატიკას დაუკავშირა. ეს იყო მისი შინაგანი სტიქია და მოწოდება. თუმცა კვლავინდებურად გატაცებით უყვარდა თავისი ქვეყნის ისტორია. ამ ქვის დიდი ივანე ჯავახიშვილის ლექციებზე და თავის ახლო მეგობართან სიმონ ჯანაშიასთან საუბრებში იკლავდა.

იმხანად თბილისის უნივერსიტეტში უკვე შეიქმნა ქართული მათემატიკური სკოლა, რომლის პირველ და ბრწყინვალე წარმომადგენლებად მოგვევლინენ ანდრია რაზმაძე, ნიკო მუსხელიშვილი, არჩილ ხარაძე, გიორგი ნიკოლაძე. ისინი არამარტო შესანიშნავი მეცნიერები იყვნენ, არამედ მათემატიკური კულტურის დაუტყრომელი ენთუზიასტებიც. მათ აზიარეს ილია ვეკუა უმაღლესი მათემატიკის მადლსა და ბუნებას.

საინტერესოა, რომ სწორედ სტუდენტობის წლებში განუვითარდა ილია ვეკუას რთულ თეორიულ აგებებში კონკრეტული ხასიათის ამოცანების დანახვის უნარი. მასზე დიდი გავლენა იქონია ნიკო მუსხელიშვილის ლექციებმა თეორიულ მექანიკასა და დრეკალობის თეორიაში — მეცნიერების ამ უმნიშვნელოვანეს დარგებში. ჭაბუკ ილია ვეკუას არ შეიძლებოდა არ განეჭვრიტა გამოყენებითი მათემატიკის უაღრესი მნიშვნელობა ადამავლობის გზაზე დამდგარი ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოსათვის. აქაც, თავისი მომავალი მეცნიერული ინტერესების განსაზღვრაშიც, ილია ვეკუამ სწორი გზა აირჩია.

შემდგომში თავისი მეცნიერული მრწამსი ილია ვეკუამ ასე ჩამოაყალიბა: „ყოველი მათემატიკური თეორიის ძალა და მნიშვნელობა ყველაზე უკეთ მაშინ გვლინდება, როცა ეს თეორია კვლევის რეალურ ობიექტებს უკავშირდება. ასე-

თი კავშირი საშუალებას გვაძლევს არამარტო შევავსოთ თეორია კონკრეტული შინაარსით, არამედ სწორად განვსაზღვროთ მისი განვითარების გზები. თუ თეორიის შედეგები მის გამოყენებათა ფარგლების გაფართოების საშუალებას გვაძლევს, ეს აშკარად ამ თეორიის სიცოცხლისუნარიანობის ნიშანია“.

1930 წელს ილია ვეკუა ამთავრებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს და მიემგზავრება ლენინგრადში, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურაში, გამოჩენილ მათემატიკოს პროფესორ ვ. ი. სმირნოვთან. ახალგაზრდა ქართველი ასპირანტის შემოქმედებით მთავრობებს ჭედავდნენ და წარმართავენ ისეთი დიდი მათემატიკოსები, როგორც იყვნენ ა. ნ. კრილოვი, ს. ლ. სობოლევი და, რა თქმა უნდა, ვ. ი. სმირნოვი. ესენი იყვნენ პეტერბურგის სახელგანთქმული მათემატიკური სკოლის წარმომადგენლები.

1933 წლიდან, თბილისის უნივერსიტეტში დაბრუნებისას, ილია ვეკუა, რომელიც იყენებდა მისი საყვარელი მასწავლებლის, დიდი მეცნიერის აკადემიკოს ნიკო მუსხელიშვილის მიერ დამუშავებულ მეთოდებს, შეუდგა დრეკალობის თეორიის საკითხების კვლევას.

1937 წელს ილია ვეკუამ წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, ორი წლის შემდეგ კი, 32 წლის ასაკში, იგი მეცნიერების დოქტორი და პროფესორი.

1943 წელს ილია ვეკუას კომუნისტური პარტიის რიგებში იღებენ.

იგი უაღრესად აქტიური ბუნების პიროვნებაა. დაძაბული მეცნიერული შრომის გვერდით დიდ ორგანიზაციულ საქმიანობას ეწევა: სხვადასხვა დროს იყო ამიერკავკასიის ინჟინერთა ინსტიტუტის თეორიული მექანიკის კათედრის გამგე, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის დირექტორის მოადგილე.

მინც მთელი მისი მოღვაწეობა თავიდანვე ძირითადად თბილისის სახელმწი-





ფო უნივერსიტეტთანაა დაკავშირებული. სწორედ აქ, უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა იგი, როგორც გამოჩენილი მეცნიერ-მკვლევარი და ფართო მასშტაბის ორგანიზატორი.

ქართულ უნივერსიტეტში მან გაიარა თითქმის ყველა საფეხური სტუდენტობიდან რექტორობამდე.

ეს არის დიდებით მოსილი გზა მეცნიერების ჯარისკაცისა, რომელსაც ჩანათაში მარშლის კვერთხი უდევს.

1933-34 წლებში ილია ვეკუა ფიზიკმათემატიკის ფაკულტეტის დეკანის მოადგილეა, ხოლო 1940-44 წლებში — დეკანი.

1944-46 წლებში მას ირჩევენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო შემდეგ ნამდვილ წევრად. 1946 წელს კი ილია ვეკუა სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტია. ეს იყო ქართველი მეცნიერის საქვეყნო აღიარება. მანამდე ასეთი პატივი ნიკო მუსხელიშვილის გარდა ქართველ მათემატიკოსთაგან არავის რგებია.

მაგრამ მიუხედავად თბილისის უნივერსიტეტის.

1944-1947 წლებში ილია ვეკუა უნივერსიტეტის პრორექტორია სასწავლო ნაწილში. მას მუშაობა მოუხდა ისეთი შესანიშნავი რექტორების გვერდით, როგორიც იყვნენ ალ. ჯანელიძე და ნ. კეცხოველი. კეცხოველისა და ვეკუას სახით ერთმანეთს შეხვდა ორი ერთნაირად პრინციპული, მომთხოვნი და საქმისათვის თავგადასხვებული მუშაკი. ასეთი რექტორი და პრორექტორი ზოგჯერ კიდევაც „დაეჯახებოდნენ“ ერთმანეთს, მაგრამ მალე შერიგდებოდნენ ხოლმე, რადგან ორივე ერთი მიზნით იყო დაინტერესებული. აკადემიკოსმა ნიკო კეცხოველმა ერთხელ კიდევაც იხუმრა, ორი დედა ფუტკრის ერთ სკაში მოთავსება არ შეიძლებაო. მაგრამ როდესაც 1948 წელს ილია ვეკუა მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივნად გადაიყვანეს, კეცხოველი ხშირად იტყოდა: ვაი, რა კაცი წამართვესო!

1950 წელს ილია ვეკუას სახელმწიფო პრემიის ლაურეატობა მიენიჭა მონოგრაფიისათვის „ელიფსური განტოლებების ამოხსნის ახალი მეთოდები“.

1953 წელს იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად დანიშნა, მაგრამ მალე მოსკოვში მოუხდა წასვლა სსრ მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში სამუშაოდ.

მოსკოვის სამეცნიერო წრეებში ქართველმა მეცნიერმა თვალსაჩინო ადგილი დაიკავია. მუშაობს მოსკოვის ფიზიკო-ტექნიკური ინსტიტუტის თეორიული მექანიკის კათედრის გამგედ, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიფერენციალურ განტოლებათა კათედრის პროფესორად, სსრ მეცნიერებათა აკადემიის ზუსტი მექანიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ინსტიტუტში და სხვაგან, არის მრავალი მათემატიკური საზოგადოებისა და დაწესებულების წევრი, ორგანიზატორი. არაერთგზის იყო მივლინებული საზღვარგარეთ მათემატიკოსთა ყრილობებზე.

1958 წელს მათემატიკაში უმნიშვნელოვანესი გამოკვლევებისათვის ილია ვეკუა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად აირჩიეს.

განუსაზღვრელად დიდია ქართველი მეცნიერის დამსახურება თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი სამეცნიერო ცენტრის, ციმბირის მეცნიერებათა აკადემიის განყოფილების შექმნისა და ორგანიზაციის საქმეში. ეს იყო მთავრობისა და პარტიის უმნიშვნელოვანესი ღონისძიება და ილია ვეკუაც მისთვის ჩვეული გაბაცებით მოეკიდა ამ საქმეს. ის არის ერთ-ერთი დამაარსებელი და პირველი რექტორი ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტისა (1959—1965 წ.წ.).

ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტში აკადემიკოსმა ვეკუამ მიიწვია ისეთი გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერები, როგორიც არიან აკადემიკოსები: მ. ლავრენტიევი, ს. სობოლევი, ს. ხრისტიანოვიჩი, ე. რაბოტნოვი, პ. კოჩინა, ა. შალცივი, ვ. სობოლევი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტები: ა. ბუღაევი, ა. ბი-

წამე, ნ. კოროყენვი, ა. ნიკოლაევი, ბ. პტიცინი, ვ. ვოევოდსკი, ი. კოსიგინი, დ. შირკოვი, ლ. კანტოროვიჩი, ბ. სტრელკოვი, ი. ნოვიკოვი.

ყურადღებას იქცევს ილია ვეკუას მიერ ახალდაარსებული უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის ორგანიზაცია. ილია ვეკუას მიაჩნია, რომ ლექციური ფორმა არ უნდა იყოს სწავლების ერთადერთი ფორმა. სტუდენტი უკვე მესამე კურსიდან უნდა ჩაებას კვლევითი ინსტიტუტებისა და ლაბორატორიების მუშაობაში, უმადლესი განათლება უნდა შეუხამოს მეცნიერულ კვლევა-ძიებას. ამნაირად, სტუდენტი უნივერსიტეტში მიიღებს არამარტო მტკიცე ცოდნას, არამედ მიეჩვევა ფიქრს, შემოქმედებას, მეცნიერულ შემართებას.

ენერგიული რექტორის მეცხებით ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტში დამკვიდრდა ინტენსიური მეცნიერული შრომის ატმოსფერო.

1963 წელს აკადემიკოს ილია ნესტორის ძე ვეკუას უმადლესი სამეცნიერო ჯილდო — ლენინური პრემია მიენიჭა მონოგრაფიისათვის „განზოგადოებულ ანალიზური ფუნქციები“.

1965 წლის დეკემბერში ილია ვეკუა დაუბრუნდა მშობლიურ უნივერსიტეტს. მსოფლიო სახელის მქონე მეცნიერის რექტორობამ კიდევ უფრო გაზარდა თბილისის უნივერსიტეტის ავტორიტეტი. კიდევ უფრო განმტკიცდა თბილისის უნივერსიტეტის კავშირი ჩვენი ქვეყნის და უცხოეთის სახელგანთქმულ მეცნიერებთან, გაძლიერდა მეცნიერული ლიტერატურის გაცვლა.

რექტორ ილია ვეკუას სახელთანაა დაკავშირებული საფაკულტეტო და საფაკულტეტოშორისო საბჭოების ახლებური ორგანიზაცია და მათი უფლებების მნიშვნელოვანი გაფართოება.

ილია ვეკუა ხელმძღვანელობს სამეცნიერო კვლევით მუშაობას მთელ უნივერსიტეტში, რომ ქართული უნივერსიტეტი არ ჩამორჩეს მეცნიერების მსოფლიო დონეს, განმტკიცდეს მეცნიერების

კავშირი წარმოებასთან, იქცეს მეცნიერება უშუალო საწარმოო ძალად.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 23-ე ყრილობის დირექტივები ითვალისწინებენ თეორიული და გამოყენებითი მათემატიკის დარგების უპირატეს ინტენსიურ განვითარებას. ეს გასაგებიცაა, რადგან ყოველ მეცნიერულ და ტექნიკურ პროგრესს, ყოველ დიდ აღმოჩენას ფიზიკაში, ქიმიაში, ბიოლოგიაში და სხვა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში განაპირობებს ახალი მათემატიკური იდეები; ახლა საზოგადოებრივ მეცნიერებებშიც ფართოდ ინერგება მათემატიკური მეთოდები. აქ თავის სიტყვას ამბობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიც.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ უნივერსიტეტის კიბერნეტიკის პრობლემური ლაბორატორიის გამოთვლითი მანქანების ბაზაზე შექმნა გამოყენებითი მათემატიკის პრობლემური სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია, მიაჩნა მას სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფლებები. შეიქმნა, ასე ვთქვათ, ინსტიტუტი უნივერსიტეტში და მის მეცნიერ-ხელმძღვანელად დანიშნა აკადემიკოსი ილია ვეკუა.

განსაკუთრებულ ყურადღებას ილია ვეკუა უთმობს ჰუმანიტარული ფაკულტეტების მუშაობის აღმავლობისა და მათი კონტიგენტის განმტკიცების საქმეს. ეს გასაგებიცაა, იგი ფართო ინტელექტუალური ინტერესების მქონე პიროვნებაა და კარგად ესმის ეროვნული უნივერსიტეტისათვის ისეთი მეცნიერული დისციპლინების მნიშვნელობა, როგორც ისტორია, ლიტერატურისმცოდნეობა, ენათმეცნიერება და ა. შ. მისივე თაოსნობით უნივერსიტეტთან შეიქმნა განაპირა რაიონებში მცხოვრებ ქართველთა წინასწარი მოსამზადებელი კურსები, სადაც კვალიფიციური ლექტორები მუშაობენ ახალგაზრდებთან.

ილია ვეკუას აქვს შესანიშნავი უნარი შეუხამოს მომთხოვნელობა და პრინციპულობა თვითთელი სტუდენტისა და



თანამშრომლისადმი უღირსად ფაქიზ, გულსხმიერ დამოკიდებულებას.

იქ, სადაც ილია ვეკუაა, რაც არ უნდა საქმიანი ატმოსფერო იყოს, ადამიანები თავს თავისუფლად გრძნობენ. დიდი მეცნიერული თუ ორგანიზაციული საკითხების განხილვისას არცთუ იშვიათად გაისმის დარბაისლური ზუმრობა და მზიარული სიცილი.

მოკლე ხნის მანძილზე ილია ვეკუამ შეძლო უნივერსიტეტის სამეცნიერო და სასწავლო პროცესის რთულ მექანიზმში ჩაწვდომა და სასურველი გზით წარმართვა.



ვახოჩინილი საბჭოთა ფიზიკოსი, აკადემიკოსი ლ. არციმოვიჩი ერთგან წერს: „ჰუმანიტარულ მეცნიერებებს საბუნებისმეტყველოსთან არსებითი უპირატესობა აქვს ნებისმიერი არასპეციალისტის აზრით. ეს უპირატესობა შესაბამისი მეცნიერული ინფორმაციის მისაწვდომობის განსხვავებულ ხარისხში მდგომარეობს. ერთ შემთხვევაში ეს ინფორმაცია ყველასათვის გასაგები ენით შეიძლება გადმოიცეს, მეორე შემთხვევაში კი კოდირებულია რთული შიფრის საშუალებით და ფართო მკითხველამდე მხოლოდ პოპულარიზაციის დახმარებით იკავაფს გზას. მაგრამ ისიც ხომ ცნობილია, რომ პოპულარიზაცია, როგორც წესი, ცოდნის სუროგატი და მეცნიერებასთან შეხების ილუზიაა მხოლოდ“.

როდესაც აკადემიკოს ილია ვეკუას მეცნიერულ ღვაწლზე ვლაპარაკობთ, ჩვენც ამ სუროგატს, მეცნიერებასთან შეხების ამ ილუზიას უნდა დავჯერდეთ, რადგან შეუძლებელია საუბრნალო სტატიაში თუნდაც მიახლოებით აღინუსხოს ყოველივე.

შემოქმედებითი ტვირთი, რომელიც ილია ვეკუამ თავისი ცხოვრების სამოცი წლის ზღურბლზე მიიტანა, ჰეშმარიტ ვაოცებას და აღტაცებას იწვევს. მისმა პირველმა შრომებმა ოცდაათობეტი წლის წინათ იხილა დღის სინათლე და

მთელი ამ ხნის განმავლობაში თითქმის არ არის წელი, რომ ილია ვეკუას არ გამოეყვეყნებინოს რამდენიმე პირველხარისხოვანი გამოკვლევა. მეცნიერებმა კარგად იციან, თუ რას ნიშნავს ეს. როგორი შრომისმოყვარე და ენერგიული, თუ გენბავთ, ღონიერი უნდა იყოს მკვლევარი, რომ ოთხმოცამდე შრომა— მათ შორის სამი უმნიშვნელოვანესი მონოგრაფია ჰქონდეს დაწერილი! ამ შრომებს მთელი მსოფლიოს მათემატიკოსები კითხულობენ ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, რუმინულ, ჩეხურ, ჩინურ და სხვა ენებზე, კითხულობენ ჰელსინკსა და ამსტერდამში, პეკინსა და ბუქარესტში, პრალასა და რომში, ხოლო უშუთავრესი მათ შორის — მონოგრაფია „განზოგადოებული ანალიზური ფუნქციები“ 1962 წელს გამოაქვეყნა ინგლისურ ენაზე ექსტრონ-ლონდონ-ნიუ-იორკ-პარიზის ცნობილმა გაერთიანებულმა გამოცემლობამ, 1963 წელს კი — გერმანულ ენაზე, ბერლინის მეცნიერებთა აკადემიამ, სახელმძღვანელოებისა და მონოგრაფიების ცნობილ სერიაში. ამჟამად ჰოლანდიაში იბეჭდება ილია ვეკუას მეორე განთქმული მონოგრაფია „ელიფსურ განტოლებათა ამოხსნის ახალი მეთოდები“.

უღირსად ფართოა ილია ვეკუას შემოქმედებითი დიაპაზონი. ოდნავ მაინც რომ შევექმნას შესაბამისი წარმოდგენა, უბრალოდ ჩამოვთვლით თეორიული და გამოყენებითი მათემატიკის იმ დარგებს, რომლებსაც მეცნიერი იკვლევდა და იკვლევს: კომპლექსური ცვლადის ანალიზური ფუნქციები, დიფერენციალური განტოლებები, მათემატიკური ფიზიკის სასაზღვრო ამოცანები, კლასიკური დიფერენციალური გეომეტრია, დრეკადობის თეორია, გარსთა მათემატიკური თეორია.

ყველა ამ, ზოგჯერ სრულიად სხვადასხვა, დარგში ილია ვეკუამ მიიღო ფუნდამენტური მნიშვნელობის შედეგები. აი ზოგიერთი ფაქტი: სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა თეორიაში შესრულებულმა შრომებმა ხელი შე-

უწყო ამ თეორიის დასრულებული სახით შექმნას ერთი განზომილების შემთხვევაში. ელიფსური ტიპის დიფერენციალური განტოლებების ღრმა გამოკვლევების წყალობით გვაქვს პირველი რიგის ასეთ განტოლებათა სისტემების დასრულებული თეორია, როგორც ზოგადი, ისე სასაზღვრო ამოცანების შესწავლის თვალსაზრისით. კლასიკურ დიფერენციალურ გეომეტრიაში გადაწყვეტილია ურთულესი საკითხების რიგი მის მიერვე შემუშავებული მეთოდების საფუძველზე. შექმნილია ახალი, ერთობ ეფექტური მეთოდები ე. წ. თხელ გარსთა თეორიაში, რომელსაც დაუფასებელი მნიშვნელობა აქვს პრაქტიკისათვის. შექმნილია ე. წ. განზოგადოებულ ანალიზურ ფუნქციათა თეორია, როგორც ავტორმა დააჩქევა, რომელიც მის შემოქმედს საქვეყნოდ გაუთქვა სახელი.

როგორც ზემოთ ვთქვით, დრეკადობის თეორიამ ილია ვეკუა თავიდანვე დაინტერესა და ეს ინტერესი დღემდე არ განელებია. ილია ვეკუას გადაწყვეტილი აქვს ფენაში არასტაციონარული დრეკადი ტალღების გავრცელების, დრეკადი ცილინდრის ბრტყელი სტაციონარული რხევის, თხელი ფირფიტების, ამოზნექილი და დამრეცხვ დრეკადი გარსების ღუნვისა და მდგრადობის, აგრეთვე სხვა მრავალი ამოცანა. რიგ მნიშვნელოვან შემთხვევაში გადაწყვეტა გამოირჩევა უბრალოებითა და მაღალი ეფექტიანობით.

შემოქმედებით მოღვაწეობაში მეცნიერული კვლევის პრობლემების არჩევისას ილია ვეკუა მუდამ ერთგული რჩება თავისი მეცნიერული მრწამსისა, რომელიც ზემოთ მოვიტანეთ. კვლევა ყოველთვის ფართო მასშტაბით მიყავს და ყოველთვის დასრულებულ სახეს აძლევს, ამასთან ხელიდან არ უსხლტება არც ერთი შტო, თუკი კვლევისას განშტოებას აქვს ადგილი.

ჩვენ გვინდა სამი მომენტი გამოვყოთ ილია ვეკუას მდიდარი შემოქმედებით ბიოგრაფიიდან.

კარგად ცნობილია სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა თეორიის მნიშვნელობა მათემატიკური მეცნიერებებისათვის, კერძოდ კი — გამოყენებითი და რეგებისათვის. დიღია ქართველი მათემატიკოსების წვლილიც მის განვითარებაში.

ამ თეორიას ჩვენი საუკუნის დასაწყისში ჩაუყარა საფუძველი ორმა დიდმა მათემატიკოსმა — ფრანგმა ანრი პუანკარემ (1854-1912) და გერმანელმა დავიდ ჰილბერტმა (1862-1943). საინტერესოა აღინიშნოს, რომ ისინი სულ სხვადასხვა გზით მივიდნენ პრობლემამდე — შეესწავლათ სინგულარული ინტეგრალური განტოლებები. პირველი — მოქცევათა მათემატიკური თეორიის დამუშავებისას, მეორე — ანალიზურ ფუნქციათა თეორიის ზოგიერთი სასაზღვრო ამოცანის განხილვისას.

და აი, 40-ან წლებში მიღებულმა შედეგებმა („შეწვენიერმა შედეგებმა“ როგორც ნიკო მუსხელიშვილმა აღნიშნა) ილია ვეკუას საშუალება მისცა სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა თეორიის აგების ახალი, ზოგ შემთხვევაში ძალზე ზელსაყრელი მეთოდი შეექმნა. ამ შედეგების წყალობით (მათ შორის უპირველესია ე. წ. ექვივალენტურობის თეორემა, რომელიც ილია ვეკუას სახელს ატარებს) გვაქვს სინგულარულ განტოლებათა თეორიის ახალი, ერთობ ნათელი და მომზიბლავი დამტკიცებები.

გასული საუკუნის დიდმა გერმანელმა მათემატიკოსმა ბერჰარდ რიმანმა, 1851 წელს თავის განთქმულ სადოქტორო დისერტაციაში დააყენა ერთი ფრიად ზოგადი პრობლემა, რომლის უმნიშვნელოვანესი კერძო შემთხვევა ანალიზურ ფუნქციათა თეორიის ერთი სასაზღვრო ამოცანის სახით 1904 წელს განიხილა დავიდ ჰილბერტმა. ამის შემდეგ პრობლემამ მათემატიკურ ლიტერატურაში რიმან-ჰილბერტის ამოცანის სახელი მიიღო. უკვე კარგა ხანია ეს ამოცანა მკვლევართა — განსაკუთრებით ქართველ მკვლევართა — დაუცხრომე-



ლი ყურადღების საგანია, რაც იმითა გამოწვეული, რომ ამოცანას დიდი მნიშვნელობა აქვს თეორიული და გამოყენებითი მათემატიკის მთელ რიგ დარგში, როგორცაა ანალიზი, გეომეტრია, მექანიკა, ჰიდროდინამიკა და სხვა.

ილია ვეკუამ ეს ისტორიული პრობლემა განზოგადოებული ანალიზური ფუნქციებისათვის დასვა და გადაწყვიტა. უფრო მეტიც — მან აავო რიმან-ჰილბერტის ამოცანის გარკვეული აზრით დასრულებული თეორია როგორც მარტივი, ისე რთული არეებისათვის და აღმოაჩინა მისი მთელი რიგი ახალი გამოყენება.

გარსთა მათემატიკური თეორია პრაქტიკული თვალსაზრისით მათემატიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგია. თანამედროვე ტექნიკაში გარსები ფართოდ გამოიყენება, როგორც ერთობ რაციონალური კონსტრუქციული ელემენტები, ხოლო თანამედროვე ტექნიკა ფართოდ ცნებაა, საკმარისია ჩამოვთვალოთ საამშენებლო საქმე, გემთმშენებლობა, თვითმფრინავთმშენებლობა, რაკეტმშენებლობა და სხვა. ამიტომ იპრობს ეს დარგი მეცნიერთა დიდ ყურადღებას.

უკანასკნელ დრომდე კლასიკური გარსთა თეორიის დიფერენციალურ განტოლებათა სისტემა ხშირად არ ეთავსებოდა ამოცანის ფიზიკურ სასაზღვრო პირობებს, სხვათადაც რომ ვთქვათ, ერთგვარ წინააღმდეგობაში იყო ხოლმე ამოცანის ფიზიკურ დასმასთან. ამ სერიოზულ ნაკლს იწვევდა სხვადასხვა პიბითეზა, რომლებსაც კლასიკურ გარსთა თეორიაში ღებულობენ. ილია ვეკუამ ამ თეორიისაგან განსხვავებით გარსთა წონასწორობისათვის ახალ განტოლებათა სისტემა აავო. პრინციპული სი-


ახლე იმაში მდგომარეობს, რომ ახლადიფერენციალურ განტოლებათა სისტემა სასეებით ეთავსება ამოცანის ფიზიკურ სასაზღვრო პირობებს.

ვეფირობთ, ზემოთ თქმული საკმარისია იმ უზარმაზარი მეცნიერული ავტორიტეტის გასაგებად, რითაც ილია ვეკუა ჩვენსა და უცხოეთის სამეცნიერო წრეებში სარგებლობს. როგორც უკვე ითქვა, სხვადასხვა დროს ის არაერთგზის იყო მიწვეული რუმინეთსა და ფინეთში, ინგლისსა და საფრანგეთში, ნიდერლანდებსა და იტალიაში, შვეიცარია და ამერიკაში საერთაშორისო თუ ნაციონალურ მათემატიკურ ყრილობებსა და კონგრესებში მონაწილეობის მისაღებად, მოხსენებებისა და ლექციების წასაქითხად.

ილია ვეკუა შესანიშნავი პედაგოგი და აღმზრდელია — მკაცრი, მომთხოვნი, მაგრამ ამავე დროს გულსხმიერი, ყურადღებიანი, სათუთი. მას უყვარს ახალგაზრდები, მათთან მუშაობა. აგერ თითქმის ოცდაათშემეტტი წელია, ილია ვეკუას გარს ახვევიან მოწაფეები, რომლებსაც იგი მათი ნიჭისა და უნარის მიხედვით ფაქიზად ზრდის.

ილია ვეკუას მეცნიერული ხელმძღვანელობით მომზადებული მაღალკვალიფიციური კადრები — მეცნიერებათა კანდიდატები და დოქტორები — ახლა წარმატებით იღვწიან მარტო საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეში კი არა, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებშიც.

ილია ვეკუა თავის 60 წელს ახალგაზრდული ხალისით, დიდი შემოქმედებითი ენერგიით და მეცნიერული აღმაჯობობით ზვდება. ვუსურვოთ მრავალი წლის ჯანმრთელი სიცოცხლე ჩვენი მეცნიერებისა და კულტურის საკეთილდღეოდ.



# თქილან თქაგელ

კულტურული ცხოვრების ქრონიკა

## ასპაზია ბობოქროს ქართულ სხენაზე

ვინც იმ საღამოს მარჯანიშვილის თეატრში ესწრებოდა სპექტაკლ „მედეას“, რომელშიც მთავარ გმირს ბერძენი ტრაგიკოსი მსახიობი ასპაზია პაპატანასიუ განასახიერებდა, მან ნამდვილად იხილა დიდი ხელოვნების ჭეშმარიტი ზეიმი.

პაპატანასიუს ბრწყინვალე ოსტატობამ, ღრმა ადამიანურმა განცდებმა, შესანიშნავმა ხმამ, სცენიურობამ ერთბაშად მოხიბლა თბილისელი მაყურებელი, რომელსაც საათნახეერის განმავლობაში აქტივორთან ერთად ძველი კოლხი ქალის მძაფრი ვნებები აღელვებდა.

ასპაზია პაპატანასიუს ტრაგიკული მუზა დიდი ხანია გასცდა მისი ქვეყნის ფარგლებს. მან თავისი ნათელი ნიჭით ამცნო ქვეყნიერებას თუ რაოდენ უკვდავი არიან ანტიკურ დროში უბადლო ოსტატობით შექმნილი ადამიანთა ცოცხალი სახეები. ამ ადამიანებმა იცოდნენ საოცარი სიყვარული, სიძულვილი და ბრძოლა. მათი ბოხოქარი სიცოცხლე ფიზიკური განადგურებით ან სულიერი ტრაგედიებით სრულდებოდა, რაც კიდევ ერთხელ გვაგვრძობინა და დაგვანახა სოფოკლესა და ვერიპიდეუს გმირთა შესანიშნავმა შემსრულებელმა პაპატანასიუმ.

ეს სპექტაკლი ჩემთვის ყოველთვის იყო და იქნება უსაყვარლესი, ვინაიდან მე თვითონ გამოვიარე მედეას სცენური სიცოცხლე, მაგრამ პაპატანასიუ-მედეას დიდმა წარმატებამ ნამდვილად გამახარა და ერთხელ კიდევ დამანახა ხელოვნების ძალა.

თუმცა, მაყურებელთა უმრავლესობამ ბერძნული ენა არ იცოდა, დარწმუნებული ვარ, ყველამ გაიგო ასპაზიას მაღალი ხელოვნება. პაპატანასიუ ისე საოცრად შეერწყა ჩვენი მსახიობების თამაშს, რომ პიესის დამთავრების შემდეგ კიდევ გავიფიქრე: „ხომ არა გვაქვს რამე ნათესაური კავშირი ბერძნებთან-მეთქი“.

გულითადად გულოცავ დიდ წარმატებას ქართულ სცენაზე ჩემს ბერძენ კოლეგას, რომელიც საოცრად მომხიბვლელი და თავმდაბალი ადამიანია ცხოვრებაში, ხოლო სცენაზე — ბოხოქარი და დაუცხრომელი ხელოვანი.

მერიკო ანჯაფარიძე,

საბოთოთა კავშირის სახალხო არტისტი.



„საბჭოთა რადიო და ტელევიზია, არიან რა ლენინური გენერალური ხაზის, კომუნისტური მშენებლობის პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლაში კომუნისტური პარტიის ერთგული მებრძოლი თანამშემწენი, დიდ მუშაობას ეწევიან სკკპ X X III ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, მშრომელთა კომუნისტური აღზრდისათვის. საქართველოს რადიო და ტელევიზია მთელი თავისი არსებობის მანძილზე აქტიურად ესმარებოდნენ და ესმარებიან რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებს მრავალფეროვან მუშაობაში ეკონომიკისა და კულტურის, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი განვითარებისათვის“, — ნათქვამია საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მისალმებელში რადიოსა და ტელევიზიის მუშაკებისადმი.

რესპუბლიკის რადიოსა და ტელევიზიას მიეძღვნა საზეიმო სხდომა, რომელიც 29 მარტს შედგა თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრში.

მოსხენება საქართველოს რადიოს ორმოცი წლისთავისა და საქართველოს ტელევიზიის ათი წლისთავის შესახებ გააკეთა რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ კარლო გარდაფხაძემ.

მომხსენებელმა და სიტყვით გამოსულმა ამხანაგებმა დაწვრილებით ილაპარაკეს ნა-

ყოფიერ საქმიანობაზე, რასაც ეწევიან ჩვენი კულტურის ამ ერთ-ერთი შესანიშნავი ცენტრის მუშაკები.

ქართულ მწერლობას და მასთან ერთად ჟურნალ „ცისკარს“ საფუძველი აქვთ ბევრი კეთილი სიტყვა უთხრან სახელოვან იუბილარებს. მშობლიური ლიტერატურის წარმომადგენლები, მათ შორის „ცისკრის“ ავტორები, სიყვარულითა და მადლობის გრძნობით აღნიშნავენ რადიოსა და ტელევიზიის მოღვაწეთა დიდ დამსახურებას მხატვრული ლიტერატურის პროპაგანდის საქმეში; ულოცავენ იუბილეს და უსურვებენ ახალ-ახალ შემოქმედებით წარმატებებს.

გვახარებს ისიც, რომ რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტისა და კავშირგაბმულობის სამინისტროს მუშაკთა დიდი ჯგუფი დაჯილდოვებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით. რადიოსა და ტელევიზიის ბევრ მუშაკს მიენიჭა საქართველოს სსრ საპატიო წოდებები. მათ შორის რადიოსა და ტელევიზიის დიქტორებს: ჟანეტა ასლამაზიშვილს, ჯულიეტა ვაშაყმაძეს, თამარ ლეჟავას, მიხეილ ლოპატკინს, ალექსანდრა მაჭავარიანს, ლია მიქაძეს, ელენე ტაბლიაშვილს, დავით ძიგუას.

„ცისკრის“ კოლექტივი მიესალმება ყველა მათგანს იმ დიდი და კეთილი სამსახურისათვის, რასაც ისინი უწევენ ქართულ მხატვრულ სიტყვას.

ღეიღა აბაშიძე — ქალის ჩოღის საუკეთესო შემსრულებელი

თბილისში ჩატარდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების და უკრაინის კინოფილმების პირველი ფესტივალი. ჟიურის შემადგენლობაში იყვნენ საბჭოთა კინოს გამოჩენილი მოღვაწენი.

კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მხატვრულ სურათს „შეხვედრა წარსულთან“ მიენიჭა ფესტივალის მთავარი პრიზი

„პრომეთეოსის თასი“ და პირველი ხარისხის დიპლომი. პირველი ხარისხის დიპლომით დაჯილდოვდა ამ კინოფილმის დამდგელი რეჟისორი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი სიკო დოლიძე.

მეორე ხარისხის დიპლომი გადაეცა კიევის დოჟენკოს სახელობის კინოსტუდიის ნაწარმოებს, მხატვრულ ფილმს „ორი წე-

ლი უფსკრულის პირას“ და მის დამდგმელ რეჟისორს, ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ტ. ლევჩუკს.

დიპლომი საუკეთესო პეროიკულ-რომანტიკული ფილმისათვის გადაეცა „მაცი ხეივანი“ დამდგმელ რეჟისორს გიორგი შენგელიას.

კიევის დოფენკოს სახელობის კინოსტუდიის ნაწარმოებს „მთ მსოლოდ სახით იცნობდნენ“, რომლის დამდგმელი რეჟისორია ა. ტიმონიშინი, მიენიჭა დიპლომი საუკეთესო სათავგადასავლო ფილმისათვის, ამავე კინოფილმის ოპერატორმა ვ. ვერშენკომ მიიღო დიპლომი საუკეთესო ოპერატორული ნამუშევრისათვის.

ყველაზე კარგი მხატვრულ-დოკორატული გადაწყვეტისათვის კიევის დოფენკოს სახელობის კინოსტუდიაში გადაღებული ფილმის „ორი წელი უფსკრულის პირას“ მხატვარს ვ. აგრანოვს გადაეცა დიპლომი.

დიპლომი კინოდებიუტისათვის დაიმსახურეს რეჟისორებმა რამიზ ასკეროვმა და ანტონ ვაიაზოსმა.

წარმოდგენილ ფილმებში ქალის როლის საუკეთესო შემსრულებლად ჟიურის წევრებმა ერთსულოვნად ცნეს საქართველოს სახალხო არტისტი, ნინოს როლის შემსრულებელი ფილმში „შეხვედრა წარსულთან“ ლილა აბაშიძე. მას გადაეცა პრიზი „ქალის როლის საუკეთესო შემსრულებელს უკრაინისა და ამიერკავკასიის ფილმების ფესტივალზე“.

პრიზი „პრომეთეოსი“ დოკუმენტური კინოსათვის გადაეცა საუკეთესო სრულმეტრაჟიანი ფილმის „ინკების ქვეყანაში“ შემქმნელს, რეჟისორ-ოპერატორს, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტს გიორგი ასათიანს.

პირველი ხარისხის დიპლომი ხვდა მოკლემეტრაჟიანი ფილმის „ნელსონ სტუპანიანის“ ავტორ-რეჟისორს გ. ბალასანიანს. ფილმი შექმნა სომხეთის ქრონიკალურ-დოკუმენტური ფილმების სტუდიაში.

ნახატ ფილმებს შორის საუკეთესო აღმოჩნდა კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ნაწარმოები „სამი მეზობელი“ (რეჟისორი ვ. ბახტაძე, მხატვარი ი. სამსონაძე, სცენარის ავტორი ნ. ბენაშვილი).

გარდა ამისა, ჟიურიმ მიანიჭა დიპლომები კომპოზიტორ ს. ნასიძეს საუკეთესო მუსიკალური გაფორმებისათვის (ფილმი „სამი მეზობელი“), ოპერატორ შ. შიოშვილს ფილმისათვის „გამოძახილი“ და რეჟისორ ვ. ტოროშინს ფილმისათვის „ძნელი მიწა“ (სომხეთის ქრონიკალურ-დოკუმენტური ფილმების სტუდია).

ჟიურიმ მეორე ხარისხის დიპლომები მიანიჭა სხვადასხვა რესპუბლიკის კინოფილმებსა და შემოქმედებით მუშაკებს.

გარდა ფესტივალის პრიზებისა, გამარჯვებულებს გადასცეს საქართველოს საზოგადოებრივი ორგანიზაციების პრიზები.

## გამოგვასახელოს იაპონიაში

ბუჩინის „ჩო-ჩო-სანში“ მთავარი პარტიის საუკეთესო შემსრულებლად მთელ მსოფლიოში აღიარებულია იაპონელი მომღერალი ქალი ტამაკი მიურა. მის ხსოვნას მიეძღვნა ასლახან იაპონიაში ჩატარებული ვოკალისტთა საერთაშორისო კონკურსი საუკეთესო ჩო-ჩო-სანის გამოსავლინებლად.

მეტად რთული იყო კონკურსის პირობები. მასში მონაწილეობდნენ მსოფლიოს საუკეთესო მომღერლები, რომელნიც არაერთ-

ხელ წარმატებით გამოსულან მსგავს კონკურსებზე. ჟიურის გადაწყვეტილებით კონკურსი სამ ტურად მოეწყო. მაცურებლებს აკრძალული ჰქონდათ ტაშით აღენიშნათ საუკეთესო შემსრულებელი. ბოლო ტურამდე ყველასთვის საეჭვო იყო, ვინ გაიმარჯვებდა.

კონკურსში საბჭოთა კავშირიდან მონაწილეობდნენ კიშინიოველი მომღერალი მარია ბიეშუ და კიევის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი, თბილისის





კონსერვატორიის აღზრდილი ლამარა ჭყონია.

პირველი პრემია დაიმსახურა მარია ბიეშუმ, მეორე — ლამარა ჭყონიამ, მესამე და მეოთხე პრემიები — ინგლისელმა ელიზა-

ბეტ ვოგანმა და ფრანგმა ელენ გარეტიმ. მაყურებელმა ისინი ერთსულოვანი ტაშით დააჯილდოვა. ეს იყო საბჭოთა მომღერლების უდიდესი წარმატება, საბჭოთა ვოკალური სკოლის ნამდვილი ზეიმი.



## საქართველოს სახალხო მხატვარი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ქართული სახვითი ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის და შემოქმედებითი მოღ-

ვაწობის ორმოცი წლისთავთან დაკავშირებით სევერიან მასისვილს მიენიჭა საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის საპატიო წოდება.



# "სილქაჯი" სევერიანს

## ბაგრატ შინკუბას, ივანე პაპასკირს

ძვირფასო მეგობრებო!

სიხარულით შევიტყუეთ, რომ თქვენ, თანამედროვე აფხაზური ლიტერატურის გამორჩენილ წარმომადგენლებს, მხატვრული სიტყვის შესანიშნავ ოსტატებს, მოგვნიჭათ საპატიო სახელი დიმიტრი გულიას სახელობის დიპლომის პირველი ლაურეატებისა.

ნიჭიერი და შრომისმოყვარე აფხაზი ხალხი, რომლის გმირულ შემოქმედებით შრომასა და ცხოვრებას მიუძღვნით თქვენი მშვენიერი ნაწარმოებები, ღირსეულად აფასებს თქვენს დიდ ღვაწლსა და დამსახურებას საბჭოთა ლიტერატურის წინაშე.

გვახარებს, რომ თქვენ და თქვენი კოლეგები თვალსაჩინო შემოქმედებითი წარმატებებით ხვდებით დიდი ოქტომბრის რე-

ვოლუციის 50 წლისთავს. გვახარებს, რომ ყოველდღიურად იფურჩქნება მოძმე აფხაზი ხალხის ლიტერატურა და ხელოვნება, ივსება ახალი ძალებით, რომლებიც დაუვიწყარი დიმიტრი გულიას მაგალითისამებრ თავიანთ ნიჭსა და უნარს მშობელი ხალხის სამსახურს ახმარენ.

მიიღეთ ჩვენი გულითადი მოლოცვა და საუკეთესო სურვილები. დარწმუნებული იყავით, რომ შურნალი „ციცკარი“, როგორც ყოველთვის, თავის წვლილს შეიტანს აფხაზეთის ასსრ კულტურული ცხოვრების ფართოდ გაშუქებაში, მუდამ სიხარულით დაუთმობს თავის ფურცლებს ჩვენს კეთილ მეგობრებს — აფხაზ პოეტებს, პროზაიკოსებს, კრიტიკოსებს.



# კულტურა

## აზი

### შონ ო'კეისი და აბსურდის თეატრი

ამერიკულმა ჟურნალმა „ატლანტიკამ“ პირველად გამოაქვეყნა გამოჩენილი ირლანდიელი მწერლის შონ ო'კეისის უკანასკნელი სტატია, რომელიც მან სიკვდილის წინ დაწერა (გარდაიცვალა 1964 წ.).

დიდი დრამატურგი რისხვითა და სარკაზმით დაესხა თავს აბსურდულ თეატრს, ფრეიდის ყალიბის მოდერნისტულ ლიტერატურას და იწინასწარმეტყველა სიმართლისა და სილამაზისადმი კაცობრიობის მისწრაფების გამარჯვება.

„ფრეიდის მიმდევრები — წერს იგი, — ყველაფერში სექსს ხედავენ, — საავდროდრუბელში, ჭამის დროს კოფის მოძრაობაში, დანა-ჩანკლის დაჭერის ჩვევაში. ისინი ღვიძლი ძმები არიან მკვლელობის, ძალადობისა და ულმობელობის თეატრისა. მინერვას მსგავსად, რომელიც იუპიტერის თავიდან იშვა, იმ დრამატურგებსაც, ალბათ, აქვთ პრეტენზია, რომ ფრეიდის თავიდან ამოვიდნენ. ამაზე დიდი უბედურება დრამატურგიისათვის წარმოუდგენელია“.

შონ ო'კეისს აღაშფოთებს სნობიზმის გამოვლინება თანამედროვე ლიტერატურაში — „არაფერია იმაზე სულელური, როგორც ზოგი დრამატურგის უაზრო დამოკიდებულება გლეხობისადმი. გლეხებს ისინი თვლიან უმეცარ, უტყინო და უხეშ ადამიანებად. ჭკუშარიტად ახირებული წარმოსახვა გლე-

ხისა! ეს არის აშკარა და ბოროტი სიცრუე. ლაპარაკია ხალხზე, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში ქმნიდა ხალხური ეპოსის, მუსიკის, ფოლკლორის და სიმღერის უმდიდრეს საგანძურს. ამ გენიალურ ნაწარმოებებს ვერასოდეს შექმნიდნენ უმეცარი და გონებაჩლუნგი ადამიანები. ახლაც კი, ჩვენს დროში, როცა სოფლის მშრომელები წიგნიერები გახდნენ, ძლიერ პროფკავშირებში არიან გაერთიანებული და ტექნიკურ განათლებას იღებენ, რადგან რთულ სასოფლო-სამეურნეო მანქანებთან აქვთ საქმე, ზოგიერთ პიესაში ისინი ისევ ველურებად, უგონო ბოროტმოქმედებად გამოჰყავთ“.

„მე არ მჯერა, — დაასკვნის შონ ო'კეისი, — რომ მომავალი უაზრობის, აბსურდის, ძალადობის, მკვლელობის, სისხლის შერევის, დანაშაულობათა და სექსუალური სიმახინჯის ამსახველი თეატრისაა. თუ ეს ასეა, მაშინ გაქრება იმედი და სიხარული, რომლებსაც წალეკავს ჯოჯოხეთის მღვრიე ტალღები. ეშმაკსაც წაუღია ყველა ეს სიმახინჯე და ავსორცობა! ჩვენი ცხოვრების წარმატაც ქსოვილში გაბედულების ცეცხლისფერი სიმებიცაა და კეთილშობილების ოქროს სიმებიც, რომლებიც მჭიდროდ უკავშირდებიან ადამიანთა სულის ყველა ცხოველ ძარღვს. და თუ ჩვენი თვალები, სული და გული ღიაა იმ მშვენიერებისათვის, რაც მუდამ გარს გვარტყია ცხოვრებაში, მაშინ, საითაც არ უნდა წავიდეთ, ყველგან გავგყავება მუსიკა“.

„გომთხს ენის ლექსიკონი“

ბერლინში გამოვიდა „გომთხს ენის ლექსიკონი“. ლექსიკონის გამოცემა დამთავრდა საიუბილეო თარიღს — 22 მარტს შესრულდა 135 წელი დიდი გერმანელი პოეტისა და მოაზროვნის გარდაცვალებიდან.

ოცი წელი მიმდინარეობდა მოსამზადებელი სამუშაოები. შედგა უზარმაზარი კარტოტეკა, რომელშიც სამი მილიონი ბარათია. ამ კარტოტეკას მეცნიერები სწავლობდნენ გამოთვლელი მანქანების დახმარებით. გარ და დასავლეთ გერმანიის სწავლულთა გაერთიანებული კოლექტივის შრომა წარმატებით დასრულდა.

ლექსიკონი განზრახულია გამოიცეს ოცტომად. ბოლო ტომი გამოვა 2000 წელს.

გვრ

კინოსურათი დოსტოევსკის შესახებ

მწერალმა ჰაინრიხ ბიოლმა რადიოთრანსაცია „ვესტლინერ რუდფენკის“ დავალებით დაწერა კინოსცენარი დოსტოევსკის შესახებ. იგი შევა ციკლში „მწერალი და მისი ქალაქი“. გადაღებები დაიწყება წლეულს, გაზაფხულზე.

„თეთრი ღამეები“ ტელევიზორზე

1966 წ. ოქტომბერში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტელევიზიამ პირველი პროგრამით აჩვენა დოსტოევსკის „თეთრი ღამეები“, რომლის ტექსტიც საგანგებოდ იყო ადაპტირებული ტელევიზიისათვის.

იაპონია

„რისთვის არსებობს ლიტერატურა“?

ჟურნალ „გუნდოს“ რედაქციამ ამ კითხვით მიმართა რამდენიმე ცნობილ იაპონელ მწერალს.

სანაცვლ მუსიაკოძიმ უპასუხა: „ჩემთვის მთავარია ლიტერატურულ შემოქმედებაში იყოს სიმართლე. ან, ყოველ შემთხვევაში, არ იყოს სიცრუე. მეორე — წერო მხოლოდ

მაშინ, როცა მნიშვნელოვანი რაიმე გაქვს სათქმელი. თუ რაიმე მნიშვნელოვანი არ გინდა თქვა, მაშინ არ ღირს კალმის ხელში აღება მხოლოდ იმისათვის, რომ მკითხველთან ილაყბო. ლიტერატურა ძალიან სერიოზული საქმეა. მწერალი ადამიანის ცხოვრების მემკვიდრეობით კაცობრიობის ცხოვრებას ასახავს. ასეთი ლიტერატურა პატივისცემის ღირსია, გლახს სარეველა არ მოჰყავს, მას მოჰყავს პური არსობისა. მწერალი არ იქნება ჭეშმარიტი მწერალი, თუ სულიერი საზრდოს ნაცვლად ხალხს სარეველას მიაწვდის“.

საინტერესო აზრი გამოთქვა კენძაბურო ოემ: „უპირველეს ყოვლისა, მე მინდა ლიტერატურის სოციალურ როლზე ვილაპარაკო. ეს იმიტომ კი არა, რომ ლიტერატურა ვიდაცის თვალში უსარგებლოა. პირიქით, საზოგადოებრივი, სოციალური მნიშვნელობა მისი განუყოფელი თვისებაა.“

სოციალური რომანი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახლა, როცა მსოფლიო შეიშალა. ამაზე პირველად თხუთმეტიოდე წლის წინათ დავფიქრდი, როცა კორეაში ომის დაწყების ამბავი გავიგე.

ახლა, ნაწარმოებებს რომ ვწერ, მე მეუფლება სურვილი გამოვიდე მსოფლიოში არსებული ბნელი და საშინელი ძალების წინააღმდეგ. არ ვწერო, ეს ჩემთვის ნიშნავს შევწყვიტო ეს ბრძოლა, დაგნებდე“.

ინგლისი

გაზეთის ტირაჟია 16 მილიონი

მსოფლიოში ყველაზე დიდი ტირაჟი (16 მილიონი ეგზემპლარი) აქვს ინგლისურ ყოველკვირეულ გაზეთს „ნიუს ოფ უორლდ“-ს. ოცდარგვერდიანი გაზეთის თხუთმეტ გვერდზე ასეთი მასალა იბეჭდება: „პორნოგრაფიული ფილმი მდიდრულ სასტუმროში“, „მე მამბრალებენ, თითქოს საკავაურში ამოვარსხრვე ჩემი ცოლი“, „ქალები აგვისსინიან სიყვარულის საიდუმლოებას“ და სხვა მისთანანი.

16 მილიონის საიდუმლო იოლი ასახსნეულია: დიდი ბიზნესის ქვეყნებში რაც უფრო ვულგარულია გაზეთი, მით უფრო მეტია მისი ტირაჟი.



## ჯონ გოლზუორთის საიუბილეო

ჯონ გოლზუორთის დაბადების 100 წლის- თავს ლონდონის ტელევიზია აღნიშნავს ოცდაექვსერიანი კინოეპოპეით „ფორსაიტების საგა“. თვითუფლები სერიის ხანგრძლივობა 50 წუთია. ეპოპეის შექმნაში მონაწილეობს ამერიკული კინოკომპანია „მეტრო გოლდვინ მაიერი“.

„ან ყველაფერი, ან არაფერი“

ბი-ბი-სის კორესპონდენტმა კენეტ ტაინენმა რამდენიმე კითხვით მიმართა ცნობილ ინგლისელ მსახიობს ლოურენს ოლივიეს. ოლივიე ესაუბრა მას თავისი ცხოვრებისა და შემოქმედების თაობაზე, გამოთქვა აზრი მსახიობის მუშაობასა და თეატრის მომავალზე.

1937 წ. ლოურენს ოლივიე მიიწვიეს თეატრ „ოლდ ვიკში“ ჰამლეტის როლის შემსრულებლად.

— დარწმუნებული იყავით საკუთარ ძალებში? ალბათ, ძალიან გეშინოდათ? — ჰკითხა კენეტ ტაინენმა.

— დიას, მეშინოდა. მაგრამ საკითხი ასე იდგა: ან ყველაფერი, ან არაფერი. ამიტომ ერთიდა დამრჩენოდა — გამოვსულიყავი ამ როლში. თანაც ვიცოდი, რომ მკაცრად გამაკრიტიკებდნენ. ბოლოსდაბოლოს, ჯონ გილგულმა დაამტკიცა, რომ იგი ჩვენი თაობის საუკეთესო ჰამლეტია და სისულელე იყო მასთან შეპირისპირება. მაგრამ მე ვიფიქრე: ამასაც უნდა გავუძლო, და დაე, მომხდეს, უამისოდ ვერაფერს ვისწავლი- მეოქი.

— გვითხარით რაიმე თქვენს ოტელოზე. — სთხოვა კენეტ ტაინენმა, — პირველად თქვენ არ გინდოდათ ამ როლის მომზადება. რატომ?

— მე არ ვიყავი დარწმუნებული, რომ ჩემი გარეგნობა ოტელოს შეეფერებოდა, თანაც ვთვლიდი, რომ ხმა არა მაქვს საკმარის დაბალი. ბევრი მუშაობა მომიხდა, რომ ბანით ლაპარაკს მიეჩვეოდი, მაგრამ მე ამას მივადექი. გარდა ამისა, მე ბევრს ვვარჯიშობდი და მკაცრ რეჟიმს დღემდე ვასრულებ.

როგორც ცნობილია, ლოურენს ოლივიე

მიიწვიეს ინგლისის ეროვნული პირველი თეატრის ხელმძღვანელად, რომელმაც ინგლისში პირველად მიიღო სახელმწიფო სუბსიდია. მანვე შეადგინა დასი. ამასთან დაკავშირებით კორესპონდენტმა ჰკითხა:

— ადმინისტრაციული საქმიანობა ხომ არ გიშლით ხელს შემოქმედებით მუშაობაში?

— არა, მე მიყვარს ეს სამუშაო. ჩემი დიდი ხნის ოცნებაა ინგლისში გეჰონოდა ეროვნული თეატრი, რომელსაც სახელმწიფო მისცემდა სუბსიდიას. ეს ერთადერთი საშუალება იმისათვის, რომ თეატრი ხალხის ცხოვრების ორგანული ნაწილი გახდეს. მე მინდა, რომ თეატრს შეუქმნან ნორმალური პირობები, რომ თეატრს შეეძლოს მოღვაწეობის გაშლა, გაფართოება. შესაძლებელია, მაშინ შეაფასონ მსახიობის ხელოვნება, როგორც ხალხის ცხოვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი.

## პალიფორნია

მარკ ტვენის უცნობი ნაწარმოებები

კალიფორნიის უნივერსიტეტის გამომცემლობამ პირველად გამოაქვეყნა მარკ ტვენის დღემდე უცნობი ნაწარმოებები: „წერილები გამომცემლებს“, „რაზე ვოცნებობდი“ და სხვა.

ამასთან დაკავშირებით მარკ ტვენის შემოქმედების ინგლისელმა მკვლევარმა ჰენრი ნემ სმიტმა აღნიშნა: „მარკ ტვენი იმპულსური მწერალი იყო. ის მუდამ ერთდროულად მუშაობდა ოთხ ან ხუთ მოთხრობაზე და სიკვდილის შემდეგ დარჩა მრავალი დაუმთავრებელი ფრაგმენტი“.

## კუჭები

პროზული უნივერსიტეტი

არაბული პრესის ცნობით, კუვეიტიში გაიხსნა ეროვნული უნივერსიტეტი. უნივერსიტეტს აქვს ოთხი ფაკულტეტი: ლიტერატურული, სამეცნიერო-ტექნიკური, პედაგოგიური და მეოთხე ფაკულტეტი ქალიშვილებისათვის, სადაც იგივე საგნებს ასწავლიან, რასაც დანარჩენ, მამაკაცთათვის განკუთვნილ ფაკულტეტებზე.



## მეხსიება

### კოპანი — უკველსი ცივილიზაციის ძალაძი

მექსიკის გაზეთი „ელ უნივერსალი“ 1966 წელს იტყობინებოდა, რომ გონდურასის ხე-ლისუფლებამ გამოყო ფულადი სახსრები ქალაქ კოპანში არქეოლოგიური სამუშაოების გასაფართოებლად.

მეცნიერების ვარაუდით კოპანი იყო კულტურული, ადმინისტრაციული და რელიგიური ცენტრი, რომელმაც განვითარების მწვერვალს ჩვენი წელთაღრიცხვის მეოთხე საუკუნის შემდეგ მიაღწია. კოპანის ცივილიზაციის მაღალ დონეზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ აქ შეიქმნა ამერიკის კონტინენტზე ერთადერთი კალენდარი. მასშიც წელიწადი დაახლოებით 365 დღით განისაზღვრებოდა. დღემდე კოპანში შემორჩენილია ნაგებობები, საიდანაც ციური სხეულების მოძრაობას აკვირდებოდნენ და შემდეგ ამის საფუძველზე რთული მათემატიკური გამოთვლები წარმოებდა.

კოპანი თავისებური „ბიბლიოთეკაცაა“ — აქ ძალზე დიდი რაოდენობით შემონახულია წარწერები მაიას ენაზე.

### საზრანგეთი

#### ლიტირატურული რეპორტი

ჟორჟ სიმენონის წიგნები თარგმნილია 37 ენაზე. გამოანგარიშებულია, რომ ჩვენს პლანეტაზე ყოველდღიურად გამოდის სიმენონის თითო წიგნი. იგი უკვე 250 რომანის ავტორია. გაზეთ „იუმანიტეს“ ცნობით,

ეს ლიტერატურის ისტორიაში აბსოლუტური რეკორდია.

15 მარტს პარიზის გამომცემლობა სან კონტრმა გამოსცა ჟორჟ სიმენონის ნაწარმოებთა 48 ტომეულის პირველი ტომი. ერთ გამომცემლობაში პირველად იქნება თავმოყრილი ავტორის ყველა ნაწარმოები პოლიციის ცნობილ კომისარ მეგრეზე. სიმენონის თხზულებათა სრულ გამოცემაში უკვე გამოქვეყნებულ წიგნებთან ერთად შევა ახალი ნაწარმოებებიც.

### პოლანდია

#### ძმლი — ლიტერატურულ გმირს

დელფზეილის პორტში საზეიმოდ გაიხსნა ჟიულ მეგრეს — ჟორჟ სიმენონის რომანების გმირის — ძეგლი (სკულპტორი პიტერ დ'ჰონგი). 1928 წელს დელფზეილში დაწერა ჟორჟ სიმენონმა პირველი რომანი, რომლის მთავარი გმირი იყო ჟიულ მეგრე. ძეგლის გახსნის დღეს ბურგომისტრმა მწერალს გადასცა დოკუმენტი, რომელშიც ნათქვამია, რომ „ჟიულ მეგრე დაიბადა დელფზეილში 45 წლისა 1928 წლის თებერვალში“. სიმენონმა კორესპონდენტებს განუცხადა: „1938 წელს გადავწყვიტე მეგრეზე აღარ დამეწერა, მაგრამ ვერ მოვახერხე. მეოთხეელთა მრავალიცხოვანმა წერილებმა მაიძულა კვლავ დაგბრუნებოდი მას. ახლა მეგრეს არსებობა ჩემს სურვილზე არ არის დამოკიდებული. მე ვიცავ გარკვეულ რიტმს: წელიწადში მხოლოდ ერთი მეგრე“.

პრესის ცნობით, ჟორჟ სიმენონი პირველი და ერთადერთი ავტორია, რომელიც დაესწრო თავისი ნაწარმოების გმირის ძეგლის გახსნას.



# 27 "ქიზნის" ფოსტაქონი

## «ხახვივით შერჩა»?

კალენდრის დანიშნულება კარგად მოგეხსენებათ. მას თავისი, პრაქტიკული ფუნქციები აქვს, ხალხს იგი სჭირდება, თორემ 1967 წლის ქართული კალენდრის ას ოცდაათი ათასი ეგზემპლარი ორიოდ დღეში არც გაიყიდებოდა! (გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“).

კალენდრის სამას სამოცდახუთი ფურცლის უკანა გვერდზე რამდენ რამეს უნდა დაეთმოს ადგილი! შემდგენლებმა უნდა გაითვალისწინონ მკითხველის (მომხმარებლის) ასაკი და პროფესია, განათლება და გემოვნება და ა. შ. სასარგებლოა თუ არა შოკოლადი? ვინ გამოიგონა ქაღალდი? როდის დაარსდა ლანჩხუთის თეატრი? რატომ არის აუცილებელი მუქი სათვალის ტარება? როგორ წარმოიშვა გამოთქმები: ყურებზე ხახვი არ დამკრა ან ხახვივით შერჩა? რომელია ყველაზე გრძელი მეტროპოლიტენი მსოფლიოში და რამდენი საღვური აქვს მას? როდის ჩამოვიდნენ თბილისში პირველად გ. უსპენსკი (იხ. 28 იანვრის II გვერდზე), სობინოვი (იხ. 10 მარტის II გვერდზე). ყველაფერი ეს უსათუოდ უნდა ვიცოდეთ. მაგრამ კალენდრის შემდგენლებს ლიტერატურული მასალაც პასუხისმგებლობითა და გემოვნებით უნდა შეერჩიათ. კალენდარი

რომ ლიტერატურული შედევრების ქრესტომათია არ არის, კარგად ვიცით, მაგრამ...

21 დეკემბრის მეორე გვერდზე ხალხური სიბრძნის რუბრიკით მოთავსებულია 18 ნიმუში. ვფიქრობთ, შემდგენლებს ხალხის ნიჭიერებაზე, ხალხური აფორიზმების პოეტურ ელვარებასა და ნატიფ ფორმებზე მცდარი წარმოდგენა აქვთ. აი, ზოგიერთი ნიმუში:

წინდახედულება ნამდვილი ბედნიერებაა.

ადამიანი ადამიანობით ფასდება.

კარგი ადამიანი მულამ გუნებოვია და შუბლგახსნილი.

პატიოსანი ადამიანისათვის თავიდათავე სინდისია.

კეთილ ადამიანს არასოდეს ბოროტი აზრი არ მოუვა.

შეცდომა ყველას როდი ეპატიება.

კარგია თუ კაცს ადრევე გამოიცნობ.

და ა. შ.

ჩვენი პრესის ფურცლებზე ამგვარი ბრტყელ-ბრტყელი სენტენციების ტომები უკვე გამოაქვეყნეს ლაროშფუკობის მანიით შეპყრობილმა „აფორიზმების მწერლებმა“ (მომავალშიც არ დაგვზარდებიან, იმედოვნებ უნდა ვიქონიოთ). ეს „სიბრძნე“ მათი ნახელავი უნდა იყოს. ხალხი არაფერ შუაშია!

„მიწაზე ქრისტე ეგდო. მნათი თვალებ-

ბი ზეცისათვის მიეპყრო. სიცხე შემაპარვოდა ღვთისმშობელს (?) ნაფეხურებში ეტყობოდა ნატიფ სახეზე“ — ასე იწყება „სისხლიანი ღრეობა“ (ნაწყვეტი რობერტ კიკნაძის მოთხრობიდან „ღედა“) იხ. 9 აგვისტოს მეორე გვერდი.

და ასე მთავრდება: „თქვა ცალთვალა ასისთავმა და ცალი თვალი ხარის თვალივით უშველებელ ბრილიანტის თვალს გესლიანი თვალით დაადგა“.

გაიგეთ რამე?

აქ რაღაც გაუგებრობა უნდა იყოს. გადმოხეჭვისას თუ დადგა ყველაფერი ასე თავდაყირა. წაეციოთხოთ თვით მოთხრობა „ღედა“ („სისხლიანი ღრეობა“ ხომ მისი ნაწყვეტია). იგი შედის წიგნში: რობერტ კიკნაძე „ზღვისფერი თვლები“, მოთხრობები, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1966 წ. იქ წერია... თუმცა, მიეყვით.

„მიწაზე ქრისტე ეგლო...“ ამას მოსდევს კუბიურებით გადმოხეჭილი ათიოდე სტრიქონი. კიდევ და კიდევ კუბიურები. წიგნის მომდევნო ოთხმოცი სტრიქონიდან... ოციოდეა დარჩენილი. რა მანევრირების უნარი უნდა ჰქონოდა კაცს, რომ ოთხმოცი სტრიქონიდან ოციოდა დაეტოვებინა და შინაარსი მაინც გამოეტანჯა (რა მოთხრობაცაა, ამაზეც ეტყობა). ზოგი ფრაზა თუ წინადადება შეცვლილია, ან სულაც ჩამატებულია. ახალი მოთხრობაა? მაშინ, ამა და ამ მოთხრობის ნაწყვეტიაო, რაღად გვეუბნებიან. ვითომ ავტორმა მისცა მოთხრობის ნაწყვეტს ასეთი „კალენდარული“ სახე?

ამ ნაწყვეტს რომ რამე დამოუკიდებელი აზრი გააჩნდეს, ხმას ვინ ამოიღებდა. აქ არის ქართველების „მოჭრილი თავების სისხლიანი ფერდობები“, სპარსელი ასისთავი— „გოროზი ვიაურია“ (?), აქ წერია, რომ „სიბრაზე ლოდივით დააწვა ქვრივს, წამოენთო, თვალეზში ცეცხლი ჩაედვარა, მყისვე მოტრიალდა და მხდალს გესლი ანთხია“ და ა. შ.

მაინც რა სახე ჰქონდა წიგნში აი იმ აბრაკადაბრას? თვალსაჩინოებისათვის ორივეს ამოვწერთ:

„თქვა ცალთვალა ასისთავმა და ცალი თვალი ხარის თვალივით უშველებელ ბრილიანტის თვალს გესლიანი თვალით დაადგა“ (კალენდრიდან).

„თქვა ცალთვალა ასისთავმა, ბრილიანტის თვალს ცალი თვალი დაადგა და თან ქოსა უღვაშები თრიაქით გაყვითლებული თითებით ჩამოივარცხნა“ (წიგნის 136-ე გვ.).

სხვადასხვაა. პირველი აბსოლუტური უაზრობაა, მეორე — ჰა და ჰა, რაღაცას ვაივებ კაცი!

რა მოხდა?

ეტყობა, რომ ნაწყვეტს გარეთ დარჩენილი ზოგიერთი „მარგალიტი“ კუბიურის ავტორს ვერ გაუმეტებია და ნაწყვეტში შემოუტანია. ნაწყვეტი წიგნში 136-ე გვერდს იქით არ მიდის, ხოლო „იქუხა ცალთვალა ასისთავმა და გესლიანი თვალი ხარის თვალივით უშველებელ ბრილიანტის თვალს დაადგა“ 143-ე გვერდზე წერია, ცხადია „იკარგებოდა“, იგი წამოუღიათ და ნაწყვეტის ბოლოსთვის მოუბამთ. მაგრამ ამის გამო „ქოსა უღვაშები თრიაქით გაყვითლებული თითებით ჩამოივარცხნა“, უნდა ამოვარდნილიყო, აბა ამას ვინ გაიმეტებდა და ნაწყვეტში მისი ადგილი სხვაგან მოუქებნიათ.

მოთხრობა ისე უწვავლებიათ, თავი ვერ მოუბამთ და, ეშმაკმა უწყის, კალენდარში რა შეუტანიათ!

სამწუხარო ისაა, რომ ცხრა და ათ აგვისტოს ას ოცდაათი ათასი კაცი (თუ მეტი არა) ამას წაიკითხავს. რა მიზნით შეიტანეს შემდგენლებმა ეს ნაწყვეტი კალენდარში? თანაც „ზღვისფერი თვლებს“ კალენდრის შემდგენელთათვის სწორედ რომ სულზე მიუსწრია — იგი ხელმოწერილია დასაბუქდად 1966 წლის 10 სექტემბერს, კალენდარი კი — 12 ოქტომბერს. როდისღა ნახეს ის მოთხრობა კალენდრის მესვეურებმა, ან როდისღა „დაამუშავეს“?

სიტყვას მოჰყვა და რობერტ კიკნაძის ამ წიგნზე ორიოდე სიტყვას მოგახსენებთ. იგი რვა მოთხრობისაგან შედგე-

ბა. პირველს „ზღვისფერი თვალები“ ჰქვია.

„ყველაფერი თავბრუდამხვევი სრბოლითაა მთვრალი“.

„თეთრი სახლის მისაღებში ვერ დავლანდე თეთრხალათიანი“.

„აუტრაცხელი ტალღა დაიმსხვრა ნაპირზე, თეთრი სახლის დიდმა საათამაც წრე მოხაზა, მაგრამ იმ გამოუხვლელს გამოსვლის საშველი არ დაადგა“.

„მოლტივით ტანზე მდინარე ჩამოსდიოდა“.

„მიდიოდა და მოლტივით თხელ ტანზე ახლა ნაკადული ჩამოსდიოდა“...

„(პლაჟზე) თვალებით ვმარცვლავდი მუთაქებივით მსხვილ და ლერწამივით თხელ, შიშველ ქალებს. მოლურჯო თვლებს ვეძებდი ლურჯი ზღვის ნაპირას...“

„ზღვისფერი თვალები ლამუნით მიპყვება ზღვის ოქროსფერ ძაფებს“...

„მსუბუქი გოგო იყო, ჰაეროვანი, ნატიფი, როგორც ქართული სიმღერა“.

„მოლივლივე, უხილავ ძაფებზე ნებიერად გადაწვა და მზის მოისრული წამწამები დასხმულ გულმკერდზე დაიყარა“.

გავაგრძელო?

არავითარი ხასიათი, არავითარი ფსიქოლოგიაში, პრეტენზიული მანერულობა, ფორმალიზმი.

აი სიუჟეტიც: „ვაცი ზღვაზე გაეცნო ქერთამიან გოგონას ზღვისფერი თვალებით და ოდნავ წამობერილი თეძოებით“. დაახლოვდნენ. საქმეს კარგი პირი უჩანდა. მერე იმ ქალმა ვაჟს თავისი ქმარი გააცნო.

უფრო ტრივიალური სიუჟეტის შეთხზვა ძნელია.

სხვა მოთხრობებიც ასეთია.

ერთი სიტყვით, ის რაც ხუთი ათას კაცს უნდა წაეკითხა (ჯანი გავარდეს!) კალენდრის შემდგენლებმა ასოცდაათ ათას კაცს შესთავაზეს. ამგვარ შემთხვევაზე თქვა თითქმის ასი წლის წინათ გრ. ორბელიანი: „თვით რედაქციას რა ჰაზრი ჰქონდა, რომ ჰპეჭდავდა ამას და არ შეიბრალა არცა მკითხველი და არცა თვით ავტორი?“

სხვათა შორის, ეს წიგნი თბილისის მასწავლებელთა სახლში განუხილავთ. მომხსენებელმა და სიტყვით გამოსულ ამხანაგებმა, თურმე, ასაეროდ კარგი შეფასება მისცეს ახალგაზრდა მწერლის მოთხრობებს. ეს ინფორმაცია გაზეთ „სახალხო განათლებაში“ გამოქვეყნდა (იხ. № 5 1/11, 1967 წ.). გაზეთის კორესპონდენტი ასკენის, რომ „ზღვისფერი თვალების“ ავტორი კარგი ქართული წერს, აქვს გმირთა სახეების გამოქერწყნის უნარი, მისი სტილისტიკის დამახასიათებელია ლაკონიურობა და სიცხადე“. ეს შეფასება ერთსულვანად მიუღიათ და, ცხადია, „ახალგაზრდა მწერალმა გაიზიარა შენიშვნები და მადლობა გადაუხადა დამსწრეთ გულთბილი შეხვედრისათვის“.

მასწავლებელთა სახლის ლიტერატურულ წრეს კიდევ ეპატიება ასეთი აჩქარება, მაგრამ ისეთ კარგ გაზეთს, როგორც „სახალხო განათლება“, არავითარ შემთხვევაში!

მხოლოდ გაუგებრობას იწვევს აგრეთვე სიკვდილის რკალი (ნაწყვეტი მ. მოსაშვილის ამავე სახელწოდების მოთხრობიდან) — იხ. 13 ივლისი.

აქ ყველაზე ნაკლებად ავტორს ვედავები; კალენდრის შემდგენელთაგან მიკვირს — რა აუცილებელი იყო, რომ ეს ნაწყვეტი მკითხველთა ასე ფართო წრეებისთვის მიეწოდებინათ?

23 ნოემბრის ფურცელზე გამოქვეყნებულია „ქალ-ვაციანი“ (ლექური ხალხური სიმღერა). ვინ თარგმნა, ვერ მოგახსენებთ. ამ სიმღერას, — გვულისხმობთ, — ლექსით გამაგრებული გარკვეული კანონზომიერი მუსიკალურ-რიტმული სტრუქტურა ექნება. ეს საერთო ნიშანია ხალხური სასიმღერო ნაწარმოებებისა. რასან ლექური „ქალ-ვაციანის“ ტექსტი ითარგმნა, ცხადია, მას უკვე ქართული ლექსის პრეტენზიაც აქვს. კალენდარში ერთადერთი თარგმნილი ხალხური ლექსია შეტანილი, ამდენად იგი, საყოველთაო მოწონებას თუ ვერ დაიმსახურებდა, რაიმე ღირსებაშიმადლებული მაინც უნდა ყოფილიყო. აი, ეს ლექსიც:

მზე თქვენს ბანზე აშუქებს—  
ჩვენს ბანზე დღეც ბნელობს  
— სითბოს მე ვინ მარჩქებს.  
სევდა ვინ გამინელოს!

ღილით მზისა მარმამი  
მოაზე აბნევს ცხელ ლალებს.



— შექარ სხივი და მაშინ  
მეც შევკონავ ჩემს თვალებს.

იხვევს ერთი მდინარე  
სამოცდაათ ნაკადულს.

— შეუცვალე მათ არე:  
მეც შევიცვლი ამაყ გულს.

მეგონა, რომ ჩინარზე  
ბუღეს მოეწნავ რტოებით,  
მაგრამ ბუჩქი მწველ ნაღზე  
დავრჩი განმარტოებით.

გულახდილად რომ ითქვას, მთარგმნელს არც გამოვკიდებივარ. ღირდა კი? აი, კალენდრის შემდგენლები რით მოიხიბლნენ, გულწრფელად გვიკვირს.

ერთი კურიოზიც.

შარშან თუ შარშანწინ „ლიტერატურულმა საქართველომ“ ახალგაზრდა პოეტის, ვლადიმერ ალფენიძის ლექსები გამოაქვეყნა. ამ ციკლს წამძღვარებული ჰქონდა გიორგი ლეონიძის გულთბილი სტრიქონები, გზის დალოცვა. სხვათა შორის, სწორედ მაშინ გამოქვეყნდა ვლ. ალფენიძის ლექსი „იყალბო... ძველი აკადემია“. კალენდრის შემდგენლებს

ვლ. ალფენიძის ეს ლექსი გიორგი ლეონიძისთვის მიუკუთვნებიათ (იხ. 5 ოქტომბერი). მეტი რომ არა ვთქვათ, უხერხულია!

იმაზე არაფერს ვამბობთ, რომ კალენდარში უამრავი კორექტურული შეცდომაა გაპარული. ამისგან, მაინცდამაინც, არც ერთი გამოცემა არაა დაზღვეული, მით უმეტეს, ასეთი ოპერატიული ზასიათისა, მაგრამ მეტისმეტი დაუდევრობაც თვალში არ უნდა გვეცეს. თორემ, რა გამოდის, ქართლში ქრისტიანობა 630 წლის წინათ დამკვიდრებულა, ხოლო სპარსეთის წინააღმდეგ ქართლსა და სომხეთში 395 წლის წინათ აჯანყება მოუწყვიათ (იხ. 28 იანვარი). აქ, კარგად მოგეხსენებათ, ზუსტად თითო ათასწლეულია დაკარგული.

მაღალი პოლიტიკური დონის კალენდარი ჩვენი დღეების წიგნიერი მკითხველის გემოვნებასა და ინტერესებს უნდა ასახავდეს. ეს საჭირო, სამაგიდო გამოცემა, სხვა დროს უფრო მუყაითად და ფაქიზად უნდა მომზადდეს.

**ჯუშუგარ თითხმარია.**



# უიწყასი

## ოქოგბერი სბგირო ღლუბისქან გვქახის

სანღრო უანუიუვილი — დღისღროთა ღვინთან . . . . . 2 გვ.

## პოეზია ღა პროზა

სიგონ ჩიქოვანი — ორი ღმქსი (პოეტის არქივიღან) . . . . . 3 გვ.  
 რავაზ უაფარიძე — ვირცხლის აბლაბუღა (მოთხრობა) . . . . . 5 გვ.  
 დავით ზაჩინილაძე — ახალი წიგნიღან (ლექსეზი) . . . . . 30 გვ.  
 მარაზ ელიოვიუვილი — არაფერი, ჩემი დიკლომინი, ვნახოთ, „ულტიმა რაციო“, (მოთხრობეზი) . . . . . 33 გვ.  
 რეო ვიუვილი — ოსტატეზი, სტუდარი, პრემიერა, ძეგლი. (მოთხრობეზი) . . . . . 50 გვ.

## ახალი თარგმანეზი

ზაგრაბ შინკუზა—ზატაცეზა (პოეზიღან „კლდის სიღღრა“. თარგმნა შ. ნიშნიანიძემ) . . . . . 64 გვ.  
 ეღარღას მემელბიბისი — ღმქსეზი. (თარგმნა გ. ძნელაძემ) . . . . . 68 გვ.  
 სანინ ყულივი — მთანო მღღანო (ლექსეზი. თარგმნა შ. ნიშნიანიძემ) . . . . . 70 გვ.

## „მისქარი“ — გეჟეზეზ

არჩილ სულაქაური — სალამურას თავგაღასაგალი (ზღაპარი. დასასრული) . . . . . 72 გვ.

## უიქრეზი სხაღღლა

ოთარ ჩიქოვიანი — ჩვენი სოფლის ახალგაზღღოზა . . . . . 97 გვ.  
 „ცისქარი“ ულოცავს კარღო კალამს . . . . . 108 გვ.

## ღიგარღურული ქრივიქა

გიორგი უიღღაძე — რუსთაველის ეაკოძის ქართული ქრონიქა . . . . . 109 გვ.  
 გიორგი კალანღაძე — კვღავ ზინთან მოველ . . . . . 122 გვ.

## მეხნიერეზა

გიორგი სავარელიძე — „უმისგართო წერიღეზი“ . . . . . 127 გვ.

## ჩვენი კალღღარი

გურამ ვეღღღითელი — წინღღა კური არსოგისა . . . . . 136 გვ.  
 ვაჟან ზარღღაღიძე, თამაზ ეგანოიძე — მეცნიერი ღა აღგარღელი . . . . . 139 გვ.

## თვიღღან თვეღღა

ვერიკო ანჯაფარიძე — ასკაზია გოგოქროზს ქართულ სვენაზე . . . . . 147 გვ.  
 ჩვენი რაღღო, ჩვენი ტღღევიზია . . . . . 148 გვ.  
 ღიღღა აგაშიძე — ქალის როლის სავკითესო უმისრულიღღელი . . . . . 148 გვ.  
 მათ გვასახღღეს იაკონიავი . . . . . 149 გვ.  
 სქართვეღღოს სხაღღო მხატვარი . . . . . 150 გვ.  
 „ცისქარი“ ულოცავს ზაგრაბ შინკუზას, ივანე კაპაქსიჩის . . . . . 150 გვ.

## ყოველი მხრიღღან

„მისქარის“ უოსვიღღან . . . . . 151 გვ.  
 უუგარ თითვერია — „ხხვივით შერიქა“? . . . . . 155 გვ.

◆

**მთავარი რედაქტორი სუბა ბერუღვა**

სარედაქციო კოლეგია: აკაკი ბაქრაძე, გურამ გვერდუთელი, მერაბ ელიო-  
ვიშვილი, კარლო კალაძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, როინ მებრძვილი,  
ოტია პაპაიორია (პ/მზ. მღივანი), გიორგი ციციშვილი, ნოდარ წულიყისკერი.  
ვახტანგ ვილიძე, სერგი ვილიაძე, თამაზ ვილიაძე, ლევა ჯანაშია.

◆

გარეკანი და ტიტული ელგუჯა ამაშუკელის, ქურონალი გააფორმა თენგიზ სამსონაძემ.

---

ტექნიკური ხელმძღვანელი ს. გოდერძიშვილი

---

**რედაქციური შემოსული მასალები ავტორებს არ დაუბრუნდებათ**

---

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პროსპ. № 91.

**ტელეფონები:** რედაქტორის — 5-08-85, პ/მზ მღივანის — 5-08-86, განყოფილებაების:  
კომპიუტერისა და პრესის, კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის — 5-08-85, კულტურისა და  
ხელოვნების 5-08-75

---

ხელმოწერილია დასაბეჭდად 28/IV-67 წ. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით  
ფორმათა რაოდენობა 13,7 შეკვ. № 1049. უე 02032. ქალაქის ზომა 70×108. ტირაჟი 20.000.

---

საქ. კპ ცკ-ის გამოცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14  
Полиграфкомбинат издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина № 14.

ՊՆԵՆ ԳՐ ԶԶԶ.

*ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-  
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ*

**«ЦИСКАРИ»**

издательство

«ЛИТЕРАТУРА ДА ХЕЛОВНЕВА»

ИНДЕКС 76236